

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

21 ივლისი 2006 №15



როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი
დავით წერეთლის ვარიაციები
არაბი ნობელიანტის ნოველები
ორი კანონის ჭიდილი

შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	ცარიელი აუდიტორია (რამდენიმე წუთი ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან)
მედიკალინ-ინტერვიუ	3	რისტვის ღირს ლექსების თხზვა (საუბარი ვაჟა ხორნაულთან)
დაბეჭდილი	5	ლაშა იმედაშვილი დუელი
პოეზია	19	ლია სტურუა უცნაური სურვილი
	21	თამუნა არდიშვილი დაბრუნება
პირველი შთაბეჭდილება	24	გიორგი ლობჯანიძე სიმართლის შესაფერისი ტონალობა
ანეკდოტი	25	დმიტრი მერეჟოვსკი დომონის უკანასკნელი მოციქულნი
დაუნიწყარი სახელები	29	მერაბ ლაღანიძე იოსიფ ბროდსკის ხსოვნას
კრიტიკა	31	დავით წერეთლიანი თემა და ვარიაციები
	35	მაია ჯალიაშვილი გადაწყვეტილების იმედი
	36	ივანე ამირხანაშვილი ნიბნი სანთლით საკვებართათვის
გამოსაქვეყნებელი	37	პაატა ჩხეიძე ორი კანონის ჭიდილი (ლია ბარათი ზაზა შათირიშვილს)
კონტაქტები	38	ნიკო ნახუცრიშვილი ნაპატიოსნოთ ირანელ ბავშვებს ქართული ზღაპრები
რეპორტაჟი	40	ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე ღვთაებრივი მოცალოება („ქება სიზარმაცისა“)
ფიქრები	43	თეიმურაზ ნადარეიშვილი სულის ფოტოგრაფიები
პოეზიის მერიდიანები	47	ანდრეას ემბრიკოსი ლექსები პროზად
უხსოვარი ნოველა	52	ნაჯბ მამფუზი ორი ნოველა
კრიტიკა	58	სამიჰ ქარიმი მისმა გამარჯვებამ არაბულ ლიტერატურას ღირსება დაუბრუნა
ნაქვეყნები	61	მანვილსნიტჰოპის ნიმუშები
მოზაიკა	63	საშინაო დავალებად გამოაცხადეს

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ნიკოს ენგონოპულოსი, „მუსიკოსები“

თენგიზ ლვინიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის ძეგლი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 აგვისტოს

ცარიელი აუდიტორია

*

რამდენიმე წუთი
ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან

ივანე ჯავახიშვილი აუდიტორიის კარს შეაღებს. შეაღებს და... ცარიელია იქაურობა. ერთი სტუდენტი რა არის, ერთი სტუდენტიც არსად ჭაჭანებს. გაოგნებული შემობრუნდება და დერეფანში ეძებს პასუხის გამცემს. დიდი ძებნა არც სჭირდება. ორი ჭინჭრაქა ამოუდგება აქეთ-იქიდან. ჭინჭრაქები მანამდე ერქვათ, გარეგნული აღნაგობითაც და სულიერი ავლადიდებითაც უკეთესი სახელი ვერ მოეპოვებინათ თანატოლებში, მაგრამ უეცრად წამოტივტივდებოდნენ ზემოთ და ზემოთ, კომუნისტური პარტიის კარს რომ შეაღებდნენ, ერთბაშად მოიხვეჭდნენ ძალაუფლებას. მოიხვეჭდნენ და, გადიდგულეულნი, ივანე ჯავახიშვილს ურჩევდნენ, ნებაყოფლობით მიეტოვებინა უნივერსიტეტი, ვიდრე ზემდგომთა ჩარევა გახდებოდა აუცილებელი. ურჩევდნენ, რაკილა პატივს მიაგებდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო კერის დამაარსებელს. ასე მოახსენებდნენ, პატივს რომ არა გცემდეთ, უბოდიშოდაც მიგაბრძანებდით, მაგრამ ასე სჯობს, რომ თქვენი შეცდომებიც აღიაროთ, როგორც ისტორიკოსმა და როგორც ორგანიზატორმა, და გზა ახალგაზრდობას დაუთმოთ, წითელი პროფესურის დროა, ვინც კვალში მიჰყვება გლობალურ მოვლენებს და რეფორმებისათვის ყოველთვის მზად არისო.

არ შეისმენდა ივანე ჯავახიშვილი.

უკმეხად არაფერს მიუგებდა ჭინჭრაქებს, ხმაში სიმკაცრე არ გაერეოდა. ეგაა, არაფერს დაპირდებოდა და ჩვეულებრივ გააგრძელებდა ლექციებს.

იმ დღესაც ლექციაზე მიიჩქაროდა.

მაგრამ ჭინჭრაქები აღარ იყვნენ ჭინჭრაქები, ისე ძლიერად გრძნობდნენ ზურგს უკან მილიციისა და ჩეკას სუნთქვას, ადვილად ველარაფერი შეაოკებდათ და სტუდენტებს ჩამოუფლიდნენ წინასწარ, ჯავახიშვილის ლექციას თუ დასწრებისხართ, თქვენს თავს დააბრალებთ.

ისე იყო – გველემაში რომ დაეუფლებოდა წყაროს და... ველარავინ მიხედავდა.

ის სუნთქვა დაივილიდა უნივერსიტეტის დერეფნებსა და აუდიტორიებს, ის სუსხი მიწვდებოდა ყველასა და ყველაფერს და ის ნუთიც უნდა დამდგარიყო, როდესაც ივანე ჯავახიშვილი სახტად დარჩებოდა, სიცარიელე რომ შემოასკდებოდა სახეში.

და ჭინჭრაქებიც, დაბარებულებივით:

– ვერც ახლა ხედავ, რომ არავის არ უნდა შენი ლექციები? სტუდენტობამ პროტესტი გამოგიცხადა და აღარც ელოდო მათ მოსვლას. მიხვდი, რომ აღარ არის შენი და შენისთანების დრო!

დერეფანს გაუყვებოდა დათრგუნული და მხრებჩამოყრილი.

ხმა მისწიოდა, სისხლის გამყინავი:

– ვერც ახლა ხედავ?

კიბეს დაუყვებოდა.

ხმა არა ცხრებოდა:

– აღარ არის შენი და შენისთანების დრო!

სხვა ჭინჭრაქა სულაც რექტორად მოველინებოდა უნივერსიტეტს – კარლო ორაგველიძე, და ისტორიის ფაკულტეტის საბჭოზე მოხსენებას რომ წაიკითხავდა, კრიტიკის დარჯაკში გაატარებდა ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიებს. დამსახურებად იმას ჩაუთვლიდა, რომ ემპირიული მასალა შეეგროვებინა. ესაა და ეს. მაგრამ სხვა მხრივ? მატერიალისტურ მსოფლმხედველობამდე ვერ ამაღლებულიყო, მარქსიზმში ვერ გარკვეულიყო და მის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს რომ უწევდა და ამართლებდა ფეოდალურ ექსპლოატაციას, ფაქტებიც ისე შეერჩია და დაელაგებინა, რომ „ისინი ეხებოდნენ და აპოლოგეტურად აშუქებდნენ გაბატონებული კლასებისა და მათ ცალკე წარმომადგენელთა ცხოვრების ცალკეულ მომენტებს“.

ეს უკვე იდეოლოგიური ბრალდება გახლდათ, საკმაოდ მძიმე – მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიასა თუ იმ საპროგრამო დებულებებისათვის გვერდის ავლას ვინ აპატიებდა და ახალი რექტორი კლასთა ბრძოლას დაიხვეჭდა ხელზე: ჯავახიშვილი მთლად ვერ უარყოფს კლასების არსებობას ფეოდალურ საქართველოში, ცნობით ცნობს, მაგრამ მათი ურთიერთობა წარმოდგენილი აქვს მშვიდობიან ფორმაში, მწვავე კლასობრივი ბრძოლების გარეშე.

ის დევნა, რაც უღმობლად ეწვინა „ქართველი ერის ისტორიის“ შემოქმედს, ახალი რექტორის თვალში საკმარისად სულაც არ მოჩანდა და მეტი სიფხიზლისა და სიმკაცრისაკენ მოუწოდებდა ყველას, ვისაც მიაჩნდა, რომ ჯავახიშვილის სკოლა უკვე განადგურებული იყო.

არ არის მისი ისტორიული სკოლა განადგურებული, რადგანაც მისი გავლენა ლიტერატურასა და ახალ კადრებზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანიაო, – მრისხანებდა კარლო-რექტორი და შეაგონებდა ახალი იდეოლოგიისა და რეჟიმის დამცველთა ივანე ჯავახიშვილის აშკარა თუ ფარულ მიმდევართა სრულ ამოძირკვას.

მის მიერ შექმნილ ისტორიას მხოლოდ წინწკლებში მოიხსენიებდა, როგორც ყოვლად ყალბსა და უფარგისს, და მიმდევრებს უბეჯითებდა, გონს თუ არ მოეგებით და მავნებლობას განაგრძობთ, რეფორმების ხორცშესხმას შეენიერებითო.

დაე თავიანთი თავისათვის დაებრალეზინათ.

გალურსულიყო უნივერსიტეტი.

მიმოფანტულიყვნენ, ვისაც სჯეროდა არამარქსისტული ისტორიისა, იმ ისტორიის, რომელიც სოციალისტურ თეორიათა პროკრუსტეს სარეცელზე არ გამოჭრილიყო, გლობალისტურ შეხედულებებს არ ასდევდა და ცდილობდა გამოჩინილიყო ისეთი, როგორც სინამდვილეში გახლდათ.

ივანე ჯავახიშვილს იმ ნამდვილი მატინის იდუმალი კარნახი უნდა ჩაენერა მხოლოდ.

კალამზე ამიტომაც წასტანებოდნენ.

შორიდან შემოუვლიდა ჩეკას ავადმომზირალ შენობას და ისე მიადგებოდა პავლე ინგოროყვას ბინის კარს, რათა იქ ეპოვნა ახალ რეჟიმს მონყვეტილი კუნძული სულის მოსათქმელად.


ის კარი არასოდეს ჩაეკეტებოდა, მაგრამ სხვა კარი ჩაზვოდა ისე მჭიდროდ, ჭუჭრუტანაც არსად დაეტანებინათ.

– ვერც ახლა ხედავ?
– აღარ არის შენი და შენისთანების დრო!
... ტალღები ასკდებოდა ნაპირს, მიიხვეტავდა თავისკენ იქაურობას, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ უნდა შთანთქოსო, მაგრამ თვითონვე გამოეცლებოდა... მერე ისევ დააცხრებოდა, ისევ თვითონვე მიანყდებოდა უკან...
ეს კართან შემდგარიყო.
ის უკვე გასაღებს ატრიალებდა საკლიტურში.
და გადადიოდა და გადმოდიოდა აქორჩილი ტალღები.

რისტვის ღირს ლექსის თხზვა

*

საუბარი ვაჟა ხორნაულთან



გან რაიმე, ლექსით მისაყვედურებდა, გაეხარებოდა – კვლავ ლექსით გამოხატავდა...

– აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხალხურ ლექსებთან ერთად ვაჟა-ფშაველას პოეზიის სიყვარული განუყოფელია. ბენეფიციარაა ალბათ, იყო პოეტი, თანაც ფშაველი, თანაც ლუკა რაზიკაშვილის შემდეგ. თუმცა მისდამი შეფრფვივნის მიუხედავად, თქვენ თრთოლვით არ უნდა უსწორებდეთ თვალს ამ გენიოსის შემოქმედებას.

– სახელი ვაჟა-ფშაველას სიყვარულით დამარქვეს. კანაღბიდან, ჩემი სახლის აივნიდან ჩანს ჩარგალი. დილა ჩარგლის დანახვით იწყება და ქედნების ლულუნით, მზისყანის გორიდან რომ აღწევს. პირველი ლექსი, რომელიც რაიონულ გაზეთში დამიბეჭდეს, ვაჟა-ფშაველას ეძღვნებოდა. მაშინ მამაჩემმა ჩარგლისკენ გამახედა და მითხრა: იმის მერე წერას აზრი აღარ აქვს, მაგრამ მაინც წერე შენთვისო...

ვაჟა-ფშაველა გვარწმუნებს, ნუთისოფლის ვერაგობის გამო, რაც არ უნდა ქვესკნელში ვიყოთ, მაინც უნდა გვჯეროდეს ღმერთისა და მისგან მონიჭებული სასწაულისა.

ღმერთი განფენილია ბუნებაში – ეს ინტუიციით გაითვალისწინა ვაჟა-ფშაველამ და როცა ბუნებას უღრმავდება, ღმერთთან მიდის.

რაც შეეხება შეფრფვივნა-თრთოლვის საკითხს. ყველას თავისი ბედისწერა აქვს. მიგიხვდით, ჩემს ამ ლექსს გულისხმობთ – „ღმერთმა როგორც მომქსოვა“... სხვებმაც გამოთქვეს მაგგვარი მოსაზრება. სხვადასხვა ტონალობითა და ელფერით.

ვაჟასთან გაპაექრება არ მდომებია. ჩემში იდო განცდა, რომ ადამიანად მინდა დავრჩე და არა სხვა რამედ. ხანდახან ასეა, დანერ რაიმეს, მიმოიხედავ და თითქოს კამათს აჩაღებ. ასეთი რამ არ ყოფილა, ვაჟა-ფშაველას დავპირისპირებოდი.

ვთქვით ასეც ყოფილიყო, რა არის ამაში ცუდი? წინასწარ იცი, რომ ასეთ შემოქმედთან წაგებული ხარ, მაგრამ გიჩნდება ხანდახან სურვილი, სხვანაირად გამოთქვა შენი აზრი, არ გაიმეორო.

მწერლები საერთოდ და დიდი ადამიანები (ჩემ თავს არ ვგულისხმობ) თვით ღმერთსაც ეჯიბრებიან. ჯანსაღი შეჯიბრია. რადგან ამ შეჯიბრში უფრო ცხადდება ღმერთის სიყვარული.

– თქვენი ბოლო სიფრიფანა კრებულიდან „ყვავილი ღმერთის უბეში“ ლექსები ისე შემოეგებება მკითხველს, როგორც მზის სხივდაფენილი მდინარიდან ასხლეტილი ციმციმი. თუმცა არა ხართ „ნოვაციებს“ დიდად გამოდევნებული პოეტი (ამ შემთხვევაში ლექსის ფორმას ვგულისხმობ და არა სათქმელს).

ერთი სიტყვით, ფორმა – ნაცადი, სათქმელი – საკუთარი. რას იტყვით ამ ჰარმონიაზე?

– პოეტური სიტყვა მკითხველისთვის ბუნებრივი თუა აღსაქმელად, ამავე დროს იქნება დამაჯერებელიც. მიმაჩნია, რომ სწორედ ამისათვის ღირს ლექსების თხზვა.

რაც შეეხება რითმას. რეამარცვლიანი ფორმა სასწაულია. მოგეხსენებათ, სალექსო ფორმები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და იცვლება. თითქოს მიდიან და მოდიან. ეს კი რჩება – შინაგანად ამოუნურავი და ყველაზე მოქნილი. ეს ფორმა სასწაულად ჩანს ფოლკლორშიც. რადგან გლეხი – დაბადებით გენიოსი – წერა-კითხვაც რომ არ იცის, თითქოს ღმერთის კარნახით პოულობს. ასეა, რაც ზუსტი იყო, უკარნახა ღმერთმა, თითქოს სიცოცხლესთან ერთად დაბადებული ფორმაა.

– ფოლკლორი ასხენთ და ბარემ აქვე უკვე გამოთქმულ შთაბეჭდილებასაც შეგახსენებთ. ზემოაღნიშნული კრებულის რედაქტორი ამირან არაბული მიუთითებს, რომ თქვენი პოეზიის ხიბლი ხალხურ ხმასა და ინტონაციასთან გენეტიკურ სიახლოვეშია საძიებელი.

– ალბათ ასეცაა – ადამიანი სადაც დაიბადა, ძალაუნებურად ექცევა იქაური სინამდვილის გავლენის ქვეშ. დღენიადაგ ჩემი კუთხის ხმები ჩამესმის, ხალხური მთქმელების თავისებური სიმრავლე იყო ფშავეში. ლხინსა თუ ჭირში, ჩვენს ოჯახშიც მამაჩემის წყალობით მ მარცვლიანი შაირი ისმოდა. სულ ლექსით მელაპარაკებოდა. სანყენად დაურჩებოდა ჩემ-

- ვაჟა-ფშაველას ხეივანზე ისეთი რამ თუ გსმენიათ და იცით, რაც არასდროს გამოქვეყნებულა?

- ამ ამბავს მამარჩემი იხსენებდა ხოლმე. მაღაროსკარის დანყებით სკოლაში ასწავლიდა ბაჩანა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძმას ძმის მაგივრად ჩაუტარებია გაკვეთილი. ერთხელაც შესულა ვაჟა-ფშაველა, ხელში თხილის გრძელი ჯოხი სჭერია. ადგილზე ვერ ჩერდებოდა და მერხებს შორის განუწყვეტილვ მოძრაობდაო. თუ რომელიმე მონაფე წაიცილებდა, ჯოხს მსუბუქად ჩაუკაკუნებდა თავში და თანაც მოფერებით მიაყოლებდა: „ჩამოვარდა, ბალო, კაკალი“.

ერთხელაც მოვარდნილან სკოლაში და უთქვამთ, შენი ცხენი კვდებაო. ვაჟა-ფშაველა შურდულივით გაჭრილა კლასიდან, მაგრამ დაცემული ცხენისათვის ვეღარ უშველია... თავისი ხელით კი დაუმარხავს.

ახლა კი იმაზე მოგახსენებთ, რაც დაბეჭდილა, მაგრამ... ჩვენი მეცნიერები, სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევით კი არ არიან დაკავებულნი, უზარმაზარ ენერჯიას ხარჯავენ იმის დასამტკიცებლად, რომ ვაჟა-ფშაველა თურმე ხევსური ყოფილა. არადა თვითონ ფსევდონიმი არ გვკარნახობს? მამ რატომ არ დანერა ვაჟა-ხევსური, ვინმესი ეშინოდა თუ რა?

თავისი ბიოგრაფიული ნაწარმოების შესავალშიც განმარტავს, ჩვენ ვართ წმინდა ფშაველებიო. ამის მერე რატომ უნდა გინდოდეს დაამტკიცო, რომ ორჯერ ორი არის ჩვიდმეტი?

ამ ბოლო დროს იშვიათი აღარ არის წიგნები, სადაც ფსევდონიმიდან ამოღებულია დეფისი. ფსევდონიმი უდეფისოდ კი დაემსგავსა გვარ-სახელს.

და ეს ყველაფერი ხდება ორიგინალობას მოწყურებული ჩვენი ვაი-მეცნიერებისა და ვაი-გამომცემლების წყალობით.

ამ ფსევდონიმი დეფისი მაგნიტია, რომელიც რკინის ორ ნაჭერს მტკიცედ კრავს.

„ლუკა რაზიკაშვილის ეს ფსევდონიმი მისი ლიტერატურული პოზიციის აღმნიშვნელიცაა. უფრო სწორად ლიტერატურულ-ენობრივი პოზიციის.“

ვაჟა-ფშაველა ათასწლოვანი ტრადიციის მქონე ენაზე მეტყველი ქართველია, ძირძველი ქართველი; უაღრესად ქართველი, ასეთია ამ პოეტური ფსევდონიმის წარმომავლობაო. - წერს თამაზ ჩხენკელი და მოდი და ნუ დაეთანხმები. დაუვინყარია გრიგოლ კიკნაძის წვლილი... მაგრამ მეტი უნდა იწერებოდეს. ბუნებრივია, ერთი გრიგოლ კიკნაძე და ერთი თამაზ ჩხენკელი ვერ ამოწურავს ვაჟა-ფშაველას.

- ალბათ ბიოგრაფიული რომანის წაკითხვასაც ინატრებდით ვაჟა-ფშაველასზე.

- ახლახან როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ვაზბეგიანა“ წაკითხეთ ალექსანდრე ვაზბეგის ცხოვრება-შემოქმედებაზე. გასაკვირი არაა, მსგავს წიგნს თუ ვინატრებდი ვაჟა-ფშაველასზე.

გვჭირდება ჩვენს კლასიკოსებზე ასეთი წიგნები, სადაც ადამიანი მთლიანობაში წარმოჩნდება. მოგეხსენებათ, შური თავისას აკეთებს და გენიოსიც ექცევა ცილისნამების ბადეში. ამიტომაცაა აუცილებელი შეიქმნას მეტი ბიოგრაფიული რომანი, სადაც ადამიანი გამოჩნდება ისე, როგორც ცხოვრებაში იყო. თუნდაც თავისი პატარა-პატარა ცოდვებით.

„ვაზბეგიანას“ წაკითხვის შემდეგ მართლა უვიცი და მტერი უნდა იყო შენი მწერლობისა, რომ ეჭვი დაგრჩეს ალექსანდრე ვაზბეგზე, როგორც მწერალსა და როგორც პიროვნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ვრცელია, ექსპრესიულად იკითხება. მსუბუქად, ბუნებრივად მიედინება თხრობა და არ იღლები...“

- ახლა რაღაც ნაირი მონდომება და გაფაციცება იგრძნობა, კლასიკოსთა შემოქმედებაში „კოჭლი“ სტრიქონები რომ აღმოაჩინონ. გადაჭარბებულად თამამებს ჯიბრი აძალებს ამგვარ დახარისხებას, ზოგიც ლიტერატურული პროცესების რკვევის სიყვარულით ხსნის.

თქვენ რას იტყვით ამის შესახებ და კონკრეტულად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე?

- გენიოსი უნაკლო არ არსებობს. სუსტი სტრიქონებიც გამორევიათ ხოლმე.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, განსაკუთრებით პოემებს, უდიდესი ყურადღება სულიერ მხარეზეა გადატანილი, რის გამოც გარეგნული ხანდახან „უპატრონოდ“ დარჩენია.

აბა, რამ გარითმინა იმ დალოცვილს დადგომა და შადგომა „ბახტრიონის“ დასასრულს? არადა ფინალები იცის გასაოცარი. „სტუმარ-მასპინძელში“ მნახოსა-დანახოსაა გარითმული. ეს ალბათ, გენიოსისთვის დამახასიათებელი ბავშვური დაუდევრობაა (თუნდაც იშვიათი), მაგრამ ამით ვაჟა-ფშაველას ჩრდილი არ ადგება. ის გვხიბლავს თავისი შინაგანი სამყაროთი, დიდი სიღრმეებიდან ამოტანილი ოქროს ელვარებით.

მახსენდება ოთარ ჭილაძის სიტყვები. ერთხელ მან ასეთი რამ მითხრა: „გენიოსები ისე წერენ, როგორც ხომი აქვთ“.

ასეთი იყო ვაჟა-ფშაველა.

კონან დოილის სახლს გადაკეთება ემუქრება

ბრიტანულმა ვიქტორიანულმა საზოგადოებამ სურვის საგრაფოში არტურ კონან დოილის სახლის დასაცავი კამპანია წამოიწყო. შენობას გადაკეთება და 13 ნაწილად დაშლა ემუქრება.

ვიქტორიანული საზოგადოება ცდილობს კონან დოილის სახლს კულტურის ძეგლის პირველხარისხის ანუ საგანგებო დასაცავის სტატუსი მიანიჭოს. ეს სახლი 1897 წელს აშენდა არქიტექტორ ჯოზეფ ჰენრი ჰოლის მიერ და ამაში თვითონ მწერალიც მონაწილეობდა. კონან დოილი იქ თავის პირველ ცოლთან ერთად დასახლდა და იქვე დანერა არამარტო „ბასკერვილების ძაღლი“, არამედ მოთხრობაში „ცარიელი სახლი“ შერლოკ ჰოლმსიც გაცოცხლა. ამ სახლში კიდევ ბევრი სხვა რამ დაინერა, რაც შევიდა კრებულში „შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება“.

ესაუბრა
ნიკო დეკანოიძე

ლაშა იმედაშვილი

დუელი

მეორე დღეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. როცა გულს უნდა, პანაშვიდიც მშვენიერი ადგილია პაემანისთვის. მაგრამ ქართველებს რას გამოაპარებს კაცი. მალე ეს ურთიერთობა მთელი ქალაქის სალაპარაკო ხდება, მხოლოდ მაჩაბელი არ იღებს ხმას და რეპეტიციებს ბევრით მონაფესავით ესწრება.

პირველ წარმოდგენას მეორე მოჰყვა, ახლა უკვე საფაროვას საბენეფისოდ, თუმცა ყველაფერმა საკმაოდ უგემურად ჩაიარა. მსახიობი ქალი ლელავდა, კარგი უნდოდა, ცუდი კი გამოსდიოდა, მაყურებელს მხოლოდ მონდომება რჩებოდა ხელში. ვერც ვასო აბაშიძემ ივარგა, სიტყვას აგვიანებდა, სცენაზე ისე დააბოტებდა, თითქოს ვინმე ძალით ექაჩებოდა და მძინარეს მართავდა.

არც ხალხს და არც გაზეთს არაფერი გამოჰპარვია.

... აბაშიძე იმ ღამეს, როგორც ეტყობოდა გუნებაზე არ იყო, როგორღაც უსულგულოდ და უხალისოდ თამაშობდა...

... ეგ არის თქვენი დასი?! ამით უნდა გაიხაროს ქართველმა ხალხმა?! ტყუილად ხომ არ თარგმნის მაჩაბელი შექსპირს?!...

... არც საფაროვას ქალს ეტყობოდა ხეირი. თავი კი გადადო, მაგრამ რა?! მუყაითობის მეტი ვერაფერი დაგვანახა...

მაჩაბელმა ქალის დანყნარება სცადა. ქალს ეს სიაშოვნებს, თუმცაღა ღელავს.

– წარმოდგენა ჩავაგდე, თავს ვერაფრით მოვერიე, რაც ვიცოდი, ისიც გადამაგინყდა...

– გამოცდილ მსახიობებსაც ბევრჯერ მოსვლიათ ასეთი რამ, საშიში არ უნდა იყოს, კაცობრიობის ისტორიაც ხომ ჩავარდნისა და აღმავლობის ერთი ჯაჭვია საშვილიშვილოდ გადაბმული. – დამშვიდება კი უნდა, მაგრამ მაინც ლექცია გამოსდის.

– ხალხის რისხვას კიდევ გაუძლებდა ადამიანი, ოჯახში რომ დანყნარებული მდგომარეობა მქონდეს. დეიდაჩემი თამაშს არ მანებებს, მსაყვედურობს და თუ საყვედური არ ჭრის, მოსთქვამს მთელი დღის განმავლობაში, ისე, თითქოს თეატრში კი არ ვიყო მსახიობად, არამედ ჯოჯოხეთის კარი შემეღოს.

– დრო მოვა და ეგ საქმეც ისე დაფასდება ჩვენში, როგორც სხვა ყველა. – ნაჩქარევად ამბობს ივანე და გასასვლელთან ახლოს დგება.

– მიბრძანდებით? – უკვირს მაკოს.

– რამდენიმე დღით გორში უნდა ჩავიდე გადაუდებელ საქმეზე.

– იქნებ გადასდოთ გამგზავრება, მარტო გამიჭირდება. – ეს უკვე მუდარას ჰგავს.

– მარტო რომ ვიყო, რაღაცას კიდევ მოვახერხებდი, მაგრამ აკაკი და ნიკო დიასამიძე სადგურში მელოდებიან, სიტყვას ვერ გავტეხავ.

– რა გაცნობა...

გავიდა ერთი კვირა, ათი დღე, იქნებ ათ დღეზე მეტიც, მაჩაბელს ზუსტად არ დაუთვლია. უკან დაბრუნებულს მაკო საფაროვა თბილისში აღარ დახვდა, თეატრს გაჰყოლოდა საგასტროლოდ, მაჩაბელმა ველარც წერილს მიაგნო და ველარც დატოვებულ ამბავს.

ორი კვირის შემდეგ მაჩაბელმა, როგორც ჩვევად ჰქონდა ხოლმე, „დროება“ გამალა და ასეთი განცხადება ამოიკითხა:

ქუთაისიდან გვაცნობებენ, რომ ორი ნიჭიერი მოთამაშეთაგანი ჩვენის ახლად შექმნილის ქართულის ტრუპისა – მარიამ საფაროვასი და ვასილ აბაშიძე დაქორწინებულან. ვისურვებთ, რომ ამ შეუღლებას არავითარი დაბრკოლება არ მიეცეს ქართული თეატრის საქმისთვის, არამედ უფრო მაგრად და საუკუნოდ დაეკავშირებიანოს ესენი ქართულ თეატრთან, უფრო ერთგულნი და მუყაითნი გამხდარიყვნენ სცენის სამსახურში, რომელშიც ამათ ასეთი ნიჭი გამოაჩინეს და საზოგადოების თანაგრძნობას ასე უხვად მიიღეს.

ესეც ესე.

ჩალაძეს არაფერი უკვირს. აკი გააფრთხილეს კიდევ, მაკო საფაროვას ნდობა არ იქნება, ახალგაზრდულ ასაკთან შედარებით, მეტად ცბიერი და ანგარიშისანი ქალიაო. კაცი რომ დაფიქრდეს, მთლად მტყუანი არც ის ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დანვრილებით ამის გამორკვევას გვარიანი დრო სჭირდებოდა, თანაც ჩალაძეს ეჭვად ჰქონდა, რომ ეს ამბავი, ანუ პირის შემლა, სხვა მანდილოსნებზეც ასეთივე წარმატებით ვრცელდებოდა, როგორც საფაროვას ასულზე.

მაჩაბელს გულს მოეშვა. გაზეთში გამოქვეყნებულმა მცირე განცხადებამ უზარმაზარი ტვირთი, ერთი ხელის დარტყმით ჩამოაცილა მის დამძიმებულ გულს, მომავალი მონობის უღელი ახსნა და კვლავ თავისუფალი ადამიანის სული შთაბერა. არ არსებობს პირადი ცხოვრება! მწერლის პირადი ცხოვრება ისეთივე ზღაპარია, როგორც ახალ წელს, საჩუქრებით დატვირთული თოვლის პაპა და, თუ სადმე მაინც გამოინახა, ეს უფრო გამონაკლისი იქნება და არა წესი, თუმცაღა, ეს გამონაკლისიც, იმავდროულად, ამავე წესის დადასტურებაც გახდება.

მამაკაცის დარდსა და აფორიაქებულ სულს დრო ვერ ერევა, მხოლოდ საქმე ამარცხებს. სიმართლე უნდა ითქვას, ილია ყველაფერში ხელს უმართავს, ახლად დაარსებული საზოგადოების გამგეობაში შეჰყავს, ჟურნალშიც აძლევს სამუშაოს, ბოლოს კი, მითქმა-მოთქმისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, გიმნაზიის ინსპექტორადაც გაჰყავს.

ამას ქართველები, რა თქმა უნდა, ველარ მოითმენდნენ და არც მოუთმენიათ.

– ყველგან მაჩაბელი უნდა ჩასჩხიროს!

– განა აქ, საზოგადო საქმეში, ბატონყმობა გვინებს-
დება?!

– მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქ-
მის გამოცდილება ესაჭიროება!

ენას მაჩაბელზე იფხანენ და ჯოხსაც მასზე ტყეხენ,
ილიას, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერაფერს უბედავს. მა-
ჩაბელი თავიდანვე შებორკეს, დააშინეს და შეუ-
რაცხყვეს.

– მაჩაბელმა კიდეც ერთხელ დაამტკიცა, რომ ილიას
კაცია!

– ანგარიშს არაფერს უწევს და თავხედურად გამო-
დის!

– მაჩაბელი ყველაფერში ილიას ბაძავს!

ამ ყველაფრის მოთმენის საბაბს არც წარმომავ-
ლობა აძლევს და არც თავმოყვარეობა. ყურის დამ-
გდები არავინ ჰყავს და ამიტომ საკუთარ თავს
უტყუდება.

– სკოლას თავი უნდა დავანებო. მიზეზი ამისა ბევ-
რია, უსიამოვნებაც მრავლად მომაყენეს, განა შეუძლი-
ან ვისაც კი ცოტაოდენი თავმოყვარეობა აქვს გაუძ-
ლოს ამგვარ შევიწროებას?! ვითომ მე ილიას კაცი
ვიყო, კისერზე ვყავდე ჩამოკიდებული და ჩემი არაფე-
რი მეზადოს?! დროა ყველამ გაიგოს, ჩემს თავმოყვა-
რეობას საქმეს ვერ ვანაცვალე, სხვისი გადმოგ-
დებული არაფერი მინდა, ადგილს თავად ვიპოვნი ჩემი
ნიჭისა და შეძლების შესაფერს.

გადაწყდა. დღეიდან სწორედ ასე იქნება.

სასწავლო ოლქის რუსი მზრუნველი ადგილზე არ
იმყოფება, საქართველოს გარს უვლის და სკოლების
მდგომარეობას ამოწმებს. უფრო მართებული კი ასე
იქნება, ქვეყანას გარს უვლის და ქართულის გაკვეთი-
ლებს ამცირებს სკოლებში. რა გაენწყობა, ცოტას მოიც-
დის და ხელახლა მივა.

იანოვსკი წამოდგა, მოულოდნელ სტუმარს ღიმი-
ლით შეეგება, სავარძელში ჩასვა და თავადაც გვერდით
მიუჯდა. სალაპარაკოც ბევრი აქვს, ნამგზავრია,
მზრუნველის გული თუ გონება შთაბეჭდილებას ვერ
იტევს, მაჩაბელზე კარგ მსმენელს ვერც კი ინატრებს
აღამიანი.

– რა ხალხი! რა ზნეობრივი სიმალლე! რა მრავალ-
ფეროვნება! ბუნების როგორი სიმდიდრე! რა შრომის-
მოყვარეობა და თავდადება!

მზრუნველი მაჩაბელს მიაჩერდა და თვალებით
სიტყვის გაგრძელება მოსთხოვა.

– ჩვენი მრავალტანჯული ხალხი, მიუხედავად მრავალ-
რიცხოვანი ველურების განუწყვეტელი...

– რა თქმა უნდა, რასაკვირველია... – სიტყვას არ-
თმევს მზრუნველი. – კავკასიური ველურობა და აზიუ-
რი სიზარმაცე რომ არ უშლიდეს ხელს, თქვენი
ქვეყანაც, სხვა ევროპული ქვეყნების დარად, მსოფ-
ლიო რუკაზე საპატიო ადგილს დაიკავებდა.

მაგრამ მაჩაბელი ილიას კაცია.

– თქვენ ვერ გამიგეთ. – მოსჭრა ივანემ. – სიზარმა-
ცე რა მოსატანია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,
ზარმაცი და ველური ხალხი ვერც იმ უამრავ ხილის და

ვაზის ჯიშებს გამოიყვანდა, რომელსაც თქვენ აქებთ
და ვერც იმ დიდებულ ციხე-კოშკებს ააგებდა, რომლი-
თაც ასე მოხიბლულხართ. მე მოგახსენებდით იმ ველუ-
რი ბრბოების შესახებ, რომლებიც საუკუნეების განმავ-
ლობაში სისხლისგან ცლიდნენ საქართველოს.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა... გასაგებია... – უკან
დაიხია მზრუნველმა და საუბრის თემა, თუმცა
მოუხერხებლად, მაგრამ მაინც შეცვალა. – სინანული
მინდა გამოვთქვა იმის გამო, რომ გიმნაზიის ინჰექტო-
რობაზე უარი გითქვამთ, ჩემთვის სასიამოვნო იქ-
ნებოდა თქვენისთანა ნიჭისა და ნათელი გონების ადამი-
ანთან მუშაობა... თუმცა, რა გაენწყობა, ამას მაინდა-
მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბოლოს და ბოლოს
ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით და ერთად ვმოღვა-
ნებობთ.

– მეც ასე ვფიქრობ, ამიტომაც გეახელით თხოვნით.
– გისმენთ.

– ერთი მასწავლებლის ადგილი ხომ არ მოგე-
ძებნებათ ჩემთვის?

გამოცდილმა იანოვსკიმ წამიერი გაკვირვება სრუ-
ლიად ადვილად შეცვალა მოჩვენებითი სიხარულით.

– ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს დარგს ასე აფა-
სებთ და პატივს სცემთ, ახალი თაობის აღზრდაზე სა-
პატიო რალა უნდა იყოს.

ამ სიტყვებით წამოდგა და მდივანს უხბო. მდივანმა
მოზრდილი დავთრები შემოიტანა და მალევე გაბრუნ-
და უკან. იანოვსკი დავთარს ჩააშტერდა, მაჩაბელი
ჰოლანდიურ სარკმელს. ქუჩაში უცნაური სიმშვიდეა,
სწორედ ისეთი, გაზაფხულს რომ შეეფერება. ამ სიჩუ-
მეს ემატება კედლის საათის ზომიერი სვლა და ოთახში
გამეფებულ მყუდროებას თითქმის იდეალურს ხდის.
მაჩაბელი ფანჯარაში ცქერამ გაიტაცა, იანოვსკი საკუ-
თარ დავთრებში კირკიტმა. დროის დინებას ველარც
ერთი გრძნობს და ველარც მეორე, ვინ იცის, რითი ან
როდის დამთავრდებოდა ეს ყოველივე კედლის საათს
რამდენჯერმე რომ არ ჩამოეკრა.

– ბედი გქონიათ, ეისკი და ბერდიანსკი აღმოჩნდა
მასწავლებლის ადგილი.

– მაღლობას მოგახსენებთ, მაგრამ თბილისიდან
ვერ წავალ, აქ ბევრი სხვა საქმეც მაქვს.

– რა გაენწყობა, ნება თქვენია. – ხელები გაშალა
მზრუნველმა. – რა საოცარი ხალხი ხართ, ცოტად თუ
ბევრად ყველანი თავად ჭავჭავაძეს ჰგავხართ, თქვენც
მათ შორის.

– მაინც რა გაძლევეთ ამის თქმის უფლებას?! – მა-
ჩაბელს გაღიზიანება დაეცყო.

– ყველა ჩანაფიქრის აღსრულება გინდათ, მოთმენა
კი არ გიყვართ და არც შეგიძლიათ, უკანაც არ იხევთ,
ჩქარობთ... ენდეთ ჩემს გამოცდილებას, მამაშვილუ-
რად გეუბნებით, ძალიან გაგიჭირდებათ.

მაჩაბელს, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც ილი-
ასთან შედარება მოსწონს და, მითუმეტეს, მზრუნვე-
ლის ჭკუის დარიგება, მაგრამ უსაგნო საუბრის დასრუ-
ლება სურს და იანოვსკის ამ გამონევეას უპასუხოდ
ტოვებს, თუმცა გამარჯვებულმა ჩინოვნიკმა მოასწრო

და კართან მისულ მაჩაბელს, ზურგში ნასროლი ტყვია-სავით, მაინც დაანია რამდენიმე სიტყვა.

– იმედი მაქვს, ამით არ გათავდება ჩვენი ურთიერთობა და ერთმანეთს კიდევ შევხვდებით მოღვაწეობის ასპარეზზე.

მაგრამ მაჩაბელი მზრუნველს აღარ უსმენს და ქუჩაში გამოდის.

ისევ ილია, ფიქრობს მაჩაბელი, რა გაენწყობა, ბედს უნდა დავმორჩილდე და დინებას მივყვე, როგორც სხვა ყველა, ჩანს ჩემი ცხოვრება, დროებით მაინც, მე არ მეკუთვნის და სხვის მუჭში მოქცეული იქითკენ მიექანება, საითაც გაიქნევეს ამ მუჭის პატრონი.

უნებურად საკუთარი თარგმანი ახსენდება.

ჰამლეტი: იმ ღრუბელს ხედავთ, როგორ ძალიან ჰგავს აქლემს.

პოლონიუსი: ღმერთმანი, მართლაც რომ აქლემსა ჰგავს.

ჰამლეტი: თუმცა, მე მგონი, კვერნას უფრო წააგავს.

პოლონიუსი: ზურგი მართლაც კვერნასი აქვს.

ჰამლეტი: თუ ვეშაპსა ჰგავს?

პოლონიუსი: ნამდვილი ვეშაპია.

პოლონიუსი რომ თავად გახლდათ, ამას წყალი არ გაუვიდოდა, ხოლო ჰამლეტში ვინც იგულისხმებოდა ამას ისედაც ადვილად მიხვდებოდა ყველა.

გასაკვირია, მაგრამ მცირე პროზის ოსტატმა მალევე ამოხსნა ეს მარტივი ამოცანა, თუმცა თავსატეხეებში გარკვევა ყოველთვის უჭირდა. ის იყო, მთელ ხმაზე უნდა დაეძახა, მიეხვდი, მიეხვდიო, რომ ბედად ირგვლივ მიმოიხედა, შეკრებილი საზოგადოების მოერიდა და გამარჯვების ყიჟინის მაგივრად დამძიმებულ გულს ხვნიშა ამოაყოლა. ვანო ჩალაძემ თავი გადააქნია, მორიდებულად გაილიმა და ბანკის კარი იმ იმედით შეაღო, რომ აქ მაინც დახვდებოდა მუდმივი სამუშაო.

კასირის, იგივე მოლარის სამუშაო მართლაც თითქმის მუდმივი იყო, თუმცა, ამავე დროს, საყურადღებო და სანერვიულოც გახლდათ. ფულს დაკვირვებით სჭირდებოდა გადათვლა, რომ არც ბანკი დაზარალებულიყო და არც კლიენტს დარჩენოდა გულში წყენა. ამას კიდევ მოველბობოდა და მონესრიგებული კაცი თავს ადვილად გაართმევდა, მაგრამ ამ სამუშაოს ერთი გამოუსწორებელი ნაკლი მაინც ჰქონდა, მეტისმეტად მცირე ჯამაგირი. აბა, ოთხი თუმანი რა ფულია, მითუმეტეს, რომ მევალები წამითაც არ გასვენებენ და გამუდმებით ითხოვენ წლების წინ გასესხებულს. სხვა მხრივ, არა უშავს, ვილაც იტყვის რა უნდა, რას წუნუნებს, სულ არაფერს ხომ მაინც სჯობსო და მართალიც იქნება. თავად რამდენჯერმე სცადა სამსახურის შოვნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ილია კი დაჰპირდა წინ წაწევას, მაგრამ არც დამფასებლად გადაყვანა ხიბლავს, რადგან დროებით ჩამცხრალ მითქმა – მოთქმას ახალი ნაპერწკალით გააღვივებს. სიმართლის თქმა სჯობია და, გულის სიდრემში, ბანკის დირექტორობაზე ოცნებობს. დარწმუნებულია, თავსაც ადვილად გაართმევს ამ რთულ სამუშაოს და დამფასებლობაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო.

ერთი მეგობარი ყოველთვის მონაა მეორისა.

ილიამ სიტყვა შეასრულა. მაჩაბელი დათანხმდა. მართალია, ეს ამბავი ისე არ უნდოდა, როგორც გათათრება, მაგრამ ძველმა სენმა თავი შეახსენა, უარი ვეღარ თქვა და გასაყიდად გამზადებული მამულების გულმოდგინე აღწერას შეუდგა.

ცოტა არ იყოს, ახირებული დამფასებელი გამოდგა. ჯერ მამულს მოუვლის, შეამონმებს, ყველაფერს კარგად შეისწავლის და მაცხოვრებლებსაც დააკვირდება. მალე ირკვევა, რომ ამ უცნაურ დამფასებელს აგრონომიული ცოდნაც გააჩნია, ფინანსებშიც კარგად ერკვევა და მათემატიკაც იცის, ბაზარიც შეუსწავლია და ფასიც არ ეშლება. გაკოტრებულ მემამულეს აღარც ტყუილი შველის, აღარც მედიდურობა და აღარც გულუხვი მასპინძლობა, რადგან უცნაური დამფასებელი, სხვა ყველაფერთან ერთად, მტკიცე ადამიანიც გახლავთ. ეს კიდევ არაფერი, ამ ახირებულ კაცს ორი უბის წიგნაკი აქვს, ერთში მამულების აღწერილობას ინიშნავს, მეორეში კი უცნაურ სიტყვებს იწერს, რომლებიც ჯერ არსად შეხვედრია. ეს უჩვეულო ამბავი, უბრალო ინტერესის გარდა, სხვა რამითაც უნდა იყოს ნაკარნახევი. წერის დრო სულ აღარ რჩება, ან კი როგორ დარჩება, ბანკში ორი თანამდებობა უჭირავს, ყურნალშიც თანამშრომლობს, ახლად შექმნილი საზოგადოების გამგეობის სხდომებსაც ხშირად ესწრება, ამას კიდევ ემატება თეატრალური თავყრილობა, რამდენიმე ახალი თარგმანი და სხვა ლიტერატურული საქმიანობა. მოკლედ, გაუსაძლისი მონობიდან თავის დაღწევას ცდილობს და, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ნელ-ნელა ახერხებს კიდევ.

მაგრამ ეს გაქცევა თუ თავის დახსნა, სულაც არ გავს საპატიმროდან გაპარვას. ვერც დაიმალები, ვერც გვირავს გათხრი და ვერც ბნელ ღამეს გამოიყენებ მოკავშირედ. ამ გაქცევას ყველა ხედავს და ნაბიჯის ხმაც კარგად ესმით.

პირველი ბზარიც სწორედ მაშინ ჩნდება. მალე ეს ბზარი უზარმაზარ, უპირო უფსკრულად იქცა. უფსკრულის ერთ პირას ილია დგას, მუდამ დინჯი, მუდამ აუჩქარებელი, მუდამ დაფიქრებული, საქმის ამწონდამწონი. მეორე პირას მაჩაბელი სცემს ბოლთას. ფიცხი, აჩქარებული, სწრაფი. საქმის გადადება არ უყვარს და არც აპირებს, თითქოს შუბლზე აწერია, დღეისა დღესვე უნდა დამთავრდეს.

აბა, როგორღა მოილაპარაკებდნენ?!

ვერც მოილაპარაკეს.

ბანკი გაფართოვდა. მთელ საქართველოს მოედო და მის ფარგლებს გასცდა, ერთი დირექტორის დამატება აუცილებელიც კია, მართალია, ბევრი საქმე ექნება, სიარულიც ბევრი მოუწევს, მაგრამ რას იზამ, ბანკის განვითარებისთვის ასეა საჭირო.

ილიამ მაჩაბელი გაიხმო.

– ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ვასიკოზე უკეთესი ვერავინ შევარჩიეთ, შენ უნდა მისწერო და იქნებ დაითანხმო კიდევ.

მასზე არც უფიქრიათ.

ასეთი რამ რა სასიამოვნოა და არც ივანეს უხარია, მაგრამ, რადგან ძმაზეა საუბარი, რა გაენცობა, აუცილებლად მისწერს. ვასომ უარი შემოთვალა და ადგილი ძმას დაუთმო, ასე რომ, საქმე თითქმის გადაწყვეტილია.

მცირე პროზის ოსტატი, ვანო ჩალაძე, ბანკის დირექტორის კაბინეტში არასოდეს მჯდარა, მჯდარა იქით იყოს და შიგნითაც არასოდეს შესულა, არადა, გულით რომ მოენდომებინა, სულ ადვილად შეავსებდა ამ დანაკლისს. ძველ სახლში, რა თქმა უნდა, სანამ გაყიდდნენ და საცხოვრებლად დიდ დილომში გადავიდოდნენ, ერთი ჩვეულებრივი მეზობელი ჰყავდა, ეკონომისტი იყო, თავადაც ასე ამბობდა და ალბათ სადღაც მუშაობდა კიდევ. ისიც სათქმელია, რომ დღემდე ჩალაძემ ამ პროფესიას ვერაფერი გაუგო, პროფესიას კი არა, სიტყვაც საკმაოდ ბუნდოვანი ჩანდა მისთვის, დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ დაადგინა რამის ეკონომიას ნიშნავდა, რამის ეკონომიკას თუ ორივეს ერთად. მართალია, შეეძლო საკუთარი მეზობლისთვის ეკითხა, მაგრამ ეჭვად ჰქონდა, დანამდვილებით არც იმას უნდა სცოდნოდა ეს ამბავი, თანაც, რაც არ უნდა იყოს, მაინც მწერალი ერქვა და სახელის გატეხვას მოერიდა. ამ დროს ბინაც გაყიდეს და ეს ამბავი ჩალაძეს დროებით გადაავიწყდა. არ გასულა ორი თვე და მეზობელს ქალაქის ცენტრში, სიგარეტის ჯიხურთან გადააწყდა. მდიდარსა და ღარიბს, სამარის გარდა, ხომ პაპიროსის კვამლიც ათანაბრებს. ერთმანეთი ქართველებს როგორც სჩვევიათ ისე მოიკითხეს, ღიმილით და უგულოდ. მეზობელმა ჩალაძე სიგარეტით დაასაჩუქრა, პატარა, მართკუთხა ბარათი გადასცა, მხარზე ხელი დაჰკრა და გამოემშვიდობა. პრიალა ბარათზე ოქროს, ამოზურცული ასოებით მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა: ბეტა ბანკის მმართველი თორნიკე აგლაძე.

ახლა ვანო ჩალაძესაც ექნებოდა საკუთარი კაბინეტი. ჩაიკეტებოდა ოთახში, მომარჯვებდა კალამს და თავის საყვარელ ნოველებსა თუ ესეებს დასწერდა, რადგან ყველაზე მეტად მაინც ესენი გამოდიოდა, ამით იცნობდნენ შემორჩენილი მკითხველები და ჯერ კიდევ ცოცხალი კოლეგები. დროდადრო ეკონომიურ თუ ეკონომიკურ კონფერენციებსაც დაესწრებოდა, სადაც აუცილებლად თავის ძველ მეზობელს გადააწყდებოდა, რომელთანაც ერთად კოფი ბრეიკის დროს იმ წლებს გაიხსენებდნენ, როდესაც არავის არაფერი უჭირდა და ერთ მუშტად შეკრული სამეზობლო სავიზიტო ბარათების ნაცვლად ერთმანეთს მამაპაპისეულ სალამს უცვლიდა. ასეთი კონფერენცია თვეში რამდენჯერმე რომ იმართებოდა „შერატონსა“ თუ „მარიოტში“ ვანო ჩალაძემ დანამდვილებით იცოდა, რადგან არც ერთ საინფორმაციო პროგრამას არ ტოვებდა და ყველაფერს ზუსტად იმახსოვრებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ტელევიზორის ცქერა, ზოგადად, უფრო მეტად უყვარდა ვიდრე საკუთარი ცოლისა, რადგან ლენა აროშიძისგან განსხვავებით, ვანო ჩალაძის ოცდაჩვიდმეტ დიუმიან „სამსუნგს“ ფერები მაინც ჰქონდა.

მაგრამ არც ვანოს და არც ივანეს, ჯერჯერობით მაინც, ახალ კაბინეტში შესვლა არ ეწერათ.

ამ ფიქრსა თუ ოცნებაში პეტერბურგიდან სულ სხვა წერილი მოვიდა.

ეს ვასო მაჩაბლის ხელია:

„ამას წინათ ავალიშვილი იყო ჩემთან. ასე მითხრა, შენი ძმის ამორჩევას ვაპირებდით დირექტორად, მაგრამ მეტად ფიცხი ყოფილა და ეტყობა აღარ ამოვიჩვევთ, ილიაც ამ აზრის არის, ბანკის საქმეს დინჯი კაცი ესაჭიროებაო. გამაგებინე მანდ რა ხდება, წვრილად მომწერე ყველაფერი“.

ივანემ ვერაფერი მისწერა, რადგან ვერც ვერაფერი დაადგინა, სიამაყემ ილიასთან სასაუბროდ არ მიუშვა. ეჭვიანობამ, გადამეტებულმა ფიქრმა, ორჭოფობამ, გულწათხრობისა და გაბოროტების მეტი არაფერი მოიტანა. ამით ზედამხედველმა კომიტეტმა ისარგებლა და მესამე დირექტორის დამტკიცებაზე უარი განაცხადა.

ცოტა ხანში, ეს უსიამოვნება, დავიწყებას მიეცა.

თუმცა ვისთვის როგორ.

ბანკში მორიგი კრებაა. მერამდენე საათია კამათობენ, ზოგჯერ ყვირიან კიდევ და ერთმანეთს არაფერს უთმობენ. ბანკი მოგებას ანაწილებს, სხვადასხვა საზოგადო საქმეზე, სხვადასხვა თანხის გამოყოფას ცდილობს, ოღონდ დამფუძნებლებს არაფერს ეკითხება და სათავისოდ წყვეტს ყველაფერს.

– მოგების განაწილება უშუალოდ დამფუძნებელთა მონაწილეობით უნდა მოხდეს, ერთხმად უნდა დადგინდეს, საით მიემართოთ მოგებული თანხა, თუ ასე არ მოვიქცევით, ბანკს სულაც მივატოვებ და სოფელში წავალ! – მაჩაბელი ადგილიდან წამოხტა და რამდენიმე ნაბიჯი კარისკენ გადადგა.

მაჩაბელს ილიას მეტი ვერაფერს პასუხობს.

– თავადი მაჩაბელი სოფელში წასვლით გვაშინებს, მაგაზე ადვილი რა უნდა იყოს, თუკი გზა იცის, სოფელამდეც ადვილად ჩააღწევს. ჩვენს დამუქრებას კი ისა სჯობდა ბანკის საქმეებში მეტად ჩახედულიყო, იქნებ მაშინ მაინც აღარ ყოფილიყო ასეთი თვითდაჯერებულობა.

ხელთათმანი ნასროლია. დარბაზმა ხმა ჩაიგდო. ფულის განაწილება აღარავის ახსოვს და სერიის საყურებლად ემზადებიან.

თვითდაჯერებული!

ეს სიტყვა არ ყოფილა უცხო ივანესთვის, ადრეც ბევრჯერ უთქვამთ მისთვის, მაგრამ არასოდეს სწყენია, პირიქით ამას საკუთარ ღირსებადაც კი თვლიდა. ახლა რა მოხდა, რა დაემართა?! ჯერ ეწყინა, მერე გაიბუტა, ბოლოს კი ფერი დაჰკარგა. ილიაც მოიღუშა, ხმას არ იღებს, წარბს არ ხსნის და დარბაზისკენ არ იყურება.

შეკრებილმა საზოგადოებამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გულით გაიხარა. ვილაცამ მაჩაბელი შეაქო სითამამისთვის, ვილაცამ ილიას მოუწონა სიტყვა-პასუხი, დავით ავალიშვილმა ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლა, ადგილიდან წამოხტა და დარბაზს მიმართა.

– აკი გეუბნებოდით, მაგის დირექტორად გაყვანა როგორ შეიძლება?! ხომ ხედავთ?!

ცხადზე ცხადია, მაჩაბელს აქ აღარ დაედგომება.

ცხოვრება კვლავ ძველი გზით მიემართება. ხალხს ახალი სალაპარაკო გაუჩნდა. დაუძღურებული სერგეი მესხი „დროებიდან“ მიდის, გაზეთსაც ჰყიდის და მალე მას, ალბათ ახალი პატრონი გამოუჩნდება. ჭორი და მითქმა-მოთქმა რომ თავშივე დაესამარებიანა, თავად მიმართა საზოგადოებას:

„ეს არის ჩემი აღსარება. დღეს ავადმყოფობით დაუძღურების გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ, გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს თოთხმეტი წლის ნაამაგვე საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს. ყველა გაიგებს, თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმანვილკაცობის ძალ-ლონე, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევნირო“.

გამოსათხოვარი სადილი ალექსანდრეს ბაღში იმართება. ასიოდე კაციდან, ნახევარზე მეტი სეირის საყურებლად ემზადება, რადგან მთელი ეს ცერემონიალი სამსახურიდან დროებით წასულ კაცთან გამოთხოვებას კი არ ჰგავს, არამედ წუთისოფლიდან გამქრალ ადამიანთან გამოსალმებას მოგვაგონებს. ქელეხში კი, მოგეხსენებათ, როგორ ერთობა ჩვენი ხალხი.

ღრუბლებმა მაინცადამაინც გაშლილი სუფრის თავზე შეკრეს პირი. ყველაფერთან ერთად, წვიმაც დაინყო. შეკრებილები სახლში შევიდნენ და ახლა უკვე აივანზე განაგრძეს სმა თუ დროს ტარება. ამათ გულელებ არც მთრთოლვარე ხმით წარმოთქმული სიტყვები ალბობს, არც მსხვერპლად შეწირული ადამიანის ცრემლიანი თვალები და არც ამ უცნაური გამოთხოვების აუტანელი ტრაგიზმი.

ისევ ფიქრი:

ნუთუ ამ უმადურ ხალხს შეაღია საუკეთესო წლები? რისთვის? რა მოიტანა მისმა შრომამ? ქართველი მკითხველი ისევ იქ არის, სადაც დასაწყისში დახვდა და ფელეტონს მონინავე წერილისგან ვერ არჩევს, ან კი გაარჩევს ოდესმე?

გაარჩევს, თორემ მაგანაც რამეში არ გამოიყენოს, ჩაილაპარაკა ვანო ჩალაძემ და საცხე ქიქა სუფრაზე მჯდარ ვინმე მიქელაძეს მიუჭახუნა, რომელიც თავის მხრივ, ალექსანდრე ყაზბეგს დალევას აძალბებდა და თავისუფალი ხელით ცარიელ სასმისს უვსებდა.

ზურნამ ტუში დაჰკრა. მოქეიფებმა ქუდები მოიხადეს და ფეხზე წამოდგნენ.

„გუშინნინ ჩვენი საზოგადოება გამოესალმა დროების ძველ რედაქტორს სერგეი მესხს. ამ პატიოსანს და ერთგულს საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ლონე და ყმანვილკაცობა ზედ შეაღია უმადურ შრომას ყოველდღიურს გაზეთზედ. მან ამისთანა საქმეს შეაღია თავისი ჯანის სიმრთელე და ჭკუის ძალა, რომელიც მუდმივ, განუწყვეტელ შრომას თხოულობს.“

საქვეყნოდ გამორჩეული და დაფასებული ადამიანის ცხოვრებაც კი ერთ აბზაცს ვერ სცდება, სხვამ რაღა უნდა თქვას, რისი იმედი უნდა ჰქონდეს. ამ ამბავმა ვანო ჩალაძე გვარიანად ჩააფიქრა, თვალთ საკუთარი აბზაცი გაზომა და კიდევ უფრო ცუდ ხასიათზე დადგა. რა თქმა უნდა, ლვინოს რომ არ მიძალებოდა გამოსათხოვარ სუფრაზე, ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი ისე არ დაამძიმებდა, მაგრამ სტუმარი იყო და ვინმე მიქელაძეს უარი ველარ უთხრა.

მესხი ექვსას თუმანს ითხოვს, აქედან ასორმოცდაათი თავად ჭირდება, დანარჩენი კი გაზეთის ვალებია. ცოტა ძვირი კია, მაგრამ მინც შემოსავლიანი საქმეა. მაჩაბელი ფულის შეგროვებას იწყებს, ჩუმად, უთქმელად, თითქმის ფარულად, ისე, თითქოს მოულოდნელი თავდასხმისთვის ემზადებოდეს. ყველას მაჩაბელი აკერია პირზე, რედაქტორად სხვა ვერც კი წარმოუდგენიათ, თუმცა ილიას სულ სხვა აზრი აქვს და სარედაქტოროდ კაციც მოუნახავს. ეს ქანანოვი ერთი ზარმაცი ვინმეა, უსაქმური, თანაც ქართველებთან და ქართულთან მწყრალად გახლავთ, მაგრამ ილია ისე ჯიუტდება, როგორც უსაქციელო, მტირალა ბავშვი და ქანანოვს სალოცავი სიტყვასავით იჩემებს.

მაჩაბელმა შეუძლებელი შესძლო, რამდენიმე დღეში ფულს თავი მოუყარა და რაკი მესხიც მის მხარეს იყო, რედაქტორობა ადვილად დაიმტკიცა. მთელი ქალაქი სახალისო ამბებს ყვება ამ საქმის გარშემო, იციანის და ილიას გამოჩენაზე ჩურჩულს იწყებს, თორემ სახალხოდ რას გაუბედავენ თავად ჭაჭაჭაძეს. წყენას წყენა მოჰყვა, ერთს მეორე დაემატა და სამომავლო მტრობას მყარი საძირკველი ჩაეყარა.

ბანკში ისევ კრებაა და ისევ არჩევენება.

– ბანკს თავს ვანებებ და კენჭს აღარ ვიყრი! – განაცხადა დავით ავალიშვილმა.

ვინც მას იცნობს, ყველა წამსვე ხვდება, რომ დირექტორი თავპატიჟს იდებს. მეორე დღეს, როგორც ჩვენში გამუდმებით ხდება ხოლმე, ავალიშვილი ბანკში გამოცხადდა და საკუთარი სიტყვა უკან წაიღო. ამან, მცირე ხნით, დაბნეულობა გამოიწვია, ვერავინ გაიგო თუ ვისთვის დაეჭირათ მხარი, როგორ ემოქმედათ.

ამაზე კარგ დროს ვერც ინატრებდა ადამიანი. მაჩაბელმა სიტყვა აიღო და კრებას მიმართა.

– ასეთი არჩევნები მე წესიერად არ მიმაჩნია, ვიცი, რომ დავმარცხდები, მაგრამ ავალიშვილის ყუთთან ჩემს ყუთსაც ვდგამ, გვიყარეთ კენჭი. – სიტყვით სხვას ამბობს, თორემ გულში გამარჯვების იმედი აქვს.

გაიმარჯვა კიდევ. გაზეთის რედაქტორიც გახდა და ბანკის დირექტორიც. ილიას მისთვის არც ერთი უნდოდა და არც მეორე. დღესავით ნათელია, ამ სივინროვეში ორი კაცი ვერ გაჩერდება და ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის.

ამ ორომტრიალში თავს დაწყნარებულად და ლალად მხოლოდ ვანო ჩალაძე გრძნობდა. მართალია, დირექტორის კაბინეტი იმხელა არ იყო, როგორც წარმოედგინა, მაგრამ სარკმელი ეზოს მხარეს გადიოდა, რაც მწერლისთვის აუცილებელ, წყნარ, სამუშაო გარემოს

ქმნიდა. ჯამაგირსაც არაუშავდა, ყოველშემთხვევაში, ადრინდელზე მეტი იყო და არც სოფელ – სოფელ უწევდა ნანნალი. ასე რომ, რამდენიმე უსიამოვნო ფაქტს თუ არ ჩავთვლით, რომელიც უკვე მომხდარი გახლავთ და არაფერი ეშველება, ჯერჯერობით მაინც, ბანკის ახალ დირექტორს არაფერი ემუქრებოდა. ვანო ჩალაძე, როგორც კარგად გახსოვთ, იგივე მაჩაბელი, იჯდა და მუშაობდა. რაც მთავარია, კალამიცა და ფანქარიც თავზე საყრელი ჰქონდა და ბრძანება რომ გაეცა, გაცილებით მეტსაც მოუტანდნენ, რადგან რამის უფროსობას, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ერთი და მთავარიც ახლავს თან, მიუხედავად სურვილისა თუ განწყობისა უფროსისთვის უარის თქმას მაინც ვერავინ ბედავს.

ბანკში რომ ვერაფერი მოუხერხეს, გაზეთს შეუტყობეს. კვლავ ატყდა ჩურჩული, ენის ჩუმი მიტანა და აშკარა, შეუნიღბავი დაბეზლება. ქართველი კაცი საჩივრელად მაშინაც რუსეთში დარბოდა. ამ ჩივილს შედეგი მოაქვს. პეტერბურგიდან დეპეშა მოდის. გაზეთი იხურება. თბილისს გლოვის დღეები უდგას, თითქოს საყვარელ და მეტად პატივცემულ ადამიანს აბარებდნენ მინას. ნესი ნესია, მაჩაბელმა „დროების“ აბრას შავი არშია შემოავლო.

ბოქაულს არაფერი ეპარება.

– რა ამბავია, ეს ძაძები რას ნიშნავს?

– რას უნდა ნიშნავდეს, გაზეთი მოკვდა და ვგლოვობთ.

– ახლავე ჩამოხსენით, მთავრობის ბრძანება აღასრულეთ! – ყვირის დუჟმორეული ბოქაული.

რა გაეწყობა, ძაძები ჩამოხსნეს, მაგრამ დეპეშებს რა უქნან?

„ყველამ განვიცადეთ დროების დახურვა“.

„ქუთაისის საზოგადოება აღშფოთებულია ერთადერთი, ქართული გაზეთის დახურვით, მწარედ განვიცდით მომხდარს“.

„გვიგულეთ თქვენთან ძნელბედობის ჟამს“.

გლოვა გლოვად დარჩა, დარდი დარდად, საქმეს არაფერი ეშველა.

მაჩაბელი წესრიგს თავიდანვე შეჩვეული იყო, ამიტომაც გაზეთის არქივის მონესრიგებას იმგვარად მიჰყო ხელი, თითქოს არაფერი მომხდარა და მორიგი ნომრის გამოშვებას აპირებდა. მოულოდნელად ქალაქის პატარა ნაგლეჯს გადააწყდა. ოფელიას ეს სიტყვები საფაროვას ქალისთვის მაჩაბელმა იმ დაუვინყარ ღამეს თარგმნა და მისი მარცხის საბუთად მონოლოგის ეს ნაწყვეტი შემორჩა მხოლოდ.

არც საფაროვას ქალის ქორწინება გამოდგა ბედნიერი. ახლა კვლავ მარტოა. ეს ამბავი მაჩაბელსაც გაგებული აქვს.

აღარც ოთახში სტოვებენ მარტო, აღარც ფიქს აცლიან.

ისმის კაკუნი, როგორც აფეთქება.

– კარგ დროს მოხვედით, სწორედ შექსპირი მქონდა გადაშლილი, ჰამლეტის მონოლოგს წაგიკითხავთ.

– თქვენ ხომ ოფელია დამპირდით?

– მართალია, დაგპირდით და შევასრულე კიდეც, ოღონდ ჯერ ამას წაგიკითხავთ.

ქალი ჯდება.

მაჩაბელი ჯერ ინგლისურად კითხულობს, მერე ქართულად თარგმნის, თარგმნის პროზით, თავისუფლად.

– არტისტს თავის ბუნებაში უნდა ჰქონდეს ცეცხლი, რომ მაყურებელს მსახიობის ცეცხლისგან ცხელოდეს და მსახიობთან ერთად ისიც დაიფერფლოს. – ამბობს და თან ყდაში მოქცეული ქალაქების შეკვრას იღებს. – ასეთი თარგმანით რა ცეცხლი უნდა გაუჩინო მაყურებელს: კოროლო, მერზავეცო, დამიბრუნე მამაჩემი, ანდა ეს: არ გაუცვეთია ბაშმაკები, რომლითაც მისდევდა ქმრისა კუბოსა... თარგმნიან თარგმნიდან, ვერ გრძნობენ ჯადოსნური ენის ლაკონურობასა და დინამიურობას, მე თვითონ ვფიქრობ ამ ტრაგედიის თარგმნას, მაგრამ თან მერიდება, მაშინვე მითქმამოთქმა დაიწყება, უკვე თარგმნილ პიესას რალა ხელახლა თარგმნა უნდაო, ხომ იცით ჩვენი ხალხის ამბავი?!

– მართალი თუ გინდათ, თქვენთან დღეს მოგზავნილი ვარ, გვინდა მესხიშვილის ბენეფისი რამდენიმე თვით გადავადებინოთ, რათა ამ დროისთვის თქვენ ჰამლეტის თარგმნა მოასწოროთ.

– ვინ მოგაგზავნათ?

ქალმა რალაც მიკიბ-მოკიბა, მაგრამ პირდაპირი პასუხი მაინც არ გასცა.

– ყოველ შემთხვევაში, თუ გადადება ვერ მოხერხდა, ოფელიას როლის თარგმნას საბენეფისოდაც მოასწორობთ.

– რალა თქვენ გამოგაგზავნენ?!

– კარგად გრძნობენ ჩვენს დამოკიდებულებას ერთმანეთთან და იმიტომ, ხალხს რას გამოაპარებ.

– მაშ იმედებს ნუ გაუწიბილეთ.

ქალი წამსვე მიხვდა, რასაც ითხოვდა მისგან მაჩაბელი, თანაუგრძნობდა კიდეც, მაგრამ მაინც უარის თქმა მოუწია.

– შენ თვითონაც ხომ იცი ჩვენი საზოგადოების ამბავი, ჭორებს გაგვივრცელებენ, უსამართლოდ გაგვიკიცხავენ, სიცოცხლეს გაგვიმწარებენ, აქ აღარ დავვედგომება, შენი ძმა არ მოგცემს ნებას, რომ გათხოვილი ქალი შეირთო.

– წავიდეთ, გადავიკარგოთ, აქაურობას მოვშორდეთ...

– შვიდ წელიწადში ერთხელ მოგდის ხოლმე სიყვარული, ერთი ზღაპრისა არ იყოს. – საყვედურობს ქალი. საფაროვას ქალი ამჯერად მართალია, მაჩაბლის ბედს გამოუდმებით ვილაც მართავს.

ძმა რასაც შემოუთვლიდა წინასწარვე იცოდა, მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტიკიცესია, რჩევის მოსმენა სისხლში აქვს გამჯდარი, წერილის გარეშე ერთ დღესაც ვერ გასძლებს.

პასუხმა არ დააყოვნა:

„პირველ აფეთქებას გონიერი კაცი არასოდეს არ უნდა აყვეს, სერიოზული ნაბიჯი ცხოვრებაში მუდამ

ფრთხილად უნდა გადადგა, გათხოვილი ქალი უკან დაგნევს, ბევრ საფიქრალს გაგიჩენს და საქმეს მოგაცდენს, თანაც მაგ ქალს შვილებიც ყავს, მაგაზე თუ გიფიქრია?”

კაცმა რომ თქვას, არ უფიქრია და არც მომავალში აპირებს ამაზე ფიქრს. ძმას სიმართლე დაუმალა და მალულად განაგრძო ქალთან შეხვედრა, მითუმეტეს, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, ამ შეხვედრებს საქმიანი იერიც დაჰკრავდა.

ბენეფისის დღეც დადგა. წარმოდგენა ფურცელადის თარგმანით წავიდა, მხოლოდ ოფელიას მონოლოგი შესრულდა მაჩაბლის თარგმანით. თარგმანი მართლაც კარგი გამოვიდა. მილოცვას მილოცვა მოსდევდა, სცენაზეც კი აიყვანეს რამდენჯერმე, ახლა უკვე „ოტელოს“ თარგმნას სთხოვენ.

– ხალხმა ჩინებულად მიიღო პიესა, თქვენც და მსახიობებიც ტაშით აგავსოთ.

– ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. – ნალვლობს მაჩაბელი. – ჩემი ნება რომ იყოს, სულაც ავკრძალავდი ტაშს, ჩვენი მსახიობები, სამწუხაროდ, ტაშისა და ვაშას ძახილით არიან გაფუჭებული. ყველა გადარეულია ტაშისთვის, ტაშის სიყვარული კი სწორედ უკულტურობას მოასწავებს.

მაჩაბელი უარზეა, მაგრამ თავს მაინც არ ანებებენ.

– „ჰამლეტი“ ხომ გაცილებით ძნელი სათარგმნი იყო და დიდებული გამოვიდა, „ოტელოს“ მით უფრო ნაკლები დრო დასჭირდება.

– ჯერ „ჰამლეტის“ თარგმნა ვერ მომიწევს, არც კი იცით, რა ამბავი გადამხდა მაგის გამო, ფურცელადის მეგობრებს დღემდე ვერ მოუსვენიათ, ქვეყანა შემიყარეს, ჯვარზე მაცვეს, ერთი თარგმანი ხომ იყო, ეგ თუ კარგი კაცია, მეორედ თარგმანს რაღად მოჰკიდა ხელიო, და ბევრი სხვა ამისთანები...

თითქმის ყველაფერი თქვა, თითქმის...

ფურცელაძე დიდად არც ანალვლებდა, თავად ჭავჭავაძეზე კი ნაწყენი გახლდათ, თუმცა სახალხოდ, ამაზე კრინტიც არ დაუძრავს, სიმართლე მხოლოდ ვანო ჩალაძეს გაუშხილა, როგორც საკუთარ ლანდს თუ ორეულს.

– ჩემს თარგმანს თავის „იერიამი“ რეცენზიაც მიუძღვნა. მსახიობები ცუდად დაახასიათა და თარგმანის შეფასებაშიც სიძუნწე გამოიჩინა. სხვას რომ ასეთი რამ ექნა ყურადღებასაც არ მივაქცევდი, მაგრამ მისგან არ ველოდი ასეთ საქციელს. მან ხომ ყველაზე კარგად იცის,

რას ნიშნავს შექსპირის თარგმნა. განა თვითონ ილია არ იყო, რომ „მეფე ლირის“ გამო ლამის მთელი ქვეყანა შეძრა, თუკი ვინმეს ინტერესს შენიშნავდა, მისთვის ცალკეული ადგილების ნაკითხვასაც არ დაიზარებდა ხოლმე. ახლა რა მოხდა, რამ დაადუმა?! „ჰამლეტი“ ხომ გაცილებით უკეთესად არის თარგმნილი?! ამას უბრალო გადაკითხვითაც ადვილად შეამჩნევს კაცი. განა კერძო წყენა ლიტერატურაშიც უნდა გადმოვიტანოთ?

მართალი ხარო, უნდოდა ეთქვა ვანოს და რამდენიმე სიტყვის დამატებასაც აპირებდა, მაგრამ ხანგრძლივი საუბრის არც დრო ჰქონდა და არც უფლება, რაც არ უნდა იყოს, სხვისი ცხოვრების გამზიარებელი იყო მხოლოდ და მეტი არაფერი, თუმცა თავად, თითქმის ველარ ატყობდა სად მთავრდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე.

სადილის დროც დადგა. ამჯერად ნიკო დიასამიძე ელოდება. მგონი დაავიანა კიდევ წასვლა, მაგრამ მასპინძლის განწყობებს მოერიდა, საქმეს ისიც ართულებდა, რომ ამ დიასამიძეს საკმაოდ ფიცხი ხასიათი ჰქონდა და თავის შეკავება მისთვის ისეთივე უცხო იყო, როგორც ლაზათიან სუფრაზე უარის თქმა. ეს კიდევ არაფერი, მიშო მაჩაბელი სახლში ელოდებოდა, მისთვის უნდა გაეველო და წვეულებაზე ერთად უნდა წასულიყვნენ. ასე რომ, სევდიანი განწყობის მიუხედავად, ქეიფის ვაცდენა არაფრით გამოვიდოდა.

ეტლმა ვანქის საყდარს ჩაუქროლა და მოზრდილ სახლთან შეჩერდა. დაგვიანებული სტუმრები ეტილიდან ჩამოხტნენ და სახლისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ. მოკითხვის, დაგვიანებისთვის საყვედურის, მობოდიშების, დანაშაულის ხუმრობით ერთმანეთისთვის გადაბრალების შემდეგ მაჩაბლები გაჩახჩახებულ ოთახში შევიდნენ, საიდანაც ღვინოსთან დამეგობრებული ხალხის მხიარული ღრინაცელი ისმოდა.

შედგა თუ არა ფეხი ოთახში, მაჩაბლის მზერამ სამი, უცნობი ქალი ამოარჩია. ქალები ერთმანეთს ჰგვანდნენ და არც ჰგვანდნენ, თუმცა დაკვირვებული თვალი მათ იერში საერთოს მაინც გამოარჩევდა, ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ მაჩაბელი დებს მიაჩერდა და სხვაგან გახედვას არც აპირებდა.

უფროსი მეზობელს ესაუბრებოდა, დაგვიანებულ სტუმრებს ერთი კი გამოხედა, მაგრამ თავი ისევ მიატრიალა და საუბარი განაგრძო.

უმცროსი, ზღვისფერი თვალებით, ყველას უდარდელად და თანაბარი ინტერესით ათვალთვლებდა, ამავე



მხატვარი გევა პაქსაშვილი

დროს, იმ ასაკში იყო, როცა ქალმა საკუთარი სილამაზის ფასი არ იცის და ეს ამბავი დიდად არც ანუხებს.

შუათანა საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ ღებულობდა, მონყენილი იჯდა, თავი ჩაექინდრა და ამკარა იყო, რომ უხერხულობას გრძნობდა. მხოლოდ ერთხელ ასწია თავი დაგვიანებული სტუმრების დასანახად და იმავე წამს მაჩაბლის გაშეშებულ მზერას ნანყდა.

ვანო ჩალაძეს განსაკუთრებით უფროსი მოეწონა და ერთი-ორმა ისეთმა აზრმა გაუელვა თავში, არამწერალ მამაკაცებსაც რომ ხშირად უფიქრიათ ხოლმე, მაგრამ არაერთხელ ნახსენები მიზეზის გამო მაჩაბლის არჩევანს დაყაბულდა. კაცმა რომ თქვას, დასანუნი არც შუათანას ჰქონდა რაიმე, მოხდენილი აღნაგობა, ეშხიანი თვალები, ლამაზი პირისახე, კეკლუცი გამოხედვა, ასე რომ, ყველაფერი თავის ადგილას ჰქონდა, მაგრამ კაცია და გუნება, ვინ რა თვალზე შეხედავს.

დაგვიანებული სტუმრების მოსვლამ სუფრა კიდევ უფრო გაახალისა. აქეთაც ეძახიან, იქითაც, ადგილი ყველგან მოინახება. ივანე დებს შუა ცარიელ სკამს ამჩნევს და იქით მიდის. გაცნობაც შედგა: კნენია ნინო ბაგრატიონი, კნენია ანასტასია ბაგრატიონი, კნიაჟნა ბარბარე ბაგრატიონი.

ღვინო ისე ხსნის ენას, როგორც გამოცდილი გარსონი ძვირადღირებული სასმელის ბოთლს. მაჩაბელი ხუმრობს, ათასგვარ ამბავს ჰყვება და დებს ახალისებს. დები იცინიან, ეს სიცილი მალე ხარხარში გადადის, მაგრამ ხმაური სხვებისთვის შეუმჩნეველი ხდება და საერთო ყრიაშულში იკარგება.

მოულოდნელად გამოჩენილი მასპინძელი ივანეს ყურთან იხრება.

– უხერხულია... საგანგებოდ მოვიწვიეთ... პოლკოვნიკი...

ეს დაუკავშირებელი სიტყვები ივანეს არაფერს ეუბნება.

– ვინ პოლკოვნიკი? – ხმამალლა კითხულობს მაჩაბელი და სუფრის თვალღერებას იწყებს.

არ ვარგა დაგვიანება, რაც მართალია მართალია. ადრე რომ მოსულიყო, არც ეს კითხვა დასჭირდებოდა და არც ბევრი სხვა რამ. ყველამ იცოდა, რომ ეს სადილი დიასამიძეს საგანგებოდ ჰქონდა მოწყობილი, რათა ერთმანეთისთვის გაეცნო პოლკოვნიკი არჯევანიძე და ანასტასია. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი თუ დადგმული, დანარჩენი კი უკვე პოლკოვნიკის მარიფათის საქმე იყო. სანამ სადილი დაიწყებოდა ანასტასია და პოლკოვნიკი ოთახის ერთ კუთხეში განმარტოვდნენ კიდევ, მაგრამ სამხედროს დაშინებული ბავშვივით ენა დაება და სათქმელს ვერაფრით მოუყარა თავი. უსიტყვო სუნთქვა უსაშველოდ გაიწელა. ანასტასიამ ერთი-ორჯერ მგონი დაამთქნარა კიდევ, საბოლოო განადგურების თავიდან ასაცილებლად პოლკოვნიკმა გაბედა და ხმა ამოიღო, ოღონდ, რატომღაც ჯერ რუსეთის იმპერიის სიძლიერე მიმოიხილა მოკლედ, ხოლო შემდეგ ერთი, უნიათო ანექლოტიც

მოაყოლა, რომელიც დაბალი ჩინის ოფიცრისგან ჰქონდა გაგონილი და ისიც კარგად ახსოვდა, რომ პოლკოვნიკი ანექლოტიცა საერთო მონონება დაიმსახურა, მეტიც, დარბაისელი და ყველასთვის პატივსაცემი გენერალიც გულიანად აცინა.

მობდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, პოლკოვნიკი დამარცხდა და გვარიანად დაშინდა. ახლა კი იჯდა, მაჩაბლის სიტყვებს ყურადღებით უსმენდა, მაგრამ სასაცილო მათში ვერაფერი აღმოაჩინა. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, შეიძლება მუშტიც გაქნულიყო, ანდა ტყვიაც გავარდნილიყო, მაგრამ იმ დღეს ნათლილება ყოფილა და მაჩაბლისა თუ პოლკოვნიკის ბედად სუფრა ადრე ამლილა. ხელმოცარული სასიძო მაშინვე გაიძურნა, ხოლო მაჩაბელი, დებთან ერთად, პირდაპირ ბალზე გაემართა.

დრო შუალამეს გადასცდა.

ბაგრატიონის ქალები სასტუმროში დაბრუნდნენ. უმცროსები საკუთარ ოთახში შევიდნენ, უფროსი მისაღებში დარჩა და საქმე წამოიწყო. საქმეს კაკუნი მოჰყვა. ნეტავ ვინ უნდა იყოს ასე გვიან? დები გაჩუმდნენ და საუბრის გარჩევა სცადეს.

– ვინ ბრძანდებით?

– მიშო მაჩაბელი, ბოდიშს გიხდით, უდროოდ გამოგეცხადეთ, მაგრამ გადაუდებელი საქმე რომ არ მქონდეს, არ შეგანუხებდით.

– ამ შუალამეს როგორ უნდა მიგილოთ?!

– მესმის თქვენი, მაგრამ საქმის აუცილებლობიდან გამომდინარე დაჟინებით მოვითხოვ, რამდენიმე წუთით მიმილოთ.

– რა გაეწყობა, ეტყობა მართლაც ქვეყანა ინგრევა, ცოტა ხნით დამიცადეთ და კარს გაგიღებთ.

ამის შემდეგ საუბრის გაგება გაჭირდა, თუმცა გარკვეული სიტყვების ამორჩევა მაინც შეიძლებოდა, აქედან კი იმ დასკვნას გამოიტანდა ყურებდაცქვეტილი ადამიანი, რომ ივანე მაჩაბელი ანასტასიას ხელს სთხოვდა უფროს დას.

– ასე რად ჩქარობს თავადი მაჩაბელი?

– რა გითხრათ, ამ საქმის არაფერი ვიცი, თავადაც აქ არის, ქუჩაში იცდის და დადინჯებულ პასუხს ის უფრო მოგახსენებთ.

ცნობისმოყვარეობამ სირცხვილს სძლია. საპატარძლო საწოლიდან გამოძვრა და ფანჯარასთან მივიდა. ვერავინ დაინახა, მაგრამ სარკმელს არ მოსცილებია და უფრო ყურადღებით დაათვალიერა იქაურობა. მოშორებით, ხის ქვეშ მდგარ მაღალ კაცს მოჰკრა თვალი, თუმცა ვერც კარგად გაარჩია და ვერც ვერავის მიაშგავსა.

ოთახში ხმაურმა იმატა, ჩანს სტუმარი ნასასვლელად ემზადებოდა. ანასტასია ლოგინს დაუბრუნდა. კარი გაიღო, ოთახში უფროსი და შემოვიდა.

– ტასო, რა ბედნიერი ქალი ყოფილხარ!

უკვე შუადღეს მაჩაბელმა ქალის თანხმობა მიიღო, რამდენიმე დღეში კი ჯვარიც დაინერეს.

ვანო ჩალაძე ჯვრისწერას ბევრჯერ დასწრებია, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როცა ეს მოსაწყენი

პროცესი დასაშვები და აუცილებელიც კი შეიქნა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა-ორმა მისმა მეგობარმა, მონიფულ ასაკში გადაწყვიტა ამ პროცედურის გავლა, რაც კინალამ გამოუსწორებელი შედეგით დასრულდა. დიდი ხნით ფეხზე დგომით გადაღლილ სასიძოს, მუხლის თავში დაგროვილმა მარილებმა განწყობა გაუფუჭა, ხოლო საპატარძლოს, ზედმეტი ნერვიულობისა თუ სიმხურვალისგან არტერიულმა წნევამ ისე შეუტია, რომ მეგობრების მიერ წინასწარ მომზადებული მედიკამენტები რომ არა, იქვე მიაბარებდა სულს მამაზეციერს. თავად ვანო ჩალაძეს ჯვარი დაწერილი არ ჰქონდა, ასე რომ, მის სურვილის მიუხედავად, ამ ამბავს გამოსწორება ეწერა, მითუმეტეს, რომ გვერდს აროშიძის ქალი კი არა, ბაგრატიონის ასული დაუმშვენებდა. პირველი ცოლის შესახებ ვანოს ხმაც არ ამოუღია, კაცმა რომ თქვას, არც არავის უკითხავს, თავად კი არ გაამხილა ეს საიდუმლო, მწერალი კი ერქვა, მაგრამ არც ისეთი სულელი გახლდათ.

დაინინდვის მონა ღვთისა ივანე და მხევალი ღვთისა ანასტასია...

პატარა ეკლესია ხალხს ვერ იტევს. ისევ მითქმა-მოთქმა, ისევ ჭორი, ისევ ჩურჩული.

- გაიგეთ?!
- ნამდვილი ამბავია...
- მთელი ქუჩა მცველებით არის სავსე...
- საფაროვას ქალს ელიან...
- დაუქადნია, ჯვრისწერა უნდა ჩავშალოო...
- უარყოფილმა საცოლემაც რა ჰქნას, თავი რით ინუგეშოს...

- აკაკისაც ჰყვარებია ანასტასია...
- ნაწყენიც ყოფილა მაჩაბელზე...
- ქორწილსაც არ ესწრება...

ეს მღელვარება და მოლოდინი ნეფე-დედოფალსაც გვარიანად აკარგვინებს წონასწორობას. მაჩაბელს ხელი უკანკალებს, ბეჭედი თითიდან უსხლტება. ბეჭედი ქვას წკრიალით ეხეთქება, თითქოს უბედურების ზარს დაჰკრესო. ბეჭედს მალე პოულობენ, მაგრამ ეს შემთხვევა ანასტასიას შიშს უფრო მეტად ბუნდოვანს ხდის და სანთლის დაჭერაც უდიდეს ტანჯვას აყენებს.

ან მეუფეო, უფალო ღმერთო ჩვენო, ზეგარდმოუვლინე მაღლი შენი მონათა ამათ შენთა ივანეს და ანასტასიას და მოეც ასულსა ამას მორჩილება ქმრისა თვისისა და მონასა შენსა, რათა იქნეს თავ ცოლისთვის, რათა ცხოვრობდნენ ნებითა შენითა...

ანასტასიას თავბრუ ეხვევა, თითქმის ბურანშია, წესიერად არც კი ესმის მღვდლის მდორე ბურდლუნი, სანთელს ისე ეჭიდება, როგორც ჭაობში ჩავარდნილი ადამიანი საშველად გამოწვდილ ჯოხს, გულში იხუტებს და გონს მხოლოდ მაშინ მოდის, როდესაც სახეზე აუტანელ ტკივილს გრძნობს. ალი პირბადეს მიჰყვება, ზევით მიცოცავს და საცაა თმასაც მისწვდება. მაჩაბელი პატარძალს ეშველება, ხალხი უკვე მერამდენედ იწყებს ფორიაქს.

- აბა, რას გეუბნებოდით, ხომ ხედავთ რა ემართებათ?!

- ეჰ, უბედურნი იქნებიან, უბედურნი...
თუმცა ხალხის სიტყვები არ გამართლდა.
დროებით მაინც...

თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, ისე, როგორც ახალდაქორწინებულს შეეფერება. სახლი ოლლას ქუჩაზე შეიძინეს. კარგი სახლია, დიდი და ნათელი, ქუჩის მხარეს უზარმაზარი აივანი აკრავს, საიდანაც კარგად მოჩანს მუშტაიდის ბაღი, ეზოშიც სანაქებო სკვერი გაშენდება.

მაგრამ მოდის მაისის თვე, როგორც განაჩენი. ზანკში მსესხებელთა და დამფუძნებელთა კრება იმართება. კვირა იწურება, მაგრამ საერთო აზრამდე მაინც ვერ მისულან. მხოლოდ ანგარიშს უსწორებენ ერთმანეთს და, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, საქმე განზე რჩებათ.

- ორი დღეა აქ ლაპარაკს ვუგდებ ყურს და ვერ გამიგია, რა საჭიროა, რომ გადაკრავენ ხოლმე შორიდან სიტყვას, რაღაცა კილოს აბამენ. არ ვიცი, რა დავარქვა, უკაცრავად, ინსინუაციები თუ რა, ამბობენ რაღაცას კიდევ და არც ამბობენ...

- ხმა დარბაზიდან:
- პროტოკოლში ჩასწერეთ!
- მეორე ხმა:
- დარჩეს როგორც არის!
- მესამე ხმა:
- მოაკლდეს!

თავმჯდომარის ჩახლეჩილი ხმა ამაოდ ცდილობს ხალხის დანყნარებას. მაჩაბელი სცენაზე ადის და სიტყვას ითხოვს. სიტყვას არ აძლევენ. მაჩაბელი მაინც ცდილობს ლაპარაკს და ზარის წკარუნს ყურს არ უგდებს.

- ეს მეხუთე დღეა, აშკარად ხედავთ, რომ გამგეობაში რაღაც მოურიგებლობაა, აზრის სხვადასხვაობაა. მე და თავად ჭავჭავაძის ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ იძულებულიც კი ვართ საზოგადოებას შინაური ამბებიც კი გავუზიაროთ. სირცხვილია, მაგრამ მიზეზი რა არის? მართლა შური და მტრობაა თუ საქმემ გამოიწვია ეს მოურიგებლობა? პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ არავითარი ანგარიში არავისთან არა მაქვს. ბრალად მდებენ, რომ ამხანაგებს ვლალატობ, არა ბატონებო, თუ მაქვს რაიმე ხინჯი გულში მე ამის დაფარვა არ ვიცი. არ უნდა დავივინყოთ, რომ საქმე მარტო ბანკი არ არის, ჩვენც გული უნდა გვტკიოდეს, ნევრებისათვის თავი უნდა შევიწუხოთ. ჩემი დანაშაული ის არის, რომ გულის ტკივილი მქონდა...

თითქმის საათია, რაც მაჩაბელი ლაპარაკობს. აქამდე დაუდგრომელმა საზოგადოებამ ნირი იცვალა და სმენად იქცა.

- არასოდეს ამდენი ტანჯვა-წამება არ გამივლია, როგორც აქ. ყოველ ვაჭრობისას მონმე ვარ ხოლმე სულის აღმამფოთებელი სურათისა, როგორ უყიდიან მსესხებელს ლუკმა პურს, მამაპაპისეულ მამულს, თუ გნებავთ ილია ჭავჭავაძის გაუფრთხილებელი გულქვაობის წყალობით. გული მიკვდებოდა იქ ყოფნით და

გულგრილად ვერ ამეტანა ასეთი დამლუბველი ფორმალიზმი. აქ ქება-დიდება შეასხეს ილია ჭავჭავაძეს, ამ საქართველოს სახელგანთქმულ პოეტსა და დიდებულ მწერალს, ჩვენს სიქადულს, მაგრამ გულმტკივნეულად კი ვერ ჩავთვლი.

ილიამ მწარე სიტყვას ყური მოჰკრა, თავი ასწია და ალექსანდრე ჩოლოყაშვილს, რომელიც უფრო მეტად ნერვიულობდა ვიდრე თავად ილია, რამდენიმე სიტყვა ჩუმად გადაულაპარაკა.

– მაშ მე გული არ შემტკივა ჩემს თანამემამულეებზე?! აცრემლებულ ქვრივ-ობლებზე?! მაგრამ ყველას როდი უჭირს. ერთ ნამდვილ გაჭირვებულთან ათი დაღმინებული მოგაჩვენებს გაჭირვებულად თავს. ეს გადაგვარებული მებატონეები ქალაქის დუქნებში ფლანგავენ ფულს, ვალებში ეფლობიან და აცრემლებულები ჩვენსკენ მორბიან, გაჭირვებულად გვაჩვენებენ თავს. თუ მაგრად არ დაიჭირე ესენი, თვითონაც გაკოტრდებიან და ჩვენს საზოგადო ბანკსაც დაღუპავენ.

მაჩაბელს ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, არ ესმის, თუმცა პირის მოძრაობას კარგად ხედავს, დარწმუნებულია, ახლაც მას დასცინიან, აქილიკებენ, მასხრად იგდებენ, ამცირებენ.

– მე უკვე გითხარით, რაც არის ჩვენი საფინანსო პოლიტიკა. ვინც ამ პოლიტიკას დაადგება და ქვეყნის გულშემატკივრობას გამოიჩენს, მის დროშის წინ მონინებით თავს მოვიხრი და მუხლს მოვიდრეკ. მაგრამ მთავარი ეგ როდია. აქ არც საფინანსო პოლიტიკაა და არც ინტერესები, საქმე ისაა, რომ მე ავტორიტეტს არ დავემორჩილე და კრიტიკული თვალთ შევხედე. აი, სწორედ ამისთვის დამასხეს თავზე ლაფი შარშან და შარშანწინ. დიად, მიზეზი ის არის, რომ გულგრილობა და გულაცრუება ზოგიერთებისა ვერ ავიტანე... დასასრულ გმადლობთ, რომ მომისმინეთ, გმადლობთ, რომ მენდობოდით, მაგრამ სამწუხაროდ, ამ საქმის სამსახური აღარ შემიძლიან, სუსტი კაცი ვარ, დავიღალე.

იგრილა ტაშმა, ყველა აყვირდა, სუსტებმა და გაუბედავებმაც მოახერხეს ხმის ამოღება. ილიას ყურადღებას აღარავინ აქცევდა, მაჩაბელს კი მთელი ხუთი წუთის განმავლობაში სთხოვდნენ ბანკში დარჩენას. მაჩაბელმა ეს არ ისურვა. გასაკვირია, მაგრამ იმ დროს მხოლოდ ერთი საფიქრალი ჰქონდა, მეუღლის ნაჩუქარი ქუდი როგორმე დარბაზში არ დარჩენოდა.

თუ დაინყებ, უნდა დაამთავრო კიდეც. შუა გზაზე დაგდებული ბრაზი ვერაფერი შვილია, მითუმეტეს, რომ მაინც არავის სჯერა, თითქოს მაჩაბელს მხოლოდ საზოგადო საქმე აინტერესებდეს და პირადულს არ ჩიჩქნიდეს. ამოსუნთქვას არ აცლიან და წერილს წერილზე უწერენ. რა თქმა უნდა, პასუხს ამზადებს, თუმცა დაბეჭდვა უჭირს და ქართულის მაგივრად რუსულად აქვეყნებს.

იცის მაჩაბელმა საიდანაც მოდის ეს ყველაფერი. ოდიდგანვე ცნობილი და გამოცდილი წესია, ყველაზე ძლიერს უნდა დაეჭიდო, ამის დამნახავი სხვები კი თავისთავად ჩამოსცილდებიან ბრძოლის ველს. მაჩაბელს

კალმის წვერზე ეშმაკი უზის, რომელიც კუდს გამეტებით იქნევს და სუფთა ფურცელზე დაბოლმილი თუ დაკუნთული სიტყვები გამოჰყავს. წუთი არ გავა, მაღაზიაში მყიდველი არ შემოვიდეს და მაჩაბლის ბროშურა არ მოითხოვოს. სათაურიც მქუხარე აქვს: თავადი ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. ვინც ბროშურას ვერ შოულობს, მთხოვნელების რიგში დგება. ზოგი იქით არის, ზოგი აქეთ, კამათობენ, უფრო მეტად ჩხუბობენ, არც სისხლით ნათესაობა აჩერებთ და არც ნათელ-მირონი. ერთი გაბრაზებული ქალბატონი ხალხს აღარ მოერიდა, საკუთარ ძმას დაუდარაჯდა და საქვეყნოდ ცხვირი მოაჭამა. ძმა ჰოსპიტალში გააქანეს, და დააკავეს, საქმე სასამართლომდე მივიდა, შეკრებილი საზოგადოების დიდი მცდელობის მიუხედავად, მოჭმული ცხვირი ვეღარსად აღმოაჩინეს. სადარდებელი კია ასეთი მდგომარეობა, მაგრამ მაინც ყველას უხარია. სხვა მხრივ განსაკუთრებული მგონი არაფერი ხდება და ცხოვრებაც საკუთარი, მხოლოდ მისთვის ნაცნობი გზით მიდის.

გამოცდილებმა კარგად იციან, ადამიანს ის უნდა დააბრალო, რასაც არასოდეს ჩაიდენს, კიდეც უფრო უკეთესი იქნება, თუ იმას დააბრალებ, რაც თავშიც არასოდეს მოუვა. დანარჩენი ოსტატობის საქმეა და დამბრალებლის ფანტაზიაზე დამოკიდებული.

- სად არის ორასი თუმანი?!
- რომელი ორასი თუმანი?
- „დროების“ რედაქცია რომ აგროვებდა რუსთაველის ძეგლის ასაგებად.
- მაგ ფულის არაფერი ვიცი.
- არც იმ ექვსასი მანეთის, ბროსეს პრემიისთვის რომ აგროვებდა?!
- ეგ ფული ხომ მაშინაც ვალად ედო რედაქციას და ჩემამდეც ასე მოვიდა.
- ვალს გადახდა უნდა, კნიაზო!
- ეგ ხომ სხვისი ვალია, მე რადა მთხოვთ?
- მაშ ვის მოვთხოვთ?!

თითქმის დაკითხვაა. საოცარია, მაგრამ მაჩაბელი პასუხს ვერ იძლევა და მხოლოდ თავის მართლებას ცდილობს, ის კი, ვინც გამუდმებით თავის მართლებასია, წინამძღოლად ვერ გამოდგება. მაჩაბელს შეურაცხყოფა ახრჩობს, ხელ-ფეხს უბორკავს და განძრევის საშუალებას არ აძლევს, მისი გონება მხოლოდ ერთ მხარეს იცქირება

ჭავჭავაძემ ხომ მაინც იცის, რომ ეს ფული მე ფულად არ მიმიღია, ვალად გადმომეცა და ილია აკი თვითონ ცდილობდა ეს ვალი ჩემთვის ჩამოემორებინა.

იცის, უფრო სწორად, იცოდა, მაგრამ გადაავინყდა, გაცილებით მართებული იქნება გვეთქვა, რომ გამორჩა, ხდება ასეთი რამ, როცა ადამიანს უსაშველოდ ბევრი საქმე აქვს.

რას იზამ, თავად შენი ბრალიაო, გაიფიქრა მცირე პროზის ოსტატმა, სულ მთლად შენიც არ არის, მაგრამ ზოგჯერ უნდა დაიბრალო, საქმეს და უფროსს თუ ასე სჭირდება. აი მე, მაგალითად, ოლონდ ლენამ არ იჩხუბოს და ყველაფერს დავიბრალებო, მაგის ჩხუბი კი

ის არ გეგონოს, თქვენ რომ ბანკში ერთმანეთს პადნოშ-კებს უდებთ, მაგ ამბის სერიოზული პროფესიონალიაო. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის თქმა პირდაპირ მაჩაბლისთვის შეეძლო, მაგრამ ნირნამხდარი ადამიანის წყენას მოერიდა და როგორც მიჩვეული იყო ისე მოიქცა, საკუთარი აზრი თავისთვის დაიტოვა. იყო კიდევ ერთი მიზეზი, მთავარს რომ ეძახიან ისეთი. მართალია, ვანო ჩალაძე, მაჩაბლის სახლში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ჩემბაში და აქ დარჩენაზე რამდენჯერმე სერიოზულადაც კი ჰქონდა ნაფიქრი, მაგრამ მაინც სტუმარი ერქვა და ამის დაგინყება საბოლოოდ ჯერ კიდევ უჭირდა.

საქმეში რომ ქალი ჩაერევა, საქმესაც დალუპავს და ამ საქმის პატრონსაც.

– ახლა, შენ რომ ეგ საქმე ჩაიღინო და ბანკიდან წამოხვიდე, თავი აღარ გამოგვეყოფა ხალხში.

– ხომ ხედავ, აღარც რამე საზოგადო საქმე კეთდება, მართალია თავნება კაცია, მაგრამ უნდა დავუთმო, სხვა არა იყოს რა, მამად შემეფერება. ეხლა ცოტა რომ დავუთმო რამე, მომაკვდინებელი ცოდვა არ იქნება და შემდეგში თვითონ დრო გაასწორებს ჩვენში ყველაფერს.

– არამც და არამც! ჯერ ერთი ის რომ, შენ საქმესაც წაახდენ და საზოგადო საქმესაც, ხომ იცი, როგორი მუშები არიან მანდ ვინც მსახურობენ, ნამცეცი სვინდისი არა აქვთ.

ალბათ ყველა ქალი ერთნაირია, როგორც ყველა მთაერობა. ალბათ ყველა კაცი მსგავსია, როგორც ყველა დაპირება. მაჩაბელი ცოლის ჭკუას მისდევს და იმ გზას ადგება, რომელსაც არც მანამდე და არც მერე ხეირი არავისთვის დაუყრია.

ახირებული პირობა დადეს მონინაღმდეგეებმა:

„თითოეული ამათგანი პირობას სდებს, რომ სამუდამოდ განშორდეს ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს, თუ კომისიისგან მტყუანად იქნა ცნობილი“.

უცნაური დუელია, უსისხლო და თითქოს უმსხვერპლო. მაგრამ ყველაფერი ისევ ქართულად ხდება, ისევ უსამართლოდ. ერთს ორი იარაღი უჭირავს ხელში, ხოლო მეორეს ერთი და ისიც გაუმართავი.

კომისია ისე იქმნება, როგორც ილიას აწყობს.

– მე ვერ ვენდობი მაგ კომისიას, აკი გუშინაც ვამბობდი.

– რა მოხდა, თავადო, რა ამბავია?

– მაჩაბელმა თავისი სიტყვა უკან წაიღო! – ეს თავმჯდომარის ხმაა.

გასროლა შედგა. მსროლელს არც მაჯამ უმტყუნა და არც თვალის ზომამ დააღალატა. მაჩაბელი სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა და მისი ფუჭი ძებნა მომდევნო წლებში მხოლოდ თავის მოტყუება გახლდათ და მეტი არაფერი. ან კი რას ეძებდნენ, მიცვალებული ხომ სახლში ესვენათ. უნდა ადგეს და აქაურობას გაეცალოს, დაუმარხავ მკვდარს ისევ გადაკარგვა სჯობია.

მაჩაბელმა თვალი გაახილა და ჩაბნელებულ ოთახში, სავარძელში ჩაძინებული ტასო შეამჩნია. ადგომას შეეცადა, ჯერ თავი წამოსწია, სხეულიც დაძაბა,

მაგრამ ძალა აღარ ეყო და მონყვევით დაასკდა ბალიშს. ოფლში ცურავს და გამუდმებით სწყურია, პატარა მაგიდა კი მოშორებით დგას, იქამდე მთელი ცხოვრების სავალია დაუძღურებული ადამიანისთვის. რა ხანია წვიმს და ახლა იელვა კიდევ. მაჩაბელმა უსიამოვნო სურათს მოჰკრა თვალი, სრულიად გაჭალარავებულ ტასოს. გავარდნილმა მენბმა ქალი შეაღვიძა და ერთბაშად წამოაგდო ფეხზე.

– ხომ არაფერი გინდა? რამდენი ხანი მძინებია, რად არ გამაღვიძე? ალბათ წამალიც დაგაგვიანდა.

– ტასო, შენ ჩემთან უბედური ხარ, ღმერთმა იცის, ბედნიერება მინდოდა შენთვის და არ გამოვიდა, ჯერ ისევ ყმანვილი ქალი უკვე გათეთრდი.

– ჭავჭავაძემ შენ გაგაშავა, მე კი გამათეთრა.

– ვერ შეგიქმენი ბედნიერება. – მაჩაბელი ბოროდით აგრძელებს და ცოლის ხუმრობა მის გულს არ სწვდება. – ეხლა თუ გადავრჩი, უნდა გაგეცალო, ჩემს ხელში ვერასოდეს ვერ ენევი ბედნიერებას. მე უბედური კაცი ვარ, არასოდეს არ გამომდის რაც მინდა, ყველაფერი უკულმა ხდება, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ვინც გულით მიყვარდა და თავყანს ვცემდი, მტრად გადავიკიდე, საცა მივედი, ყველგან ფრთები შემეკვცვა, თითქოს ზედმეტი ვარ ამქვეყნად.

ტასო ხმას ვერ იღებს, ვეღარაფერს პასუხობს, რადგან შეუვალა მაჩაბლის სიმართლე. რალაცის თქმას კიდევ აპირებს, მაგრამ გაუსაძლისი ტკივილი ამის საშუალებას აღარ აძლევს და გონებას კარგავს.

ჩირქოვანი პლევრიტი და მხოლოდ ოპერაცია, ასეთია ექიმთა დასკვნა.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ავადმყოფმა შვება იგრძნო, ტკივილმაც გაუარა, თუმცა სისუსტე მაინც არ ეშვება და ჩირქიც გვარიანად სდის ჭრილობიდან. სახლში ზის და გარეთაც ვერ გადის, გაციების ემინია. ამ დროს ყოველთვის საშინელი ძალით უტყვევს მოგონება.

– მაშ რომ გითარგმნოთ, სიყვარულით ითამაშებთ?!

– მთელის გატაცებით.

– მით უფრო, რომ ჩემი თარგმანი იქნება, არა?!

– მით უფრო, რომ თქვენი თარგმანი იქნება.

მაჩაბელს სახე უხურს, მუხლი ეკვეთება, პირი უშრება. ღია კარში მდგარი მწითური კაცი ხელით ეძახის და გაყოლას სთხოვს. მაჩაბელი შანდლიანად აივანზე გარბის და ღამის სიშავეს ამტერდება. უსასრულობის შიში ადვილად ერევა მის დაუძღურებულ გონსა თუ სხეულს, ტანში აჟრჟოლებს, აცახცახებს. სიბნელე ქრება მოულოდნელად, როგორც სხვა ყველაფერი და მის თვალწინ შთაბეჭდავი სურათი იშლება. მაჩაბელი კარგად არჩევს სამყაროს ვებერთელა სხეულთა ჭიდილს და ესმის მათი ნივლის აუტანელი ხმა. ამ მაცდური ხმის გაძლება ჩვეულებრივ მოკვდავს არ შეუძლია, ამ ხმას მხოლოდ თუ შეუერთდები. შეერია მაჩაბელი ცის გოლიათი სხეულების ჯოჯოხეთურ სრბოლას და შანდლიანად უკუნეთში გაუჩინარდა. კაცმა რომ თქვას, მართალიც არის, დუელში დამარცხებულს აქ არაფერი ესაქმება.

„დღეს უკვე მეშვიდე დღეა, რაც ვერ უპოვნიათ თავადი მაჩაბელი. ამდენი ხნის მოუძებნელობის გამო თბილისში ათასი ლეგენდა და მითქმა-მოთქმა შეიქმნა. მტკვარში ეძებენ ორმოცი ვერსის მანძილზე. გუშინ და გუშინწინ ორასი პოლიციელი თუ ცხენებზე თუ ფეხით, პოლიცმაისტერის ბრძანებით დაეძებდნენ მთელს ქალაქში და ქალაქის მიდამოს, ყველა ხეებში, ღრეებში, მაგრამ კიდევ ვერას გახდნენ“.

მსახიობმა ქალმა გაზეთი დაბლა დასწია და საკუთარ ფეხებს დააჩერდა. სახელი არ აკლია, დიდება და ნიჭი ხომ სხვაზე მეტი აქვს, მაგრამ მაინც ჩუმად სტირის, სხვებისგან მალულად.

– შვიდ წელიწადში ერთხელ მოგივლის ხოლმე სიყვარული.

– შვიდ წელიწადში ერთხელ მაინც გამეხსნას ცა.

ხმა ისმის სადღაც შორიდან. ისმის და თითქოს არც ისმის.

„ივერიის“ რედაქტორს ერთი უცნაურობა დასჩემდა ამ ბოლო დროს. ჩაიკეტება კაბინეტში და ღამეს ებრძვის. ყველას ჰგონია, რომ მოწინავე სტატიას ასწორებს და დაშინებული თანამშრომლები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ, ის კი პაპიროსს აბოლებს და „მეფე ღირს“ კითხულობს. კითხულობს ხარბად, სულმოუთქმელად, თითქოს პირველად.

ერთი გაბედული ყველგან მოინახება.

რედაქტორი ქვემოდან ახედავს რიგით თანამშრომელს და მისგან ახალ სიტყვას ელოდება. ეს სიტყვა იმას ეხება, რაზეც ქალაქში ყველა ლაპარაკობს და რაზეც თავად მას არავისთან სურს ლაპარაკი. დღესაც ვერ უნახავთ, საკუთარ თავს უტყდება რედაქტორი და თვალს დაბლა ხრის.

3. კახელი

ლენა აროშიძემ სამი დღე ანუ სამოცდათორმეტი საათი გმირულად მოითმინა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა პოლიციისთვის მიემართა, რათა გაუჩინარებული ვანო ჩალაძის ძებნაში დახმარება ეთხოვა. რა თქმა უნდა, პირველ დღესაც ასევე ნერვიულობდა, როგორც ახლა, უბრალოდ სამი დღე მეზობლის რჩევით მოიცადა, რადგან კარის მეზობელი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სამი დღეზე ადრე პოლიცია, გაუჩინარებული ადამიანის ძებნას არ შეუდგებოდა. არადა, ამ ქალს, რომელსაც სადარბაზოში ყველა პატივს სცემდა, ნამდვილად დაეჯერებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარი, სკლეროზით დაავადებული მამა რამდენჯერმე ჰყავდა დაკარგული და ეს პროცედურაც ზედმიწევნით კარგად იცოდა. ლენას, როგორც მასზე მეტად გამოცდილს, ამ ქალის გაყოლებაც უნდოდა თან, მაგრამ მალევე გადაიფიქრა და იქვე, სახლთან ახლოს განლაგებულ ძვირიან საპარკმახეროში შესვლა გადაწყვიტა. რაც არ უნდა იყოს, მწერლის ცოლი ერქვა, უფრო მეტად კი, ოსიკო

აროშიძის შვილი გახლდათ, იმ ოსიკოსი, რომელიც თითქმის ბოლომდე, ანუ გარდაცვალებამდე, კონიაკის ქარხანაში მუშაობდა მთავარ ბუღალტრად. უხერხულიც კია, ასეთი პატივსაცემი ადამიანის შვილზე ვილაც პოლიციელს ეფიქრა, შენი შემხედვარე დაიკარგებოდა, აბა რას იზამდაო. ამისთვის და ბევრი სხვა მიზეზის გამო, ლენამ თავი მოიწესრიგა და დღის პირველი საათისთვის პოლიციის განყოფილების კარი შეაღო.

მორიგემ ერთგვერდიანი განცხადება რამდენიმე წუთი იკითხა, დანიტლებული თვალები ფშვინებისგან კიდევ უფრო დაინთლა და ლენას მკაცრად, მაგრამ, ამავე დროს სამართლიანად, ჰკითხა.

– დარწმუნებული ხართ, რომ დაიკარგა?!

– ეგ როგორ?! – გაიკვირვა ლენამ, რომელიც საკუთარი მეუღლის გაუჩინარების ფაქტში ისე იყო დარწმუნებული, როგორც გამოცდაზე მისული ფრიადოსანი სტუდენტი თავის ცოდნაში.

– იქნებ მეგობართან გაემგზავრა და სადმე ქეიფობს, ან სხვა ქალაქში გადაბარგდა, ან სხვა ოჯახი ჰყავს ბოლოსდაბოლოს.

ვანო ჩალაძის უკანასკნელმა მისამართმა ლენა განსაკუთრებით აანერვიულა.

– შვილად მერგებით და ასეთი რამ არ უნდა მკადროთ... მეორეს კი არა, ერთ ოჯახს ვერ ართმევდა თავს.

– ჩვენთან იმდენი რამე ხდება, დღე არ გავა, ვინმე არ დაიკარგოს, ადამიანს რას გაუგებ. – თავი იმართლა მორიგემ და მხრები აიჩიჩა.

მორიგის უკან დახევა და შერბილებული ინტონაციით ნათქვამი ზოგადსაკაცობრიო ფრაზა საქმეს მაინც ვერ შეელოდა, რადგან მათ შორის გადებული ხიდი სამვილიშვილოდ იყო ჩანგრეული და ამ ცხოვრებაში გამართლება არ ენერა.

ლენამ პოლიციის უფროსი მოითხოვა.

– თქვენი უფროსი რა გვარია?

– პოლიციის პოლკოვნიკი, ვახტანგ თავთუხაშვილი.

– ამაყად თქვა მორიგემ.

ლენამ საკუთარი განცხადება აიღო და ბნელი დერეფნით უფროსის კაბინეტისკენ გაემართა.

ვახტანგ თავთუხაშვილი ორიოდე თვის დანიშნული გახლდათ და მოქალაქეებს საკუთარ კაბინეტში, ჯერ კიდევ დაუზარებლად, საყვარელი სტუმარივით იღებდა. ამ მიღება-გასტუმრებაში თავიდანვე მიხვდა ამგვარი ხელობის საიდუმლოებას: უმთავრესი საზოგადოებასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება გახლდათ, თორემ გაუხსნელი თუ გულგრილად გამოძიებული ან სულაც გამოუძიებელი საქმის გადაბრალება ხელქვეითებზე ყოველთვის შეიძლებოდა, მითუმეტეს, რომ ასეთი რამ ჭირისუფლისა თუ დაზარალებულის მეტს მაინც არავის აინტერესებდა.

რადგან ადრეული შემოდგომა იყო და ევროპული ქვეყნების ძირითადი საფეხბურთო ჩემპიონატების დაწყებას პირი არ უჩანდა, პოლიციის უფროსი ნორვეგიის პირველობის ცხრილს დაჰყურებდა და მეორედან

პირველ დივიზიონში გადასასვლელი მატრის შედეგის გამოცნობას ცდილობდა.

ლენამაც სწორედ ამ დროს შეალო კარი.

– შეიძლება?

– მობრძანდით, ქალბატონო. – თქვა ვახტანგმა და რადგან ასეთ შემოჭრას ჩვეული იყო, ტოტალიზატორიდან წამოღებულ ცხრილებს, საგანგებოდ მომზადებული საქალაქე გადააფარა. – გისმენთ!

– ქმარი დამეკარგა, სამი დღეა სახლში არ გამოჩენილა.

– სამწუხაროა... – თავი გადააქნია ვახტანგმა.

– აი, განცხადება მოვიტანე.

– სურათი ხომ არ წამოგიღიათ?

– ხეირიანი სურათი სახლში ვერ ვიპოვე, ოცდაათი წლის წინ არის გადაღებული ყველა, ძალიან არ უყვარდა სურათის გადაღება, პასპორტსაც ვერ მივაგენი, ალბათ თან წაიღო, მაგრამ ზუსტად დავახასიათე განცხადებაში, ადვილად იპოვნით, მეორეს ასეთს ვერ ნახავთ.

– კარგად მესმის თქვენი, ქალბატონო...

– ლენა.

– კარგად მესმის თქვენი ქალბატონო, ლენა, ყველა ადამიანი თავისებურად განუმეორებელია, მაგრამ ჩვენს პროფესიას სიზუსტე უყვარს, რაც ზუსტია აღწერილობა, შემთხვევის იქნება ეს თუ ადამიანის, მით მოკლეა ძიება.

– მგონი ყველაფერი ჩავენერე. – ამოიოხრა ლენამ.

– ვნახოთ. – თქვა უფროსმა და ქალს განცხადება ჩამოართვა. – გაცნობებთ, რომ... ჩალაძე ვანო, ვალერიანის ძე... დაბადებული... მცხოვრები... გავიდა სახლიდან ამა წლის... სიმალღე... თმები... თვალის ფერი... გამოცდილ ოპერს შემურდება თქვენი, ქალბატონო ლენა... ერთი ეს მითხარით, ამას ჩვენც გავაკეთებთ, წესია ასეთი, მაგრამ... საავადმყოფოებს გადაამონმებდით უკვე, ხომ ასეა?!

– რა თქმა უნდა, ყველგან დავრეკე, სხვათაშორის, რა მძიმეც არ უნდა იყოს ჩემთვის, ყველა მორგი ფეხით დავიარე.

– მეგობრები?

– რამდენიმე მეგობარი ჰყავს და არც იმათ უნახავთ.

– რა პროფესიის იყო... ბოდიშს გიხდით, რა პროფესიის არის, ბატონი ვანო?

– მწერალია, მცირე ჟანრში მუშაობს.

– კოლეგებთან თუ მოიკითხეთ?

– ვისაც შევძელი ყველას დაველაპარაკე, ეგენი ისეთები არიან, რომც ენახათ, მაინც არაფერს იტყვიან, ვერ იტანენ ერთმანეთს, რამე თუ დაემართა, გაუხარდებათ კიდეც.

– რა გვჭირს ეს ქართველებს, ვინ დავგწყველა, რატომ დავერიეთ ერთიანეთს. – გულით თქვა უფროსმა და მცირე, ემოციური პაუზის შემდეგ, რომელიც ამ გამონათქვამს აუცილებლად ესაჭიროებოდა, დაზარალებულის განცხადების კითხვა განაგრძო. – განსაკუთრებული ნიშნები, მარჯვენა მხარეს, მკერდს ქვემოთ, მემვიდე და მეექვსე ნეკნს შუა, ათ სანტიმეტრია-

ნი, დიაგონალური შრამი, რომელიც გადატანილი, მძიმე ოპერაციის შედეგია...

ვახტანგ თავთუხაშვილმა კითხვა შეწყვიტა და უთავბოლოდ მიყრილი ქალაქეებიდან, თითების ჯადოსნური მოძრაობით ერთი ფურცელი გამოაძვინა, მერე ორივენი, ძველიცა და ახალიც, ერთმანეთის გვერდით დადო და თვალების მოძრაობას ტუჩების ცმაცუნიც ააყოლა.

– რაშია საქმე, ბატონო ვახტანგ?!

– სასწაული თუ გინდა ეს არის... ბრაჩნი აფერისტი ყოფილა თქვენი ქმარი.

– ვერაფერი გავიგე. – ძლივს ამოთქვა დაბნეულმა ლენამ.

– იყო ადრე ასეთი პროფესია, ეხლა თითქმის აღარ გვხვდება, მოიყვანდნენ ცოლს, იცხოვრებდნენ იმის ხარჯზე და სანამ ბოლომდე არ გამოუყვანდნენ წირვას, თავს არ დაანებებდნენ, ზოგჯერ რამდენიმე ცოლი ჰყავდათ ერთდროულად. – დანვრილებით აუხსნა უფროსმა.

– მაინც ვერაფერი გავიგე, ჩემი ქმარი რა კავშირშია ამ ყველაფერთან. – ჯერ კიდევ ამაყად თქვა ლენამ, თუმცა გული უკვე ცუდს უგრძობდა.

– რა შუაშია და... სხვა ქალიც ეძებს თქვენს ქმარს ანუ თავის ქმარს... რამდენიმე უფროსი მოინელა ამ განცხადებამ, არ დაადგა საშველი ამ საქმის გახსნას, ახლა ჩემი გამოსაძიებელია... აქედან გამოდის, რომ თქვენი ქმარი და ის კაცი, რომელსაც ჩვენც ვეძებთ, ერთი და იგივე პიროვნება არიან.

– ეს შეუძლებელია. – მკაცრად თქვა ლენამ.

– ჩვენს პროფესიაში შეუძლებელი არაფერია, ქალბატონო ლენა, ჩემი თუ არ გჯერათ, თავად ნახეთ, ყველაფერი ემთხვევა, სახლიდან გასვლის დრო, აღწერილობა და, რაც მთავარია, განსაკუთრებული ნიშნებიც ერთნაირი აქვთ, ოღონდ ეგაა, თქვენ მას, როგორც ვანო ჩალაძეს ისე იცნობთ, ხოლო სხვა დაზარალებული კი, როგორც ივანე მაჩაბელს. ეს არცაა გასაკვირი, ასეთი პროფესიის ხალხი გვარ-სახელს საკმაოდ ხშირად იცვლიან.

ამგვარი მოულოდნელობით თავზარდაცემულმა ლენამ უფროსს განცხადება ჩამოართვა, თუმცა ბოლომდე ამ ამბის ჯერ კიდევ არ სჯეროდა. მართალია, ლენას გაგებულნი ჰქონდა, რომ პოლიციელები ტყუილს ისე იყვინენ მიჩვეულები, როგორც უხელფასობას, მაგრამ ამჯერად, თავთუხაშვილი არ ცრუობდა. ეს ორი განცხადება, მართლაც ისე ჰგავდა ერთმანეთს, როგორც ერთი დედის გაჩენილი ტყუპი შვილი და ლენას გაკრული ხელი რომ არა, მასაც გაუჭირდებოდა საკუთარი განცხადების გამორჩევა. განმცხადებელი ანასტასია ბაგრატიონი, მცხოვრები ქალაქ თბილისში, ოლლას ქუჩა ორმოცდაშვიდში, სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა.

– შვილებიც ჰყოლია, მე კი ყოველთვის მიშლიდა.

ამ სევდიან აღსარებას ვახტანგმა ყურადღება აღარ მიაქცია, კაცმა რომ თქვას მართალიც იყო, პირად ცხოვრებაში ჩარევა თუ რჩევის მიცემა უკვე კანონითაც იკ-

რძალებოდა. ლენა მიხვდა, რომ აქ გაჩერების აღარც დრო ჰქონდა და აღარც ხალისი და ფეხზე წამოდგა.

– აუცილებელ ზომებს, რა თქმა უნდა, მივიღებთ. თქვენც თუ რაიმეს გაიგებთ, ნუ დამიძალავთ, გამაგებინეთ, ჩვენ ახლა ერთად უნდა ვიმოქმედოთ.

ლენამ რაღაც თქვა, ალბათ ვახტანგმაც რაღაც უპასუხა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ასე რომ, არც არავის ახსოვდა.

პირველი ერთი კვირა ლენამ ძალიან ინერვიულა, მეტისმეტად გულთან ახლოს მიიტანა წყენა, კინალამ საავადმყოფოშიც მოხვდა და, მეგობრების დახმარება რომ არა, ალბათ დარდი ერთხელ და სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს. ეს ის დღეები იყო, როდესაც თავს ისევე შეურაცხყოფილად გრძობდა, როგორც მაშინ, როცა ქმარმა, ხვენწა-მუდარის მიუხედავად, დაჟინებული მოთხოვნით, თითქმის ძალით წაიყვანა აბორტის გასაკეთებლად, ექიმთან შეავადო და საოპერაციოს კარი მშვიდად მიუხურა..

მაღლე სასონარკვეთილება ბოლმამ თუ შურისძიების გრძობამ შეცვალა და მიტოვებულმა ქალმა ანასტასია ბაგრატიონის ძებნა დაიწყო, თუმცა დიდი მცდელობის მიუხედავად ვერსად მიაკვლია. რამდენჯერმე ვახტანგთანაც შეიარა ახალი ამბის გასაგებად, მაგრამ ვანო ჩალაძის ადგილსამყოფელი სამართალდამცავებისთვისაც უცნობი იყო. ამან საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მცირე პროზის ოსტატი უკან მობრუნებას არ აპირებდა და მისი დავინწყება დაიწყო.

მოხდა ის, რაც ხშირად მომხდარა ასეთ დროს. პოლიციაში სიარულმა სულ სხვა შედეგი გამოიღო და ქალის გატეხილი გულის გამართლება ვახტანგ თავთუხაშვილმა ითავა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ, არც ისე რთულ ამოცანას, კარგად გაართვა თავი და მალე, პოლიციის უფროსი საცხოვრებლად ლენასთან გადავიდა, მითუმეტეს, რომ ხელისშემშლელი პირობა არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს. ვანო დამბრუნებელი აღარ იყო, ხოლო ვახტანგს მეუღლე ხუთი წლის წინ ჰყავდა გარდაცვლილი. მართალია, პოლიკოვნიკის უფროს შვილებს ცოტა კი გაუკვირდათ მამის ასეთი საქციელი, მაგრამ ახალი ოჯახის შექმნისთვის ხელი მაინც არ შეუშლიათ.

ვახტანგი საკმაოდ თვინიერი მეუღლე აღმოჩნდა, ლენას ყველაფერში ეხმარებოდა, ხელს უწყობდა და არც ყოფილი ქმრის ძველი სურათის გატანა მოუთხოვია, რომელიც ისევ თავის ადგილას იდო, ვანო ჩალაძის რამდენიმე, წიგნად გამოცემული ნანარმოების გვერდით. ასე რომ, ლენა აროშძის პატარა ბინაში ოჯახურმა იდილიამ დაისადგურა და ასაკი რომ არა, იქნებ მეზობლებს მათი ბინიდან ბავშვის ჭყვიტინისთვისაც კი მოეკრათ ყური.

ვანო ჩალაძე აღარც არავის გახსენებია და აღარც არავის მოუნახავს. არადა, რომ მოეძებნათ, შეიძლება ეპოვნათ კიდევც, ქალაქში გავრცელებულ იმდროინდელ ჭორს თუ გავითვალისწინებთ, ალბათ ასეც მოხდებოდა.

ჭორი, მრავლისმნახველი თბილისისთვისაც, მეტად უცნაურად ჟღერდა. რამდენიმე პანაშვიდსა და განსაკუთრებით სადღესასწაულო სუფრაზე, დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ვიღაც სადღაც იჯდა და თითქოსდა მაჩაბლისნაირ თარგმანებს ისე ბეჭდავდა, როგორც ყალბ ფულს: იოლად და უსვინდისოდ. იმდროინდელ სუსტ წარმოდგენებსა და ძლიერ თარგმანებს თუ გავითვალისწინებთ, ეს ამბავი, სულ მთლად ჭორს არ უნდა მგვანებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ეს უცნაური მთარგმნელი ოთხიოდე ენას ისე ფლობდა, როგორც საკუთარ ხელ-ფეხს და რამდენიმე ბლოკი ძვირადღირებული სიგარეტის ფასად ნებისმიერი რამის სათარგმნელად მზად იყო, თუმცა უპირატესობას მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებდა. ეს კიდევ არაფერი, თურმე საბანკო საქმეშიც საფუძვლიანად ერკვეოდა და რამდენიმე დიდი ბანკის მმართველს მართებული რჩევა-დარიგება მისცა კრიზისული სიტუაციის დროს. ბოლო დღეებში კი, ედიშერ სენიაშვილის კლინიკაში, სადაც, როგორც ამბობდნენ, ამ უცნაურ მთარგმნელს დაედო ბინა, ქვეყნის ფინანსთა მინისტრიც შეუმჩნევიათ, რომელსაც მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკების წინ ხანგრძლივი კონსულტაცია გაუვლია და აქედან გამგზავრებულია საქმიან შეხვედრაზე.

ვილაც-ვილაცეები იმასაც კი ამბობდნენ თარგმნის ხარისხიდან გამომდინარე, რომ თავად მაჩაბელი უნდა ყოფილიყო ამ ყველაფრის ავტორი. ეს კიდევ უფრო ნაკლებ სარწმუნო გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინა მართლაც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა წინ და, ამ ბოლო დროს, ერთი-ორი რევოლუციური ნახტომიც განახორციელა, ადამიანისთვის მაინც ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ვინმეს ორას წელზე მეტ ხანს შეეძლო სიცოცხლე. ასე რომ, მაჩაბლის ვარიანტი თავისთავად გამოირიცხა და ეს ამბავი ისევ ჭორს დაბრალდა. არადა, ამაზე ადვილი შესამონმებლად წესით არც არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მორიგი არჩევნები ახლოვდებოდა და ამისთვის აბა ვინლა მოიცლიდა.

ისე, გულით რომ მოენახათ მაჩაბელი, არ დაზარებოდათ და იმ შენობაში შეეელოთ, საავადმყოფოს რომ ეძახიან, იქნებ ეპოვნათ კიდევც. თუმცა, ტასო ბაგრატიონს კი უნდა სცოდნოდა ქმრის ადგილსამყოფელი, მაგრამ არც ისაა გასაკვირი სახალხოდ არაფერი ეთქვა, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, საქმე სამაჩაბლოს მთავარს ეხებოდა, რაც გარკვეულ უხერხულობას ნამდვილად ქმნიდა, ამიტომაც პირში წყალი ჩაიგუბა, ამ საქმიდან თავი შორს დაიჭირა, ისინიც გვარიანად გაანამა და სხვებსაც აძებნინა, თორემ მასზე კარგად ვის მოეხსენებოდა თუ სად პოულობენ გზაცდენილი მწერლები სიმშვიდეს.

ფილიკოკი ჯდომილა, ფილიკოკის მთაზედა...

ძნელად თუ მოინახება ისეთი მშვიდი ადგილი მწერლისთვის, როგორც სულით ავადმყოფთა თავშესაფარი. ჰკითხეთ ვისაც გინდათ, თუნდაც ვანო ჩალაძეს, რა თქმა უნდა, თუ არ დაგეზარებათ.



ლია სტურუას ლექსების გამოჩენამ ქართულ პოეზიაში თავის დროზე ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. კლასიკური ლექსის ტრადიციებზე აღზრდილმა მკითხველმა მისი პოეტიკა ძნელად მიიღო და ავტორი ლამის სამშობლოს ლალატში დააღანაშაულა. ყოველ შემთხვევაში, ამბობდნენ, რომ ვერ-ლიბრს ქართულ სამწერლობო ტრადიციაში არანაირი საფუძველი არ გააჩნდა და უცხოეთიდან შემოტანილი ისეთივე კონტრბანდა იყო, როგორც მარიხუანა ან სხვა მომწავლელი ნივთიერება.

უამისოდ აბა, როგორ უნდა ახსნილიყო ის სითამამე და თავისუფლების ის ხარისხი, რაც ლია სტურუას ლექსებში იგრძნობოდა. ნარკოტიკული ნივთიერების გარეშე როგორ უნდა გაეგებდა ქალს ყოფილიყო ასე გახსნილი და ასე თამამად ელაპარაკა საკუთარ ინტიმურ განცდებსა და შეგრძნებებზე.

როგორ არა, მომხრეებიც გამოჩნდნენ, ძირითადად ახალგაზრდები, რომელთაც არც სიახლის აღსაქმელი ემოცია დაჩლუნგებოდათ და ამ ყველაფერში ტრადიციის კი არა, გარემომცველი სინამდვილისადმი პროტესტი დაინახეს.

ლია სტურუა თავის სინამდვილეს ქმნიდა — ახალს, უცხოს, საკუთარსა და, შესაძლოა, ვიდაცისათვის სავსებით მიუღებელს. ძნელი გზა უნდა გაევიღო, ვიდრე მიუღებელი ჯერ მისაღები გახდებოდა, ხოლო შემდგომ ნოვაცია ტრადიციად დამკვიდრდებოდა.

დღევანდელი პუბლიკაცია დიდ ბრძოლებში გამოტანჯული ტრადიციული ლექსებია, რომელიც სათავეს ლია სტურუას ელვარე ნიჭიდან, გამბედაობიდან და კარგი კონვენციური ლექსის უზომო სიყვარულიდან იღებს.

ლია სტურუა

უღირსი სიკვდილი

უცნაური სურვილი

მინდა ფული მქონდეს
და ორკესტრი ვიყიდო –
სიმებიანი და სასულე სამოთხე,
ოქროსფერი,
ისე შევჯდმე მუსიკაზე,
ნემსზე რომ სხედან,
უხმოდ დაინგრეს ყველაფერი,
უსიტყვოდ გამეცალოს ყველა!
მე ბახთან ერთად ვკვდები
და 22 შვილს ფეხებზე ვკიდევარ,
ჭლექიან საყვარელს ვეხვეწები,
ამდენ სინაზეში
ერთი მეთორმეტე ეტიუდი ამოუშვას
დაჭმუჭნული ფილტვებიდან!
ყველა სახსარი მიჭრიალებს,
ყველა ბუშტში კენჭები მტკივა,
მინერალური მტკვარი გამომიწერეს უზმოზე,
თვალეზდაჭყეტილი პროუექტორები უძილობისთვის,
მე კი ორკესტრის ყიდვა მინდა, ჯიუტად,
მისი შეყვარება ადამიან-ინსტრუმენტიან-მუსიკიანად,
არაადეკვატურ აფიშებზე კლავესინის დახატვა;
ზედ მიდუღებული რუშებიანი მაჯებით –
ქაფქაფა რძე და ოქროს კრემჩენდო!
არც ერთია რძე და არც მეორე ოქრო,
მაგრამ სხვაგვარად,
ჩემს ავადმყოფ ფანტაზიაში,
როგორ დაეუდგა ძეგლი მოცარტს?
როგორ გავაგებინო არამოცარტებს,
რომ ფონოგრამა საერთო საფლავივითაა?
არც უხდება მუსიკას ამდენი „როგორ“
ამიტომ, ავდგები და ორკესტრს ვიყიდი.

არაფერი აღარ დამრჩა,
ყველა იმედი გადანურულია,
განსაკუთრებით, ბოლო,
გასაქცევი გზა – გადაკეტილი
მანქანების ნიშნით.
– ბატონო პოლიციელებო, გამატარეთ,
მე ხომ ფეხით მოსიარულე ვარ!
ჩემი წინაპრები ღვინის ჭიქებს ჭამდნენ,
რუსთაველური სილამაზისთვის,
(ლალი და ბროლი),
მე – ლამპის შუშებს და მანქანების შლეიფებს,
კანცეროგენის მისაღებად,
ჰოდა, გამიშვით, ცოტა ხნით
დავემალო სიკვდილს!
წონით კი არ ჩავაბარო
ხორცი და ძვალი,
ე.წ. სიკვდილის სარეცელზე,
არამედ მანქანა დამეჯახოს,
ან ხეს შევასკდე
და ჩვეულებრივ მუშა ტვინში
ტანჯვის ადგილი გამინათდეს!
ოხრად დარჩეს ამ დღისთვის ნაყიდი
მაქმანებიანი თეთრეული!
– იმის ნაცვლად, რომ
ღირსეულად მომკვდარიყო,
შპრიცების შარავანდელით თავზე,
აგონიის ზღარბებით ყელში,
ძალღვივით ნავიდა სახლიდან
უკმაყოფილოა რომელიღაც გარე ბიძაშვილი,
ყვავი ჩხიკვის მამიდა,
ზეპირი მორალიტეებით
განთქმული ნათესაობაში...

ტყუილის ენერგეტიკა

საგნები ასხივებენ, ადამიანები, მითუმეტეს,
 შეგიძლია ეს სინათლე დაინახო?
 არც მზე, არც მთვარე,
 არამედ სხივოსანი ენერგია!
 არავითარი კოლბები და რეტორტები,
 ადამიანს ოფლი სდის და ცრემლი,
 სუნი აქვს, რომლითაც ძაღლები ცნობენ,
 ხუმტურები ლაპარაკის და წერის დროს,
 რასაც ხელწერას ეძახიან,
 ეს მაღალ სფეროებში,
 სადაც სინათლე კამკაშებს
 და ლათინური შესატყვისი აქვს,
 ფიზიოლოგია უფრო ხარვეზიან
 შუქს იძლევა, ნავთის ლამპასავით,
 ტირილი, ტკივილი მონაწილეობენ
 თეთრის ჩაყვითლებაში,
 სახე კვდება, სული, ალბათ, დაფრინავს,
 ბრონქულის ხეს გამოედება, გააღისფერდება,
 რაღაც წუთებით, მერე ისევ,
 არ დაემორჩილება მზერას.
 დახატე ჩემი სხივოსანი ენერგია
 და აღარ მოვკვდები!
 თუ მოლეკულებად დაშლა მიწერია,
 აკრიფე ისინი, ხორბლის მარცვლებივით,
 სინათლე მიეცი შიგნიდან
 და უკვდავებისთვის გაიმეტე,
 გარემომცველ საგნებთან ერთად!

ჩემი გასაჭირი

აივანი, სახლს რომ ღია თვალივით
 უნდა ჰქონდეს, ბრმა, ცემენტისაა,
 არავითარ სივრცესთან არ მაკავშირებს,
 თავგადაპარსულ ხეებთან,
 ისედაც, დავკარგე საერთო ენა,
 ვდგავარ და მტვერი მედება,
 უპატრონო ნივთივით,
 მოპირდაპირე აივანზე
 ასეთივე მტვრიან მეზობელთან
 კონტაქტს ვამყარებ:
 – ჩემო არავინ! ინატრე თოვლი,
 რომელიც მნიშვნელოვანს გაგხდის,
 ან სიცხე, რომელიც გაგადნობს,
 რასაც სიყვარულს დააბრალებ
 და თანაგრძნობას დაიმსახურებ.
 მე დავწერ ამის შესახებ,
 მე მეხერხება სხვის გასაჭირზე წერა,

სხვის თოვლზე, სხვის სიცხეზე,
 სხვის სიყვარულზე,
 სხვის ღია თვალივით აივანზე
 და ჩემსაზე, რომელიც ბრმაა...

* * *

დღე-ღამეში 30 საათი გაჩნდა,
 ტახტი, რომელზეც ისე ვგრძნობ თავს,
 თითქოს ხელ-ფეხი მოვიხსენი
 და ზედ დავანყე...
 რომ დავისვენო ამ წუთის დაღლილობისგან,
 თუ ყველაფრისგან?
 იმ ნავთის ლამპისგანაც, რომელიც
 თავში ბჭუტავს, ტვინის გასათბობად
 და არა გასანათებლად,
 ამიტომაც უჩინარი ვარ,
 ჩემს უჭიმნო და უდროშო სამშობლოსთან –
 ტახტთან ერთად,
 მე ხომ ყველაფერი დამავიწყდა,
 რაც ცეცხლთან არის დაკავშირებული:
 სანთელი, კეცი, ცეცხლოვანი ტემპერამენტი,
 ამიტომ სულ იოლად მომკლეს,
 ელექტრონის ქსელიდან გამომრთეს...

ვინ მასწავლა?

სკოლაში ტკივილის მასწავლებლის
 შტატი არ იყო,
 ის კლასგარეშე ლიტერატურას მოყვა:
 ხელში, ვიღაც ქარაფშუტა ქალის
 შლეიფი ეჭირა, ვარდისფერი გოჭები,
 ყურებიდან გაფრენილი მუსიკის კუდი,
 იმდენი რამე, რომ სახელმძღვანელოში,
 ზეპირად ნასწავლმა, ბალახივით ხასხასა ადგილებმა
 ფერი დაკარგეს, ლაპარაკი
 ყელიდან სისხლისდენას გავდა
 მაყურებელიც და მსმენელიც
 ერთად უნდა ყოფილიყავი,
 მონაწილეც ამ მკაფიობის
 „აი იას“ ლოზუნგით?
 ქართულის მასწავლებლის გაზრდილი
 ბაჯალლო პათეტიკის ტრადიციებზე?
 რომელსაც საფლავიდანაც უკვირს,
 ვინ მასწავლა ტკივილის ატანა,
 იქნებ იმ ქალმა, ლურჯი ცის ზემოთ
 კიდევ, ვარდისფერ ცას რომ ხედავდა,
 თვალეზე ხელი ააფარეს
 და თავი მოიკლა...

ნიჰნისმოგება

აჰა, ჩაეშვი, ჩამოვარდი იშკილებიდან?
 ახლა ფეხსაც მოგაყოლებენ,
 ქვას, ქირქილს, მაინცდამაინც,
 ოქროს იარლიყების დარიგების დროს?
 შენივე ლექსები შეუშვი ვენაში
 და იკაიფე, სანამ, მართლა,
 მოგზვედრია ქვა და სისხლი გამოგსვლია,
 რომელიც მიკროსკოპის ქვეშ
 დუღილს იწყებს
 გენებში მელანქოლია, სათვალე,
 ინტელიგენტურობა,
 აბა, საიდან ეს დუღილი?
 შეიძლება, სიგიჟე ცოდნასავით შეიძინო,
 ან არეული გულისცემასავით?
 შენი ფოტოებიც
 მოციმციმე მაჯების პორტრეტებია,
 თუმცა, ხელები პირადობის მონუმობაში
 არ უნდა ჩანდეს
 სახე ჩაგიქრა?
 მაგრამ ეს არავის აღარ აინტერესებს,
 თქვენო მარტოობავ!

* * *

ზოგჯერ, ადამიანს ისე ეჩვევი,
 როგორც საგნებს, ან პურს,
 ყოველდღიურობას,
 ზოგჯერ, აღმოაჩენ და გარბიხარ,
 არ გინდა ჩვეულებრივი გახდეს,
 მე რომ შემხვდი,
 დანაშაულის გრძნობა მჭამდა,
 რასაც უცნაურობას ეძახდნენ,
 შენ კი წიგნები დაინახე ჩემს თავში,
 გადაშალე ერთი მათგანი
 და მოკლული პოეტი იპოვე,
 მერე კიდე და კიდეც,
 სამძიმარიც მითხარი,
 ძალიან მკვეთრი დღე მომაშუქე,
 თავმა, შეიძლება, თმით მოგხიბლოს,
 მზესთან შეთანხმებული პოზით,
 მაგრამ ენცეფალოგრამა არ იტყუება.
 ეს გინდოდა, სიმართლეში დარწმუნება,
 რომ, სასწრაფოდ, გეშველა თავისთვის,
 მაგრამ ვერ წახვედი, ველარ გაიქეცი...



თამუნა არდიშვილი

* * *

სად არის, დედა, ჩემი სახლი,
 მაყვლის ბარდებში ღობე ნაშალი,
 მზით გამთბარი დიდი ფანჯრები,
 ცანანვნივეი მუხები ლურჯი...
 სად არის სახლი
 მარადცოცხალი კუთხეებით,
 ბუხარში – ცეცხლი დაყურსული,
 ცეცხლთან სულელები,
 მათი უწონო ნაბიჯებით
 ამღერებული ფიცრის იატაკი

და აივნის ფრთა მოფარფატე,
 ველად გაჭრილი...
 ღამე – დიდრონი, მსუყე ვარდივით
 ნელსურნელი და მოელვარე,
 მოციმციმე ნამის წვეთებით
 ხავერდოვან და გრილ ფურცლებზე...
 სად არის სახლი,
 საიდანაც ღამე ღამეა,
 უმსუბუქესი ნამია დილა
 და ჰორიზონტი
 ათასი ფეთქვის,
 შეგრძნების,
 წვდომის
 იდუმალი ოკეანეა,
 სად არის სახლი,
 რომელშიც ერთხელ
 ვიცხოვრე უკვე...

დაბრუნება

იქ იწვა მამა,
 ერეოდა ნამთვრალევეს ძილი,
 აქ მე ვიდექი იდუმალ შუქთან,
 სტროფებს ვანერდი ფარდაგს ყვავილნარს,დედა ღი-
 ღინით კემსავდა ძველმანს
 და თბილი ქარი ებრძოდა ფანჯრებს.

* * *

რა დაგვემართა?!
 რად დაბრმავდა გრძნეული ღამე,
 ხელისცეცებით რად დაგვეძებს,
 როცა აქვე ვართ.

* * *

უმზეო ქვეყანაში,
 შავ, გლუვ სარკეში
 იდაყვამდე ჩავძირე ხელი
 და ხელისგულზე
 ჩემივე თავი მომეგლასუნა,
 როგორც თევზი,
 მოფართხალე დინების აღმა.

* * *

ვერშეცნობილო ტკივილებო,
 სიხარულის მხურვალეობას
 რომ გამიგრილებდით,
 ვერშეცნობილო მწვერვალეობო
 ჩემი გულის,
 ვერშეცნობილო გრძნობის ჭურჭლებო,
 ვერშეცნობილო გრძნობეო
 მათი ნაპირებიდან რომ გადმოსჩქეფდით,
 მზიდან მიწამდე და მიწიდან
 დედამიწის გულისგულში
 გამოტარებულ უხილავო ძაფეო,
 მე რომ მაოკებდით,
 გრძნეულო ობობეო, სევდით რომ
 დაბლანდეთ ჩემი ზვარე...
 მე აღარა ვარ,
 წყლის ბზარებივით გავიღვარე
 მრავალათას ურწმუნო ჭავლად
 და დროს, მდინარეს მივუერთდი
 ჩუმ შენაკადად...

* * *

შენი შეხება
 ალბათ აღარ მესანუკვრება,
 ასე დაღლილი და ფარატინა
 ნეტავი ვილას უნდა ვუყვარდე?
 შენს შუბლზე ღარებს
 უფრო მეტს ვამჩნევ,
 დავცარიელდით ერთმანეთისთვის
 და მტკივა ფიქრი, რომელიც მეგრძვის,

შენ ისევ მეტყვი, ისევ მომიცავ,
 ნეტავი ღამეს რად უნდა შუქი,
 ან ბაგეს თრობა და ჭიქით ძონი,
 როცა ბალღამი სულში ჩაიქცა.

* * *

საოცარია სხეულების მუსიკა ღამით
 და სანოლზე, როგორც ხონჩაზე
 გადაშლილი ქალის სხეული,
 უსასრულო და ნოყიერი.

* * *

ატორტმანებდა კოპიტებს ქარი,
 გადაევლო ველს და ლელიანს,
 შორს, ჰორიზონტზე ალისფრად ძგერდა
 ზეცის დიდი, სისხლჭარბი გული,
 უშველებელი, შავი ჩიტები
 ფრთების ელვარე სამართებლებით
 თითქოს სერავდნენ...
 თხელი ბეჭებით მომეყრდნო ქარი,
 გაბრუებული მიწის სურნელით.

* * *

სანამ მაბნევდა
 მე შენი მზერა,
 ვით ალის ენა
 დაცოცავდა შიშველ მკლავებზე,
 სანამ კისერზე მასრესდი ბაგეს...
 იცოდი ნეტავ,
 ვით შავი ღვინით გრძელვება ჭიქას,
 როგორ მავსებდი ყოველი ღამით,
 ჩამოასხამდი ბნელს და მთრთოლვარეს,
 ვით სატყუარას
 მოტივტივეს მჩუქნიდი მთვარეს...
 მე ახლაც მასსოვს მისი სიგრილით
 დაორთქლილი ჩემი თვალები,
 როგორც მინა,
 საიდანაც სამყარო
 გაზაფხულის ნანვიმარ ბინდბუნდს
 წააგავს ხოლმე...

* * *

მიირთვი ხავინები
 ასი წლის წინანდელი,
 დააყოლე აქაფებული რძე
 და შეუდექი ბილიკს,

რომელიც სიცოცხლესავით გრძელა
და მასავით მოკლე,
ეს მთა კი
მწვანე აქლემის კუზია,
უშველებელი მწვანე აქლემის,
ჩემს სიზმარში რომ დააბოტებდა...

* * *

ამოიზიდა კვამლი ზეცაში,
პურის თბილ სურნელს
აფრქვევს ეს სახლი
და სარკმლის ბნელო
აციაგდა ნაღვერდალივით...
გაილო კარი,
სიმზურვალეს გამოყვა ვილაც,
დაუტია აჭირხლულ ძროხას,
ჭრელი ბოჩოლა
მიეზარდა ვარდისფერ ჯიქანს...
ფაფუკ ტლაპოში ჩამთბარა ალვა,
თითქოს ლოდინში ჩასთვლიმა წამით...

გეზათი

მტევანი ბროლი,
ცისარტყელა თითქოსდა ზეცის
წყლიან სიცისფრეს შეზავებული,
სახლში სიჩუმე, სველი ხის სუნი,
ყვავილებივით დახლეჩილი ლურჯი ლედვები,
ციცქნა თევზების სამფლობელო – მდინარე
წყვია,
რა ერქვა იმ გიჟს
ხის ქვეშ რომ მოკვდა?!
ჰოო, ექვთიმია,
გახვრეტილი, დიდი ვედროთი
ვარსკვლავებს რომ იჭერდა წყალში...

* * *

წითელი სურო,
მოლუდლუდე,
გულგახეთქილ,
დამეხილ ხეზე,
ვით ხის შიგანი
გადმოყრილი,
წითელი სურო
დალორთხია სველ,
პირშავ მინას...
ეს ანბანია
სამწუხარო მშვენიერების,

დავტკბეთ, რადგანაც
ალარ დაგვრჩა
სხვა სასწაული
სიმახინჯეში
სილამაზის ძიების გარდა...

* * *

როგორ მწყურია
ხანდახან მაინც
დანაფება შემწევედეს მისი,
ვინც აღარა ხარ,
თავბრუსმხვევი ტრიალი გრძნობის
სიგიჟეა, რომელიც მოდის
ერთხელ და ტოვებს
განძარცულ ვნებას,
დატანებული რომ აღარა აქვს
მზის ნაზი სხივი,
ვით სანთელს გული...

* * *

დაიჭიხვინა ცხენმა
და ექომ
გადაუარა მთის წითელ კორტოხს
და მზის ბორჯღალი
ეფლობოდა ღრუბლის ნამქერში,
მენამულ ოქროდ
დაგრაგნილი გრძელი უსტარი
ინვოდა ცაზე
ნაუკითხავად.

* * *

ხანდახან მიყვარს
ჩემი სიცოცხლე
ჩირალდანივით როცა ინთება,
თუნდაც მყისიერ,
სანამ გაუძღვებს
ბედისწერის უამურ ქროლვას,
თითქოს საკუთარ უძღურებას
ამოინივლებს ალისფრად ცეცხლი,
ჩამომექცევა ბასრ ნამსხვრევებად
ცის მძიმე თალი
და მშიშარა ხორცსაც ჩამათლის.

* * *

დადუმებულან თვალების
ვრცელი მინდორ-ველები,
ვით ქარიშხლის წინ
ნიავიც კი ჩაყურებულა

პოეზია

და ნისლის ზოლი
 გასდევს საღამოს,
 როგორც ზღვარი
 რუხი, სოველი,
 რომელზეც ზეცა
 უძღურებით ჩამოღვენილა,
 შერეგია მინის სიჩუმეს.

* * *

გარეთ თავსხმაა,
 აბუყბუყებს მღვრიე გუბეებს,
 ჩემს სანოლზე კი
 უფერყვავილო და უფოთლებო
 ბალახის ღერო ამოწვერილა
 და აბაჟური მწვანე, ფათალო
 გაოცებული თავზე დასცქერის...

* * *

თმის ზვირთი ღამეს შეერია,
 შეესისხლხორცა
 და თეთრი მხარი
 ამოცურდა თითქოს წყვილიადში,

ამოიბურცა, როგორც კონცხი
 გამთბარი მზისგან...
 თავდაპირველად
 ნამიანი შუბლი შეეხო,
 მერე ტუჩები,
 გლუვი სითეთრე დაიფარა
 სველი ტალღების ნამცვრევი ოფლით...

* * *

კი არ ვიციანი,
 გაიბზარა ბაგის ფურცელი,
 ბეჭები მტკივა,
 მკერდი უკვე გვალვამ გააპო,
 გადაბუგულა სისხლის ყანები...

* * *

ჩემი გული ხიდია შენამდე,
 რომელსაც განუწყვეტლივ ვამთვლებ,
 რადგან ქვემოთ აქაფებული
 მდინარე მოქუხს...

პირველი შთაბეჭდილება

სივართლის შესაფერისი ტონალობა

თამუნა არდიშვილის სახელი თავდაპირველად გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გახშირდა. ჩემი უკეთ-ლიშობილესი მეგობარი ბორენა ჯაჭვლიანი, ვისაც თავის დროზე ამ გაზეთის პოეზიის განყოფილება ებარა, იოლად არავის არაფერს მოუწონებდა და სრულიად შეუვალი იყო ჯიუტად ფეხადგმული და რედაქციებში მოლანლანე უნი-ჭობისადმი. კომპლიმენტს ძნელად თუ გამოსტყუებდი, რადგან თითქოს კანით გრძნობდა, სად, რომელი სტრი-ქონში ფეთქავდა ცოცხალი პოეზიის უყუჩარი ნერვი.

თამუნასთან დაკავშირებით კი უჩვეულო „გულუხვო-ბა“ გამოიჩინა და მის ლექსებს ღამის ერთი გვერდი და-უთმო. ეს უკვე ახალგაზრდა კოლეგის ისეთ აღიარებას ნიშნავდა, რაც რამდენიმე მართლაც გამორჩეულ ადამი-ანს თუ ელირსებოდა.

მაშინაც მივხვდი და ამ პუბლიკაციამ იმდღევანდელი აზრში კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ბორენას კეთილ-განწყობა უპირველასად თამუნა არდიშვილის არაჩვეუ-

ლებრივ სიხალასეს გამოეწვია. ამ ლექსების ღირსება ბავ-შეური უშუალობაა, რამაც ავტორი იმ დროსაც კი გაჯე-რებს, როცა ამკარად გეთამაშება ან სურს, შენ წინაშე ქა-ლურად იკეკლუცოს.

თამუნა არდიშვილი მართალი პოეტიკა, მაგრამ მისი მთავარი დამსახურება თუ ლიტერატურული ტალანტი ისაა, რომ ამ სიმართლეს ადეკვატური ფომა და ტონალო-ბა მოუძებნა.

რამდენადაც ვიცი, მსახიობების სამუშაო ტერმინია „მჯერა“ ან „არა მჯერა“. ზოგჯერ ისე ხდება, რომ არტი-სტი თავის საქმეს დიდებულად გააკეთებს, ყველა რემარ-კა, ყველა გრიმასა დამუშავებული და ერთი შეხედვით თა-ვის ადგილზეა, მაგრამ მაინც არა გჯერა მისი, რადგან ამ ოსტატობას რალაცა აკლია, შიგნიდან წამოსული ნიჭი და გიზგიზი. ხოლო ზოგჯერ პირიქითაც ხდება: ადამიანს სადღაც ოსტატობა ღალატობს, მაგრამ მისი თამაში ბევ-რად უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ოსტატობის ხარჯზე მიღწეული პროფესიონალიზმი.

არ ვიცი, ჩემი განწყობა, რამდენად ზუსტად გადმოვე-ცი, მაგრამ მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ მე მჯერა თამუნა არდიშვილის, რომლის ლექსების ნაკითხვამაც ადამიანური სიხალასის უღრმეს შრეებში ჩამაბრუნა და სამყარო ახალი, დაუბინდველი თვალეებით დამანახვა.

გიორგი ლოჟანიძე

დმიტრი მერუჟკოვსკი

დიონისეს უკანასკნელი მოციქულნი

*

**ფრაგმენტი თხზულებიდან
„ქრისტი და ანტიქრისტი რუსულ
ლიტერატურაში. ლ. ტოლსტოი და დოსტოევისკი“**

დღეს ევროპაში ძალზე ხშირია ქრისტიანობის ბუდიზმთან აღრევის შემთხვევები. არადა, მგონი, ამათზე უფრო შეუთავსებელი რელიგიები ძნელად თუ მოიძებნება.

ქრისტიანობა ორი საწყისის – ცენტრიდანულისა და ცენტრისკენულის – საბოლოო ურთიერთშერწყმას; ბუდიზმი, პირიქით, – ამ საწყისთა საბოლოო განცალკევება: აქ ერთობა იმით მიიღწევა, რომ ცენტრისკენული საწყისი სრულებით ანადგურებს ცენტრიდანულს, – „მე“-ს საწყისს შთანთქავს „არა-მე“-ს საწყისი. ქრისტიანობაში სიცოცხლეცა და სიკვდილიც აღდგომას ემსახურება; ბუდიზმში სიცოცხლეცა სიკვდილისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის აღდგომის გარეშე. ქრისტიანობა უარყოფს მინიერს, როგორც რეალობას, მაგრამ აღიარებს მას, როგორც სიმბოლურს, როგორც მომასწავებელს ჭეშმარიტი რეალობისა; ბუდიზმში უარყოფა თვითვე იქცა ერთადერთ რეალობად. ქრისტიანობაში მარადი დასტური ერწყმის მარად უარყოფას: „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“, – ნება ჩვენი ზეციური მამისა აერთიანებს ზეცას მიწასთან, ერთმანეთს უტოლებს ზეცასა და მიწას; ბუდიზმში ზეცა შთანთქავს და ანადგურებს მიწას და, აი, – აღარც მიწა და აღარც რაიმე, გარდა ზეცისა, „მაგრამ უკვე აღარც ზეცაა, ყოველივე გაქრა, არის მხოლოდ დუმილი, სიმშვიდე“, – მაშასადამე განადგურება, არყოფნა, ნირვანა, – ტოლსტოისეული საზარელი „აღდგომა“ და... „დიდება ბუდას!“

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც ერთი შეხედვით ლევ ტოლსტოის სრულ ანტიპოდად გვეჩვენება, თავის „ანტიქრისტიში“ ზუსტად ასევე ურევს ქრისტიანობას ბუდიზმში. ქრისტიანობისა და ბუდიზმის თითქოსდა მსგავსი ფსიქოლოგიური ელფერის მიზეზს ნიცშე ჭვრეტს იმაში, რასაც ორივე რელიგიისათვის დამახასიათებელ განადგურების სწრაფვას უწოდებს, ესაა არარას წადილი – „Wille zum Nichts“. იგი ამტკიცებს ადამიანის პიროვნების უპირატესობას უპიროვნო საწყისზე და სწორედ ამ საფუძველზე უარყოფს ქრისტიანობას, როგორც ყველაზე საშიშ და დახვეწილ „ნიჰილიზმს“, „გადაგვარების“, „დაღმავლობის“, „დეკადანსის“ ჯერარგაგონილ მომწამვლელ სენს. ლევ ტოლსტოი კი უარყოფს ადამიანურ პიროვნებას და უპიროვნოს ადიდებას, – მაშასადამე

აღიარებს სწორედ ამავე ვითომდა ქრისტიანულ, სინამდვილეში კი ბუდისტურ ნიჰილიზმს, როგორც ერთადერთ სხნას. აი, ამაში, – იქნებ უმთავრესშიც – ქრისტიანობის უდიდესი მომხრე და უდიდესი მტერი, ქრისტეს მქადაგებელი და ანტიქრისტეს მოციქული, ლევ ტოლსტოი და ნიცშე გასაოცრად ეთანხმებიან ერთმანეთს: იქნებ იმის გამო, რომ ლევ ტოლსტოის მიერ ქრისტიანობის აღიარება და ნიცშეს მიერ მისი უარყოფა სიღრმისეულად ერთი და იმავე წყაროდან მოდის: ეს წყაროა ერთ შემთხვევაში გაცნობიერებული, მეორეში – გაუცნობიერებელი უარყოფა ქრისტეს მოძღვრების იმ არსისა, იმ უხილავი ღერძისა, რომელსაც უჭირავს ყოველივე, რის გარშემოც ყოველივე მოძრაობს, – იმის, რასაც გვამცნობს ქრისტიანობის გარეთ ყველგან არარსებული სიმბოლო: „მე და მამა ერთი ვართ“.

ნიცშეც და ლევ ტოლსტოიც ისე ახლოს იყვნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ისე ახლოს ყოფილიყვნენ ქრისტესთან, რომ ძნელი სათქმელია, თუ რომელი უარყოფა უფრო მკრეხელურია: ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი.

[...]

...ნიცშე, – ვინაც ასე მძაფრად განიცდიდა თავის მარტოობას მსოფლიო ლიტერატურაში, ასე დიდად აფასებდა ამ მარტოობას და ასე მკაცრი იყო მოკავშირეთა აღიარებისას, – თავის თითოეულ ნინამორბედთა რიცხვში შემთხვევით როდი ახვედრებს ერთმანეთს მაკიაველისა და დოსტოევისკის (ამ „ღრმა ადამიანს“, – „dieser tiefe Mensch“ – „ერთადერთ ფსიქოლოგს, ვისგანაც რაიმე მისწავლია“ – „einzigem Psychologen, bei dem ich etwas zu lernen hatte“, *Götterdämmerung*, 1899, გვ. 158) – დოსტოევისკის, ცხადია, ამათივე შეგნებულ დასკვნათა გამო კი არ აფასებს, არამედ მხოლოდ პიროვნული საწყისის ისეთ მატარებელთა მხატვრული ასახვისათვის, როგორებიც ივანე კარამაზოვი და რასკოლნიკოვი არიან. ნიცშესთვისაც ხომ ამოსავალი რეალური ცხოვრებაა, ის მთელი არსებით ცხოვრებისკენა მიმართული, – ამას ჩვენ საკუთარი გულისა და გონების გამოცდილება გვასწავლის. როგორც უნდა იყოს მისი მოძღვრების ღირებულება, ცხადზე ცხადია, რომ ნიცშეს თვალი უნდა გაფუსნოროთ არა როგორც რალაც მკვდარსა და განყენებულს, არამედ როგორც ღრმა ცხოვრებისეულ ისტორიულ ძალას, როგორც დადებით თუ უარყოფით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაინც ცოცხალ გამოვლინებას „ცოცხალი პროცესისა“.

მაკიაველის „მონარქი“, რასკოლნიკოვის „მბრძანებელი“, ნიცშეს „ზეკაცი“, – აი, ზეალმავალი საფეხურები სრულიად სხვაგვარი, დამანგრეველად შემოქმედებითი, შეუპოვრად მუამბოხე არისტოკრატიზმისა, რომელიც ჩვეულებრივი არისტოკრატიზმისაგან განსხვავებით, წარსულისკენ კი არა, – მომავლისკენაა მიმართული და თავისი შეუპოვრობით ნებისმიერ დემოკრატას აღემატება; ეს, როგორც ჩანს, სწორედ ის არისტოკრატიზმია, დღემდე მომხდარ ყოველ სულიერ-ესთეტიკურ რენესანსს რომ ახასიათებს.

მაშასადამე, თუკი რასკოლნიკოვმა მართლაც „სოციალისტთა შეხედულებებით“ დაიწყო, ბოლოს და ბოლოს მივიდა ამ შეხედულების სრულიად საპირისპირო იდეასთან: უთანასწორობა, როგორც ნებისმიერ ადამიანურ საზოგად-

დოებში მოქმედი უმკაცრესი „ბუნების კანონი“. ამ ბუნებრივ უთანასწორობას მსოფლიო-ისტორიული წინსვლა არამცთუ არ აუქმებს, – აღრმავებს კიდევ: კაცობრიობა თითქოსდა ორად გაიზო და ველარასოდეს გამრთელდება. ერთი ადამიანი მეორეს მხეცად ევლინება, ანდა ღმერთად, – ყოველ შემთხვევაში, არა ძმად, არა მოყვასად. კვლავაც ცხადდება ნიცშეს საზარელი სიტყვა: „კაცთა შორის უფრო მეტია სხვაობა, ვიდრე კაცსა და მხეცს შორისო“.

ამასთანავე ეს ყოველივე ნათელს ხდის, უკიდურესობებში მისული ანარქიის იდეა თუ როგორ უახლოვდება, მეტიც – ერწყმის მონარქიის იდეას: უკიდურეს თავისუფლებას, „კეთილისა და ბოროტის მიღმა“ მყოფ უკიდურეს განუკითხაობას გენიოსის ერთპიროვნულ ძალაუფლებამდე მიყვავართ, – ეს პლატონისეული რესპუბლიკის მცნება: „დაე, გამეფდეს გენიოსი“.

[...]


ნიცშეს გონებამ დასწყევლა, – ლევ ტოლსტოის გონებამ კი დალოცა უფლის პირველი ტანჯული სახე. მაგრამ ორთავეს არაცნობიერი სტიქია ერთნაირად მიელტვოდა ქრისტეს მეორე, ჯერაც დაბინდულ, დაფარულ სახეს. ლევ ტოლსტოის მხატვრული შემოქმედების კვლევისას დავინახეთ, რომ მისი არაცნობიერი სტიქია მხოლოდ „ცხოველური ღვთაებრიობის“ („ღვთის ქმნილების“) გავლით ჩანვდა „ღვთაებრივს ადამიანში“ – მხოლოდ „ღმერთი-მხეცის“ მიღმა განჭვრიტა „ღმერთკაცი“.

მისმა გონებამ უკუაგდო მხეცი, როგორც სახება ანტიქრისტესი. ლევ ტოლსტომ მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს ორი სახე ერთურთის საპირისპიროა და, ნიცშეს მსგავსად, ვერც მას წარმოედგინა, რომ წინააღმდეგობის შერიგება შესაძლებელია საპირისპირო სანყისთა სიმბოლური ურთიერთშერწყმით. ნიცშეს არაცნობიერი ბუნება ზუსტად ასევე მიელტვოდა ღვთის მეორე სახებას, რომელიც მის გონებას წარმართ ღვთაებად – დიონისედ – ანდა ანტიქრისტედ გამოეცხადა. ნიცშე საკუთარ თავს „ფილოსოფოს დიონისეს უკანასკნელ მოციქულად“ აცხადებდა, მაგრამ ერთ რამეს ვერა და ვერ ჩანვდა, ან იქნებ არ სურდა ჩანვდომოდა, იქნებ განგებ იბრმავებდა თავს, რათა არ ეხილა მეტად შემზარავი და იდუმალი კავშირი დიონისესი, – ტრაგიკული უსასოობის, ღვინის და სისხლის ამ ღმერთის, საკუთარ სისხლს ღვინოსავით რომ ღვრიდა კაცთა წყურვილის მოსაკლავად, – კავშირი-მეთქი დიონისესი მასთან, ვისაც „დიონისეს უკანასკნელი მოციქული“ იქნებ იმიტომაც უარყოფდა ამგვარი გზებით, რომ მის წინაშე საკუთარ უსუსურობას გრძნობდა, – მასთან, ვინც თქვა: მე ვარ ვაზი ქემშარიტებისა, და მამა ჩემი მევენახეა. ვისაც გწყურიათ, მოღლით ჩემთან და შესვით. თუ ჩაფიქრებია ოდესმე ნიცშე

ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ლეგენდას, ქრისტესა და ანტიქრისტეს სახეთა მსგავსებას რომ გვაუწყებს, – მსგავსებას, რომლის მეოხებითაც, და მხოლოდ ამით, ძალუძს ანტიქრისტეს ხალხის ცდუნება? თუკი მას ოდესმე უფიქრია ამის შესახებ, ეს უსათუოდ იქნებოდა ერთი იმ უფსკრულში გატყორცნილ ფიქრთაგანი, მისი შემოღობა რომ დაბადა. უკვე სიგიჟის ზღვარზე, გრძნულ ბოდვაში, შემთხვევით როდი უნოდა მან საკუთარ თავს უკვე არა უბრალოდ უკანასკნელი მოციქული, ქურუმი და ზვარაკი დიონისესი, არამედ თვით „ჯვარცმული დიონისე“, „der gekreuzigte Dionysos“. სწორედ გონებისა და არაცნობიერი სტიქიის ამ დაპირისპირებამ წარმოშვა როგორც ნიცშეს, ისე ლევ ტოლსტოის ტრაგედია, – იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ პირველთან უსინათლო და ნათელმჭვრეტელი არაცნობიერი სტიქია გონებას დაუპირისპირდა, მეორესთან კი პირიქით, – გონება აუმხედრდა არაცნობიერ სტიქიას.

[...]

„Bleibt mir der Erde treu, meine Brüder, mit der Macht eurer Tugend!“, – „მინას უერთგულეთ, ძმანო ჩემნო, მთელი თქვენი სათნოებით! თქვენი სიყვარული და წვდომა მსხვერპლად შესწირეთ საზრისს მინიერს!“ – ასე ამბობს ზარატუსტრა. დღემდე სწორედ ეს მიგვაჩინდა ანტიქრისტეს უმძლავრეს სიტყვად, ქრისტეს შესამუსრად წარმოთქმულად, გვწამდა: ერთი მხრივ – ეს „საზრისი მინიერი“, მინისადმი ეს ერთგულება და საზრისი ზეციური, ზეცისადმი ერთგულება – მეორე მხრივ, ურთიერთს ისევე გამოიცხავს, როგორც ქემშარიტება აბათილებს სიცრუეს. ჩვენ ვენდეთ ლევ ტოლსტოისა და ნიცშეს, – მთელს ათასწლოვან ასკეტურ ქრისტიანობას, ვირწმუნეთ, რომ ღვთის სიყვარული, რომელსაც ქრისტე გვასწავლის, მინიერი არსებობის სრულ უარყოფას, მინის გამოხასა და სიძულვილს ნიშნავს. [...] მაგრამ შეხედეთ: დოსტოევსკი ჩანვდა ქრისტიანობის უდიდეს გამოცხადებას, რასაც ოდესმე შევსწრებოვართ რუსულ, – იქნებ მსოფლიო, – ლიტერატურაში. ის გვიბრძანებს, კი არ ვუღალატოთ მინას, არამედ ახალი, ჯერარნახული ერთგულებით ვემსახუროთ მას, ახალი გზებით ვემთხვიოთ. თურმე არამცთუ შეიძლება მსგავსად გიყვარდეს ზეცა და მინა, არამედ უფრო მეტიც: შეუძლებელია გიყვარდეს ისინი ერთურთისაგან განცალკევებით. მხოლოდ ერთად, ამბობს ქრისტე. ვიდრე ზეცა ან დედამიწა არასრულად გვიყვარს, ვიდრე მის უკიდურეს საზღვარს მივწვდებით, ლევ ტოლსტოისა და ნიცშეს მსგავსად გვეჩვენება, თითქოს ერთის სიყვარული მეორეს გამოიცხავდეს. უნდა შევიყვაროთ მინა ბოლომდე, – მინის უკიდურეს საზღვრამდე ანუ ზეცამდე. უნდა შევიყვაროთ ზეცა ბოლომდე, – ზეცის უმო-



იესოს გამოცხადება მხატვარი ალექსანდრ ივანოვი

რეს ნაპირამდე ანუ მიწამდე, და მაშინ ჩანვლებით, რომ ეს არა ორი, არამედ ერთი სიყვარულია, რომ ზეცა ჩამოდის მიწაზე, ეხვევა და ეამბორება მას როგორც მიჯნურს (სამყაროს ორი პოლუსი, ორი სქესი) და მიწაც გადაუხსნის მას თავის წიაღს: დოსტოევსკის სიტყვით, „იდუმალეა მიწიერი ერწყმის საიდუმლოს ზეციურს“. ამ „ურთიერთშერწყმაში“, ურთიერთგანზავებაში სწორედ მთელი დვრიტა – ისტორიული ქრისტიანობის თუ არა, მაშინ თვით ქრისტეს მოძღვრებისა. ხე სიცოცხლისა არამარტო სწვდება სპეტაკ ზეცას გაზაფხულის ნორჩი, „ნებოვანი ფოთლებით“, – მისი ფესვები დედა-მიწის უკუნით, ნოტიო, მარად დამბადებელ და მარად ვნებიან საშოშიც აღწევს. ვიდრე მიწა არ გამხდარა ზეციური, ის კვლავ ძველ წარმართულ მიწადვე რჩება; ვიდრე ზეცა არ გამხდარა მიწიერი, ისიც ძველებურია და მხოლოდ მოგვაჩვენებს თავს ქრისტიანულად. მაგრამ იქნება „ახალი მიწა და ახალი ზეცა“: მამასა-დამე, იქნება მიწიერი ზეცა და ზეციური მიწა. „მოვედინ სუფევა შენი; იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“. არა მხოლოდ ცათა შინა, არამედ აგრეთვე ქვეყანასა ზედა. დაე, შენმა ნებამ შეაუღლოს ზეცა მიწასთან და აქციოს უკვე არა ორად, არამედ ერთად, ისევე, როგორც „მე და მამა ერთი ვართ“. ესაა მართლი ქრისტეს მოძღვრებისა. მხოლოდ წყლით მონათლულნი ამას ვერ ჩავენვდით და ახლავა ბუნდოვნად გვხვდებით იმას, რომ თურმე ვერაფერი გაგვიგია ქრისტეს მოძღვრებაში...

[...]

ამ ორიდან თითოეულმა საკუთარი ცხოვრებით ხორცი შეასხა სწორედ იმას, რაც მეორეს ასე აკრთობდა და იზიდავდა: ლევ ტოლსტოიმ – არაქრისტიანულ სინშიდეს, ნიცმემ – არანარმართულს. ნიცმეს სიკვდილი, ლევ ტოლსტოის უკვდავება, ცოცხლად სიკვდილი და ცოცხლად გაუკვდავება: – ყოველივე ეს აღსრულდა ჩვენს თვალწინ, შემოგვალადებდა, ითხოვდა ჩვენგან წვდომას, ჩვენ კი ვერ ჩავწვდით, – მგონი, ვერასოდეს ჩავწვდებით.

რაც მეტად საპირისპირონი არიან, მით მეტია მათში თანხმობა, მსგავსება. ორივე არა მხოლოდ მსგავსად განუდგა ქრისტეს, არამედ მსგავსადვე მიელტვოდა არა ისტორიულ ქრისტიანობას, არამედ ჭეშმარიტ მოძღვრებას ქრისტესას, – მათი რელიგიური გზების ცალკეულ წერტილებში მაინც: ლევ ტოლსტოი – ძია ეროშკასა და პლატონ კარატაევის მიერ განსხეულებული თავისი არაცნობიერი სტიქიით (ეს უკანასკნელი პერსონაჟი ამბობს: „ცოდვა არ არსებობს, ყოველივე კაცთა სასიხარულოდ გაუჩენია ღმერთს“); ნიცმე – თავისი რელიგიური ცნობიერების იმ უკიდურეს შემზარავ ზღვარზე, რომლის მიღმაც უფსკრული იყო. „მორ ფატი – ბედისწერის სიყვარული: აი, ჩემი უშინაგანესი არსიო“, – ამბობს ნიცმე „კერპთა დაბნელებაში“. განა ეს არ არის სხვა სიტყვებით გამოთქმული: „მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა, ამცდეს ეს სასმისი; თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენ.“ განა „ბედისწერის სიყვარული“ არ არის უკანასკნელი და უდიდესი ტრაგედიის გმირის „უშინაგანესი არსი“ – ძის მიერ მამის სიყვარული?

აქ ფრიდრიხ ნიცმეს მხოლოდ თმის წვერილა აშორებს დოსტოევსკისაგან, როგორც ძია ეროშკას, – რომელიც თავისებურად ჩანვდა, რომ „ყოველივე კეთილია“ და შეიყ-

ვარა ყოველივე ბუნებრივი და აუცილებელი, – ზოსიმე ხუცესისაგან.

როგორ ვერ ჩანვდა ამას თვითონ ნიცმე? რად ვერ შეიგრძნო ყურძნის მტევანთა სურნელი, სურნელი დიონისეს სისხლისა, იმ იდუმალი სერობისას, როცა სისხლად იქცა „ღვინო ახალი, ჯერ არნახული სიხარულისა“? „დიონისეს უკანასკნელმა მოციქულმა“ რად ვერ ამოიცნო მოძღვარი ამ დაბინდული, მაგრამ უკვე ახალი შუქით განათებული, გამჭვირვალეული, უკვე თითქმის ჩამოხდილი ნიღბის მიღმა? [...] მართლაც ვერ იცნო, თუ არ ისურვა, თავი მოიტყუა და ჩვენც გაგვებითურა? ამ საბოლოო ამოცნობასა და შეცნობას ხომ არ გაექცა სიგიჟეში, სწორედ ამიტომ ხომ არ დაიმარხა თავი ცოცხლად? სამუდამოდ დაღუმდა, რათა არ წამოსცდენოდა: შენ გაიმარჯვე, გალილეელო! თუმცა, თუკი საკუთარი თავის გაბითურება შეძლო, ჩვენ მაინც ვერ დაგვიმალა ეს საიდუმლო: ჩვენ უკვე თითქმის მივხვდით, თითქმის ვიცით, რომელი „დიონისეს“ მოციქულია ზარატუსტრა, რომელი „მარად დაბრუნების“ (Widerkunft), რომელი მეორედ მოსვლის განმცხადებლად და ნინასწარმეტყველად გამოგვეცხადა თავისდაუნებურად.

ნიცმეს ლევ ტოლსტოისთვის და ლევ ტოლსტოის ნიცმესთვის შეეძლო ეთქვა იგივე სიტყვები, რასაც ალიოშა ეუბნება თავის „საპირისპირო ტყუპისცალს“, ივანეს: „კარგა ხანია მეჩვენება, რომ შენი საქმის ნახევარი უკვე შეასრულე, ნახევარს მიაღწიე; ახლა მეორე ნახევარზე უნდა იზრუნო და გადარჩენილი ხარ“. ვერავინ იხსნიდა ნიცმეს თავად ნიცმესგან, იმ შემზარავი ორეულისაგან, ზმანებებში რომ ეცხადებოდა, – ვერავინ, გარდა გაუცნობიერებლად, გველივით ბრძენი და მტრედევით უბრალო ძია ეროშკასი. ვერავინ იხსნიდა ლევ ტოლსტოის ლევ ტოლსტოისაგან, იმ ქრისტიანი ვამპირისა და მაქციას, ხუცესი აკიმისაგან, ძია ეროშკას სისხლი რომ გამოსწოვა, – ვერავინ, გარდა მზესავით გასხივოსნებული, ყველა აჩრდილის შემმუსვრელი, აპოლონური ცნობიერებით აღჭურვილი ზარატუსტრასი. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო ტყუპისცალი დაფარულად, მისტიკურ-რეალურად, უნებურად მიელტვოდნენ ერთურთს, ნატრობდნენ შერწყმას ორად გახლეჩილი რალაც არსების ნაწილებივით, – და იქნებ ის, რაც ამით გამრთელდებოდა, ჩვენივე „უშინაგანესი არსია“, ჩვენი მომავალი სული, რომლის მოახლოებულ სუნთქვასაც უკვე შეიგრძნობთ?

[...]

ჩვენს თვალწინ ჩვენი გაპოზილი სულის ორმა ნახევარმა ხორცი შეისხა ნიცმესა და ლევ ტოლსტოიში, მაგრამ ვიდრე ამის მომსწრენი გავხდებოდით, დოსტოევსკი მთელი სიცოცხლე დაატარებდა საკუთარ თავში ამ გაორებას, მხოლოდ მასზე ფიქრობდა, მხოლოდ მისით იტანჯებოდა.

[...]

დოსტოევსკი სრულებით არ იცნობდა ნიცმეს, სახელიც კი არ გაუგია მისი, არადა „კარამაზოვების“ დასრულებისა და დოსტოევსკის სიკვდილიდან მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ დაიბადა და მონახაზის სახით იქნა ჩანერილი „ზარატუსტრას“ ჩანაფიქრი. ამგვარად, ნიცმესა და დოსტოევსკის უდიდესი უკანასკნელი ნაწარმოებები დროს თითქმის ერთხვევა ერთიმეორეს. ნიცმე ღრმად განიცდიდა დოსტოევსკისთან სიახლოვეს, მის გავლენას გრძნობდა და ეს არც დაუმაღავს; არსებითად კი ცუდად

იცნობდა მის შემოქმედებას, – მხოლოდ ცუდ თარგმანებში (თუმცა კარგი არც არსებობს), – ბევრი რამ კი, თანაც ძალზე მნიშვნელოვანი, საერთოდ არ უნახავს. უეჭველია, რომ ნიცშეს არასოდეს მიუბაძავს დოსტოვესკისათვის, არ გაუმეორებია მისი სიტყვები; არადა მრავლად მოინახება მათ შორის თანხვედრა, დამთხვევა, თითქმის სიტყვასიტყვით გამეორება; ეს არამხოლოდ მსგავსი ფიქრებია, – ყველაზე იდუმალი, რაშიც საკუთარ თავსაც კი ვერ უტყდებიან, – არამედ თითქმის მსგავსი სიტყვებიც, ორი მსგავსი ხმის ერთხმოვანება. თითქოს ფარულად მიაყურადეს ერთი მეორესო, ანდა პირი შეიკრეს და, აი, უცაბედად ერთ-ერთმა გათქვა თავისი მოკავშირე. სასწაულები არ არსებობს, მაგრამ განა ეს სასწაული არაა, – ცოცხალი სასწაული ისტორიისა? განა დროის სული არ გვესაუბრება აქ ერთსა და იმავეზე სამყაროს ორ სხვადასხვა ნაპირას?

[...]

ნიცშეს უღრმესი კავშირი დოსტოვესკისთან ცხადდება კირილოვში, რომელმაც თითქოსდა წინასწარ განჭრიტა ნიცშეს უმთავრესი რელიგიური აზრი „ზეკაცის“ შესახებ: ის, რითაც „ზეკაცის“ აღიარება უკავშირდება ღმერთკაცის უარყოფას, არის უარყოფა მთელი ქრისტიანობისათვის აუცილებელი სასწაულისა, – მკვდრეთით აღმდგარი ხორცის სასწაულის; ეს ის უარყოფაა, იულიანე განდგომილის მკრეხელური სიტყვით, ქრისტეს მხოლოდ „მკვდარ იუდეველად“ რომ გადააქცევს.

[...]

„Gott wurde Spinne“, „ღმერთი იქცა ობობად“, – ამბობს ნიცშე „ანტიქრისტიში“ ზოგადად მეტაფიზიკის და კერძოდ სპინოზას თაობაზე. [...] როდესაც ივანე ილიჩი „ფართხალებს შავ ტომარაში, სადაც უხილავმა, უძლეველმა ძალამ ჩააყუდა“, იბრძვის, ჯალათის მკლავებში მომწყვედი ული მსხვერპლივით, ჩვენ კვლავაც გველანდება ეს უსახური, უსქესო რამ, ეს ობობა, ბადემი აფართხალებულ ბუზს სისხლს რომ სწოვს.

ნუთუ ეს ჩვენი ღმერთია? ნუთუ ეს საერთოდ ღმერთია?

ქრისტიანობა, თუმცა გაუცნობიერებლად, მაინც ისე ღრმად გვაქვს შესისხლბორცებული, თვით ყველაზე ურწმუნოთ და მემამბოხეთ ისე ღრმად გვიდევს გულში ეს ბავშვური ლოცვა, მამაო ჩვენო, რომ ვერაფრით წარმოვიდგენთ, ღმერთთან ამგვარი მიმართება, ჩვენ რომ რელიგიის უდიდეს უარყოფად, ყველაზე გონჯ მკრეხელობად წარმოვიდგება, ოდესღაც, ქრისტიანობამდე, თუ მართლაც ყოველი რელიგიის დვრიტას შეადგენდა.

ქრისტიანობაში „ღმერთი სიყვარულია“; „სრულყოფილი სიყვარული განდევნის შიშს“; მაგრამ, აი, რატომ არის, რომ ახლაც, ქრისტეს შემდგომაც „საზარელია, ცოცხალი ღმრთის სასჯელი“? ქრისტეს შემდგომაც ასეა: ღმერთი მხოლოდ სიყვარული კი არა, ძრწოლაცაა. არადა, ღვთის წინაშე სწორედ ამ ძრწოლის საბოლოოდ დასამარცხებლად დაიღვარა სისხლიანი ოფლის ის წვეთები ქვის სასროლზე აღვლენილი ლოცვისას: „მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა, ამცდეს ეს სასმისი; თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენ“. ამ ლოცვის შემდეგ, მამის ნების აღსრულების შემდეგ რაღას უნდა ნიშნავდეს ძის ეს ყვირილი, აღმოხდენილი თითქოს უკიდურესი შიშისა და მარ-

ტობის ჟამს: „ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რატომ მიმატოვე მე?“ დიახ, ქრისტე რომ არ აღმდგარიყო, მაშინ მიწაზე წარმოთქმული ეს მისი უკანასკნელი სიტყვები – „რატომ მიმატოვე მე?“ – მართლაც გადასწონიდა, გააცამტვერებდა ყველა მის დანარჩენ სიტყვას, მთელ სახარებას. რომ არ აღმდგარიყო, მართლაც ამაო იქნებოდა ჩვენი რწმენა. ანკი როგორ ვირწმუნეთ, რომ ეს „მკვდარი სხეული“ აღდგება? აი, ამ ძრწოლას ვერკინებით დღესაც სისხლიანი ოფლში განურულნი და ისევ და ისევ უსასრულოდ ვახდენთ აღდგომის სასწაულს საკუთარ გულებში, უფლის იმ სიტყვისამებრ, რომელიც თვითვეა ამ სასწაულის გასაღები: „ნეტარ არიან, ვისაც არ ვუხილივარ და მინც მინამეს“. ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ გვენამს. ჩვენ არ გვსურს ვიხილოთ, რათა ვინამოთ: გვსურს ვინამოთ, რათა ვიხილოთ.

[...]

რაგინდ დაჟინებით უარვყოთ ქრისტე, მაინც მის მოწაფეებად ვრჩებით ისე, რომ თვითონაც არ ვუნწყით. რაც უნდა ვთქვათ, რაც უნდა მოვიმოქმედოთ, ველარასოდეს დავივიწყებთ იმ ჩვენს უპირველეს ბავშვურ რელიგიურ განცხადებას: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“. ამან ერთხელ და სამუდამოდ განგმირა ჩვენი გული და მოუშუშებელ ჭრილობად დაგვრჩა. ვერასოდეს ამოვიგლეჯთ გულებიდან ამ სიყვარულის ნესტარს, – ამას გვირჩევნია გული ამოვიგლეჯოთ. ამ სიყვარულით დავიბადეთ, ამ სიყვარულითვე მოვკვდებით. ველარასოდეს შევუბრუნდებით კვლავ ვერც წარმართობას, ვერც ისრაელს, ეს თვალთმაქცობა და თავის მოტყუება იქნება მხოლოდ. უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. შეგვიძლია მხოლოდ წინ ვიაროთ, ანდა ერთ ადგილას გავჩერდეთ, თუმცა ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ძნელია. ათასგზის უმჯობესია ჩვენთვის გულწრფელი უღმერთობა, ვიდრე ქრისტიანობა ქრისტეს გარეშე, ქრისტიანობის ნიღაბს ამოფარებული წარმართობა, როგორც ლევ ტოლსტოისთან, ანდა წარმართობა დიონისეს ნიღბის მიღმა ვერამოცნობილი ქრისტიკით, წარმართობის ნიღაბაფარებული ქრისტიანობა, – როგორც ნიცშესთან. მოშურნე ღმერთი, რომელიც ამბობს: „...“ და ის ღმერთი, ძია ეროშკას რომ აძრწუნებს – „ნახევრად კაცი, ნახევრად ურჩხული“, – ანდა ის, დოსტოვესკის გმირებს შიშის ზარს რომ ჰგვრის, – ის ამაზრზენი ობობა, – ვერასოდეს იქნება ჩვენი ღმერთი.

[...]

კირილოვი ამბობს: „რამდენიც უნდა ვიფიქრო ამაზე, მაინც ვრწმუნდები: თავის ახლანდელ ფიზიკურ ყოფაში ადამიანი ვერაფრით ვერ გაძლებს უწინდელი ღმერთის გარეშე. ღმერთი სიკვდილის შიშის ტკივილია. ვინც ტკივილსა და შიშს დაძლევა, თვითვე იქცევა ღმერთად“. ადამიანი თავის ახლანდელ ფიზიკურ ყოფაში, ტკივილისა და სიკვდილის შიშით შეპყრობილი, ესაა ადამიანი-მხეცი, მონა ღმერთ-მხეცისა. ახალი, განთავისუფლებული ადამიანი, „ღმერთი განკაცებული“, ძე ღვთისა ახალი ხორციით შეიმოსება, – უტანჯველი, უკვდავი, უხრწნადი, „სიკვდილით სიკვდილისა მძლეველი“ ხორციით...

„საშინლად უბედური ვარ, იმიტომ, რომ ძალიან მეშინია“, აღიარებს კირილოვი. დიახ, ეს უდიდესი ტკივილია, უდიდესი შიშია, რაც კი ადამიანმა შეიძლება გამოსცადოს, – მაგრამ რასაც ვერ გაუძლებს. „თუკი ღმერთი არ არსე-

ესაინსტიკა

ბობს, მაშინ ღმერთი მე ვარ“; ვგრძნობთ, რომ შეუძლებელია ამ ორი აზრის შუალედში არ შეიშალო; რომ თუკი მათ მიიღებთ, მაშინ ჩვენი გონება, კირილოვისა და ნიცუმეს გონების მსგავსად, დაიფშვნება ნისქვილის ქვებს შორის მომწყვდეული მარცვალევით. სწორედ ამ უკიდურესი ტანჯვით, ამ უკანასკნელი ძრწოლით კირილოვი და ნიცუმე ყველაზე მეტად, – იქნებ თვით ზოსიმე ხუცესზე უფრო მეტადაც კი – მიუახლოვდნენ ქრისტეს! იმიტომაც იღუპებიან, რომ ვერ ჩანვდნენ ამ სიახლოვეს. ჰგონიათ, ამ გზას პირველები დავადექითო, არადა, ეს გზა ოდესღაც უკვე გამოვლილია. ერთხელ უკვე მოველინა ქვეყანას ისეთი კაცი, ეს ტანჯვა რომ იტვირთა, კიდევაც ბოლომე ზიდა და ამით საუკუნოდ გვიხსნა ამ ტანჯვისაგან. ეს კაცი ღმერთია, რამეთუ ის, ვინც კაცთაგან პირველმა თქვა, ღმერთი ვარო და ამას ბოლომდე გაუძლო კიდევ, ჭეშმარიტად ღმერთი იყო; და სწორედ ესაა მისი მოსვლის ღვთაებრივი სასწაული: ამას რომ გაუძლო მარტომ, ერთადერთმა, და

რომ მისი მსგავსი არასოდეს ყოფილა და არც იქნება. დი-ახ, მან გაუძლო ამას, თუმცაღა ვიცით, რომ მასაც კი სისხლიან ოფლად დაუჯდა ეს ძალისხმევა, ვიცით, რომ ისიც „საშინლად უბედური“ იყო, რადგან „ძალიან ეშინოდა“ და მისი სულიც „წუხდა, ვიდრე სიკვდილამდე“ .

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძე

- 1 ნიცუმე, „კერპთა დაბნელება“
- 2 ფრაზა „ძმები კარამაზოვებიდან“.
- 3 მათე, 26, 39.
- 4 „ძმები კარამაზოვები“.
- 5 დოსტოვესკის რომან „ემმაკნის“ პერსონაჟი.
- 6 ლევ ტოლსტოის მოთხრობიდან „ივანე ილიჩის სიკვდილი“.
- 7 იოანე, 20, 29.
- 8 მათე, 26:38

დაუპიწყარი სახელუბი

მერაბ ღაღანიძე

იოსიფ ბროდსკის ხსოვნას

ქვემოზე ეს კიზი იოსიფ ბროდსკის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიწერა, მისი გარდაცვალების გაგების შემდეგ, მისი პიროვნებისა და შემოქმედების გაგების სახელდახელო მცდელობის შედეგად. ამ სტრიქონებში, ჩანს, აისახა ადამიანური სევდაც პოეტის სიცოცხლის დასრულების გამო და ცნობიერი სურვილიც, რუსული თუ მსოფლიო პოეზიის კონტექსტში გააზრებულიყო გასრულებული პოეტური გზა. იმჟამად ამ ჩანაწერის დაბეჭდვა ველარ მოხერხდა, მერმე თითქოსდა საჭიროდ აღარ ჩანდა; როცა – რამდენიმე თვის წინათ – მისი გარდაცვალებიდან ათი წლისთავის თარიღი დადგა, მხოლოდ მაშინ ამოტივტივტივდა მახსოვრობაში ამ სტრიქონების არსებობა, მაგრამ გამოქვეყნება ამ თარიღისათვისაც ველარ მოესწრო... მივიჩნით, რომ საგანგებო საბაბის გარეშეც, გარდაცვალების ათი ან თუნდაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც იოსიფ ბროდსკის გახსენება, მისი ხსოვნის ნიშანდება და მისი პოეზიის წვდომა საჭირო და ნაყოფიერი იქნება.

თბილისი
30 ივნისი, 2006

ამ უკანასკნელი 200 წლის მანძილზე რუსეთს ერთ რამეში ამკარად გაუმართლა – უკვე ორი საუკუნეა რუსეთის სულიერი ჰორიზონტი ერთი წუთითაც არ დარჩენილა დიდი პოეტის გარეშე. და ასე გრძელდება დერჟავინისა და პუშკინის დროიდან, იმ დროიდან, როცა დერჟავინმა ქრესტომათიული შესტით გზა დაულოცა სულ ახალგაზრდა პუშკინს. მემკვიდრის პოვნა და მისთვის კალმის სიმბოლუ-

რი თუ არასიმბოლური გადაცემა რუსული პოეზიის ტრადიციას, მაგრამ პუშკინი რუსული კულტურის „ოქროს ხანა“, ხოლო როცა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში „ვერცხლის ხანა“ მთავრდებოდა და ბედისა და საბჭოთა გამყინვარების წყალობით მეგობრებშემოცლილი, ეულად დარჩენილი ანა ახმატოვა თავის უკანასკნელ, შავი ალმასივით მოელვარე შედეგებს ქმნიდა, თითქოს ყველაფერი იმას მეტყველებდა, რომ ნამდვილი რუსული პოეზია წყვეტდა თავის არსებობას. მაგრამ სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე უკვე მსოფლიო დიდებით მოსილმა და ნობელის პრემიის მომლოდინე ახმატოვამ მის ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდა მელექსებში პოეტი აღმოაჩინა – რუსულ პოეზიას, რუსულ ენას კიდევ ერთხელ ეძლეოდა საშუალება, თავისუფალი უნთქვის დინებას მიჰყოლოდა, სამყაროს ხატი ლექსის სტრიქონებში მოექცია, დროსა და ბედისწერასთან ისევ გაეგრძელებინა დიალოგი. როცა დიდებულმა და ბრძენმა ახმატოვამ 20 წლის იოსიფ ბროდსკის ლექსები წაიკითხა, მიხვდა, რომ სკოლადაუმთავრებელი ჭაბუკის რვეულები გენიალური პოეზიის საწინდარი იყო, როცა 25 წლის ბროდსკიმ ელიოტის სიკვდილს მიუძღვნა ლექსი, ახმატოვამ დაიჩვილა, რომ გულდანწყვეტილი იყო, რადგან თვითონ არ იყო ამ ლექსის ავტორი, ხოლო როცა საბჭოთა სასამართლომ სამარცხვინო და ბრიყვეული პროცესი გამართა ახალგაზრდა პოეტის წინააღმდეგ, ნიკოლაი გუმილიოვის ქვრივმა და მეოცე საუკუნის ყველა დიდი რუსი პოეტის ჭირისუფალმა ირონიულად შენიშნა, ხელისუფლება ზრუნავს მომავალი დიდი პოეტის დიდებულ ბიოგრაფიისათვისო. ახმატოვამ ბროდსკისთან შეხვედრისას მასში საკუთარი მემკვიდრე ან, უფრო ფართოდ, რუსული პოეზიის კანონიერი მემკვიდრე დაინახა.

იოსიფ ბროდსკის პოეზია, რომელიც 30 წლის განმავლობაში განუწყვეტილ, შეუჩერებლივ მიუყვებოდა სრულყოფილების აღმართს, თავის თავში მოიცავს ტრედიაკოვსკის სიმძიმეს, დერჟავინის ოდურობას, პუშკინის გამჭვირვალობას, ლერმონტოვის ირონიულობას, ტიუტჩევის სიბრძნეს, ფეტის სევდას, ანენსკის სკეფსისს, ბლო-

კის იდუმალებას, კუზმინის ჰერმეტიზმს, ცვეტაევას ვნე-
 ბას, პასტერნაკის მეტაფორულობას, მანდელშტამის მი-
 თოლოგიზმს, ახმატოვას ჭედურობას. ბროდსკიმ კარგა ხა-
 ნია მოიპოვა კლასიკოსის პატივი, მაგრამ ეს მის ორიენტა-
 ციასაც ნიშნავს – კლასიკური და კლასიციისტური მემკვიდ-
 რეობის პრიორიტეტს. თავის მასწავლებ-
 ლებად იგი დიდ ევროპელებს აღიარებდა
 – ოვიდიუსსა და ჰორაციუსს, დანტესა
 და ჯონ დონს, ელიოტსა და ოდენს. იგი
 მათ ჰგავდა კიდეც ან ცდილობდა დამ-
 სგავსებოდა – ოვიდიუსის მსგავსად, სიყ-
 ვარულისა და სევდის პოეტი იყო და თა-
 ვისი ცხოვრება განდევნილობაში დაას-
 რულა; სიცოცხლის მიწურულს ორივე
 უცხო წყლის შორეულ სივრცეებს გაჰყუ-
 რებდა: რომელი პოეტი შავ ზღვას, რუსი
 პოეტი – ატლანტის ოკეანეს. დანტეს
 მსგავსად, არც მან ისურვა სამშობლოში
 დაბრუნება და ელიოტით თვითონ აირ-
 ჩია მოქალაქეობა და ტრადიციები. ყო-
 ველ შემთხვევაში, რუსულ ენაზე არასო-
 დეს დაწერილა ასეთ გრძელ სუნთქვაზე
 გათვლილი, ასეთი გრძელი ლექსები. ეს
 იმ ინგლისურენოვანი პოეზიის გავლენაა,
 რომელიც მან თავის სულიერ სამშობ-
 ლოდ ჯერ მანამდე აირჩია, სანამ ინგლი-
 სურენოვანი ქვეყნის მოქალაქე გახდებოდა. თავის დაკარ-
 გულ ქალაქსა და ქვეყანას იგი სევდითა და გარდაუვალო-
 ბის შეგნებით იხსენებდა, ისევე როგორც დაუბრუნებელ
 ბავშვობას, დაუბრუნებელ სიყვარულს. სამყაროში მიუ-
 საფრობას იგი, ადამის მსგავსად, ტრაგიკულად განიცდი-
 და, მაგრამ სტოიკურად უგდებდა ყურს მსოფლიო წესრი-
 გის მდუმარე გულგრილობას. მას უყვარდა სევდა და იყო
 ძალიან მზიარული, უყვარდა მარტოობა და ჰყავდა უამრ-
 ვი მეგობარი, უყვარდა მშვიდი და აუღელვებელი ცხოვრე-
 ბა და ემზადებოდა სიკვდილისათვის. იგი ახმატოვასავით
 ბევრს წერდა სიყვარულზე, მაგრამ სატროფოს სახე მის
 ლექსებში ისევე ბუნდოვანია, როგორც ოდენტან. ყველაზე
 შინაურულად იგი თავს ევროპულ კულტურაში გრძნობდა,
 მაგრამ ეამაყებოდა, რომ იყო ამერიკის შეერთებული შტა-
 ტების მოქალაქე. მას ენატრებოდა სამშობლო, მაგრამ უა-
 რი თქვა ჩასულიყო იქ, როცა ამის საშუალება მიეცა. მან 15
 წლისამ მიატოვა სკოლა, მაგრამ საუკუნის მიწურულის
 ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალის პატივს ღირსე-
 ულად ატარებდა. მან იცოდა, რომ პოეზია ვერაფერს შეც-
 ვლის სამყაროში, მაგრამ თვითონ უკანმოუხედავად, შეუ-
 ჩერებლად ქმნიდა ლექსებს. იგი არცთუ ხელგაშლილი იყო
 ლიტერატურული შეფასებებისას, მაგრამ დაუზარებლად
 უკვალავდა გზას მეგობრების წიგნებს. იგი ვერ იტანდა
 საბჭოთა და რუსულ უხამსობას, მაგრამ მონატრებით წერ-
 და საბჭოთა საგნებში არეკილი წარსულის შესახებ. მას
 მიაჩნდა, რომ პოეზიის მოყვარულს ცოტათი უფრო უჭირს
 კაცის მოკვლა, მაგრამ თვითონვე იხსენებდა, რომ ლექ-
 სებს თხზავდნენ სტალინი და მათ ძედუნი. მას უყვარდა ინ-
 გლისური პოეზია, მაგრამ ლექსებს წერდა რუსულად. იგი
 იყო ებრაელი და ყოველი წლის მიწურულს თითო ლექსს
 უძღვნიდა შობას. მან ერთხელ თქვა, რომ პოეზიასა და პო-



იოსიფ ბროდსკი

ლიტიკას მხოლოდ ორი რამ აქვთ საერთო – ასო „პ“ და ასო
 „ო“, მაგრამ მისი ლექსები თუ ესეები ხშირად პოლიტიკით
 იყო დამუხტული და იგი ყოველთვის აშკარად გამოხატავ-
 და თავის დამოკიდებულებას პოლიტიკურ გარენართა ან
 პოლიტიკურ გარენრობათა მიმართ. 1991 წელს თავისი
 ბრწყინვალე წერილით იგი მხარში ამო-
 უდგა ქართველ ინტელექტუალებს, მხნე-
 ობისაკენ მოუწოდა მათ, მაგრამ იმასაც
 შეახსენებდა, რომ ჭეშმარიტება არასო-
 დეს ყოფილა უმრავლესობის მხარეს.

რაც უფრო მტკიცედ ჰქონდა შეგნებუ-
 ლი ახალგაზრდობიდანვე საკუთარი გენი-
 ალობა, მით უფრო მშვიდად და აუღელ-
 ვებლად შეხვდა ბროდსკი დიდებას. მას
 არასოდეს შეჰპარვია ეჭვი თავის მისიაში,
 არასოდეს დაუფლებია არც სასონარკვე-
 თა და არც კმაყოფილება – არც მაშინ, რო-
 ცა ლენინგრაღში მოსამართლე საველიევა
 მუქთახორობისათვის ასამართლებდა ან
 როცა შეედეთის მეფე ნობელის პრემიას
 გადასცემდა სტოკჰოლმში, არც მაშინ,
 როცა კომაროვოში ახმატოვასაგან მისად-
 მი მიძღვნილი ლექსის ხელნაწერს იღებდა
 ან როცა ოდენი აცილებდა მას ვენის აე-
 როპორტში. იგი ყოველთვის უფრო და
 უფრო უკეთეს ლექსებს წერდა, იგი გა-

უნწყვეტლივ ჯობნიდა საკუთარ თავს – მის შემოქმედებაში,
 მის რუსულ ლექსებსა და ინგლისურ ესეებში არასოდეს გა-
 ფერმკრთალებულა აზრისა და სიტყვის დისციპლინა, კლა-
 სიკური ნონასწორობა, სათქმელის მნიშვნელობა, ირონია
 და სევდა, სკეპტიკური ინტელექტით მოთოკილი ემოცია.

რუსეთის დატოვების შემდეგ ბროდსკი რუს პოეტად
 რჩებოდა, მაგრამ, ამასთანავე, მან ნაბოკოვის აქამდე ერ-
 თადერთი მაგალითი გაიმეორა და ამერიკული ლიტერა-
 ტურის კლასიკოსად იქცა.

რუსეთში კი ისევე ბოპოქრობს ძალადობა და სისხლი,
 სიბრიყვე და სისასტიკე, ოღონდ ამჯერად რუსეთი – პირ-
 ველად ორასი წლის მანძილზე – დიდი პოეტის გარეშე აღ-
 მოჩნდა. დიდმა რუსულმა პროზამ რუსეთს გარეთ, ევრო-
 პაში, ამოწურა თავი – ბუნინმა და ნაბოკოვმა დევნილობა-
 ში დაამთავრეს სიცოცხლე, დიდი რუსული პოეზია ამერი-
 კაში დასრულდა: სულ რამდენიმე დღის წინათ, 1996 წლის
 28 იანვარს.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ბროდსკი წერდა:

**როგორც ამბობენ, უკვე მალე მოვიხსნი სამხრეებს,
 და მაშინ გადავიქცევი უბრალო ვარსკვლავად,
 მაშინ გავკრთები ზეცის ლიტენანტად გრძელ
 მავთულებში.**

იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე სამყაროსა და დროს
 უჩვეულო და უცნაურ კითხვებს უსვამდა, ახლა იგი
 ღმრთისა და უკვდავების პირისპირ დგას, ახლა იგი უკვე
 მარადისობას შეუერთდა.

პრალა
 30 იანვარი, 1996

დავით წერეთლიანი

თემა და პარიაციები

I ჟანრის განსაზღვრებისათვის

როცა რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებში (პოემა იქნება, მოთხრობა თუ რომანი) თემები ერთმანეთშია აჭრილი, მკითხველი (ზოგჯერ კრიტიკოსიც) ადვილად იბნევა: არა, აქ რაღაც უხილავი შინაგანი კავშირებია, კონტრაპუნქტის ხელოვნება, სფეროთა მუსიკა, ქვეტექსტების შეფარული გადაძახილი. უნდა თვალი ბოლომდე მივაღვეინო, რას ჩასწვდა შემოქმედის უღრმესი და იდუმალი მზერა... არადა, საქმე უმეტესწილად ისეთივე მარტივია, გინდაც კარტი აგერიოს, – თემები ერთმანეთშია აჭრილი.

რაკი არამხატვრულ ტექსტში მკითხველის დაბნევა არანაირად ხელს არ მადლევს, თავს თვითონვე ვიაშკარავებ: წინამდებარე ოპუსიც იმავე პრინციპით არის დალაგებული ანუ ყოველგვარი პრინციპის გარეშე.

II „ათვლის წარტილი“

მწერალთა შორის არცთუ იშვიათად გაიგონებთ აკვირტებულსა და არსებითად უსამართლო ფრაზას: „ჩვენში ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს!“ ბატონ როსტომ ჩხეიძეს ამგვარი დამოკიდებულება, როგორც ჩანს, საკმაოდ ალიზიანებს და ეს გასაკვირი არც არის. ყოველთვის, როცა კი ვისიმე წარმატებულ სტატიას გამოეხმაურება, აუცილებლად დასძენს: „მანაც იტყვიან, რომ ჩვენში კრიტიკა არ არსებობს?“ არადა, პარადოქსი სწორედ ისაა, რომ ამ საკითხში მოდავე არავინ ჰყავს. მთავარი სკეპტიკოსებიც კი თანახმანი არიან, რომ კარგი, ზოგჯერ ძალიან კარგი სტატიები უწინაც დანერვილა და დღესაც ინერება.

ისე, საინტერესოა, რა მოხდებოდა, იგივე ფრაზა საფრანგეთში რომ თქმულიყო, რა რეაქციას გამოიწვევდა, გალიზიანებას თუ საერთო მხიარულებას?

ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მინახავს ერთი უზარმაზარი წიგნი, „გერმანული ლიტერატურული კრიტიკის შედეგები, ტომი პირველი“, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, მეთვრამეტე საუკუნით მთავრდება. მე ამ ამბავმა, სიმართლე გითხრათ, რაღაც შიშისმაგვარი აღმიძრა. შესაძლოა, ყველა ეს ნაწერი შედეგური არც იყოს. მაგრამ შიგადაშიგ ხომ ურევია?

ასეთი ხანგრძლივი ტრადიციის უქონლობა, თქმა არ უნდა, ზოგ რამეს უეჭველად განაპირობებს, მაგრამ სრუ-

ლებითაც არ იძლევა იმის საბაზს, რომ მთელი ეს ამოდენა ჟანრი არარსებულად გამოვაცხადოთ.

ქართველ მწერალთა პრეტენზია გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ასეთ ეჭვს ემყარება, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია: არის თუ არა ქართული კრიტიკა ერთიანი სისტემა, აქვს თუ არა თავისი მყარი კრიტერიუმები და ორიენტირები, თავისი ათვლის წერტილი? ამ „სისტემებში“ და „კრიტერიუმებში“ რთულს არაფერს ვგულისხმობ, განყენებულ მსჯელობაში რომ გადაგვადოს. ვგულისხმობ ძალიან მარტივ რამეს, შეიძლება ითქვას, სრულიად ელემენტარულს.

ჩემს სიყმანვილეში იყო ერთი განთქმული პოეტი, რომელიც...

III კონიექტურა

ტექსტოლოგები კონიექტურას უწოდებენ გადამწერთაგან წარყვნილი ადგილის ან კალმისმიერი შეცდომის იმგვარ ჩასწორებას, რომელიც ვარაუდს ემყარება. მას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიმართავენ, მაგრამ, როგორც მცოდნენი ირწმუნებიან, ვერც ერთი ძველი ტექსტი, მაღალ დონეზე გამოცემული, კონიექტურას ვერ ასცდენია.

კონიექტურაც, ისევე როგორც ბევრი რამ ამქვეყნად, ორგვარია.

პირველი შემთხვევა:

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს...

სიტყვა „გაამჟღავნოს“ უეჭველი ლაფსუსია. შემდგომი სამი სტრიქონის საერთო სარიტომო ერთეულია „ივნოს“. რუსთაველის რითმისთვის ამგვარი შეცოდებები უცხოა.

რამაზ პატარიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ, შესაძლებელია, ყოფილიყო „გაამჩივნოს“, რომელიც გადამწერებმა ვერ გაიგეს. აზრი არ იცვლება, ექსპერსია არ ეცემა, რითმა კი სწორდება. ალბათობა იმისა, რომ დედანში სწორედ ეს სიტყვა ეწერა, საკმაოდ მაღალია.

რუსთველოლოგიამ, საბედნიეროდ, გაიზიარა ეს კონიექტურა და ტექსტი მას შემდეგ ამ სახით იცემა.

მეორე შემთხვევა:

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული...

ელვარებით გამორჩეული სტრიქონია და ამ ელვარებას პირველ რიგში „მინა რხეული“ ქმნის თავისი სილამაზითა და პარადოქსულობით.

ნიკო მარს არ მოეწონა სიტყვა „მინა“. იმის ნაცვლად, თავისი ერუდიცია მნიშვნელობის დაზუსტებისკენ მიემართა, მასში, არ ვიცი, სპარსული, არ ვიცი, ჩინური სიტყვა „ნა“ ამოიკითხა, რომელიც თურმე ლერწამსაც აღნიშნავს, ჩავარდნილი მარცვლის ადგილას „მე“ ჩასვა და მიიღო, რისი მიღებაც ეწადა.

მაგრამ სტრიქონმა ელვარება დაკარგა. და მიუხედავად იმისა, რომ ბგერობრივი განსხვავება მინიმალურია („მინა“ –

„მე ნა“), მთლად უმტკივნეულო არც ევფონიური შედეგი გამოდგა: „მესა“ და „ნას“ შორის დიდი ინტონაციური პაუზა განჩნდა, რიტმი გაიბზარა, სტრიქონი აბორძიკდა. პაუზის გარეშე გამოგვივა „მეს“ დიალექტური ფორმა „მენა“, რაც მოცემულ კონტექსტში ძალზე უსიამოვნოდ ისმის. ალბათობა იმისა, რომ დედანში ეს სიტყვები ენერა, ნულის ტოლია.

რუსთველოლოგიამ, საუბედუროდ, ეს კონიექტურაც გაიზიარა.

აქვე ინტერპოლაციზაც მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. „ვეფხისტყაოსანი“ დროთა განმავლობაში დიდძალი ბალასტისგან გაიწმინდა. ტექსტის დამდგენმა კომისიამ ამით უეჭველად დიდი საქმე გააკეთა. მაგრამ ეს პროცესი როდისმე ხომ უნდა დამთავრდეს? ათწლეულიდან ათწლეულამდე შესანიშნავი სტრიქონები თვალსა და ხელს შუა ქრებიან. ოდესღაც გაქრა – „სიზმრისგან უფრო სიზმარი, ჩრდილისგან უფრო ჩრდილია“. სულ ახლახან გაქრა – „ნაიყვანეთ და დაკარგეთ, იქ სადაც ზღვათა ჭიპია“. ჩემი მოკრძალებული სურვილი იქნებოდა, შედეგურულ ადგილებს უფრო ძნელად ველოდეთ. არ ვიცი მათი გაქრობის მეცნიერული საფუძველი, მაგრამ ცოტა ეჭვი მეპარება, არსებობდეს ავთენტური ტექსტისა და ინტერპოლაციის გასარჩევი რაღაც აბსოლუტური კრიტერიუმი.

ერთხელ ამ საკითხზე კომისიის ერთ წევრს ველაპარაკე. ავტოროტეტულ მეცნიერს. ამიხსნა, რომ ამას მოითხოვს მეცნიერული კეთილსინდისიერება.

ასეთი შეკითხვა დავუსვი:

„წარმოვიდგინოთ, აღმოჩნდა რუსთაველისეული დედანი. წარმოვიდგინოთ, რომ იგი დღევანდელ ტექსტს ბევრად ჩამოუვარდება. როგორ უნდა მოვიქცეთ“?

„შეუძლებელია“!

„კარგი, შეუძლებელია. მაგრამ ერთი წუთით დავუმვათ, როგორც ჰიპოთეზა, რომ მოხდა ეს შეუძლებელი“.

„რასაკვირველია, დედანი უნდა გამოვცეთ“.

„და უკეთეს ტექსტს შეველიოთ? კი მაგრამ რატომ“?

ისევ მეცნიერული კეთილსინდისიერება.

ვერაფრით ვერ დავეთანხმე. ჩემი აზრით, საკითხს ასე უნდა შევხედოთ: ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანი“ ყოფილა არა მხოლოდ ერთი ავტორის შემოქმედების ნაყოფი, არამედ დიდ ქართველ პოეტთა საერთო ეროვნული ძეგლი. სულ მცირედი დოზით ეს, ალბათ, ახლაც ასეა. არ მესმის, რა არის ამაში ცუდი, რითი ბღალავს მეცნიერულ კეთილსინდისიერებას?

IV

მცირე უსტარი

ბ-ნ ტარიელ ჭანტურიას

ბატონო ტარიელ,

„პარნასის“ ბოლო თუ ბოლოსწინა ნომერში თქვენი საყვედურის ობიექტი აღმოვჩნდი. ამბობთ, რომ ქართული თავისუფალი ლექსის „პირველადმოჩენად“ თამაზ ჩხენკელი მიმიჩნევია, და ჩამომითვლით ვერლიბრის უფრო ადრეულ ნიმუშებს. და, რაც მთავარია, თურმე აუცილებლად უნდა მეხსენებინა თქვენი სახელი, რადგან პირველმა თქვენ ცხადყავით ამ სალექსო ფორმის ძველი წარ-

მომავლობა. მკითხველის გასაგონად ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ საქმე ეხება გვერდნახევრიან წერილს, რომლითაც თამაზ ჩხენკელს საიუბილეო თარიღი მივულოცე და, გასაგებია, ვერლიბრის საკითხებს არ ეძღვნებოდა.

შევეცდები, დაგარწმუნოთ, რომ თქვენი საყვედური უმართებულოა: მსჯელობა სხვა სიბრტყეზე გადაგაქვთ.

ამ რეპლიკას წყენა ნამდვილად არ მანერინებს. მართალია, თქვენს ესკაპადას თავაზიანი არამც და არამც არ ეთქმის, მაგრამ გასანაწყენებელიც არაფერია (ასეც რომ არ ყოფილიყო, მთელი ის მხარდაჭერა, რომელიც სიყმანვილიდან მოკიდებული თქვენგან მიმიღია, იოლად მაინც არ დამანებებდა განაწყენებას). გულახდილად ვიტყვი: მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ის ჩემი ნათქვამი, მიზეზთა და მიზეზთა გამო, უფრო მკაფიოდ განვმარტო. როგორც ჩანს, მთლად გასაგებადაც ვერ მითქვამს, იმდენი კუდი გამოება.

ქართულ პოეზიაში, მოგეხსენებათ, არსებობს ერთი სალექსო საზომი, რომელიც თავისი საბოლოო სახით პირველად თამაზ ჩხენკელთან დაფიქსირდა. მე მას, შესაძლოა, მთლად ზუსტადაც არა, დაშლილი თოთხმეტმარცვლოვანი ვუნოდე, თუმცა იქვე განვმარტე, რომ ეს არის ოთხ და ხუთმარცვლოვან მუხლედთა თავისუფალი მონაცვლეობა. ჩვენი ვერლიბრისტების ერთი ჯგუფისთვის იგი მთავარ საზომად იქცა. ამ საზომით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უთვალავი ლექსი თუ პოემა დაიწერა. უფრო გასაგები რომ გახდეს, რომელ საზომზეა ლაპარაკი, მოვიყვან მაგალითს.

ერთი მხრივ:

**მხოლოდ ხანდახან, მწუხარება როცა დამძლევდა,
მე ვფხიზლდებოდი ბურანიდან და სამხრეთის
საამო ქარში
უჩვეულო სურნელების დინებას ვგრძნობდი.**

მეორე მხრივ:

**ისევ აფრინდენ დედუღეთის ნახნავებიდან
ლურჯი ყვავები, ნისლიანი სივრცეებით
გაბეზრებული.
დამეხსენი, დამეხსენი, გემუდარები.**

აქ ლაპარაკია მხოლოდ რიტმულ ნახაზზე. იგი, როგორც ვხედავთ, იდენტურია. მათ შორის კი დაახლოებით ოცი-ოცდახუთი წელი დევს.

ნამდვილად ვერ ვისხენებ, რომ მაგაზე ვინმეს სიტყვა დაეძრას. შესაბამისად, არც არავინ დამიმონმებია. ხოლო ვერლიბრის სათავეთა კვლევას გვერდნახევრიან წერილში, მით უფრო, საიუბილეო მილოცვაში, მიზნად ვერ დავისახავდი, ეს საკითხი, საერთოდაც, ჩემი ლიტერატურული ინტერესების მიღმაა. თორემ ქართულ ენაზე ვერლიბრი თამაზ ჩხენკელამდეც რომ იწერებოდა, იმედი მაქვს, ეჭვი არ გეპარებათ, იმთავითვე ვიცოდდი.

ასე რომ, თქვენგან მოხსენიებული „ლენინის ქუჩა“, მუხრან მაჭავარიანის ან მივიწყებული პროგრამული ტექსტი, ცოტა ხნით მაინც, განზე უნდა გადავდოთ.

მით უმეტეს, არაფერ შუაშია ძველი ჰიმნოგრაფია, იგი ლიტურგიკის ნაწილია, რიტმიკას სიტყვა კი არ წარმარ-

თავდა, არამედ საგალობლის ჰანგი, და მისი დაკავშირება თანამედროვე ვერლიბრთან პრინციპულად არასწორი მგონია.

მოკლედ, მე მხოლოდ კერძო საკითხზე, ერთადერთ სალექსო საზომზე, ვლაპარაკობდი და მეტზე არაფერზე.

მილოცვაში ჩართულმა ამ ორმა თუ სამმა ფრაზამ, რომელიც გაკვრით ითქვა და არ მეგონა, თუ ვისიმე გამახვილებულ ყურადღებას მიიპყრობდა, ხსენებული ჯგუფის მავანი და მავანი ვერლიბრისტები საკმაოდ გაანანყენა. დაჯგუფების მამამთავრები (ეს ამბავი პირველმა თქვენ აღნიშნეთ!) ამ ფორმას თავიდანვე უფრო იმიტომ ჩაეჭიდნენ, რომ რითმიანი სტრიქონის გამართვა და, საერთოდ, მუსიკალური სანყისი მათი ტალანტის ყველაზე ძლიერ მხარეს აშკარად არ წარმოადგენდა. ქართული ფოლკლორის ძველ ტრადიციებზე, ზეპირსიტყვიერების ჯერ კიდევ ცოცხალ გარემოში აღზრდილებს, ნამდვილ ლექსად, როგორც ჩანს, მაინც კონვენციური საზომით დაწერილი სტრიქონი მიაჩნდათ და არა ფრაზისეულ შინაგან რიტმზე დამყარებული ვერსეტი, რომლითაც სუფთა ვერლიბრი იწერება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქ მხოლოდ ვერლიბრშიც არ უნდა იყოს საქმე. მაგალითისთვის პოლ ელუარის ვერლიბრს გავიხსენებდი, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ უფაქიზესი მუსიკალურობით შემოქმედებს. ჩვენში მსგავსი რამ, ალბათ დამეთანხმებით, ჯერჯერობით არ შეინიშნება. მე, ყოველ შემთხვევაში, არსად ნავენყდომივარ.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ჩვენი ამ ავტორების პოეტური ნიჭის რეალიზაცია ძირითადად ჩხენკელისეული საზომისა და რიტმული მოდულაციების ფარგლებში მოხდა. და, რაკი მოხდა, ძალიანაც კარგი, საწინააღმდეგო ვის რა უნდა გვექონდეს. ჩემთვის მოულოდნელი აქ მხოლოდ ის იყო, რომ დასახლებული საზომი, ეტყობა, ჩვევაში გადასვლის გამო, საკუთარ მონაგარად მიუჩნევიათ, რაც, სიმართლე გითხრათ, ეჭვადაც არ ვიცოდი, თორემ მათ პატივმოყვარეობას ანგარიშს გავუწევდი და იმ ორ თუ სამ წინადადებას დაუნანებლად წავშლიდი. დაბატენტების საკითხი მათთვის, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანია. არადა, ლიტერატურა ღია პროცესია და დიდი გოეთე ბრძანება: „თუ ჩემი პოეზიიდან მხოლოდ იმას დავტოვებთ, რაც უდავოდ ჩემია, ალბათ თოთხმეტიოდე სტრიქონი დამრჩება“.

V
„ათვისის წარტილი“
(გაგრძელება)

...ჩემს სიყმანვილემი იყო ერთი განთქმული პოეტი, რომელიც არ მომწონდა. ძალიან მაინტერესებდა, მართალი ვიყავი თუ ვცდებოდი. ყმანვილი კაცი ხშირად აგრესიულია, თამამი კატეგორიულობით გამოთქვამს ხოლმე განსხვავებულ შეხედულებას, მაგრამ გულის სიღრმეში ასეთი დაჯერებულებაც არ არის, თავს ბოლომდე არ ენდობა. იმ პოეტზე ბევრი კრიტიკული სტატიის მოძიება შეიძლებოდა, მაგრამ მათგან რა უნდა გამეგო? ჩამოინერებოდა ხოლმე ვრცელი და ტრაფარეტული ნუსხა, თუ რასა და რას უმღე-

როდა „გულგახსნილი შემოქმედი“. პირველი პუნქტი – შესაბამისი ციტატები, მეორე პუნქტი – შესაბამისი ციტატები, ბოლოში რამდენიმე შენიშვნა. არსად არც ერთი სიტყვა მის ინდივიდუალურ თვისებებზე, მის შემოქმედებით სახეზე, მის ადგილზე თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

იმ ყმანვილს საფრანგეთში რომ ეცხოვრა და იგივე ინტერესი გასჩენოდა, ნავიღოდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გამოიტანდა იმ პოეტზე დაწერილ პატარა ბროშურას და ბევრ რამეში იოლად გაერკვეოდა. სხვათა შორის არც თანაფარდობათა გაგება გაუჭირდებოდა, თუ ვინ დარჩა ორმეტრიან ნიშნულს ქვემოთ და ვისი ნახტომი გადასცდა ამ საპატიო ზღვარს. სავარაუდოა სუბიექტური ან სხვა სახის მცირე ცთომილებანი, რომლებიც საერთო სურათს არ ცვლიან. ცხადია, უხეში შეცდომებიც ხდება ხოლმე, განსაკუთრებით მოდათა გზაგასაყარზე, მაგრამ ასეთი შემთხვევები, როგორც გამიგია, საკმაოდ იშვიათია და მალევე სწორდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორის ფართო პოპულარობა შეფასებებზე რაიმე დადებით გავლენას არ ახდენს. უფრო პირიქით...

ჟაკ პრევერი მსოფლიოში საკმაოდ გახმაურებული სახელია, ჩვენში ბუხსაც ვერ აუფერენდნენ. მასზე ერთი პატარა სტატია მაქვს ნაკითხული, სადაც სრულიად არაორაზროვნად დასმულია ასეთი კითხვა: არის თუ არა ჟაკ პრევერი პოეტი? რასაკვირველია, თვითნაბადი პოეტი იგულისხმება. ლაპარაკია მისი ლექსის თავისებურებებზეც, არაერთ ღირსებაზეც, მაგრამ შეკითხვას ერთმნიშვნელოვნად დადებითი პასუხი არ მოსდევს. არაპირდაპირ, გამჭვირვალე ქარაგმულობით, ნათქვამია შემდეგი: „ნაიკითხე, ყმანვილო (ისევ იმ ყმანვილთან ვარ, ოდესღაც რომ ვიყავი), დატკბი ამით, ამითა და ამით, ოღონდ ისიც გახსოვდეს, რომ ეს არ არის არც რემბო, არც აპოლინერი, დღევანდელი დღის პოეტია და, შესაძლებელია, ეფემერულიც აღმოჩნდეს“. თანაც ნიშანდობლივია, რომ ეს თვალსაზრისი შეუვალი კატეგორიულობით არ გვეწვდება, შეუვალი კატეგორიულობა ფრანგულ კრიტიკაში ცუდი ტონია. ფრანგი კრიტიკოსი, როგორც წესი, თავს უფლებას არ აძლევს, შედეგი დეკრეტივით გამოგვიცხადოს, ცდილობს, დაგვარწმუნოს. ამიტომ ძნელად წარმომიდგენია. რომ მასთან შეხვედრე შეშვლად ნათქვამ ფრაზას ვისიმე „თავზარდამცემ ნიჭზე“. უნდა კეთილი ინებო და შენი ეს თვალსაზრისი დამაჯერებელი მხატვრული ანალიზით დაადასტურო. იქნებ ჩვენც დაგვცემოდა თავზარი.

შესაძლოა, მონაცემთა სიმცირის გამო კიდევაც ვცდებოდე, მაგრამ, ჩემი შთაბეჭდილებით, ფრანგული კრიტიკა შეფასებათა საერთო მნიშვნელამდე ძალიან მოკლედ როში მიდის. ყველა ცოტად თუ ბევრად ღირებული ავტორი კოორდინატთა ერთიან ცხრილში, განზომილებათა ერთსა და იმავე ბადეში ფართხალებს. სამაგიეროდ, კრიტიკოსის თვითმოქმედებაც შეზღუდულია, ყველაფერს მხოლოდ საკუთარი ხუმტურის მიხედვით ვერ იტყვის, თუ არ უნდა, რომ თანამოკალმეთა ქილიკის საგანი

გახდეს, რაც ჩვენში ნაკლებ მოსალოდნელია. კრიტიკოსს კი არა, ოდესღაც ემილ ზოლას არ აპატივს ახალგაზრდობისდროინდელი შეცდომა: „იჯდა და ღრმა ფიქრში იყო გადავარდნილი, რომელი უფრო შორს ნავიღოდა, პოლ ვერლენი თუ ფრანსუა კოპე“...

ქართველი მწერლები კრიტიკისაგან ნაქებნიც და უქებნიც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მაგ ათვლის წერტილს ისაკლისებენ, რადგან ეს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ვერ განვსჯი, რამდენად სამართლიანია ყველა ცალკეულ შემთხვევაში მათი გულისწყრომა, მაგრამ კრიტიკის დანიშნულების ეს ერთ-ერთი ძირეული მხარე ძალიან მაღალ დონეზეც რომ არ აგვიყვანია, სადავოდ არ მეჩვენება.

კარგი კრიტიკოსები ჩვენში უწინააღმდეგოდ და დღესაც არიან, მე ეს არავისგან მესწავლება. მაგრამ არის თუ არა ქართული კრიტიკა განსხვავებულ შემადგენელთა ერთიანი სისტემა თავისი წარსულითა და აწმყოთი? მართალია, კრიტიკა, მე როგორც მგონია, პირველ რიგში ხელოვნებაა, მაგრამ ამავე დროს მეცნიერებასთანაც ნილნაყარია. მისგან რაღაც ობიექტური საერთო შესაბამისობანი, ვფიქრობ, უნდა ამოდიოდეს.

**VI
დიდი ქართველი მწერალი**

რამდენიმე წლის წინ ერთი სიმპათიური გაზეთის რედაქციაში დამიძახეს, საიდანაც ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება გამომყვა. გაზეთი ძირითადად სვანეთის პრობლემებზე იყო ორიენტირებული. წამოსვლისას მთელი კომპლექტი გამომატანეს.

ერთ წერილში ასეთ სიტყვებს წავაწყდი: „დიდი ქართველი მწერალი აკაკი გელოვანი“.

მოგონებათა ექო. სიყრმის დღეთა შორეული გამოძახილი.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვარ. ზაფხულის არგადეგებზე სოფელში ჩასულს სასიხარულო ამბავი დამახვედრეს: სვანებს დიდი მწერალი გამოგვჩენოდა.

„ერთი კაკო ჭკადუა ყოფილა (ჯერ გელოვანი არ იყო), ვეებერთელა მწერალია თურმე, მაგრამ რევაზ მარგიანი გასაქანს არ აძლევს, ყველა გზა გადაუკეტა“.

ვცდილობ, დავუმტკიცო, რომ რევაზ მარგიანი არ არის ის კაცი, ვინმეს გზაზე გადაუდგეს. დანარჩენი მტკიცებას არ ექვემდებარება. ეს უკვე მითოლოგიაა. დაღმა ოქროსთმიანი ვაჟი შობა. ნუთუ ამირანი?

„წამკითხველი თუ გინახავთ ვინმე“?

„წამკითხველი არ გვინახავს. მაგრამ ვეებერთელა მწერალი ყოფილა, გვასახელა თურმე მთელი სვანეთი. ჰაი დედასა, რევაზ მარგიანი!“

ერთადერთი საპირისპირო შემთხვევა მხოლოდ წლების მერე გახშიანდა. ვყვები, როგორც მომიყვანენ.

სვანეთისკენ მიმავალ ავტობუსში შუახნის მანდილოსანი გოგოს ესაუბრება. ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს.

„ჩვენი დღევანდელი მწერლებიდან ყველაზე უფრო ვინ გიყვარს“? ეკითხება მანდილოსანი.

გოგო რამდენიმე სახელს ჩამოუთვლის.

„დიდი ქართველი მწერალი აკაკი გელოვანი არ გაგიგონია“? შეეშველება მანდილოსანი.

„დიდი ქართველი მწერალი აკაკი გელოვანი არ გაგიგონია“, ჩაელიმება გოგოს.

მანდილოსანი გაოგნებულია.

„რაგა, აკაკი გელოვანი სულ არ გაგიგია“?

„სულ როგორ არ გაგიგია“, გოგოც კაი კერკეტი კაკალი გამოდგა, „არის ერთი ასეთი გრაფომანი“.

გრაფომანიო? ატყდა წივილ-კივილი.

„აბა, მე და ვარ მისი, და ქალი არ ვიყო, თუ არ განანო დიდი ქართველი მწერლის აბუჩად აგდება“! (სიტყვა „გრაფომანი“ ნეტავ საიდანლა იცოდა?)

სულ მალე მესტიის რაიონულ გაზეთში აკაკი გელოვანის წერილი გამოქვეყნდა (ეს უკვე ჩემი თვალთ მამქვს ნანახი). შექებულია რაიონში განათლების მაღალი დონე. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან თურმე ისეთებიც, ჩირქს რომ სცხებენ და თავს სჭირან მთელ სვანეთს. მაგალითად, ესა და ეს ქალიშვილი ამა და ამ სოფლიდან – ზუსტი დასახელებით – ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს და დიდი ქართველი მწერლები არათუ არ ნაუკითხავს, არც გაუგონია. სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ ყველა მისნაირი!

„მინც რა გზები დავუხშე მაგ გრაფომანს (ისევე გრაფომანი!), გადამკიდა ნახევარი სვანეთი“, ხელებს შლიდა გაოცებული რევაზ მარგიანი.

ყოვლად უწყინარი კაცი იყო. კარგი პოეტი. მისგან მხოლოდ სიკეთე გამახსენდება.

**VII
ბოლოთქმა**

იყო დრო – საბჭოთა რეჟიმის ყველაზე დიდი მონაკვეთი – როცა კრიტიკოსი ხალხის თვალში მწერლად არ მიიჩნეოდა, მის მწერლობას მხოლოდ კავშირის მოწმობა ადასტურებდა. არადა, რა მანქანებით უნდა გამხდარიყო მწერალი, თუ ჟანრს არ გამოიცვლიდა? მხატვრული ანალიზი ფაქტობრივად გაუქმებული იყო, ინდივიდუალური სტილი და ხედვა – აკრძალული. რჩებოდა მხოლოდ იდეოლოგიური ფსევდონალიზი, პოლიტიკური იარაღების მინებება და მოკლე შინაარსების მოყოლა.

რეჟიმის ბოლო პერიოდში, შერბილებული ცენზურის პირობებში, მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორებისკენ დაიძრა. და ამ პროცესის დამწყებთ, დღეს რაგინდ მწიროც არ უნდა გვეჩვენოს მათი ნამუშავევი, ზოგიერთ გადაცდომათა მიუხედავად კეთილი სიტყვა შეჭველად ეკუთვნით. მათ კრიტიკოსს მწერლის სახელი დაუბრუნეს.

ნამდვილ კრიტიკოსს ნიჭიერებასთან ერთად სჭირდება ფართო თვალსაწიერი, ლოგიკური აზროვნების სიღრმე და ემოციური წვდომის განსაკუთრებული უნარი. მისმა თვალმა ზოგჯერ ისეთი რამეც უნდა გაარჩიოს, რასაც საკუთარ ნაწარმოებში ყველაზე გამჭრიახი მწერლის თვალის ვერ არჩევს. მაგრამ ადამიანურად ყველაზე ძნელი რაც არის, სჭირდება შეუვალობა და, არცთუ იშვიათად, სისასტიკე.

ჩვენში, საქართველოში, სადაც ლიტერატურის თითქმის ყველა მოღვაწე ერთმანეთს პირადად იცნობს და მეგობარი თუ არა, მეგობრის მეგობარი მინც არის, კაცს რამოდენა შინაგანი ძალა უნდა ჰქონდეს, რომ გამუდმებით თქვას, რასაც ფიქრობს, და გამუდმებითვე არ თქვას, რასაც არ ფიქრობს.

მე, ჩემდათავად, ეს შეუძლებელიც კი მგონია.

მაია ჯალიაშვილი

ბადარჩენის იმედი

ფოლკნერმა ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში თავისი მწერლობის უმთავრესი იმპულსი ფორმულასავით გამოჰკვეთა ამგვარ ფრაზაში: „მე კაცობრიობის დაღუპვას ვერ შევეგუები“, მაკა ჯოხაძე კი თავისი ახალი წიგნით თითქოს უფრო აზუსტებს და აკონკრეტებს ამ აზრს, რომელიც ასე ჟღერს: „მე ქართველობის დაღუპვას ვერ შევეგუები“. სწორედ ეს შეუფუგებლობა ქართველთა სულიერ გადატაცებასთან, ზნეობრივ დაცემასთან, გონებრივ სიჩლუნგესთან, გულგრილობასთან, ღალატთან, შიშთან, უნდობლობასა და ათას სხვა უკეთურებასთან აღებინებს მას ხელში კალამს და აწერინებს იმგვარ წერილებს, რომლებიც ამ წიგნშია წარმოდგენილი („გამარჯვება შიშზე“. ესეისტურ-პუბლიცისტური წერილები. თბ. 1999). მას არ შეუძლია ნელთბილობა, რაც ასე სძაგს უფალს, არ შეუძლია განზე დგომა. მისი დუმილიც კი აქტივობაა, რადგან როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ დროს მწერალი უხეშ, სასტიკ სინამდვილეს უპირისპირებს უფრო მაღალ, მხატვრულ რეალობას და ამ გზით გადალახავს მას. რეალობის ამგვარი დაძლევის სამაგალითო ნიმუშად ბოლოდროინდელ მწერლობაში მას ოთარ ჩხეიძის რომანები მიაჩნია.

მწერლობა მისთვის „მონყალების გაღება სულიერად“, თანვე სჯერა, „ხელოვანის მიერ შემოქმედებითი პროცესის დროს განეული გარჯა სამყაროს სასარგებლოდ მიმდინარეობს“.

მაკა ჯოხაძის შიში – ქართველობის დაღუპვა-გადაგვარებასთან რომ არის დაკავშირებული – გულწრფელია და გადამდები. მან, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, სად გადის ზღვარი ეროვნულობასა და კოსმოპოლიტიზმს შორის, მისთვის ეს შრთი და იგივე ცნების სხვადასხვა ხარისხია. ეს ცნება კი საზოგადოდ, ადამიანის სიყვარულს გულისხმობს. მას ჯერ ქართველი უყვარს და შემდეგ ამ სიყვარულის კვარცხლბეკზე შემდგარს შეუძლია კაცობრიობის დანახვა-მეყვარებაც. როგორც თვითონ ამბობს, „მწიგნობარ-ფარისეველთაგან“ განსხვავებით იგი ფუტკარსაც კი ეროვნულობის ჭრილიდან გაჰყურებს. „ასე მგონია, სანთლის საუფლოში გამოკვეთილია მათი ვარძია, პანია თაღები, სიმეტრიული სარკმლები“. „ჩემთვის სივრცეც ეროვნულია“. რადგან ღმერთმა აქ, საქართველოში გააჩინა, „ქართველად გაიზარდა“, ეს ქვეყანა შემოეხაზა ბედისწერად, აქედან, ამ ჭუჭრუტანიდან გაჰყურებს სამყაროს, რომელიც უთვალავფერია, მაგრამ მასში გამოკვეთილად მისი მშობლიური ფერი იკვეთება. ეს ფერი ერის გამოვლენაა ენაში, ხაზში, ქცევაში, სიმღერაში, რწმენასა თუ წარმოდგენაში. მას ენახება ქართველთა მზერის პრიზმაში გარდატეხილი ქვეყნიერების გა-

უფერულება. ამიტომაც არის, რომ წერილებში ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს ქართულ კულტურას, ტრადიციას, ყოველივე იმას, რაც ქართველობას სხვათაგან გამოარჩევს, მას სჯერა „გენეტიკურ-ინტელექტუალური კოდისა“.

მთელი წიგნი იმის სურვილითაა დაწერილი, რომ შეენიოს იმედგატეხილ, დაუძღურებულ, გამოფიტულ, რწმენადაკარგულ ადამიანებს. გრძნობს, რომ შემოქმედის სახელი, უპირველესად, პასუხისმგებლობას გულისხმობს, ერთგვარ „მისიას“. მას სჯერა „ხელოვანის თავგანწირვისა“, რომელმაც როგორმე უნდა გააღწიოს „ადამიანთა უგონობით ამოძრავებულ სტრიქონებს“ და გადაარჩინოს „შემოქმედებითი“ ენერგია. „პირველი დარტყმაც სწორედ მწერალმა უნდა გადაიტანოს“.

მთელი წიგნი ჟღერს, როგორც დიდი ამბოხი უფერულობის, სიძულვილის, სიცარიელის წინააღმდეგ. სიტყვები მისი გულიდან გაფარვარებულ ლავასავით ამოიფრქვევიან გაუცხოების საყოველთაო გამყინვარებაში და ცდილობენ გაქვავებული გულების გაღობას. ეს მეტაფორა ისევე მაკა ჯოხაძის წერის მანერამ გამოიწვია, რადგან მისი სტილი საოცარი მეტაფორულობით გამოირჩევა. იგი ნამდვილ პოეტად რჩება ყოველთვის, რაზეც გინდა წერდეს. ამიტომაც არის მისი ტონი ასეთი ექსპრესიული, დინამიური, თითქოს მთელი წიგნი სიტყვიერი ტალღების მძლავრი მიმოქცევაშია, რომლის ზედაპირზე ცხოვრების ფსკერიდან ნამოშლილი ათასგვარი საგნები ტივტივებენ, მათ შორის, ბევრია ნაგავიც და მარგალიტიც.

ერთგან მწერალი იშველიებს სარტრს და ამბობს, რომ „ცხოვრობს ენაში, როგორც საკუთარ სახლში“, სიტყვა მისთვის „თავშესაფარია“, ამიტომაც არის ასე ღრმა და მეტყველი მისი ენა. იგი ამ სახლში, ენის თბილ წიაღში, ყველა კუთხე-კუნჭულს შესანიშნავად იცნობს, თუმცა წერს, ყველაფერი უჩემოდაც ნათქვამი და გარკვეულიაო, მაინც ახლებურად აძლიერებს, სიცინცხლეს მატებს მტვერწაყრილ, მიჩვეულსა და ამის გამო გადავიწყებულ პრობლემებს, რომლებიც, როგორც თვითონ გამოჰკვეთს: „ვენებგადახსნილი მომაკვდავებით ყრია ყოველ ნაბიჯზე“. ეს „მარაზმატული სინამდვილე მოსვენებას უკარგავს, მაგრამ სასონარკვეთა მაინც ვერ აჩოქებს, მაინც ფეხზე დგას, მაინც ამჩნევს, როგორ ბინდდება რეჰანისფერი მინორით“ და უხარია, რომ დღემდე მოაღწია მაინც ჩვენმა ქვეყანამ, „სისხლისაგან არ დანრეტილა“, „უფლის ყაისნალით ნაქსოვი ჩვენი ანბანი არ დარღვეულა“. უფლის ყაისნალით ნაქსოვი ანბანი – ამგვარი ხატი ნებისმიერ პოეზიას დაამშვენებდა. გული უკვდება, რომ „თბილისი ახლა კვამლისფერია, თბილისი ახლა ნავთისფერია“.

ცალკეული წერილები (მაგალითად, „მშფოთვარე ძილის ხეობაში“) მოთხრობასავით იკითხება. იგი აღიქმება, როგორც „ქალი თოვლში“. ეს ქალი კი თოვლის უდაბნოში შეხიზნული მაკა ჯოხაძეა, რომელმაც ტკივილი ესთეტიკურ ღირებულებად აქცია და მკითხველის კათარზის გამოიწვია. მკითხველი იტანჯება სვანეთში მომხდარი ტრაგედიის გახსენებისას, მაგრამ თანვე განიწმინდება. ჭეშმარიტი განწმენდა კი მხოლოდ დიდ ტკივილში, დიდ ცეცხლშია შესაძლებელი, რადგან „მეხსიერება სხვა არაფერია, თუ არა ტკივილი. ტკივილის გარეშე არც სიხარული გამახსოვრდება“.



ყოველი წერილი თითქოს ცოცხალი ორგანიზმია, სიტყვები ხმაურობენ, მძლავრობენ და ფურცლის მშვიდი ზედაპირიდან გულისკენ მოღვლევენ. თანამედროვე საქართველო – მაკა ჯოხაძის თვალით დანახული. როგორია იგი? ერთი მხრივ, „ნივთფიქრებით“ (ასეთ ღრმააზრიან კომპოზიციტს ქმნის) ატაცებული ქართველობა (შესანიშნავი კონტრასტულობით წარმოაჩენს ფიროსმანის სადა „სუფრასა“ და თანამედროვე საქორწილო ღრეობას, როგორც „შინა ომს“, ასეთ სუფრაზე „ხანდახან სისხლივით იფეთქებს ვაზივით ძირძველი პოლიფონია“. აკრთობს მაღალი იდეალების გაქრობა, წუხს, რომ „საგნები აღარ სუნთქავენ ორმაგად“, რომ „პეიზაჟი გაბერნდა“, რომ „დრო შეკუმშულია! დრო დანადმულია!“, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

მეორე მხრივ, მაგალითად, გია ბულაძის ფერწერა, ან ოთარ ჩხეიძის მწერლობა. ამ ორ შემოქმედში იგი ხედავს ეროვნული ენერჯის შემოკრებას, წარსულისა და აწმყოს გამთლიანებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მაკა ჯოხაძის წერის ელემენტურობა (ის ბუნებით არის ასეთი, ელემენტურია ყოველდღიურობის ნებისმიერ გამოვლენაში), თვითონვე ხაზ-

გასმით აღნიშნავს, „ყასაბივით, დაკლულ სიმართლეზეც რომ ვწერდე, ისევ ელემენტურად, ისევ იოლად უნდა ამოვთქვა ეს საშინელი სათქმელი“, მართლაც, ხშირად ბენჯის ხიდზე გადის, მაგრამ არასოდეს ღალატობს ზომიერების გრძნობა, მისი პათოსი არასოდეს გადადის პათეტიკაში, მეტაფორულობა-მანერულობაში.

მისი ფრაზა ხან განწყვეტამდეა დაჭიმული, ხან მოქნილად მოღვედილი – ამგვარი მიმოხვრანი კი ერთი მიზნით სჭირდება მწერალს – ადამიანში სულიერების გასაღვიძებლად, რადგან „უსულო ინტელექტი ჯოჯოხეთია, ხოლო სულიერება კი – სამოთხე“.

„ეს ნიგნი თუ ოდნავ მაინც მიესალბუნება ჩემი ხალხის სულიერ ჭრილობებს, ჩავთვლი, რომ ამაოდ არ ვცოცხლობ და ვშრომობ“. მე იმ მკითხველთა შორისა ვარ, ვისაც ეს ნიგნი მიესალბუნა და გამიქრო შიში, რომ ჩვენზე განრისხებულ უფალს გულს მოულობს ათიოდე მართალი – ერთი მათგანი, მჯერა, მაკა ჯოხაძეა, რომელიც ასეთი სიტყვებით ვვამშვიდებს: „ტკივილის ვეება მცენარე გადამეფოთლება გულზე, მაგრამ ამ ტკივილთან ერთად გადარჩენის დიდი იმედიც ისადგურებს – ჩემი, შენი, მისი კი არა, საერთოდ, ჩვენი გადარჩენის იმედი“.

ივანე ამირხანაშვილი

ნიგნი სანთლით საძებართათვის

რატომ არის, რომ როცა ნიგნი თავის ავტორს ჰგავს, როცა ტექსტი ავტორის ხასიათს, ნიშანსა და სულისკვეთებას გამოხატავს, მაშინ ჭირს ნიგნის შეფასება. ამ დროს რაღაცნაირად გრძნობ, თუ როგორ „გიშლის ხელს“ ავტორის პიროვნება, მი-თუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ ავტორი კარგია.

კარგზე კარგის თქმა ისეთივე ბანალური რამ არის, როგორც კარგი ამინდის ქება, მაგრამ თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, არის ამ ქებაში რაღაც საგულისხმო და სასიამოვნო.

ელისო კალანდარიშვილის ფილოლოგიურ შრომებს ყოველთვის ეტყობა თავისებური ხელწერა, რომელშიც პროფესიონალიზმთან ერთად ავტორის პიროვნული პორტრეტიც იკითხება და ეს, სიმართლე ითქვას, სულაც არ არღვევს აღქმის ობიექტურობას, პირიქით, ნდობით განგანყოფს მისი თუნდაც ძალზე ჩვეულებრივი ანალიტიკური მოდელის მიმართაც კი.

ახალი ნიგნი ძველი ქართული ლიტერატურის თემაზე – სარისკო სიხალე სიძველისადმი ნიჰილისტურად განწყობილი უმრავლესობისთვის, რიგითი მოვლენა მერყევი უმცირესობისთვის, გადარჩენის ნიშანი სანთლით საძებარი ოპტიმისტებისთვის! ის მაინც ყველასთვის გამოდის – გამაღიზიანებლად, შეუმჩნევლად, სასიხარულოდ – ნიგნი: „ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიები“; ავტორი ელისო კალანდარიშვილი; რედაქტორი რევაზ სირაძე, რეცენზენტები: გიორგი ალიბეგაშვილი

და ამირან გომართელი; გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005 წელი.

არ ვიცი, როგორ და რატომ შემორჩა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას ოდინდელი ერთგულება შუა საუკუნეებისადმი, მაგრამ ფაქტია, რომ ამას აქვს ფორმა, რომელიც უვნებლად ინარჩუნებს თავს. ჩვენს არაადეკვატურ დროშიც კი, როცა მედიევისტიკაზე დაფიქრება სციენტისტურ დანაშაულად მიიჩნევა. როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ლიტერატურაში დევს მუდმივობის კოდი, რომელიც შესაძლოა ასო „ჰ“-ს სამმაგ ინტენსივობაში იყოს წარმოდგენილი: ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა.

ჰომილეტიკა, როგორც ფერემ მცირე განმარტავს, „არის ზეპირად პირისპირ თქუმა“ ანუ ქადაგება, რომელსაც მრევლის დასამოძღვრად წარმოთქვამს სამღვდელი პირი, ჰომილეტიკა კი ქადაგებითი ლიტერატურის ერთობლიობაა. ზოგადად ყველაფერი თითქოს მარტივი და გასაგებია, მაგრამ როგორც ყველა საღვთისმეტყველო ჟანრს, ჰომილეტიკასაც აქვს თავისი ისტორია და, აქედან გამომდინარე, სირთულეც, რასაც ახსნა და კლასიფიცირება სჭირდება.

ელისო კალანდარიშვილის ნიგნის მკითხველს საშუალება ეძლევა თვალის გაადევნოს ჰომილეტიკის ისტორიას, ახლოს გაეცნოს ქადაგების თეორიას და პრაქტიკას, რაც უთუოდ უადვილებს მთავარი თემის გააზრებას, სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიების წარმოდგენას ზოგად კონტექსტში.

ტრადიციულად, ჰომილეტიკა მიჩნეულია ანტიკური რიტორიკის ქრისტიანულ ანალოგად, მაგრამ, როგორც ელისო კალანდარიშვილი შენიშნავს, ქრისტიანული მქადაგებლობა არის არა უშუალო გაგრძელება ბერძნულ-რომაული ორატორული ხელოვნებისა, არამედ თვისობრივად ახალი მოვლენა, ახალი ჟანრი – ახალი მსოფლმხედველობით, მიზნებითა და მასშტაბებით. იესოს ცნობილი „ქადაგება მთაზე“ (მათე, 5-7) არის პირველსახე მქადაგებლობისა, რადგან სწორედ „მთაზე“ გამოიკვეთა ის ძირითადი თემები, რომლებსაც უტრიალებს ჰომილეტიკა. ეს თემებია: მრისხანება,

შურისგება, კაცისკვლა, მრუშობა, ცოლქმრული ცხოვრების წესი, მოწყალება, ღოცვა, მარხვა, ანგარება, სიკეთე, წუთისოფლის ამოება, განკითხვა, მშობლებთან ურთიერთობა, მოყვასის სიყვარული, მიტევება; „მთაზე“ წარმოითქვა პირველი ქრისტიანული ღოცვა „მამაო ჩვენო“; „მთაზე“ შეიცვალა ძველი ეთიკა ახალი ეთიკით. „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ იცვლება ახალი დარიგებით: „რომელმან გცეს ყვრიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ ერთ კერძოცა“.

ქადაგების პირველსავე ახალი აღთქმის „მთიდან“ კესარიისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებში დაეშვა და იქ განხორციელდა. ამ ეკლესიებში შემუშავებული ფორმა ქადაგებისა ისეთივე გამძლე აღმოჩნდა, როგორც აქაურ მქადაგებელთა მარმარილოსავით ჩამოქნილი პატრიარქალური სახელები: ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი. წმინდა მამებმა შექმნეს მქადაგებლობის თეორიაც და პრაქტიკაც, ქადაგება გაათავისუფლეს რიტორიკული მანიპულაციებისგან, განმინდეს სიტყვათქმნადობა ფორმალისმიზისგან, თავაზიანად გადადეს გვერდზე ავტორის, მქადაგებლის სუბიექტური „მე“.

მესამე საუკუნემდე ჰომილიას ჰქონდა ორი მარტივი ფორმა: ეგზეგეტიკური და მორალისტური. მეოთხე საუკუნეში დაემატა საღვთისმეტყველო ქადაგება, მოგვიანებით კი – ხოტბითი ქადაგება ანუ ნეკომია. თუმცა ეს არ არის ჰომილეტიკის ერთადერთი და საბოლოო კლასიფიკაცია. საერთოდ, კლასიფიკაციის წესისა და რიგის დადგენა უმადური თუ არა, ამოო საქმე მაინც რომ არის, ამას ელისო კანანდარიშვილის მიერ ვ. პენინციკის, კ. კეკელიძის, ნ. კანდე-

ლაკისა და სხვათა კლასიფიკაციების განხილვაც ადასტურებს.

ცოდვა გამხელილი სჯობს, მქადაგებლობას, როგორც სასულიერო ლიტერატურის ჟანრს, დღემდე სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი აქვს. ჰომილეტიკა – საღვთო პუბლიცისტიკის დარგი – ჩრდილშია მოქცეული. სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებებს მკითხველი არა ჰყავს.

რატომღაც მგონია, რომ ამ წიგნმა ყინული უნდა დაძრას, თუ უკვე არ დაუძრავს.

სულხან-საბას ჰომილეტიკა ანუ „სწავლანი“ მის ძმას, ზოსიმე ორბელიანს 1729 წელს მოსკოვში გადაუწერია. „სწავლანი“ სამ თემას ეხება: თეოლოგიას, დღესასწაულებს, მორალს.

მიუხედავად იმისა, რომ ქადაგებები სხვადასხვა დროს არის წარმოთქმული თუ დაწერილი, „სწავლანი“ მაინც მთლიანი კრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქაც მულაფნდება სულხან-საბას აზროვნების სტილის ურღვევობა და სიმრთე.

მთლიანი და ერთიანი მეცნიერის მიდგომა საკვლევი თემისადმი – ელისო კალანდარიშვილი არცერთ საკითხს არ ტოვებს ღრმად გააზრებული კომენტარის გარეშე, აგრეთვე მენტირებულად განიხილავს ქადაგებათა სულხან-საბასეულ მეთოდიკას, მსოფლმხედველობას, სტილს; აგრეთვე ლიტერატურულ წყაროებს, მთავარ მოტივებს, ქრისტიანული ეთიკისა და მორალის საკითხებს. ერთი სიტყვით, ეს არის შრომა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი სპეციალისტი თუ რიგითი მკითხველი, ვისაც სურს ახლოს გაეცნოს ჰომილეტიკის ისტორიას და ამ ისტორიის კონტექსტში – სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა თითქმის უცნობ სამყაროს.

ორი კანონის ჭიდილი

*

ლია ბარათი
ზაზა შათირიშვილს

ბატონო ზაზა,

საზღვარგარეთ, სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას, ვცდილობდი ქართული ლიტერატურა გამეცნო იქაური კოლეგებისათვის. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელმა“ მეტად დაინტერესა ლიტერატორები, ფილოსოფოსები და პოლიტოლოგები.

მოგესხნებათ კავკასია, როგორც ირანსა და რუსეთს შორის მდებარე მხარე, დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღების საგანია და კავკასიაში კი ამერიკელებს, სხვებზე მეტად, აზერბაიჯანი, საქართველო და ჩეჩნეთი აინტერესებთ. ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ რამდენჯერმე ხელახლა წამოიჭრა სტუმარ-მასპინძლობის პრობლემაზე კამათი.

კონფლიქტის ანალიზის დროს ორმაგი დამოკიდებულება გამოიკვეთა; ერთი (ლიბერალები და მარქსისტები) პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე მსჯელობას ამჯობინებდნენ, მეორე კი (კონსერვატორები) – ტრადიციისა და ადათ-წესების წინ წამოწევას.

საკვებით გეთანხმებით, „სტუმარ-მასპინძელში“ ერთმანეთს უპირისპირდება არა „კოლექტიური“ და „ინდივიდუალური“, არა პიროვნება და საზოგადოება (თემი), არამედ ორი კანონი – სტუმარ-მასპინძლობის „წესი“ (ოჯახის კანონი) და „წესი“ სისხლის აღებისა (თემის კანონი).

ოღონდ, ვფიქრობ, ორივე ადათი საოჯახოც არის და სათემოც და ერთ-ერთი მხარე („თემი“) არ უნდა იყოს მართალი.

ჯოყოლა და ალაზა ტრადიციების მტკიცე დამცველნი არიან. ისინი ძირისძირობამდე შეიგრძნობენ ადათ-წესებს, მის წიაღში ცხოვრობენ. თემი, ან უკვე „ფსევდოთემი“, ძლიერია და თავბრუდახვეული ძალაუფლებით და ადათ-წესებს კი არ იცავს, თავისი ანმყო ანუ ძალაუფლება მიაჩნია წესად. ჯოყოლა ნანობს, რომ მოსისხლე შემოიყვანა სახლში, მაგრამ წესს ვერ დაარღვევს; ურჩევნია გაუმშავნ ზვიადაური, გამორდეს ოჯახს, თემს და იქ მოეპყრან ავაღ.

„თემს რაც სწადია მას იზამს“, იგივეა, რაც „ხალხის სახელით“... ან „მე ვარ პრეზიდენტი და მე ვწყვეტ“... ამის

გამოსაუბრება

მთქმელს ავინყდება კანონი, წესი და თავის თავს უფრო მაღლა მდგომად წარმოიდგენს. სწორედ აქ იწყება „ტრადიციების რღვევა, რღვევა ერისა“ (ოთარ ჩხეიძე).

ჯოყოლას სახლში შეჭრილი ქისტები თემად ველარ ჩაითვლებიან. მათ დაარღვიეს თემის კანონი, უნებართვოდ შეიჭრნენ მოძმის სახლში და ფეხქვეშ გათელეს სტუმარ-მასპინძლობის ადათი. ამიტომ მათ მიერ ნახსენები „თემობის წესი“ მოძალადის ცინიზმად აღიქმება და არა თემის კანონის დამცველის მოწოდებად.

ჯოყოლა და ალაზა არ არიან მუამბოხენი, მუამბოხეა ქისტების უმრავლესობა, რომელიც არღვევს ადათს და ამყარებს დესპოტიზმს

„სტუმარ-მასპინძელში“ მოქმედებს მესამე ქრონოტოპოსი, უფრო ძლიერი და უფრო კონკრეტული, ვიდრე სტუმარ-მასპინძლობა და სისხლის ალებია: ეს გახლავთ რაინდული კანონი. რაინდული ადათი დაჩრდილავს სხვა ყველაფერს თავისი ამალღებულობითა და ბრწყინვალეობით. რაინდული ღირსება აქცევს ჯოყოლასა და ალუდას დიდ გმირებად დიადი ეპოსისა.

ალუდა დაუნდობლად კლავს მტერს და კვლავაც უპირებს მოკვლას, მაგრამ იცავს რაინდულ კანონს, რითაც თავს დაიტყვის გადაგვარებული „თემის“ რისხვას, „თემი-

სა“, რომელსაც, ძალაუფლებით გაამაყებულს, ყველას დასჯა და დათრგუნვა სწყურია. ალუდასა და „თემის“ პოლემიკისას, „თემის წესების დამცველი“ რჯულს თავისი თვითნებობის გასამართლებლად იშველიებს, ალუდა კი იმის თქმით, რომ ვაჟკაცობა ფულად არ იყიდება, ცხადად მიგვანიშნებს თემის გადაგვარებასა და თავის ზნეობრივ სიმართლეზე.

ამრიგად, „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ალუდა ქეთელურში“ სტუმარ-მასპინძლობა და რაინდობა თემსა და მის კანონს კი არ უპირისპირდება, არამედ უმრავლესობის დესპოტიზმს, რასაც დღეს რევოლუციებსა და გლობალიზმს უწოდებენ.

მეტსაც მოგწერდით, მაგრამ სჯობს თქვენვე გააგრძელოთ მშვენივრად წამოწყებული მსჯელობა. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ სწორედ თქვენეული ანალიზია ჭეშმარიტად ჰუმანისტური – თუკი ჰუმანიზმის ირვინგ ბებიტისა და ტომას ელიოტისეულ ანალიზს გავიხსენებთ – და სწორი გზით მიემართება, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ.

გულწრფელად, თქვენი
პაატა ჩხეიძე

კონტაქტები

ნიკო ნახუცრიშვილი

ნავაკითხოთ ირანელ ბავშვებს ქართული ზღაპრები

*

შეხვედრა
აჰმად არაბლუსთან

აჰმად არაბლუს გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ შევხვდი. ფეხბურთი მწერლის მეორე გატაცებაა. მისი პროგნოზით, ირანისათვის ჯგუფში მესამე ადგილიც დიდი მიღწევა იქნებოდა. რეალისტი მწერალი არაბლუ ფეხბურთშიც რეალისტი აღმოჩნდა. ირანმა ჯგუფში ბოლო – მეოთხე ადგილი დაიკავა. ახლა მისი საფეხბურთო იმედი თეირანის სარასიაბის რაიონის სამოყვარულო ახალგაზრდული გუნდია, რომელსაც წვრთნის და ხანდახან 41 წლის მწერალი თვითონაც თამაშობს.

მწერლის მშობლიური უბანი მეჭრებადის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს მდებარეობს და უზარმაზარი საჰაერო ლაინერების გუგუნე არაბლუს ყურს დედის ნანასავით ჩაესმის, ისევე როგორც იქვე შორიახლოს გამავალი თეირან-თავრიზის მატარებლის მონოტონური ხმაური. ჩრდილოეთ თეირანში, სადმე წყნარ და კომფორ-

ტულ ვილაზე ალბათ ასე ნაყოფიერად ვერც ვიმუშავებდიო, მეუბნება საელჩოში მოსული არაბლუ.

როდესაც თბილისის უნივერსიტეტში აჰმად არაბლუს ნოველა „ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი“ სტუდენტებს წავაკითხე სისხლიანი ისტორიის მხიარული გადმოცემისა და ენობრივი სილალის გამო, მაშინ არც მის თარგმნაზე, არც ირანში მეორე დიპლომატიურ მივლინებაზე და არც ვინმე აჰმად არაბლუს გაცნობაზე ვფიქრობდი. ახლა კი ვარ ქართველ ირანისტებში პირველი „არაბლულოგი“ და თეირანში საქართველოს საელჩოში ამ ირანელი მწერლის მასპინძელი.

პატარა ბავშვივით უხარია, რომ მისი ნაწარმოები საქართველოში ითარგმნა და დაიბეჭდა პრესტიჟულ ჟურნალში. ისიც ახარებს, რომ ყოვლისმცოდნე თეა შურლაიამ მისი „ალა-მაჰმად-ხან ყაჯარის“ სტილი ცნობილი მხცოვანი ირანელი მწერლისა და მთარგმნელის ნაჯაფ დარიაბანდარის ხელწერას მიაგმვანა და საკითხის გასარკვევად „ჩვენი მწერლობის“ მე-10 ნომრის ფურცლებიდან მწერალთან მთარგმნელის გასაუბრების სურვილი გამოთქვა.

პირველი შეკითხვაც არაბლუს ქალბატონ თეასგან შეხვდა. გაიოცა მისი ინფორმირებულობა და აღიარებითი ჩვენება მომცა, რომელიც მოკლედ ასე გამოიყურება:

„ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ნავიკითხე უილიამ კაფის (თუ დარიაბანდარის) „ასე იქცევიან დიდი ადამიანები“ და მეც ვერ მივხვდი, ვისი დაწერილი იყო. თითქოს კაფი არც არსებობს. დარიაბანდარიმ განსაკუთრებული ოსტატობით განახორციელა ძალიან მაღალ-ხელოვნური საქმე. დარიაბანდარის მიზანძვით ირანში ბევრმა სცადა დიდი ადამიანების ცხოვრების დაწერა, მაგრამ ჩემნაირად

არავის გამოუვიდა. ჩვენს სკოლებში ისტორია ყველაზე მოსაწყენი და მშრალი საგანია, გადატვირთულია თარიღებით, სახელებით, ბავშვს სახელმძღვანელოს გადაშლა ეზარება და საკუთარი ქვეყნის ისტორიაც ამიტომ არ იცის. ჩემს ისტორიულ მოთხრობებს მკითხველთა წერილებისა და ზარების ნიაღვარი მოჰყვა. მიკავშირდებოდნენ კმაყოფილი ბავშვებიც და ისტორიის მასწავლებლებიც, თუმცა „შაჰ-აბასის“ გამო კრიტიკაც იყო რამდენიმე პატივცემული მეცნიერისაგან. პროფესორმა ეშრაყიმ მითხრა, ისტორიული სინამდვილე არ დაგიმახინჯებია, მაგრამ შაჰ-აბასის მხოლოდ ცუდი თვისებები რატომ გამოკვეთეო. მე ყველაფერი ისტორიულ სინამდვილეზე მაქვს აგებული, თვით ბასთანი-პარიზისთანაც კი მქონდა კონსულტაციები. მერე ჰარუნ არ-რაშიდზეც დავწერე ბავშვებისათვის.“

ინტერვიუმდე ფაქსით გადმოგზავნილ ბავშვური ხელით დანერილ ავტობიოგრაფიაში არაბლუმ ინატრა მეტი სიმშვიდე, რათა უფრო მეტი წეროს ბავშვებისათვის. მწერალს ენის სისადავე რომ შეეუქე, მითხრა „ორი ენა მაქვს, ბავშვებისა და დიდებისათვისო“. საერთოდ „სადე-ნევისის“ – სადად წერის მომხრეა. „ხალხს დრო არ აქვს, რომ ბევრი იკითხოს. საზოგადოების გარკვეული ფენისათვის არ ვწერ. ვწერ ტაქსისტებისა და გამყიდველებისათვის, მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორებმა ხომ არ უნდა იკითხონ. ავტობიუსშიც უნდა შეეძლოთ წაკითხვა... მოთხრობა შეიძლება იყოს ერთი, ორ, სამწუთიანი, მთავარია თემა იყოს საინტერესო. მიმაჩნია, რომ მოკლედ და სადა ენით უნდა შეეხო საჭირობოტო საზოგადოებრივ და ისტორიულ თემებს“.

აჰმად არაბლუს თქმით, მალე კრებულად გამოვა მისი 100 ერთწუთიანი მოთხრობა, სადაც იქნება ქორნილიც და განქორწინებაც, ბავშვის აღზრდა და სხვა მრავალი სოციალური საკითხი. გრძელი რომანების დრო მოკვდა და რომანის მკითხველები უმცირესობაში არიანო, ბრძანა ბატონმა არაბლუმ, მაგრამ მე, როგორც თეირანში მრავალსაათიანი სატრანსპორტო საცობების შემყურე ან უშუალო მონაწილე, ვთვლი, რომ თეირანის „უსაძრობა“ (ანუ მამაპაპური „პრობკა“) კიდევ უტოვებს არსებობის შანსს სქელტანიან ლიტერატურას.


აჰმად არაბლუ სამწერლო მასალას ცხოვრებიდან იღებს. „უნდა წერო იმაზე, რაც იცი და განგიცდია, ყველაფერი უნდა გამოსცადო, მოვლენათა ქურაში უნდა გამოიარო“.

ირან-ერაყის ომის ბოლო წელს 8 თვე ფრონტზე გაატარა და ოპერაცია „ქარბალა-5“-ის სამახსოვროდ ჭურვის ნამსხვრევი აქვს ჩარჩენილი მკლავში. ომის თემაზე ირანში ბევრს წერენ. „ადაბიათე დეფა'ე მოყადლას“ –

„წმინდა დაცვის ლიტერატურა“ ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა თანამედროვე ირანულ მწერლობაში. ევროპელი ლიტერატურისმცოდნეები მასზე უკვე დისერტაციებს წერენ. არაბლუს მზად აქვს საკუთარი ფრონტული მოგონებანი. „ბევრი მეგობარი დავკარგე, დიდი განსაცდელი გამოვიარე, მაგრამ ომზეც მსუბუქი იუმორით (“თანზ“) ვწერ, რადგან სხვანაირად არ მენერება.“

„ომზეც უნდა წეროს მან, ვინც ომი გამოსცადა“ – მეუბნება არაბლუ. ფეხბურთზეც წერს, რადგან ეს საქმეც ესმის. ბოლოს ცნობილ ირანელ ვეტერან ფეხბურთელზე ხოდადად აზიზზე გამოსცა წიგნაქი.

ფრონტამდე და ომის მერეც სულ საბავშვო ჟურნალებში მუშაობს. სტუდენტობიდან იბეჭდებოდა ირანულ



ნიკო ნახუცრიშვილი და აჰმად არაბლუ

პრესაში. მიაჩნია, რომ მწერალმა პუბლიცისტიკით უნდა დაიწყოს. ახლა ირანის რადიოტელევიზიის ორგანიზაციის კუთვნილი ჟურნალ „სორუმე ქუდაქან“-ის მთავარი რედაქტორია. ჟურნალის ხელმძღვანელობას დიდი დრო მიაქვს. მიუხედავად იმისა, რომ დანერგილი აქვს 400-ზე მეტი წერილი და მოთხრობა, უკვე გამოუცია 70-მდე საბავშვო და საყმაწვილო წიგნი და კრებული, მიაჩნია, რომ ჯერ სათანადოდ პროფესიულად ვერ მოიცალა წერილისათვის.

„მინდა, რომ ნელ-ნელა ვწერო და გამოვხატო ჩემი გამოცდილება“.

ბატონ არაბლუს ჩვენც მოვუყევით ქართული ირანისტიკის მიღწევების, ქართულ-ირანული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ურთიერთობებისა და ნაყოფიერი მთარგმნელობითი ტრადიციის შესახებ, რომელიც დღეს თანამედროვე სპარსულ მწერლობასაც აცნობს ქართველ მკითხველს.

ბატონი არაბლუ გამოთქვამს გულწრფელ სურვილს, რომ ირანელი ბავშვები გაეცნონ ქართულ ზღაპრებს (ისევ ჩვენ, ქართველებმა უნდა ვთარგმნოთ! – ნ.ნ.), ითანამშრომლონ ქართულმა და ირანულმა საბავშვო-საყმაწვილო ჟურნალებმა, მწერლებმა და წიგნის გამფორმებლებმა, გამომცემლობებმა (ცნობისათვის, რადიოტელევიზიის გამომცემლობა „სორუმი“ ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და მრავალმხრივია დღევანდელ ირანში), მოეწყოს საბავშვო წიგნის გამოფენები თბილისსა და თეირანში. საელჩოში ბატონმა არაბლუმ თავისი შემოქმედების მხოლოდ ნაწილი მომიტანა და სახელდახელო გამოფენა ფოტოზეც აღვებჭდე.

ასეთია აჰმად არაბლუ, ერთი თანამედროვე ირანელი ადამიანი, რომელსაც ცხოვრების მთავარ საქმიანობად დიდებისა და პატარებისათვის გასაგებად წერა აურჩევია.

ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე

ღვთაებრივი მოცალეობა

*

„ქება სიზარმაცისა“

„სწორედაც რომ როსტომ ჩხეიძეს უნდა მოსვლოდა თავში ეს იდეა! სწორედაც მას, ერთ-ერთ ყველაზე ბეჯითსა და ნაყოფიერ მწერალს უნდა დაენერა „ქება სიზარმაცისა“ (ლევან ბრეგვაძე). და თუ იმ თეორიასაც გავიზიარებთ, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი იმაზე წერს, რაც აკლია (მაია ჯალიაშვილი და გიორგი ლობჯანიძე დაგვეთანხმებიან), მაშინ ბატონი როსტომი მოვალეც კი იყო სიზარმაცის ფესვებს ჩაღრმავებოდა და ჩვენში აქამდე საძრახისი ცნება ლამის სამყაროს გულისგულში გადმოეტანა.

ეს წიგნი სამოგზაუროდ მიპატიჟება – სხვადასხვა სივრცესა და დროში, წიგნების ფურცლებზე, ჩვენზე სულის იდუმალ სიღრმეებში, და განა მხოლოდ სამოგზაუროდ? საოცნებოდ, სააზროვნოდ, სათხზველადაც. თითქოს კი არ წერს, საუკეთესო მეგობარს ესაუბრება, გულის დარდს უზიარებს: დაგვამონა დროის ტრიუმფალურმა სვლამ, გაგვსრისა, გაგვანადგურა საათის ნიკნიკმა და უღმობლად ხელიდან გამოცილილმა ყოველმა ცისმარე დღემო...

რჩევასაც იმთავითვე აძლევს:

„იყავით ზარმაცი.
იყავით მოცლილი
ესაა ყველაფერი.

ნუ დაგლეჯთ დროს წლებად, თვეებად, კვირებად, დღეებად, საათებად, წუთებად, წამებად, დაუსხლტით მის მომწუსხველ ძალაუფლებას, შეივრძენით მისი მარადისობის შთაბეჭდილება“.

გესაუბრება და შენგანაც პასუხს მოელის. რაც მთავარია, გიჭირს, ცდუნებას გაუძლო, როცა მთელს არსებას ჩუმი სიხარულით ავსებს ეს თხრობა „ტკბილი და ტკბილქართული“.

წიგნი „ქება სიზარმაცისა“ 2005 წელს გამოიცა ლევან ბრეგვაძის რედაქტორობით, თუმცა მისი განხილვა მხოლოდ ამა წლის 21 მარტს შედგა. ეს იყო პირველი შეკრება განახლებული „ჩვენი მწერლობის“ ფარგლებში.

ჯემალ მონიავამ ჩვეული ოსტატობით ნაიკითხა ნაწყვეტები წიგნიდან.

ორი ხელოვანის კიდევ ერთი შეხვედრა დაუფინყარ შთაბეჭდილებას ტოვებს!

წიგნის განხილვამ (როგორც ეს ამ ლიტერატურულ თავყრილობებს ახასიათებს) დიდი გამოცოცხლება გამო-

ინვია. მომხსენებელნიცა და გამომსვლელნიც განსხვავებული კუთხით განიხილავდნენ დროის, მარადისობის, მოცალეობისა თუ სხვა საკითხებს, შიგადაშიგ იუმორსაც გამოუჩვენდნენ თემატიკის უკიდურესი სერიოზულობის განსამუხტავად.

მაია ჯალიაშვილი: „სიზარმაცის ქება“ ორიგინალური წიგნია, სტრუქტურაც ორიგინალური აქვს. კი აწერია „ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა“ და თითქოს მეცნიერული განსჯისთვის უნდა განგვანყობდეს, მაგრამ სინამდვილეში ძალიან რომანტიკული, ლირიკული და პოეტური წიგნია“.

გიორგი ლობჯანიძე: „ესაა მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც ესეისტური ხერხია გამოყენებული“.

როგორც მაია ჯალიაშვილმა აღნიშნა, წიგნს კი ჰქვია „ქება სიზარმაცისა“, მაგრამ ის უმთავრესად დროის ფენომენის ძიებას წარმოადგენს: ადამიანები დროის ტყვეები ვართ, მაგრამ მუდამ გაგვანჩნია მარადისობის წყურვილი, მისკენ სწრაფვა. ღმერთსა და პირველქმნილ ჰარმონიას დაშორებული ძე კაცისა მცირედ მორწმუნეობის გამო ვერ ახერხებს თავი ერთი მთლიანის ნაწილად იგრძნოს, საკუთარი სულის უკვდავება იწამოს. ამიტომ დროისგან თავის დასაღწევად სხვადასხვა ხერხს მიმართავს. ბოდლერი, მაგალითად, მოგვიწოდებდა: თრობას მიეძლე, თრობაა ყველაფერიო. რითი მიეძალები გამოუნელებელ თრობას? შეიძლება დროს შეებრძოლო ღვინითაც, პოეზიითაც და სიქველითაც.

დროისა და სიზარმაცის თემატიკასთან დაკავშირებით ავტორს განხილული და დამონმებული აქვს რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური თუ პუბლიცისტური შინაარსის სხვადასხვა მასალა. საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა „გამოყენებული ლიტერატურის“ რიცხვი უსასრულოდ გაზრდილიყო, მაგრამ ეს როდია როსტომ ჩხეიძის მიზანი.

რეზო ესაძე თავის ემოციურ გამოსვლაში ერთსა და იმავე კითხვას იმეორებდა, რაზეც მაკა ჯოხაძემ უპასუხა: „ეს წიგნი იმიტომ იყო ასეთი მშობლიური, რომ ავტორმა მთელ მსოფლიოში დაძებნა ქართველები და მასთან ერთად ის ადამიანები, რომლებსაც დროისა და სიზარმაცის მსგავსი აღქმა გააჩნდათ“. მაგრამ რაც უნდა ბევრი იმოგზაუროს როსტომ ჩხეიძემ წიგნის წინასიტყვაობასა და ეპილოგში, სხვადასხვა ქვეყნებს ესტუმროს და მკითხველიც თან გაიყოლოს, წიგნის უმთავრეს ნაწილს, მის ხერხემალს მაინც ორი დამოუკიდებელი ნაშრომი შეადგენს: პირველი, „ნაცარქექია – სამყაროს შუაგულში“ და მეორე – „თავდავინყების სულ ერთი წამი“, ბარათაშვილზე. რაც უნდა მახლობელი იყოს მწერლისთვის სერვანტესის, შარლ ბოდლერის, ფოლკნერის, სალვადორ დალის, მარკ ტვენის, ლორდ ბაირონისა თუ რომენ როლანის აზრები, მისი გულისყური ისევ და ისევ ქართულ საფიქრალს, სათქმელს დასტრიალებს, დროს შეჭიდებულ ქართველ გმირებთან მიეშურება. მათ შორის უპირველესია ნაცარქექია – ზღაპრის სამყაროდან გამოხმობილი ტრაგიკომიკური პერსონაჟი, უარყოფითი შინაარსის საზოგადო სახელად ქცეული, თავისი სიზარმაცისა და ცრუპენტელობის გამო.

ნურას უკაცრავად, სალანძღავი სიტყვა კი არა, მონუმენტური სახეა, ეროვნული გმირიაო – გვიმტკიცებს როს-

ტომ ჩხეიძე და გასული საუკუნის დიდ ქართველ მოაზროვნეებს იმონებებს. მერე რა, რომ წლობით ნაცარს ქე-ქავდა („ნაცარი აზრის სიმბოლოდ იშიფრება ყველა ზღაპარში“ – ზვიად გამსახურდია), ამით გონებას ავარჯიშებდა, სამაგიეროდ, როცა მოქმედების დრო დადგა, დევებსაც სძლია და სიმდიდრეც მოიხვეჭაო. ასეთივე სასწაულებრივი სახეცვლილების მეოხებით ლუარსაბ თათქარიძე ძველი ქართველის სიმპათიურ და ნოსტალგიურ (თუმცა კი გროტესკულ) სახე-სიმბოლოდ მოგვევლინება, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ უსახელო პერსონაჟი, რომელიც „არაგვისა და მისი ქალების მშვენიებით მოხიბლული ერთბაშად ჩამოხტებოდა ცხენიდან“, თავად პოეტის თანამედროვეა და არა (როგორც აქამდე გვეგონა) ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულისა.

ამ ერთი შეხედვით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ გმირებს დროისადმი ის განსაკუთრებული, უდარდელი დამოკიდებულება ახასიათებთ, რაც შეიძლება ეროვნული ხასიათის თავისებურებად ჩავთვალოთ; „ჰარალე ქართველი“ – შეგვახსენებს როსტომ ჩხეიძე და ეს გამონათქვამი უარყოფითი დატვირთვისაგან თავისუფალია. „ჰარალე ქართველობით ცდილობს ცხოვრების დანიშნულების ამოცნობას“.

„სიზარმაცის ქებისთვის“ დართულ მცირე წერილში ლევან ბრეგაძე მეცნიერულად გვიხსნის ჯადოსნურ გარდასახვათა ბუნებას: „ამ წიგნში როსტომ ჩხეიძე ფოლკლორისა და ლიტერატურის კარგად ცნობილი პერსონაჟებისა და პასაჟების ახლებური ინტერპრეტაციით სიბეჯითისა და სიზარმაცის ოპოზიციური ნყვილის დეკონსტრუქციას ახდენს, თანაც ისეთი ოსტატობით, რომ სულმოუთქმელად ჩაგაკითხვით ამ წიგნაკს და, მჯერა, შემდგომაც არაერთხელ მიუბრუნდებით მას (დეკონსტრუქცია, საზოგადოდ, ლიტმცოდნეობის და სალიტერატურო კრიტიკის მეთოდია, მაგრამ ამ მიზანდასახულობით შესრულებული ნაშრომი ისეთივე გატაცებით გვაკითხვს თავს, როგორც ნარმტაცი ფაბულის მქონე მხატვრული ტექსტი)“...

დეკონსტრუქცია კლასიკის ახლებურად წაკითხვის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც აგრერიგად ცნობილი და გაშინაურებული ნაწარმოებებისა თუ პერსონაჟთა სიცოცხლისუნარიანობაზე ზრუნავს, მათკენ „კვლავ ინტერესით მიგვაპყრობინებს მზერას“... „ორიგინალურად, არასტანდარტულად მოაზროვნე ლიტერატორის გარჯის მეოხებით ისინი სულ სხვა, მოულოდნელი კუთხით წარმოსდგენენ ჩვენს წინაშე“.

ორივე მონაკვეთი და საბოლოოდ კი მთელი წიგნი მძლავრი ეროვნული სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ხან აქ, ხან იქ გაიფრთხილებს ვაჟას, ილიასა და აკაკის სახეები, მათი მადლიანი ქართული. რუსთაველი, ბარათაშვილი, გალაკტიონი და ბესიკ ხარანაული; მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე და ჯემალ ქარჩხაძე... ამრიგად „სიზარმაცის ქებას“ ყველაფერთან ერთად, ჩვენი მწერლობის მცირე მიმოხილვაც ეთქმის.

ეროვნულის გარდა, ფრიად მნიშვნელოვანია წიგნის მეორე, რელიგიური პლასტიკა.

ძველი აღთქმა, დაბადება...

„გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რაც გააკეთა.“

აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველივე საქმისგან, რასაც ქმნიდა ღმერთი და აკეთებდა“.

მეშვიდე დღის დასვენება ანუ წმინდად შერაცხვა სხვას არაფერს გულისხმობდაო – წერს როსტომ ჩხეიძე – თუ არა ადამიანის მოვალეობას საკუთარი თავისა და სიცოცხლის ღვთაებრიობის წინაშე.

რაკილა ღმერთიც კი ისვენებდა, ყოველ მეშვიდე დღეს ადამიანს ხომ უნდა დაესვენა, სრულ მოცალეობაში ჩაძირულიყო.

... ცხოვრობდნენ ადამ და ევა სამოთხეში. სხვადასხვა ხედა ნაყოფს მიირთმევდნენ და, მომიტვეთ კადნიერება, არაფერს აკეთებდნენ, არც რაიმე საზრუნავი გააჩნდათ: ღვთის შვილები იყვნენ და უფალთან საუბრობდნენ, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში მყოფნი მარადისობაში ცხოვრობდნენ – უკვდავნი იყვნენ. ღვთაებრივი იყო მათი მოცალეობა.

ცნობადის ხის ნაყოფის ჭამისათვის სამოთხიდან განდევნილ ადამსა და ევას ღმერთმა მრავალი სასჯელი მოუვლინა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი სწორედ მტანჯველი შრომა იყო: „მინა დაინყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე“.

მას შემდეგ მინას ჩაჰყურებს ადამიანი, ნელეზზე ფეხს იდგამს, მინა კი თანდათანობით სულ უფრო უნაყოფო ხდება: „ძეძვი და ეკალი აღმოგიცნოს“. პიროფლიანი ჭამს პურს და ბოლოს კვდება ანუ მინად მიიქცევა.

ასე ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს ცოდვით დაცემული ადამიანის არსებაში სიკვდილის შიში და შრომის, როგორც თვითგადარჩენის, სიცოცხლისთვის ბრძოლის აუცილებლობა. ამ კონტექსტში მართლაც ტრაგიკომიკურად უღერს ენგელსის ცნობილი (სულ რომ ჩაგვიჩინებდნენ) გამონათქვამი: შრომამ შექმნა ადამიანი-აო.

ვაგლახ, მოკვდავია ადამიანი! დაიბადება თუ არა, რომელიღაც უხილავი საათი მისი სასიცოცხლო დროის ათვლას იწყებს. შრომა მართლაც სასჯელივითაა, რომელიც, ლამისაა მთლიანად დაეპატრონოს, სულის მოთქმას, გარინდებას არ აცლის, საკუთარ არსებასა და დანიშნულებაზე ფიქრის დროს არ უტოვებს, თავად ღვთაებრივ წარმომავლობასაც კი ავიწყებს.

მაგრამ უფალმა სრულად როდი განირა ადამის მოდგმა. მან ქალს, დედას, მხსნელის მოვლინება აღუთქვა. მესია არის ის, ვინც კაცობრიობას დაკარგულ სამოთხესთან, მარადისობასთან დაბრუნების გზას აჩვენებს, სიბნელიდან სინათლეში შეიყვანს. იესო ქრისტე, რომელიც ადამიანებს ასე მოძღვრავდა: იცხოვრეთ ველის შრომანებით და ცის ფრთოსნებით, რომელნიც არც თესენ, არც მკიან და არც საუნჯეს აგროვებენო.

„ვერა, ვერ იცხოვრებდა კაცობრიობა ამ ცხოვრების წესით, მაგრამ არც ამ გზის დაიწყება შეიძლებოდა, რათა მარადისობის სუნთქვა დროდადრო მაინც გვეგრძნო“ (როსტომ ჩხეიძე).

„სიზარმაცის ქებაში“ დამონმებული ავტორები უმთავრესად ევროპულ აზროვნებას, დროის დასავლურ აღქმას გამოხატავენ. რელიგიებიდან ნახსენებია მხოლოდ ქრისტიანობა – არც ესაა შემთხვევითი. საფიქრებელია, რომ მწერალი განგებ არ განიხილავს მეორე, ოპოზიციურ მსოფლხედვას – აღმოსავლურს, რომელსაც დროის, მარადისობის, ადამიანის მდგომარეობის, სიზარმაცისა თუ მოცალეობის საკითხებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნია. იგი დროს ერთიანად და წარუვალად, სიზარმაცეს კი ადამიანის საუკეთესო საქციელად მიიჩნევს. მაგრამ როსტომ ჩხეიძეს ხომ სწორედ წლებად, თვეებად, კვირებად, დღეებად, საათებად, წუთებად და წამებად დაგლეჯილ-დანანევრებული დროის ტრაგედია სურდა იჩვენებინა. მუდმივ წრებრუნვაში, დოლის ცხენებივით ილაჯგან-ყვეტილ ადამიანებს ყოველი წამი სინანულის ნალველს უტოვებს. მოულოდნელად სიკვდილიც თავს წაადგებათ.

Memento mori – იმისთვის კი არ უნდა გახსოვდეს, რომ ძრწოდე და გლოვობდე, არამედ უნდა „გრძნობდე დროის გასვლას“, აზრიანად იცხოვრო, იფიქრო ღმერთზე, სულზე, საკუთარ არსებობაზე... მზად უნდა იყო სიკვდილისათვის, უნდა დასძლიო იგი, ამისათვის უნდა გახსოვდეს.

თორემ სხვაფრივ მართალი იყო ეკლესიასტე, ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამო არისო, რომ გოდებდა.

განა შაგრენის ტყავი დასავლური აზროვნების ერთ-ერთი სიმბოლო არ არის? ჩვენი სასიცოცხლო დრო, წუთი – სოფელი, რომელსაც ჩვენივე სურვილები – სანყაური ალუესებელი ბოლოს უღებს და აღსასრულისკენ მიაქანებს. ამიტომაცაა, რომ ინდურ ფილოსოფიასა და რელიგიაში მინიერი კავშირების გასანყვეტად და სრულყოფილებისკენ სწრაფვაში ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ სურვილებისგან განთავისუფლებას, რადგან სურვილები ქმედებისკენ გვიბიძგებს, ჩვენში სხვადასხვა ვნებებს აღძრავს, რაც ადამიანის სულისათვის დამღუპველია. უმჯობესია, არარა გწადდეს და არც რას იქმნობ, მოქმედება ბოროტებაა, უმოქმედობა კი სიქველი.

„სიზარმაცის ქებაზე“ საუბრისას მაია ჯალიაშვილიმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ჰერმან ჰესე ესეიში – „უსაქმურობის ხელოვნება“ – ამ მოვლენისადმი იმავე დამოკიდებულებას ამჟღავნებს, როგორსაც როსტომ ჩხეიძე. იგი წერს, რომ აღმოსავლეთში იციან უსაქმურობის ფასი. ეს მათ განასხვავებს ტექნიკური ცივილიზაციის ქვეყნებისგან (დასავლეთი), სადაც დრო დაფლეთილი და დანანევრებულია. აღმოსავლეთში დროის მილიონრები ცხოვრობენ, რომელთაც შეუძლიათ მთელი დღე გაატარონ რომელიმე მზეთუნახავის ერთი ნაკვთის აღწერაში, ანდა ერთი შედარების მოძებნაში. ჰერმან ჰესე ამას ღვთაებრივ უსაქმურობას უწოდებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს ეპითეტი, გვონებ, აღარავის ეუცხოება.

თუ აღმოსავლეთში სიზარმაცეს ადიდებენ, დასავლეთს კერპად მუშაობა დაუსახავს, დევიზით „დრო ფულია“. ენ. პროგრესული კაცობრიობა საკუთარი მოჩვენებითი კეთილდღეობის მსხვერპლია. ადამიანური გრძობების გამომჟღავნებისა და ჩვეულებრივი გულითადი საუბრისათვის ხალხს დრო არ ჰყოფნის. მახსოვს, თბილისში სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდა ფრანგები როგორ შეგვანატროდნენ: ნეტავი თქვენ, ქართველებს, ქუჩაში

აუჩქარებლად დადიხართ, დროდადრო ჩერდებით, შემხვედრ ნაცნობ-მეგობრებთან საუბრობთო.

შემთხვევით არ გაიხსენა მაკა ჯოხაძემ ეგვიპტელი წმ. მამის წინასწარმეტყველება: „დადგება ჟამი, როდესაც დრო ისე შეიკუმშება, რომ იქნება წელიწადი, ვითარცა თვე, თვე – ვითარცა დღე და დღე – ვითარცა წამი“.

დროის ტირანიისგან თავის დასაღწევად როსტომ ჩხეიძეს ერთადერთი გზა ეგულება: იყავით მოცლილი – მიმართავს იგი მკითხველს. იყავით ზარმაცი. ... ესაა ყველაფერი და ერთადერთი ხსნაც ესაა.

შეჩერდით, დაისვენეთ, მიმოიხედეთ გარშემო, დააგემოვნეთ ყოველი წამი, ისუთქეთ ღრმად და თავისუფლად. ნუ აჩქარდებით! მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაზრისით, მორწმუნეს ჩქარი ნაბიჯით სიარული არც კი შეეფერება. მაია ჯალიაშვილიმა აუჩქარებლობისა და სიმშვიდის საუცხოო მაგალითი ახსენა. სხვათა შორის, მემუარისტები გრიგოლ რობაქიძეს ახასიათებენ, როგორც უაღრესად დინჯ, განონასწორებულ ადამიანს, რომელიც არც საუბრისას, არც სიარულისას არ აჩქარდებოდა. ამბობდა ხოლმე, მე ყოველთვის მაქვს დრო, მაშინ, როცა გარშემო ყველა მოუცლელია უჩივისო. დროის უქონლობას მწერალი უკულტურობად, მეტიც, უზნეობად მიიჩნევდა. გრიგოლ რობაქიძეს შეუდგენია „თავისი ოცნების დაკუმენტი ოდესმე აღსასრულებლად“, გნებავთ, ანდერძი უწოდეთ...

„სიზარმაცის ქების“ ავტორსაც აქვს ერთი მოკრძალებული ნატვრა – სადმე ბეჭობზე ნახევრად წამოწოლილი გადაჰყურებდეს მდინარის დენას. ეს არც მოსწყინდებოდა, არც მობეზრდებოდა. იქნებოდა და იქნებოდა ასე, მაგრამ სადაა ან ის ბეჭობი, ან ის მდინარე, ან ის ხმა სადაა მის არსებაში, ყველაფერს რომ მიატოვებინებს, ხელიდან გამოაცლის ყველა საქმეს, ზვავივით რომ დასწოლია თავზე და... გასრესვით ჯერ არ ესრესინება.

ამ მომცრო წიგნს, განსაკუთრებით კი მის წინასიტყვაობასა და ეპილოგს მართლაც დაჰკრავს პესიმისტური იერი. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან სიზარმაცის ქება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკარგული სამოთხის ძიებაა.

P.S. შეიძლება ვინმემ შენიშნოს: ერაზმ როტერდამელმა სისულელეს „ქება სისულელისა“ დაანერა, როსტომ ჩხეიძემ მის კვალდაკვალ, სიზარმაცეს შესახა ხოტბა, შენ კი „სიზარმაცის ქების“ ქება გამოგივიდაო.

კიდევაც იმას ვამბობდი, ძნელია ცდუნებას გაუძლო-მეთქი...

1. „ქება სიზარმაცისას“ განხილვაზე ფიზიკოსმა თეიმურაზ ნადარეიშვილმა საგულისხმო რამ აღნიშნა: მოცალეობა ბევრ რამეს იტევს. რამდენიმე შესაძლებლობიდან ადამიანი ხომ ერთ-ერთს ირჩევს მუდამ. თუ არაფერს აკეთებ, უამრავ შესაძლებლობას ფლობ, ყველაფერი შეგიძლია.

აღბათ ამიტომაცაა, რომ ადამიანი ქმედებას ზოგჯერ ფიქრით, ოცნებით ცვლის. ამიტომაცაა, რომ ზარმაცი, უქნარა ადამიანები ხშირად უბრალო მეოცნებენი არიან. საზოგადოება მათ უფრთხის, ათვალწუნებით უყურებს, რადგან ასეთ ხალხს არანაირი ხელშესახები სარგებლობა არ მოაქვს, მეტიც, მეციუმის კეთილდღეობისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ. და ბოლოს, ამიტომ ხომ არ სურდა პლატონს, პოეტები გაეძევებინა თავისი იდეალური სახელმწიფოდან?!

თეიმურაზ ნადარეიშვილი

სულის ფოტობრაფიები

ლიტერატურული ჩანახატები

* * *

1945 წელს, საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორული პარტიის დამარცხების შემდეგ, უინსტონ ჩერჩილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა, მაგრამ 1951 წელს (ექვსწლიანი იძულებითი „შესვენების“ შემდგომ!) იგი კვლავ ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ მის შესახებ ინგლისელები ნახევრად ხუმრობით ამბობდნენ: „შეუძლებელია მისი ძალაუფლებისაგან მოშორება!“ ჩემი აზრით, ეს მოსწრებული გამონათქვამი ჩერჩილის პროფესიონალიზმის მაღალი შეფასებაა და არა ხელისუფლებისადმი დაუოკებელი მისწრაფების გაკიცხვა! მართლაც, ზოგჯერ ადამიანის პროფესია და ცხოვრება ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული, რომ შეუძლებელი ხდება ამ „ჯაჭვის განწყვეტა“!

* * *

ზოგიერთი ადამიანის გარეგნული სიხალისის მიღმა, ხშირად დიდი სევდა იმალება ხოლმე! მე მგონი, ასეთი პიროვნება ძალზე ამაყი ადამიანია, რადგანაც მას არ უნდა, რომ მისმა შინაგანმა დარდმა გარეთ „გამოჟონოს“!

* * *

გენიალური ფრანგი მათემატიკოსი ოგიუსტენ ლუი კოში „არანორმალური“ პროდუქტიულობით გამოირჩეოდა – ფრანგული ჟურნალები ვერ აუდიოდნენ მისი ნაშრომების გამოქვეყნებას და კოში იძულებული გახდა საკუთარი ჟურნალი დაეარსებინა, სადაც შვიდასამდე (!) სტატია დაბეჭდა.

ამ ფაქტმა მეორე გენიალური მეცნიერის კარლ გაუსის ასეთი ირონიული შეფასება გამოიწვია: „კოშის მათემატიკური „ფალარათი“ აწუხებს“.

რას იზამ, ზოგჯერ გენიოსსაც კი აკვირვებს და აღიზიანებს სხვა გენიოსის მოღვაწეობა! თუმცა ხშირად „საქმე უფრო შორს მიდის“ და მხოლოდ მსგავსი შეფასებებით არ „აჯილდოებენ“ შემოქმედს! გავიხსენოთ, მაგალითად, რომ კონსტანტინე არსაკიძეს არ აკმარეს სიტყვიერი „შემკობა“ და სვეტიცხოვლის აგებისათვის მარჯვენა მოკვეთეს („ხე-

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №14

კორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგია!“), ჯორდანო ბრუნო კი კოცონზე დანვეს!

* * *

ამერიკის კონგრესში ცივი ომის პერიოდში ერთ-ერთმა ანტისაბჭოთა „ქორმა“ შემდეგი რამ განაცხადა: „სტალინის პატივისმცემელი ვარ – მან განწყვიტა ნახევარი კომუნისტები!“ ასე რომ, ზოგჯერ (საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ!) პოლიტიკური მონინააღმდეგები ერთმანეთის „ნისქვილზე ასხამენ წყალს!“

* * *

ახლა, ერთმანეთთან შეხვედრისას, შეკითხვაზე „როგორ ხარ?“, ხშირად ვპასუხობთ: „გაძლებსაზე!“ (ან „ვუძლებს!“). ასეთმა არაადამიანურმა პასუხმა ადამიანურ, „უნყინარ“ შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, „იძულების წესით“ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ლექსიკაში!

* * *

ერთ-ერთ ტელეარხზე ვნახე რუსული ფილმი ჩეჩნეთის ომის შესახებ. მოიტაცებენ მსხვილი ფირმის პრეზიდენტს, რომელიც თავის ვიცე-პრეზიდენტს მობილური ტელეფონით შეატყობინებს, რომ მის გამოსახსნელად საჭიროა 150 000 დოლარის გადახდა.

გარკვეული დროის შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი დაუკავშირდება გამტაცებელთა მეთაურს და შესთავაზებს მას 200 000 დოლარს იმის საფასურად, რომ პრეზიდენტი ტყვეობიდან არ გაანთავისუფლონ! მრავლისმეტყველი ფაქტია – ხშირად ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის არაჯანსაღი ურთიერთობაა, ხელქვეითს შეიძლება გარკვეული წყენა ახსოვდეს ხელმძღვანელისაგან, შესაძლოა იგი ფარულად ოცნებობდეს „პატრონის“ ადგილზე და ა.შ. ამიტომ საკმარისია სიტუაცია შეიცვალოს და ეს ფარული ზრახვანი სააშკარაოზე გამოდის!

P.S. მახსენდება შექსპირის „რიჩარდ III“-ში, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, რიჩარდი ასე მიმართავს რიჩმონდს: „ჯარისკაცები შენთვის ილოცებენ, ჩემთვის კი დაიხოცებიან!“ ანუ ხელქვეითს შეიძლება სხვა ლიდერი სურდეს ან თვითონ უნდოდეს ლიდერობა, მაგრამ იძულებულია „პატრონისათვის“ მოკვდეს!

* * *

ძალზე მომეწონა ახალ წელს რუსთაველის გამზირზე ხეებზე ანთებული ნათურები (კარგი შეხამებაა ადამიანის ტექნიკური მიღწევის და ბუნების!) ჩვენს „უბრალო“ განზრახვას ხე მოვრთოთ ამ „სამკაულით“, თავად ხე „შეიფერებს“ და უმატებს საკუთარ „ატრიბუტებს“ – მისი ტოტები ხანდახან ადამიანის ფანტაზიისთვისაც კი ძნელად წარმოსადგენი ფორმისაა (მათ ჩვენ დღისით ვერც კი ვამჩნევთ!) და სწორედ მათზე განლაგებული ნათურები განათების შემდგომ მთელი „ძალით“ წარმოგვიჩენს ამ ფორმების სრულყოფილებას და „უცნაურობას“ – თითქოს ხეები ზღაპრიდან გადმოსული გმირები არიან!

(მათ შემყურეს უნებურად გამახსენდა თ. დოსტოევის ასეთი გამოხატვა: „არაფერი ისეთი ფანტასტიური არ არის, ვიდრე რეალობა!“).

ასევე ხშირად ზოგიერთი ადამიანი ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში შეუმჩნეველია, მაგრამ გააჩნია „ფარული“ პოტენციული და მთავარია მან საკუთარი ან სხვა კეთილმოსურნე ადამიანის საშუალებით წარმოგვიჩინოს იგი (ხშირად ხომ ოდნავი „ბიძგიც“ კი საკმარისია და ადამიანი მთლიანად „იფურჩქნება“ ხოლმე!). ამიტომ უნდა შეგვეძლოს არა მარტო ხეების, არამედ ადამიანის მორთვაც „ნათურებით“!

* * *

რასკოლნიკოვი ჯერ სჩადის დანაშაულს და შემდგომ ცდილობს გაიხაროს თუ ადამიანთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნება (გავიხსენოთ მისი ცნობილი მსჯელობები სრულყოფილი და არასრულყოფილი ადამიანების შესახებ თ. დოსტოევის „დანაშაული და სასჯელი“), ე.ი. აქ ქმედება (მკვლელობა!) წინ უსწრებს ანალიზს, ჰამლეტი კი მხოლოდ ღრმა ანალიზის შემდეგ გადადის ქმედებაზე – პიესის ფინალში კლავს ბიძას! (თუმცა ეს ანალიზი, შესასწავლი მოვლენის პარადოქსალურობის გამო – კლაუდიუსის მიერ საკუთარი ძმის მკვლელობა და გერტრუდას ცოლად შერთვა – საკმაოდ ჭიანჭურდება, რის გამოც ბევრი მკვლევარი ჰამლეტს, ჩემი აზრით, უსამართლოდ „უმოქმედობაში“ ადანაშაულებს და მიიჩნევს „უნებისყოფი“ ადამიანად!).

* * *

გენიოსი ფიქრისას ისეთ „სიღრმეებში შედის“, იმდენად წინ უსწრებს დროს, რომ შემდგომ მისი ნაზრევი დროს უძლებს! როგორ ახერხებს ამას იგი? ეს არავინ იცის (თვით გენიოსმაც კი!) და სწორედ ამასი მდგომარეობს შემოქმედებითი პროცესის საიდუმლო – ფიქრისას შეუძლებელია დააკვირდე საკუთარ თავს, თუ როგორ ფიქრობ და კიდევ კარგი ეს „დამცავი“ მექანიზმი არსებობს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შემოქმედება უბრალო ხელობად იქცეოდა! (ყველა „გენიოსი“ გახდებოდა!).

* * *

„განვითარებული“ სოციალიზმის ეპოქაში ქ. ერევნის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ასეთი კურიოზული ფაქტი მოხდა: გვიან შემოდგომაზე ამ ნაწილს ეწვია მაშინდელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი დიმიტრი უსტინოვი. ნაწილი, რა თქმა უნდა, მაღალი სტუმრისთვის შესაფერის მდგომარეობაში მოიყვანეს, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯარისკაცებს ნაწილის ტერიტორიაზე განლაგებული ხეების შეყვითლებული ფოთლები მწვანედ შეაღებინეს!!! ალბათ ამ ქმედებით განიზრახეს „შეეჩერებინათ“ ზამთრის მოახლოება და მინისტრის კვლავ შემოდგომაში „დატოვება“! ასეთ აბსურდამდე მიდიოდა იმდროინდელი ხელისუფლება; მაშინ ხომ „ნათელი მომავლის“ მოსახლოებლად ყველას და ყველაფერს „ებრძოდნენ“ – გავიხსენოთ მაგალითად, ციმბირის ჩრდილოეთი მდინარეების სამხრეთით მოზრუნების უტოპიური გეგმები, პლანეტაზე ყველაზე დიდი კაშხალების, ქარხნების და ა.შ. მშენებლობის მანია! სინამდვილისადმი ამ არაბუნებრივმა, „არაჯანსაღმა“

დამოკიდებულებამაც (სხვა ფაქტორებთან ერთად!) შეუმცირა „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ საბჭოთა იმპერიას! (ოსმალეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა იმპერიებმა კი, გაცილებით დიდხანს იარსება!).

* * *

კარგი მოვლენაა სხვადასხვა კონკრეტული ფაქტების გაანალიზების საფუძველზე ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება, რის შედეგადაც ისინი ერთიანდება, ლაგდება ამ ზოგადი პრინციპის „შუქზე“. შეიძლება ამას გრძობდა პლატონიც, როცა ქმნიდა თავისი ცნობილი „იდეების“ თეორიას. ალბათ ეს „იდეები“ სხვა არაფერია, თუ არა ეს ზოგადი პრინციპები!

* * *

სტუდენტობის და საერთოდ, ახალგაზრდობის პერიოდში, მრავალ შეკითხვას ვსვამდი, რომლებზეც პასუხის გაცემაზე დიდად თავს არ „ვიმტვრევდი“ და ამიტომ სხვედვისგან მზა-მზა პასუხების მოსმენის შემთხვევაში, ხშირად მათი გავლენის ქვეშ ვექცეოდი, ხოლო ჩემი პასუხები, თუკი ისინი მაინც გამაჩნდა, უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ! ამან კი იქამდე მიმიყვანა, რომ შევწყვიტე შეკითხვების დასმა! ახლა კი, როგორც ჩანს, ჩემი ეს ჩანახატები, ხშირად კვლავ შეკითხვების დასმის მცდელობებია (მე უკვე აღარ ვცდილობ „უცხოებისგან“ მოვისმინო მათზე პასუხები, ან არ ვიზიარებ მათ და ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, თავად ვპასუხობ!). მე მგონი, ეს „ახირება“ გარკვეული ხიფათის მატარებელია (ამ ხიფათში „ლომის ნილი“ იმას უკავია, რომ მტერი შეკითხვები და მითუმეტეს პასუხები მათზე, გარკვეული არაკომპეტენტურობის გამო ამა თუ იმ სფეროში, შეიძლება ბანალურადაც კი გამოიყურებოდნენ!), მაგრამ მაინც ღირს რისკის განევა – ხშირად კითხვის დასმაც კი ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგანაც სამყაროს შეცნობა უმეტესწილად „შემანუხებელი“, „აბეზარ“ კითხვებზე პასუხის გაცემით იწყება!

* * *

პური აუცილებელი საკვები პროდუქტია – მის გარეშე ყველაზე გემრიელი საჭმელიც კი აზრს „კარგავს“, მაგრამ მარტო პურიც არ არის საკმარისი დასანაყრებლად! (პური რომ მათემატიკოსების კვლევის საგანი ყოფილიყო, მაშინ ისინი იტყოდნენ: „პური აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა არსებობისთვის!“). ასევე ფილოსოფიაც აუცილებელია ყველა დანარჩენი მეცნიერებების გასააზრებლად, მაგრამ მხოლოდ იგი არ არის საკმარისი, მარტო ფილოსოფიით „შორს ვერ წახვალ!“

* * *

ძალიან მომწონს ძველინდური საქორწინო რიტუალი: სასიძო აკაკუნებს საპატარძლოს კარებზე. საპატარძლო: ვინ ხარ? სასიძო: მე შენ ვარ! ლაკონურობის მიუხედავად, მე მგონი, აქ ყოველგვარი კომენტარი აზრს მოკლებულია – ამდენად მრავლისმთქმე-

ლი და ტევადია რიტუალი! ერთადერთი შეიძლება გამოითქვას სურვილი, რომ ეს განწყობა მეუღლეებს სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნდეს ანუ მე ყოველთვის შენ იყოს და შენ კი მე!

* * *

„ტრავმატოლოგი ზაფხულის ვალს ზამთრობით ისტუმრებს!“ – ამ „შავი“ იუმორის „სიბრძნე“, სამწუხაროდ, საკუთარ თავზე გამოცვადე, როცა მამამ ზაფხულშიც და ზამთარშიც ორჯერ მოიტეხა ფეხი (ზაფხულში პაციენტების ხალვათობას ზამთარში მათი სიუხვე აკომპენსირებს!).

* * *

როგორც იქნა მომეწონა სარეკლამო კლიპიდან ფრაზა: „გონებრივი შრომისათვის ხელისშემწყობი ავეჯი!“ მართლაც, ადამიანის მოღვაწეობის ამ რთული სფეროსათვის აუცილებელია ხელისშემწყობა – სიმყუდროვის, კომფორტის შექმნა, თორემ როგორც თ. დოსტოვესკი მოსწრებულად შენიშნავს: „В неуютной комнате неуютные мысли рождаются!“.

* * *

როცა მარტივ პრობლემას იმაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებ, რასაც იგი სინამდვილეში იმსახურებს, მაშინ ამ პრობლემამ შეიძლება მართლაც შეიძინოს „დაუმსახურებლად“ ეს მნიშვნელობა (მხოლოდ შენთვის!) და გააჭირდეს მისი დაძლევა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემის თავიდანვე სწორ შეფასებას, რათა შემდგომ არასასურველი სცენარით არ წარიმართოს მოვლენები!

* * *

1992-1993 წლების ძნელბედობის ზამთარში (თუმცა მის შემდგომ დიდად არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა!), როცა გაზის, დენის შეწყვეტის შემდეგ, ადამიანურ ღირსებებზე ლაპარაკი ფუფუნებად იქცა, როცა ყოფიერებამ დაკარგა „სიმსუბუქე“ და „ძალზედ დამძიმდა“, ჩემს მეზობლებთან ერთად დავინყე ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლა – ყველგან ვეძებდით ძველ ფიცრებს, ფანერებს, სულ უმნიშვნელო სამშენებლო ხის ნაჭერსაც კი, რათა საჭმელი მოგვეზადებინა და ოდნავ მაინც გავმთავარიყავით!

ამ ფონზე ჩვენთვის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ პ. იაშვილის ქუჩაზე ცკ-ს დაუმთავრებელი სასტუმროს შენობა, სადაც მრავალი ჩვენთვის საინტერესო მასალა – კერძოდ, ე.წ. „აპოლოკის“ ნარჩენები მოვიპოვეთ და რამდენიმე დღე საკმაოდ უზრუნველად ვიცხოვრეთ. მაგრამ შემდგომ სხვებმაც მიაგნეს ამ „სასარგებლო ნიაღისეულს“ და მალე იმ მშენებლობაზე ხის მასალა გამოილია! ასე რომ, ამ მიტოვებულმა შენობამ იმ მძიმე დღეებში კარგი სამსახური გაგვინია!

შემდგომ წლებში მხოლოდ გარედან შემოღობეს ამ „სასტუმროს“ ტერიტორია, ხოლო შიგნით სარეველა მცენარეებმა და ველურად გაზრდილმა ხეებმა დაიღეს ბინა! 2002 წლის აპრილში თბილისის არნახული ძალის მიწისძვრამ კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია – ისედაც უპატრონობისა-

გან დანგრევის პირას მისული აუშენებელი შენობის კედლები კიდევ უფრო საცოდავად გამოიყურებიან ამჟამად.

ახლახან ჩემი ყურადღება მიიპყრო უკვე ათი წლის განმავლობაში უმოქმედოდ მდგარ ამნის ბაგირებზე თითქმის ნახევრამდე მიღწეულმა სურომ. ძალიან საინტერესო სიმბიოზია ადამიანის ტექნიკური მიღწევის და ველური ბუნებისა. ამ მართლაც უჩვეულო, სიურრეალისტური სურათის ნახვის შემდგომ გარკვეული ირონიით გავიფიქრე: ალბათ მშენებლები ელოდებიან როდესაც სურო ბოლომდე „დაიპყრობს“ ამნეს და შემდეგ გააგრძელებენ მუშაობას! (არადა თბილისში ნამდვილი ბუშია კანონიერი თუ უკანონო მშენებლობისა!).

* * *

ხშირად ზოგიერთი მოვლენის გამომწვევი მიზეზი და შედეგი ისეა ერთმანეთში „გადახლართული“, რომ ვერც კი ვანსხვავებთ მათ! მაგალითად, როცა ვამბობთ (რაც ამჟამად ჩვენი „სიხარულის“ მიზეზია!): „სინათლე მოვიდა“ (ეს შედეგია!), იმის ნაცვლად, რომ გვეთქვა: „დენი მოვიდა“ (რაც მიზეზია!). ასევე ვამბობთ: „დაღამდა“ (შედეგი!), უნდა გვეთქვა: „მზე ჩავიდა“ (მიზეზი!). სწორედ ამაზე იტყოდა ფილოსოფოსი: არ არსებობს მიზეზი უშედეგოდ, ისევე როგორც უმიზეზო შედეგი!

* * *

უმეტესობა მსახიობებისა შექსპირის პიესებში რთულ მონოლოგებს „გულით“ წარმოთქვამენ და იქმნება იმის ილუზია, რომ ისინი საკუთარ განცდებს, ემოციებს გადმოგვცემენ! როგორ ავხსნათ ეს „უცნაური“ მოვლენა? ჩემი აზრით, მიზეზი მსახიობების ამგვარი ქცევისა იმაში მდგომარეობს, რომ შექსპირი კარგად იცნობს ადამიანის ფარულ, ხშირად მისთვისაც კი ნახევრადგაცნობიერებულ გრძნობებს და ამიტომ ადამიანს უჩნდება ბუნებრივი სურვილი შექსპირის გმირების საშუალებით ცხადად გამოხატოს, გააცნობიეროს საკუთარი ვნებანი! (ფიზიკოსის ენით თუ ვიტყვით მსახიობი „რეზონანსში მოდის“ დრამატურგთან).

* * *

კრიტიკოსის ერთ-ერთი მოვალეობაა აღადგინოს მწერლის თავდაპირველი ჩანაფიქრი ანუ „გაანთავისუფლოს“ ეს ჩანაფიქრი შემდგომში დამატებული ყოფითი, აღწერილობითი თუ სხვა ტიპის დეტალების „ტყვეობისაგან“ და „წმინდა“ სახით მიიტანოს იგი მკითხველამდე!

* * *

ყველა ჩვილი გარკვეულ ასაკამდე (7-8 თვემდე) ერთნაირ ბგერებს გამოსცემს: ალუ, გუ, დადა და ა.შ. (სხვათა შორის, ერთ-ერთი ცნობილი ავანგარდისტული მიმდინარეობის სახელი ხელოვნებაში „დადაიზმი“ სწორედ „დადა“-დან მომდინარეობს და სამყაროს ბავშვურ აღქმას გულისხმობს!), რაც ალბათ იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება, დედამიწის ყველა ნაწილში ერთნაირი „საშენი მასალა“ და მხოლოდ შემდგომ იწყება გარემოს გავლენა, რის გამოც ბავშვი შესაბამის ენაზე იწყებს მეტყველებას.

* * *

კარგი ტერმინია აგრესიული გარემო. იგი ხშირად გამოიყენება ფიზიკაში, ტექნიკაში და ა.შ. მაგალითად იარაღის გამოცდის დროს ტყვიისათვის აგრესიული გარემოა წყალი და ქვიშა. აქ თითქოს ადამიანური ვნებები გააჩნია უსულო გარემოს – იგი „ბოროტი“, აგრესიული ხდება!

* * *

თავად ენრიკო კარუზოსათვის სიმღერის მასწავლებელს უთქვამს, რომ მას ხმა არ აქვს, ხოლო დედა კი ამშვიდებდა და ეუბნებოდა, რომ მისგან დიდი მომღერალი დადგებოდა! საინტერესო ფაქტია – ცხოვრების დასაწყისში განცდილი უარყოფა (დამცირებაც კი!) ზოგიერთ ადამიანში გარკვეულ პროტესტს იწვევს, იგი მობილიზაციას უკეთებს საკუთარ ნიჭს და როგორც შედეგი „კარუზო“ ხდება! თუმცა სამწუხაროდ, ზოგი ადამიანი ამ პირველსაწყის დამცირებას ვერ იტანს და სამუდამოდ „იკარგება“!

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს – საბჭოთა ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლევ ლანდაუ, ხშირად თავის ცნობილ სემინარებზე ახალგაზრდა მეცნიერებს გამანადგურებელ შეფასებას აძლევდა: „Это ерунда!“ და როგორც წესი, უმრავლესობა ამ ახალგაზრდებისა ტოვებდა მეცნიერებას (ასე რომ, ლანდაუს ბევრი ადამიანის „გაფუჭებაში“ მიუძღვის ბრალი!). ჩემი აზრით, დიდი მეცნიერი ყველაფერში „დიდი“ უნდა იყოს – კერძოდ, ახალგაზრდებთან ურთიერთობებშიც! (თუმცა, რა თქმა უნდა, არა პრინციპულობის დათმობის ხარჯზე!).

საინტერესო დრო

ებრაელების წყევლა: „საინტერესო დროს მოგიხდეს ცხოვრება!“ ძალიან გაგრძელდა, „გაიჭიმა“ ეს „საინტერესო“ დრო ჩვენთან! მართლაც ორი ყველაზე მნიშვნელოვანი (საინტერესო!) მოვლენა მოხდა: ჯერ ერთი, დაიშალა მსოფლიოს უკანასკნელი იმპერია – საბჭოთა კავშირი და მეორეც, შეიცვალა ეკონომიური ფორმაცია – „განვითარებული“ სოციალიზმიდან „განუვითარებელ“, „ველურ“ კაპიტალიზმში აღმოვჩნდით! ყველაფერი ამის გააზრებას, მოვლენების სწორ „დალაგებას“ გარკვეული დრო სჭირდება და სამწუხაროდ, როგორც ჩანს, „დალაგების“, „დაღვინების“ ეს პროცესი ჩვენთან კიდევ დიდხანს გაგრძელდება!

* * *

ზოგი ადამიანი უკეთ მეტყველებს, ვიდრე წერს. ამიტომ ამ „ჯურის“ მწერლები, პოლიტიკოსები და ა.შ. ამჯობინებენ საკუთარი სათქმელი უკარნახონ სტენოგრაფისტს ან მაგნიტოფონზე ჩაინერონ! ამ დროს არ იკარგება აზროვნების ტემპი „რაც გარდუვალია წერისას!“ და რისი „გარანტიც“ არის სტენოგრაფისტი ან მაგნიტოფონის ფირი!

* * *

საინტერესო ფაქტია, რომ ჯუზეპე ვერდის თავდაპირველად საკუთარი ოპერისათვის „იაგო“ უნდოდა ეწოდებინა,

რადგანაც მისი აზრით მთავარი მოქმედი პირი შექსპირის „ოტელოში“ სწორედ იაგოა (რასაც მეც ვეთანხმები!), მაგრამ საბოლოოდ რატომღაც ოპერას პიესის სახელი შეუნარჩუნა!

„ოპტიმისტი“ და „პესიმისტი“ ფანჯარა

ორიოდე წელია ჩვენს ქალაქში გამოჩნდა საბერძნეთიდან ჩამოტანილი „ახალი“ ტროლეიბუსები, რომლებიც სინამდვილეში ოციოდე წლის წინათ, მაშინდელი საბჭოთა კავშირის საექსპორტო საქონელი ყოფილა და საბერძნეთისთვის მიუყვიათ. ასე რომ, საქართველომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიბრუნა (ამორტიზებული სახით!) თავისი წილის მიზერული ნაწილი საბჭოთა კავშირის ქონებიდან!

ამ ტროლეიბუსების გამოჩენამ დასაწყისში გარკვეული კმაყოფილება გამოიწვია თბილისელებში (ისინი გარედან ახლად შეღებილები ჩანდნენ), მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა მათს უვარგისობაში და მოგვენატრა ჩეხური ტროლეიბუსები, რომლებიც მართალია ასევე მორალურად და ფიზიკურად მოძველებულებია (ხშირად გაჭირვების გამო რამდენიმე ტროლეიბუსისგან ერთს აწყობდნენ!), მაგრამ ამ ახლად მოვლენილ ტროლეიბუსებს მაინც ჯობდნენ სიჩქარით, დამუხრუჭებისას მუსიკალური ბგერების გამოცემით, ნორმალურად განლაგებული სკამებით (და არა გვერდით და შემალღებულ ადგილებზე!) და ა.შ., მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ ხომ არავინ არაფერს გვეკითხება და იძულებული ვართ ვისარგებლოთ საბჭოურ-ბერძნული „ფაქიზობით!“

მახსოვს უნივერსიტეტიდან სახლში ერთ-ერთი ასეთი ტროლეიბუსით ვბრუნდებოდი. მოღრუბლული დღე იყო. ამიტომ გამიკვირდა, როცა უკანა ბაქანზე მდგომმა ფანჯარაში გახედვისას საკმაოდ ნათელი ცა რომ დავინახე (ამ ფანჯარას შემდგომ „ოპტიმისტი“ ფანჯარა ვუნწოდე!). გავიხიდე ოდნავ მარცხნივ – იქ კი, მუქ ფანჯარაში, ყველაფერი პირქუშ, „მოწყენილ“ ფერებში გამოიყურებოდა (ამ ფანჯარას კი „პესიმისტი“ შევარქვი!) და მხოლოდ როცა ჩვეულებრივ, „ნატურალურ“ ფანჯარაში გავიხიდე, მხოლოდ ამის შემდგომ აღსდგა „მსოფლიო ჰარმონია“ – ისევ ის ცა დავინახე, რაც ტროლეიბუსში ასვლამდე დავტოვე გარეთ! (როგორც ჩანს ეს „ფაქიზობიც“ მალე დაზიანდა და დაიწყეს მათი მინების გამოცვლაც – იმ ფერის მინებით შეცვალეს, რაც იშოვეს!).

ტროლეიბუსიდან ჩამოსულს ოდნავ გამიჭირდა, რადგანაც მთელი გზა მხოლოდ „ოპტიმისტი“ ფანჯარაში ვიყურებოდი, გარეთ კი ისევ ცუდი ამინდი იდგა. ამიტომ, მე მგონი, უმჯობესია ცხოვრება ისეთი აღვიქვათ, როგორც ის არის სინამდვილეში (თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით!), არ უნდა დავინახოთ იგი მხოლოდ შეღამაზებულ ან მუქ ფერებში ანუ არ უნდა მივეჩვიოთ არც „ოპტიმისტი“ და არც „პესიმისტი“ ფანჯარაში ყურებას!

* * *

როდესაც შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფი ადამიანი საკუთარი შრომის წყალობით უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე გადაინაცვლებს, მაშინ იგი ამ წრის ადამიანებს შორის (შურის გარდა!) მაინც გარკვეულ ფარულ თუ აშკარა სიმპათიას იმსახურებს – ასე რომ, ადამიანის პატიოსანი შრომა, მისთვის „უცხო“ გარემოშიც კი ფასდება, ნარმატება მაინც ნარმატება!

ანდრეას ემბრიკოსი

ლექსები პროზად

ჯიხვს

ჯიხვი ერთ მაღალ მწვერვალზე შეხტა და შეჩერდა. იგი დიდებულია, ქმინავს და ველებს ისე გადასცქერის, თითქოს რაღაცას უგდებს ყურს. მეორე ნახტომით სხვა მწვერვალზეც შეიძლება აღმოჩნდეს. ჯიხვის თვალები მბრწყინავი კრისტალებია და არნივის და ზოგჯერ ადამიანის ვნებით ანთებულ თვალებსა ჰგავს. მისი ბალანი ბზინავს, უკანა კიდურებს შორის, წვეტიან ნესტართან მძიმე კვერცხები ისე ქანაობს, როგორც ორთოდოქსთა დიდი სარეკელა.

ქვევით მინდორ-ველებია გადაშლილი, ქალების დასვრილი მანდილებითა და მძიმე ჯაჭვებით.

ჯიხვი ყურადღებით იმზირება, მინდორ-ველებიდან კი ათასხმად გაისმის ადამიანთა ქოშინი და ყვირილი.

„ჯიხვო, ჯიხვო! შენ გაიხარე! ჩვენთან მოდი და დაგვიხსენი!“

ჯიხვი დინჯად და ყურადღებით იმზირება, თითქოს სრულებით არ ანალვლებს დაბლა ქვეყნიერების ხმაური და ხალხის ყიჟინი. დგას დიდებულად და წამდაუნუმ ჰაერს იყნოსავს ისევე, როგორც დამაკებისას ტუჩებს აცმაცუნებს ხოლმე.

„ჯიხვო, ჯიხვო! ჩვენთან მოდი, გამხიარულდები და ჩვენც დაგვიხსენი. უფლის მსგავსად გადიდებთ, შენს პატივსაცემად ტაძრებს ავაგებთ, შენ გახდები ოქროს ვაცი! უხვად მოგიძღვნიტ შესანიშნავს და საუკეთესო კრავებს, აი, ნახავ!“


ხალხისგან ამგვარი შეძახილები გაისმოდა. ადამიანები მინდორ-ველებიდან იშვიათი ჯიშის თხის ფარას მთებისაკენ მიერეკებოდნენ.

ჯიხვი გაუძრევლად დგას და იყნოსავს ჰაერს. შემდეგ უეცრად თავს მაღლა სწევს და დაიბლავლებს. გულიანი სიცილივით ბლავილი ხეობებს იქით გაისმის და ჯიხვი სწრაფი ნახტომით, ვეებერთელა ისრისა და მეტიორის მსგავსად უფრო მაღალ მწვერვალზე აღმოჩნდება.

შენ გაგიმარჯოს, ჯიხვო! ნეტავ რატომ უნდა მოიხიბლო მინდორ-ველებიდან ამოსული სიტყვებით ანდა ყვირილით? რატომ უნდა ინატრო დაბლობში ვაცები? მანდ ხომ ყველაფერი გაქვს, რაც დამაკებისა და ბალახობისათვის გჭირდება. ღმერთმანი, უფრო მეტიც გაქვს, რაც დაბლა, ველებზე არავის გააჩნია. – მანდ შენ თავისუფალი ხარ!

შეგროვილი კრისტალებისგან შექმნილი კრისტალისი 1, მუზათა ბელადი დიონისიოს სოლომოსი 2, პირველნოდებული და პროტოფსალტი ანდრეას კალვო-

სი 3, პერიკლის იანოპულოსი 4, რომელსაც უნდოდა ყველაფერი ბერძნული ყოფილიყო და საკუთარი სულის სიღრმეში კი სავონაროლას მგზნებარე სულს მალავდა, დელფოს დიდი წინამძღოლი, მთავარანგელოზი სიკელიანოსი 5, ვინც შექმნა „ბერძენთა აღდგომა“



და გააცოცხლა (აღდგომის ჟამს) პანი, ევესინოს პონტოდან მოსული პოეტი კოსტას ვარნალისი 6, ნიკოს ენგონოპულოსი 7 და ნიკიტას რანდოსი 8 ბიბლიურ შეუწველ მაყვლის ბუჩქებს რომ ჰგვანან. ოდისეას ელიტისი 9, ელადის არქიპელაგის იონიის წყლებში მონათლული სულის პოეტი და მასთან ერთად ლევკადელი რიჟრაჟისა და მნუხრის ვარსკვლავი ნანოს ვალაორიტისი 10, აი, ყველა ესენი და კიდევ სხვანი მწვერვალებს რომ მიაშურეს, რათა დაბლობებს არ შთაენთქათ. სწორედ ესენი ადიდებენ, ჯიხვო, შენს მოზღვავებულ ენერგიასა და სქელ თესლს, გადიდებენ შენ, პანისა და შველი აფროდიტეს ძეო.

შენ გაგიმარჯოს, ჯიხვო, რადგან არ ეტრფი მინდორ-ველებს! რას გარგებენ ისინი? მზე აქ, ყოველ დილას, შენს რქებს შორის ამოცურდება! შენს თვალებში იეჰოვას ელვა ბობოქრობს და ამასთან ზევსის დაუცხრომელი ტრფობის ნადილიც, ყოველივე ეს იმ დროს ხდება, როცა დედლებში წვეტიანი ნესტრით თესავ შენს სახელოვან და მარადიულ მოდგმას!

შენ გაგიმარჯოს, ჯიხვო! შენ, რომელიც დაბლა მინდორ-ველებზე არასდროს ჩახვალ! დიდება და გამარჯვება შენ, რადგან ჩლიქებიანი ფეხებით ადიხარ ფრილო მწვერვალებზე და გალობ ყველაზე ხმაბალალ ოსანას!

აღმომხდა და ვთქვი აღსარება, ჯიხვო. უფლის ნინამე ცოდვა არა გამაჩნია.

ლლიფადა, 12. 7. 1960.

1. კოსტას კრისტალისი (1868-94) – ბერძენი პოეტი და მწერალი.
2. დიონისიოს სოლომოსი (1798-1857) – ბერძენი პოეტი.
3. ანდრეას კალვოსი (1792-1869) – ბერძენი პოეტი, კუნძულ ზაკინთოდან.
4. პერიკლის იანოპულოსი (1869-1910) – ბერძენი მწერალი და მთარგმნელი.
5. ანგელოს სიკელიანოსი (1884-1951) – ბერძენი პოეტი და მწერალი.
6. კოსტას ვარნალისი (1884-1974) – ბერძენი პოეტი.
7. ნიკოს ენგონოპულოსი (1910-1985) – ბერძენი სიურეალისტი პოეტი, მხატვარი.
8. ნიკიტას რანდოსი (1907-1988) – ბერძენი პოეტი, მწერალი და კრიტიკოსი.

9. ოდისეას ელიტისი (1911-1996) – ბერძენი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
10. ნანოს ვალაორიტისი (1921-) – ბერძენი სიურრეალისტი პოეტი.

**სექტემბრის თვეში
მთავარანგელოზი
მთელი სამყაროს გასაგონად
შესძახებს**

აზროლიტა

იმ საღამოს ვარსკვლავებსა და თანავარსკვლავედებს გავყურებდი. ჩემს წარმოსახვასა და გონებაში დღე იყო. სწორედ ამ დღის შუქიდან შენ მიმზერდი, საყვარელო, ვარდისფერო და მსუბუქად შემოსილო. ოცნებას როცა მიეცემოდი, იმ დროს კაშკაშა ჩირაღდნებს ალვივებდი.

გარეთ კი ღამე იდგა, თან როგორი ღამე?! მომაჯადოებელი, სასწაულებით აღსავსე.

გავცქეროდი ვარსკვლავებსა და თანავარსკვლავედებს და თან შენ გხედავდი, გეუბნებოდი : აი, შეხედე მშვილდოსანი, თხის რქა, სირიოსი, აქვეა ორიონიც. მათთან ერთად შენ გიმზერდი.

საყვარელო, ვარდისფერო და მსუბუქად შემოსილო, ჩემს არსებაში მგზნებარე სინათლედ შემოიჭერი, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ხრიდი თავს. თმას ორიონი ან სირიოსი გიკაზმავდნენ, გულ-მკერდს კი მშვილდოსანი გიმშვენებდა.

გავცქეროდი ვარსკვლავებსა და თანავარსკვლავედებს, ვამბობდი: აი, შეხედე მშვილდოსანი, თხის რქა, სირიოსი, ორიონი და მათთან ერთად შენ გხედავდი.

საყვარელო, ვარდისფერო და მსუბუქად შემოსილო, შენ ჩემი გულის ერთ კუნჭულში მოიკალათე ენით აუნერვლ სინათლეში, შენი აჩრდილები მარჯვნივ და მარცხნივ მოძრაობდნენ. შემდეგ შეჩერდი ერთ ადგილას გაუნძრევლად. მაშინ, სკამზე ჩამომჯდარი, იყავი ისეთი მსუბუქი, ტკბილი და მშვენიერი, რომ შენი ნყურვილით გიჟს დავემსგავსე, მომინდა მუხლებზე დამესვი, ერთი ხელით შენს მკერდს შევხებოდი, მეორე კი კაბის ქვეშ შემეცურებინა.

ვიმეორებდი ისევ და ისევ: აი, შეხედე მშვილდოსანი, აქვეა თხის რქა, აი, სირიოსი, ორიონი; და ვხედავდი, როგორც ყოველთვის, თანავარსკვლავედებს და შენ.

ერთხელ თვალი შეგავლე სარეცელზე, ქარი თმას გიფრიალებდა. ჩემი თითები გეაღერებოდნენ, შენ კი თვალებით მესაუბრებოდი. მე ვნებიადა ვიმეორებდი: აი, შეხედე მშვილდოსანი, თხის რქა, აქვეა სირიოსი, ორიონი; მაგრამ ამჯერად მარტო შენ გხედავდი.

სწორედ მაშინ მოხდა სასწაული. ცის ყველა მნათობი ჩაქრა და ზეცაში ჩემს გვერდით იმ დაუღამებელ დღეს, მხოლოდ შენ დარჩი. გიმზერდი სიხარულით და შენს სახელს ვიმეორებდი.

შენ კი?

შენ, ჩემო ტკბილო, მადლით სავსეო, ჩემო დიდო სიხარულო, ხელთ გეპყრა ჩემი გული.

სექტემბრის ტკბილ დღეებში, მაშინ, როცა წვიმით დანამული არ არის მიწა, არსაიდან არ ისმის ხმა და წელიწადის დროც უფრო მეტად შესაგრძნობია, ვიდრე ზაფხულში, მაშინ, როცა ბალებში მნიფე ბრონეულები ბაგეს გახსნიან, ღეროჩამოსხმული

ყვავილები თავიანთი მტვრიანებით თრთიან, პორფირმოსხმული ალისფერი ჩინური ვარდები ცახცახებენ, ყველა ესენი ჰგვანან თავდაჯერებულ სასიძოებს, საცოლეებს კარებზე რომ უკაკუნებენ, მაშინ თითქოს მარად ზაფხულია (რადგან ტრფობისთვის წელიწადის დროს არა აქვს მნიშვნელობა, ვნება ხომ თვით ზაფხულია), მაშინ ხარობენ სულები და ეროსი, ეს სამოთხის ოქროსთმიანი მთავარანგელოზი, ეხება ყოველ სხეულს და შესძახებს :

განიძარცვე სამოსელი, გაშიშვლდი. ნურაფრის გეშინია.

გაზაფხულზე, ზამთარში და ზაფხულშიც – სადაც უნდა იყო –

ჩემი ცეცხლოვანი მახვილი ყოველთვის შენთან იქნება.

ეპგრამი

ჭეშმარიტებაა, რომ სიმარტოვის განცდა მძიმეა და გვალვებისგან უწყლოდ დარჩენილი უდაბნო კაცს სტანჯავს, მაგრამ, თუმცა რა „მაგრამ“ (ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, რაც მუსულმანებისთვის ილ ალაჰი, ქრისტიანებისთვის – ღვთის რწმენა და უღმერთოთათვის მათი მაღალი აზრები) არავითარ ღვანლს ან ნყურვილს არ ძალუძს იდუმალი ევფრატის დაშრეტა, რომელიც უდაბნოში მიედინება სრულ მდუმარებაში, მარტოობასა და ბედზე გოდებაში და მათ გარეთაც. ის რწყავს ყოველთვის ყველაფერს, ისე, რომ არსად ჩანს მისი სათავე, მსგავსად უქმნელი, ღვთიური ნათლისა, ყოველივეს რომ ანათებს საუკუნოდ და წყარო მისი უხილავია. ეს ნათელი აბრწყინებს ყველაფერს, თვით უმცირეს ნაწილაკებსაც, ზუსტად იმგვარად, როგორც გასაოცარ, დაუღამებელ და ტალღებში ჩამალულ დიდ სამყაროს.

ფილეინთა ქუჩაზე

Conrad Russel Rooks

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ფილეინთა ქუჩაზე ვეშვებოდი, ვგრძნობდი, რომ ასფალტი ფეხქვეშ

რბილდებოდა და მოედნის ხეებიდან ჭრიჭინების ხმა ისმოდა. ეს ყველაფერი შუა ზაფხულში, ათენის ცენტრში ხდებოდა.

მაღალი ტემპერატურის მიუხედავად, გარეთ გაცხოველებული მოძრაობა იყო. მოულოდნელად, ქუჩაზე სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა. უკან მოჰყვებოდა შოსანი ქალებით სავსე ხუთი – ექვსი ავტომანქანა და, როგორც კი ჩემს ყურებამდე მათმა მოთქმამ და გოდებამ მოაღწია, ქუჩაზე მოძრაობა შეწყდა. აი, მაშინ ხალხის კრებულიდან (არავინ არავის არ იცნობდა) ზოგიერთმა ერთმანეთს მღელვარებით ჩაგზედეთ თვალებში, ასე ვეცადეთ ფარულ აზრთა ამოკითხვას. ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს ხშირმა ტალღებმა თავს გადაგვიარესო, მოძრაობა მაშინვე აღდგა.

ივლისის თვე იდგა. ფილელინთა ქუჩაზე ოფლისაგან გახვითქული მგზავრებით სავსე ავტობუსები მოძრაობდნენ. ამ ტრანსპორტით მგზავრობდა სხვადასხვა რჯულის ხალხი: არქაული კუროსივით გამხდარი ჭაბუკები, მძიმე და უღვაშებიანი მამაკაცები, მსუქანი და ხმელი დიასახლისები, ყმანვილი ქალები და მოსწავლე გოგონები. მგზავრთაგან მრავალნი ვნებით ანთებულებიყვნენ, პირდაღებულნი და ნეტარებით სავსე თვალებით მომზირალნი (ხელკეტიან ჰერაკლეს ჰგავდნენ) ეხებოდნენ გოგონებისა და ქალიშვილთა მოქნილ თეძოებს და მკერვს, მოცახცახე მკერდებს.

საერთოდ ხომ მსგავს ადგილებში, ტრანსპორტში ყველა ასეთი ადამიანი ცდილობს, ვითომ შემთხვევით, ჭყლეტვის დროს, ვნებით გახელებული და რიტუალური მოძრაობით მორჩილი სკოლის მოსწავლე გოგონების და ქალიშვილთა მოხდენილ ტანს შეეხოს.

დიახ, ივლისის თვე იდგა და არა მარტო ფილელინთა, არამედ ქალაქ მესოლონგის დაპია*, მარათონი და კუნძულ დელოსის ფალოსის გამოსახულებანი ირხეოდნენ სინათლეზე ზუსტად ისე, როგორც მექსიკის უდაბნოში გვაღვისაგან გამშრალ მიწაზე ცახცახებენ აცტეკთა პირამიდების მისტიკურ წყვდიადში ტანადი კაკტუსები.

თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი მაღლა და მაღლა მიიწვედა. არა, ეს არ იყო სითბო, არამედ სიცხე, რომელსაც ხვატი წარმოშობს. და მაინც, თაკარა სიცხის, ხალხის ხშირი და გაძნელებული სუნთქვის, ცოტა ხნის წინათ ჩავლილი სამგლოვიარო პროცესიის მიუხედავად, არც ერთი გამვლელი თავს დამძიმებულად არ გრძნობდა. მათ შორის არც მე, რომელსაც ფეხებზე მინა მენვოდა. ჩემს სულში ჩასახლებული, ცელქი ჭრიჭინას მსგავსი არსება მაიძულებდა, რომ გზა გამეგრძელებინა ხშირი და მსუბუქი ნაბიჯით. გარშემო ყველა საგანი აშკარა და საგრძნობი იყო და მაინც იმავდროულად თაკარა სიცხე ყველაფერს ნივთიერ ბუნებას აკარგვინებდა, სულიერი და უსულო ქმნილებანი უჩინარდებოდნენ – აი, ამ მზისქვეშეთში თვით მწუხარე ადამიანის კაემანიც სრულად ორთქლდებოდა.

მაშინ მე, ძლიერი გულისცემით, ერთი წუთით შევისვენე. გავჩერდი გაუნძრევლად ხალხის ბრბოში იმ კაცის მსგავსად, რომელმაც სასწაული ან მოულოდნელი გამოცხადება იხილა. ოფლისაგან გახვითქულმა ვიყვირე:

„ღმერთო! პაპანაქება სიცხე ხომ იმისთვისაა საჭირო, რომ იარსებოს ამ სინათლემ! სინათლის წყალობით ერთ მშვენიერ დილას შედგება საყოველთაო სადიდებელი დღესასწაული, ბერძენთა დიდების ზეიმი! იმ ბერძენებისა, რომლებმაც, ჩემი აზრით, ამ ქვეყნად პირველებმა, სიკვდილის შიში გადააქციეს სიცოცხლისადმი საოცარ ლტოლვად!“

* კედელი, რომელიც გარს ერტყა ქალაქ მესოლონგს. ამ ქალაქში 1824 წელს გარდაიცვალა ინგლისელი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი, როდესაც იგი თურქ-ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქალაქს იცავდა.

არა ბრაზილია, ოკტანა

როცა რწმენით, კეთილი ნებითა და გარდუვალი აუცილებლობით შეიქმნება წინაპირობა, რომ განხორციელდეს არა მშენებლობანი, არამედ სრულიად განსხვავებული საქმენი აღსრულდეს, ეს საქმეები უნდა აღსრულდეს მაღალ ზეგანებზე და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველი ადამიანის გულში. აი, მხოლოდ მაშინ იარსებებს ახალი ქალაქი, გაერთიანებული, მყარი და განუყოფელი მსოფლიოს დედაქალაქი.

არავინ უწყის, თუ იარსებებს იმ დროს ოკეანის გასწვრივ გადაჭიმული, ვერტიკალური კლდის ძირში გაშენებული ქალაქი, ძებელ-ალ-ტარეკს რომ ჰგავს. ისიც არავინ იცის, ძველი ქალაქი დაცარიელდება თუ არა, იქნებ ავბედითი დროების საცოდავ ნიმუშადაც დარჩეს, ძველი ქალაქი საშინელი გლოვის მუზეუმი იქნება, სავსე დიდაქტიკური მაგალითებით. იქნება ქალაქი, რომელსაც ყველა გაურბის. დანამდვილებით ვიცი, რომ აშენდება, შეიქმნება ახალი ქალაქი, მსოფლიოს ახალი დედაქალაქი ადამიანებისა და დროების გულში, მრავალი უაზრო და მოსაწყენი წლების შემდეგ. და ეს შეიძლება მოხდეს საბოლოო დაცემის, მოსალოდნელი არმაგედონის საშინელი ბრძოლის მერე.

მე არ ვისაუბრებ წვრილმანებზე. ის დრო (რომელსაც ველით) ჯერ მაინც შორსაა და ამიტომ ა პრიორი ვერაფერს ვიტყვი. ყველაზე მეტად მაინტერესებს (და ალბათ ყველას უნდა აინტერესებდეს) ახალი ქალაქის დასრულება. მას ააშენებენ არა ცნობილი არქიტექტორები და ამპარტავანი ქალაქთმშენებლები, რომელთაც, საბრალოებს, სჯერათ, რომ შეუძლიათ ადამიანთა ცხოვრების მოწესრიგება. მათ ჰგონიათ, რომ კაცობრიობის მომავალი სახაზავებით, კუთხედ-

ბით, ფარგლებითა და ტრანსპორტირებით მოგვარდება. ისინი, საკუთარ ეგოიზმში ჩაფლულნი (მარქსისტები, ფაშისტები და ბურჟუები), ფიქრობენ, რომ აგვარებენ კაცობრიობის ბედს.

არა, ასე არ აშენდება ახალი ქალაქი; ის ყოველი ადამიანის მონაწილეობით აიგება, მაშინ, როცა კაცობრიობა სამართლიან თუ უსამართლო წინააღმდეგობას შეწყვეტს და თვალს გაუსწორებს ანტისოფისტის ელვარე შუქს, რომელშიც ქვეყნის მშენებლობისა და შეფერილობისაგან თავისუფლება. მხოლოდ ამის შემდეგ აღარ ჩაფლობიან ადამიანები თავით ფეხებამდე სისხლსა და მიძიმე დანაშაულებებში და საკუთარ სულში (ფიციავ ღმერთს ან ღმერთებს) ედემის ნაყოფით დახუნძლულ ყველა ხეს თავისუფლად ყვავილობის ნებას მისცემენ.

დიახ, დიახ (ამინ, ამინ გეტყვით თქვენ) თქვენ ქვეყნის მშენებლებს გეუბნებით. დიახ, აშენდება ახალი – არა დაბალი – ქალაქი დაჭაობებულ ადგილას. ის მსოფლიო მთიანეთში გაშენდება და არ დაერქმევა ბრაზილია, არც სიონი, მოსკოვი ან ნიუ-იორკი, არამედ ეწოდება ოკტანა.

ყოველი თქვენგანი იკითხავს: „რას ნიშნავს ოკტანა?“

კითხვა სამართლიანია და პასუხიც სწრაფადვე მოვა. პასუხის საპოვნელად თავდაპირველად საკუთარ თავში ჩაიხედეთ, მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ მიმოიხედეთ, შემდეგ ერთი წუთით დახუჭეთ თვალები და სწრაფადვე გაახილეთ. ასე საკუთარ სულსაც გახსნით. თვალნი გექნებათ პასუხი არა მარტო გასაგები, არამედ ხელშესახებიც – ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე თქვენივე სხეულია.

და ახლა (ამინ, ამინ) გეუბნებით:

ოკტანა, ჩემო მეგობრებო, ესაა ზღვარი მიწასა და ზეცას შორის, ის ადგილი, სადაც ერთი მეორეში ვრცელდება და ქმნის ერთ მთლიანს.

ოკტანა ესაა ცეცხლი, მოძრაობა, ენერჯია სიტყვა სპერმა.

ოკტანა ეს თავისუფალი ეროსია ყოველგვარი სიამოვნებით სავსე.

ოკტანა ესაა მარადიული პოეზია, ოღონდ არა მარტო გამოხატვის საშუალება, არამედ სულის უსასრულო ქმედება.

ოკტანა ეს ის ენტელექტია, რომელსაც შეუძლებლის შესაძლებლად ქცევა ძალუძს. თვით ქიმერისა და უტოპიის გარდაქმნაც. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ამ ენტელექტამ შეძლოს არა მარტო სულის, არამედ სხეულის გაუქვდავებაც.


ოკტანა ესაა, როცა „მე“ იცვლება „შენით“ (და პირიქით „შენ“ „მეთი“) ერთიანი ეროტიკული წადილის გატყორცნისას, საბოლოო გადარჩენის დროს, ღვთიური კავშირის დროს, უმაღლესთან ურთიერთობისას, რომელიც ალბათ ღვთიურ მადლს წარმოადგენს, სასწაულს მის შიგნით და გარეთ, რომელიც ყოველ ჯერზე ექსტაზით აღსრულდება.

ოკტანა ეს ინტუიცია და შეგრძნებაა, რომლითაც მწუხარე კაცის აგონიას შეიცნობ, იესო ქრისტეს, მაცხოვრის სიმბოლურ სიტყვებსაც იგებ და ათეისტთა ნააზრევსაც ითავისებ, ამასთან წინასწარმეტყველთა გაელვებასაც ახსნას უძებნი და, ბოლოს, ზარატუსტრას ელვარე გამოწვევებსაც უღრმავდები.

ოკტანა (არ გვინდა დავამცროთ ასაკოვანთა სიბრძნე), ყველანაირი მსხვერპლის გაღებით მონიფულობისასაც შეინარჩუნო ბავშვური სული, რადგან ასეთი სულის გარეშე თვით ყველაზე ოქროსფერი სიყმაწვილც სწრაფად იფერფლება, ქრება, გეცლება და მის ადგილს იკავებს მწუხარება, უიმედო სინანული და სიბერის ნაოჭი.

ოკტანა ესაა უცოდველი ადამი და სრული ნდობით სავსე ადამი ევასთან ერთად. ოკტანა ნიშნავს ადამიანების გადაქცევას სქესიან ანგელოზებად.

ოკტანა მინიერი სამოთხეა, ამქვეყნიური ედემი, სადაც არ არსებობს პირველი ცოდვა და არც ბოროტების გაგება, თავისუფლად მიღებულია სისხლის აღრევა.



შუაზღვისპირული მუზა ნახატი ნიკოს ენგონოპულოსისა

ოკტანა სულისა და მატერიის სრულყოფილი ერთობაა.

ოკტანა მარადიული კავშირია ზეციურთან, პირველწყაროსთან, რაც სიცოცხლის ღვთიური არქეტიპია.

ოკტანა ყველაფერია, რაც სიკვდილს ებრძვის და ყველგან და მარადის ამკვიდრებს სიცოცხლეს.

ოკტანა ჭეშმარიტი თავისუფლებაა და არა ის თავისუფლება, რომელიც მცირე, არაადამიანურ კანონთა ჩარჩოებში აქცევს ადამიანებს და რომელთაც შეშინებულნი, ბრმანი და ჭკუასუსტნი ქმნიან. ამ თავისუფლებას მხოლოდ ირონიულად თუ დავარქმევთ „თავისუფლებას“.

ოკტანა არა პოლიტიკურ, არამედ სულიერ ერთიანობაზე დაფუძნებული მსოფლიო სახელმწიფოა (აღბათ ფედერაცია), სადაც არ შეილახება არცერთი ეთნოსის სულიერი და ეროვნული თავისებურებანი, სადაც სხვადასხვა რჯულის ერები და ინდივიდები ერთმანეთს მყარად და ძმურად დაუკავშირდებიან. ყოველ მათგანს იქ პატივს სცემენ, რადგან მხოლოდ ამგვარად, შეგნებით, მოღვაწეობითა და კეთილი ნებით და ძალადობის გარეშე შესაძლებელია ადამიანთა კლასებისა და ურთიერთჩაგვრის გაუქმება, საბოლოო განწმენდა!

ოკტანა ყველგან და მარადის განცხრომით ცხოვრებაა.

ოკტანა სამართლიანობაა.

ოკტანა სიყვარულია.

ოკტანა ნიშნავს მარად და ყველგან სიკეთეს.

ოკტანა ის დიდი ზეიმია, როცა სული ამოგდის და შესატყვისი ორგანოები მოზღვავებული სპერმით ივსება.

ოკტანა, ჩემო მეგობრებო, ნიშნავს სრულ დაუმორჩილებლობას იმის მიმართ, რაც ეწინააღმდეგება და აყოვნებს თვით ოკტანის მობრძანებას.

ოკტანა ის მდგომარეობაა, როცა არ მონაწილეობ ძალადობაში და არც უპირისპირდები მას ძალადობითვე.

ოკტანა ნიშნავს იმას, რაც ზეცაში და მიწაზე გაისმოდა, მაშინ, როცა მაცხოვრის ანგელოზი ღვთიური საყვირით ღალადებდა.

და აი, რამდენიმე სიტყვით, მაგრამ ნათლად, თუ რას ნიშნავს ოკტანა, ჩემო მეგობრებო.

და ახლა, ცოტას დავამატებ:

მას, ვისაც უკვე მოზეზრდა ამ უსამართლო და სულელურ ქვეყანაში ცრუების, სოფისტებისა და დემაგოგებისგან მართვა, მას, ვინც უკვე გადაიღალა საკუთარი სატუსალოს ზედამხედველთა ბურთაობით, ხან ანასთან და ხან კაიაფასთან ოქროსფერი ჟამის დადგომის მოლოდინით, ნაქები, კურთხეული ჟამის მოლოდინით, მოუწოდებ ყველას, ვისაც რწმენა და მხურვალეობა გაქვთ იმისთვის, რომ შეცვალოთ დღევანდელი საბრალეო სინამდვილე და ელოდებით ასეთი დროის დადგომას, ყველანი, მორწმუნენი და მხურვალენი, მოდით და (ან და მარადის, ან და მარადის) ლოცვასავით და ხოტბასავით ერთხმად და ერთსულოვნად შევძახოთ – ო კ ტ ა ნ ა !

ლლიფადა. 20. 8. 1965.

ახალბერძნულიდან თარგმნა გიორგი ნულაქი

მთარგმნელისაგან

XX საუკუნის გამოჩენილი

ბერძენი პოეტი ანდრეას ემბირიკოსი (1901-1975) წარმოშობით კუნძულ ანდროსიდან იყო. იგი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ფილოლოგიამ, ფილოსოფიამ, ფოტოგრაფიამ და მხატვრობამ. ემბირიკოსმა ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი გაატარა ინგლისსა და საფრანგეთში. პარიზში მან გაიცნო სიურრეალისტი პოეტები, მათ შორის ანდრეა ბრეტონი. მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ბერძენ პოეტზე. ემბირიკოსმა საფრანგეთშივე შეისწავლა ფსიქოანალიტიკა და საბერძნეთში დაბრუნებისას დაამკვიდრა

„გამოყენებითი ფსიქოანალიტიკური“ პრაქტიკა და დაარსა ფსიქოანალიტიკური საზოგადოება.

ემბირიკოსის შემოქმედებაში უმთავრესი მოტივი დოგმატური აზროვნების მსხვერველაა. პოეტის დიდი სურვილი და მისწრაფება იყო, რომ „ბანალური“ „არაჩვეულებრივად“ ექცია. მისი პოეტური ხედვა მიმართულია ამქვეყნიური სამყაროს ზესამყაროდ გადაქცევისკენ, სადაც ესთეტიკური მოტივები და ქვეცნობიერი ფენომენები მონაცვლეობენ. სიურრეალისტი ბერძენი პოეტი ოცნებობდა იდეალური მსოფლიოს შექმნაზე, მსოფლიოსი, სადაც ვნება, ეროსი, სექსუალური ინსტინქტები, გრძობები, სისხლის აღრევისაკენ მისწრაფება ერთად იარსებებდა.

მის პოეზიაში განსაკუთრებული ეკუმენისტური იდეალებია. აქ მითოსური და ბიბლიური სახეები თანაარ-

სებობენ. ემბირიკოსის, „სიცოცხლით გაოცებული“ პოეტის იდეალი ადამიანური ჩარჩოებისაგან გათავისუფლებული სული იყო. ამ იდეალს ეძღვნება თითქმის მთელი მისი შემოქმედება.

ანდრეას ემბირიკოსის პოეტური კრებულებია:

- 1935წ პირველი სიურრეალისტური ლექსების კრებული „ბრძმედი“
 - 1945 წ. „შიდა სივრცე“
 - 1960წ. პროზაული ლექსების კრებული „თხულებანი ან პირადი მითოლოგია“
 - 1980წ. „ოკტანა“
 - 1997წ. მოთხრობა „ზემფირა ან პასიფავეს საიდუმლო“
 - 2003წ. რვა ტომად რომანი „დიდებული აღმოსავლეთი“
- ემბირიკოსს ეძღვნება მარგარეტ იურსენარის „აღმოსავლური ნოველები“, რომელიც ქართულადაც არის თარგმნილი შპია ბაქრაძისა და მანანა გიგინეიშვილის მიერ.
- ემბირიკოსის პოეზია ქართულად პირველად ითარგმნება. მკითხველს ვთავაზობთ მისი სხვადასხვა კრებულებიდან რამდენიმე ლექსის თარგმანს.

ნაჯიბ მაჰფუზი

ორი ნოველა

გამოქანისილი



ხელჯოხზე დაყრდნობილი იცდიდა. ზარის ხმა შეწყდა. კარს მიღმა ჩამი-ჩუმი არ ისმოდა – გეგონებოდათ, ბინა ცარიელიაო. ერთი წამის შემდეგ კარს ნაცნობი სახე გააღებს. სახე, რომელსაც ოცი წელი არ უნახავს იგი. დროს არ წაუშლია მისი ძველი გამომეტყველება: ჩამომტირალი, ქედმოხრილი, გულმოკლული. ოთხმოცისაც რომ იყოს დღეს, ყველაზე ხნიერი მაინც არ არის ჩვენი ოჯახის ქალებში. მამაკაცები კი...?! ტყვია, უბედურება, ცრემლგამშრალი თვალები.

მოკირწყლულ იატაკზე ფლოსტების ფრატუნე შემოესმა. კაცი ამ მოულოდნელი შეხვედრისთვის გაემზადა და იმისათვის, რაც მას შეიძლება მოჰყოლოდა, მაგრამ კარის თავზე გამოჭრილი მარაოსებრი სარკმელი მომჭკნარი და ავადმყოფური პირისახის შინამოსამსახურე ქალმა, უმ მუჰამედმა გამოალო. გაეხარდა. მედიდურად შეხედა ქალს. ის კი ჩინდაკლებული თვალებით სიფრთხილით შეჰყურებდა:

- ვინ არის?
- გააღე, უმ მუჰამედ!
- ვინ ბრძანდებით?

ისეთი ტონით იკითხა, მომსვლელს რომ არ ელიან საერთოდ. მიტოვებული სახლი... ვითომ აქედან არ გასულა მთელი ხროვა სისხლიან სარბიელზე.

- მართლა ველარ მცნობ, უმ მუჰამედ?

ქალმა დიდხანს ახამხამა თვალები, მერე კი გასაოცარი სიმკვირცხლით გაუნათდა:

- ბატონო ჩემო, აბდუ რაჰიმ!.. აი ახალი ამბავი!

შევიდა და თან შავი აბა! შეისწორა მოხდენილ ტანზე; შემდეგ ნება დართო ქალს მხურვალედ მთხვეოდა ხელზე.

- დაუჯერებელია... დაუჯერებელია... – გაიძახოდა უმ მუჰამედი. მალე გონს მოეგო და უთხრა:

- ნავალ, ქალბატონს მოვახსენებ...

ჯოხით გზა გადაუღობა:

- არა... სად არის მისი ოთახი?

კარისაკენ მიუთითა – შემოსასვლელის მარჯვენა მხარეს მდებარე სასტუმრო ოთახის ბოლოს. ქალმა თქვა:

- საჭიროა, ო....

ოთახისკენ მიმავალმა გადაჭრით გაანყვეტინა:

- ვიცი, რაცაა საჭირო. ყველაფერი ვიცი. არ მინდა, ვინმემ შემანუხოს... მძიმედ, უხმოდ, გულის ფანცქალითა და ჩვეული შეუპოვრობით შევიდა. კარი მიხურა. შუა ოთახში გაჩერდა. დაკვირვებითა და

გამომცდელად შეხედა ქალს. უხეში ხასიათის მიუხედავად, რაღაც დაემართა. მის ბრტყელ ცხვირს უცნაური და ამავედროულად ნაცნობი სუნი ეცა იმ მივიწყებული მოგონების მსგავსად, თავს რომ შეგახსენებს და წარსულთან შეხვედრას

გაიძულებს. ის მთელი სულითა და გულით ბრუნდება შინ. ტახტზე ფეხმორთხმით მჯდომარე ქალს ხელში გრძელი კრიალოსანი ეკავა. მისი ფონი ხალჩას სწვდებოდა. თავი არ აუნევიდა, თითქოს კაცის შემოსვლა არც გაუგია. ისეთი მუქი საბურველი ეხვია, რომ ფერის გარჩევა შეუძლებელი გახლდათ ჩაბნელებულ ოთახში, რომლის მჭიდროდ ჩარაზული ორივე ფანჯარა დღის სინათლისაგან იყო დაცული. რა თქმა უნდა, არაფრად გაგდებს. იქნებ სასტუმრო ოთახში გამართული საუბარი მოისმინა და თავი შეამზადა შენს შესახვედრად. რა გასაკვირია მისი გულგრილობა. რაც მაგან მოითმინა, რაც მაგან გადაიტანა! ნებისმიერ შემთხვევაში ბედდამწყვეტილი დედა და როგორ შეიძლება პირქუში არ იყოს!.. სხვას რას მოელოდი... მდგომარეობამ გაიძულა დაბრუნება. გაიღიმა, რათა ჩაჟამული სახის სიმკაცრე მთორმლული ტყავივით შეერბილებინა, მაგრამ ქალს ისევ არ მიუქცევია ყურადღება. კრიალოსანის მარცვლა და ჩურჩულით ღმერთის დიდება იწყო. მერე დაამთქნარა. კაცს ღიმილი გაუქრა სახეზე. ნამდვილად უფრო ძლიერია, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. ნამდვილად უფრო სასტიკია, ვიდრე ოჯახის სისხლიანი ისტორია, მაგრამ მეც ჯიუტი ვარ. ტყუილად არ გადმომივლია ცხრა მთა, რომ პირველსავე დამარცხებას შევურიგდე. მოველოდი წყრომას, წყევლას, ტირილსა და სიმწარეს, მაგრამ არა დუმილსა და სრულ იგნორირებას. ამ დარტყმამ ცოტა ხნით გადააფიქრებინა ხელზე კოცნა. უკან დახევას არ აპირებს. დათმობა სჯობია.

- გამარჯობა, დედაჩემო, – უთხრა მშვიდი ხმით.

ორი ნაბიჯით მიუახლოვდა და ხელი გაუნოდა. ქალს ისევ არ უგრძენია მისი არსებობა. ეს დარტყმა პირველზე ძლიერი აღმოჩნდა. წარსული, მთელი თავისი ტრაგიზმის მიუხედავად, ვერ გაამართლებს ამ საქციელის სისასტიკეს. შენცა გაქვს უფლება ვინმეს სისასტიკე გიკვირდეს. მოვალე კი ხარ, ოცი წლის სიძულვილს ანგარიში გაუნო. ის, როგორც ხედავ, ისევ კლდესავით შეუვალა. ტკივილიანი ღიმილით გაიღიმა. სანოლისაკენ დაიხია და მის კიდეზე ჩამოჯდა. ფესი ბალიშზე დადო. ხელისგულით ჯოხს დაეყრდნო. ჩემს კერას რადგან დავუბრუნდი, არა უშავს, თუ სანოლზე ჩამოვჯდები.

– მართალია, თბილ შეხვედრას არ ველოდი, მაგრამ ვერც იმას წარმოვიდგენდი, დასჯის ასეთი უნარი თუ გექნებოდა!

უღიმღამოდ ჩაიცინა და დაამატა:

– ჩვენ ველურებისა და მტაცებლების ოჯახი ვართ, მაგრამ მაინტერესებს, რით დამთავრდება ყოველივე ეს.

ქალმა მცირე ხნით თავი ასწია, ალბათ ცოტა შეღავათი რომ მიეცა სხეულისთვის. მერე ისევ კრიალოსანთან განმარტოვდა – სამყაროსთან, რომელშიც მარტო იყო.

– ვინ იცის, იქნებ არც უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ გადანყვეტილი მაქვს, არ ვინანო.

არც სიტყვა... არც მოძრაობა... არც ყურადღება.

– შენ მოელოდი, რომ ბოდიშს მოვიხდინდი?.. შეცდომას ვალიარებდი, სინანულს გამოვთქვამდი?.. ჩვენზე უკეთესად გვიცნობ. ლაპარაკს აზრი არა აქვს. ორივენი ძალიან შევიცვალეთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, შენ ჩემზე ჯანმრთელად გამოიყურები.

ეს ბოლო ფრაზა არ დარჩება უყურადღებოდ. რაღაც აგორდება. დიახ... პირველად რისხვა იფეთქებს და წყევლა-კრულვაში გადმოინთხევა; მერე ნელ-ნელა დაცხრება და ბოლოს, ეს კედლები შეჩვენების მოწმე გახდება.

– ვიცი, რას ნიშნავს შენი დუმილი. მოვიდა ქურდი, მოვიდა დამნაშავე, როგორც იქნა მოვიდა. დედაჩემო, თუ ღმერთი გნამს, მითხარი, საარსებოდ იმაზე მეტი ფული ხომ არ დაგჭირვებია, რაც გაქვს?

უგვანი ხუმრობის ჟინმა შეიპყრო და ჰკითხა:

– იქნებ მეორედ გათხოვებისათვის გჭირდებოდა ფული?

ხმამალლა გაიცინა, მაგრამ მხოლოდ ის იცინოდა, მხოლოდ ის.

– დედაჩემო, ასე სასტიკად დასჯის უფლება მარტო ღმერთსა აქვს. რაც მოხდა, მოხდა. სისხლმა, მსხვერპლმა ჩაიარა. ჩვენ არც პირველი სისხლიანი ოჯახი ვართ და არც უკანასკნელი. რამდენი ძვირფასი ადამიანი დაკარგე. ერთ ტყვიას კი სამუდამოდ მკერდით ვატარებ. ვერ დათვლი დანით მიყენებულ ნაიარევს თეძოზე, მუცელში, თავზე. შენ ტიროდი და თმებს იგლეჯდი – ჩვენ კი ისევ ცოცხლები ვართ. რა ხეირია? რაც მოხდა, მოხდა.

განა თავს არ ალუთქვი მოგონებებს გაჰქცეოდი? მაგრამ როგორ? სიცოცხლეს გინამლავენ. იმიტომ კი არ გადმოიარე ცხრა მთა, რომ ქვის ქანდაკების წინ იჯდე.

მაშასადამე, გინდა, რომ წავიდე. ძალიან არც მიკვირს, მაგრამ მოვედი და ეს იმ ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მეტისმეტი ხომ არ მოგდის? ხმის ჩანყვეტამდე წყევლე ვაჟიშვილები. იმან ხომ არ შეგაშინა, რომ შენი მუცლიდან ამდენი მტრულად განწყობილი იშვა, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შენი მოდგმა ვართ. მომიყევი, თუ ღმერთი გნამს, როგორ მოკვდა მამაჩემი? ბიძაჩემები? მითხრეს: რატომ მიდიხარ

მას შემდეგ, რაც მოხდა. ჩემი საიდუმლო ჩემ გარდა არავინ იცის. მე ისევე მწამს იმქვეყნიური ცხოვრების, როგორც სისხლ-ხორცის. იმას, რაც სხვებისთვის იყო ნათელი, ყავლი გაუვიდა. მე სხვაგვარად ვფიქრობ. ისე კი, მინდა ვიცოდე, როდემდე აპირებ ჩუმად ყოფნას?!

ოჰ... მაკვირვებს და გარკვეულწილად მაბრაზებს კიდევ. დედაზე ალალმართალი ვინ არის. შენც, ჩემო თავო, სიჯიუტის განსახიერება ხარ. შენ ისა ხარ, ვინც სიმინდის ყანაში ჩასაფრებული რვა საათის განმავლობაში გაუძრევლად იჯდა. რამდენი ილილინე დაჩეხილ გვამებზე, დედაჩემო, შენ მიერ ძმების ნაჭრილ ხელებზე. შენი გესლიანი ნათქვამი აქაური შუაკაცის ორ ვაჟიშვილზე: „მიუხედავად იმისა, რომ ძმები არიან, ერთმანეთი უყვართ“.

ნუ გამაგდებ ისე, რომ სიტყვა არ მითხრა. ის მაინც მკითხე, რამ მომიყვანა. გაურკვეველობა აუტანელია, ეკალივით მესობა. რა გასაკვირია, რომ წყეული ხანძრის შემდეგ ჩრდილს ეძებდე. ბევრი ტყუილ-მართალი ვისმინე დედაჩემის უცნაური ქცევის შესახებ და თანაც, როგორი დედის, როგორც ამბობენ. მე კი დედის სხვა სახე დამამახსოვრდა: მოქუფრული, მტირალი, მანყევარი. მაინც გავრისკე დაბრუნება...

ო, ზეციურო! აი, უკვე მეორედ დაამთქნარა; დალილობის გამო კი არა – მღელვარების გამო. ადრე თუ გვიან სისასტიკის ფერუმარილი ჩამოირეცხება. ამდენმა მწუხარებამ გულქვა გაგხადა, მაგრამ მე ხომ შენ წინ ვზივარ, პირადად – შენი ვაჟიშვილობის დამადასტურებელი სამოცნლიანი საბუთით, თუნდაც ხელმოცარული, უნაყოფო ვაჟიშვილობისა...

– მომისმინე! მე ტყუილუმბრალოდ არ მივდი-მოვდივარ. ასეთად ვარ გაჩენილი. მითხრეს: რატომ მიდიხარ იმის შემდეგ, რაც მოხდა. ეს საიდუმლო ჩემ გარდა არავინ იცის, რაც მოვედი, სულ ვლაპარაკობ, შენ კი მკლავ. მე უფრო სასტიკი წავალ, ვიდრე მოვედი. სარწყავი ბორბალი ბრუნავს, მინის წიალიდან კი მხოლოდ სარეველა ამოდის. ჩვენზე უკეთესი თაობა არ მოსულა. ვაი, რომ ეგრეა. დღეს სახემოქუფრულნი უქმყოფილო მზერას ესვრიან ერთმანეთს, ხვალ კი – ტყვიას. სისხლიანი წარსულის თვალთ შევცქერი მომავალს. დღეს მათ საოჯახო ფოტო აერთიანებთ, როგორც ჩვენ გვაერთიანებდა ერთ დროს. ხვალ რა იქნება? ის, რომ მოსვენება დაკარგე სამუდამოდ. ჩვენ გვძულს ტკბილი სიტყვები და არ გვჯერა მათი. დე, იტრიალოს ცოდვის ბორბალმა. ჩემმა სინანულმა მომიყვანა აქ – დავიწყებისა და ურჩობის ოცი წლის შემდეგ. ამ სინანულმა შემახსენა შენი თავი! რა მინდა?! შენთან დაბრუნება? რა მოჰყვება ამას? ჩვენ გრძნობების გამოძვლები გვრცხვენია და ერთმანეთის წინაშე სიტყვებით ვინონებთ თავს. იმ დღეს ნელში მოკაკეული ოთხზე ვფოფხავდი, მაგრამ ნიშნის მოგების შიშით ტკივილი ჩავიხშე. აღარაფერი დარჩა ნიშნის მოგების გარდა. შუადღის დადგომამდე მითხრა ექიმმა, რომ ავად ვარ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. არ მჯერა ექი-

მების, მაგრამ არც ტკივილის დაჯერებით მიგრძენია შვება... მით უფრო, რომ მე მხოლოდ ერთი სატკივარი მტანჯავს... რამდენიმე დღით ჩემს ოთახში განვმარტოვდი. ძმათა შორის განხეთქილების მოსალოდნელმა საფრთხემ მომიცვა – იქამდე, რომ მომავლის სისხლიანი ფურცელი დავინახე წარსულის გადაშლილი გვერდის მსგავსი. ჯოჯოხეთად მექცა ეს ქვეყანა. არც შენი ნათქვამი სიტყვების გახსენება მინდოდა, მაგრამ სიზმარი ვნახე...

ოჰ, ჩემო თავო, სასონარკვეთას ეძლევი? რა სატკივარი გიღრღნის სულს? ახალი უბედურების მომასწავებელი? მაშინ რის მაქნისია წამლები. რატომ ტყვიასა და ნაჯახივით არ კურნავს? ეი, შენ, ბებერო, რა შეგძრავს? გითხარი, რომ უფრო სასტიკი ხარ, ვიდრე ჩვენ ყველანი? ნუ მაიძულებ შეგანჯღრიო, რომ გამოფხიზლდე. თუ დავიღრიალე, კედლები ჩამოიქცევა!

– ერთი სიზმარი ვნახე. რატომ არ მეკითხები, რა მესიზმრა? მათი ახსნა აღარ გიტაცებს? მაჰატიე, თუ მჯერა, რომ სისასტიკე შენგან გვერგო მემკვიდრეობით. შენგან მეტი გვერგო, ვიდრე მამაჩემისაგან ან რომელიმე გარდასულ წინაპართაგან. შენსავით ვერავინ შეინარჩუნებს სიმშვიდეს. არაფრისმთქმელი სახე გაქვს. არათუ არაფრად აგდებ ჩემს აქ ყოფნას, ბრიყვადაც მთვლი. ბრიყვად მთვლი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არც მისმენ და არც მამჩნევ. საიდანა გაქვს ეს ძალა?

აღელვებული წამოვარდა. გაიარ-გამოიარა და მერე კოპებშეკრული წინ დაუდგა მარჯვენა ხელით ჯოხზე დაყრდნობილი:

– ეს დასჯის შენეული მეთოდი? ნამდვილად ელოდი ამ შეხვედრას. გსურდა კიდეც. დიდხანს ელოდი. შენ თქვი: ერთ დღეს მოვა. მოვა, როცა უბედურება დაატყდება თავს ან ავად გახდება. მაშინ გაახსენდება მივიწყებული დედა. მიაშურებს პატიებისა და კურთხევის სათხოვნელად. მეც მაშინ მოვიხელთებ დროს შურისძიებისათვის. ის მოინანიებს ქურდობას, ძარცვას, ძალადობას, კაცთაკვლას, ჩემს ცრემლებს, რომელიც არავის შეუმშრალებია; საშველად ხმობას, რომელსაც გინებით ხვდებოდნენ; ჩემს ხანგრძლივ სიმარტოვეს. აი, ეს არის სიმართლე. შენ ნამდვილად ჩვენი დედა ხარ. შენი საქციელი ჩვენი საქციელია. შენი სისასტიკე ჩვენი სისასტიკეა. ზოგჯერ, შეჭირვებისა და მოწყენილობის ჟამს, მიკითხავს: საიდანაა ჩვენში ასეთი ველურობა, რომელიც არც ძალღმია, არც სახედარში, არც ძროხასა ან კამეჩში. აი, ეს არის ის ჭეშმარიტება, რომელიც გაცხადდა. ნამდვილად ეს სამარცხვინო გამდნარი ლავა შენგან იღებს სათავეს, ქალო!

ორჯერ ისე დაჰკრა იატაკს ჯოხი, რომ ფანჯრის მიწებმა ზანზარი იწყეს. უცებ უმ მუჰამედმა მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით დახურულ კარზე მოაკაკუნა. გაბრაზებით უღრიალა: „ნადი“! მერე მიუბრუნდა ქალს, რომელიც მშვიდად და მონდომებით მარცვლავდა კრიალოსანს და უთხრა:

– გეყო, გეყო კრიალოსანის მარცვლა. ჩვენ არ გვენამს ღმერთი. თხილულის ყიდვისას ან ნამცხვრის ცხობის დროს გვახსენდება მხოლოდ. სიმართლე ის არის, რომ არ ვალიარებთ ღმერთს და არც გვსურს ვალიაროთ. სიზმარი, რომელიც მესიზმრა, ცრუ ყოფილა. არ უნდა დამსიზმრებოდა, ან თუ დამესიზმრა, არაფრად უნდა ჩამეგდო. არც ავად გახდომა იყო საჭირო. ისინი, ვინც ტყვიისა და სისხლისთვის ცხოვრობენ, არ უნდა დასწეულდნენ, არც სიზმრები ნახონ; სიკვდილში უნდა ეძიონ მხოლოდ შვება, თანაც თვითმკვლელობით, რათა თავად არ იქცნენ სამიზნედ. რა ეშმაკი შემიჯდა, რომ შენთან მოსვლა მაიძულა, დედაკაცო!

როდესაც ქალის შემზარავი უყურადღებობა ვერაფერმა დაარღვია, წარბშეკრულმა რაღაც გადანყვებილება მიიღო და ორი ნაბიჯი წინ გადადგა. მერე ხელი გაიშვირა და ქალისას წაავლო. მოხუცმა თავი ასწია და შემფოთებით უკან გადაიხარა. კრიალოსანი კალთაში ჩაიგდო და მორე ხელით კაცის ხელს წაეტანა. როდესაც მისი გამხდარი და გაძვალტყავებული თითების ძირში ამოსულ თმას შეეხო, შიშმა აიტანა და კვიცილი მორთო:

– ვინ არის?.. ვინ არის?.. უმ მუჰამედ!

უცებ ხველა აუფარდა. გაბრაზებული და ხრინწარეული ხმით იძახდა:

– უმ მუჰამედ... უმ... მუჰამედ.

დაუმორჩილებლობის გამომხატველი ჯახუნით გაიღო კარი და უმ მუჰამედი თვალისდახამხამებაში ქალთან გაჩნდა. კაცმა უჩუმრად უკან დახევა მოასწრო. მოსამსახურემ თავისი ქალბატონის მოცახცახე ხელი ხელისგულზეშუა ნაზად მოიქცია და თანაგრძნობით ფერება დაუნყო მის გალეულ მტევანს. თავის მართლებით ჩაილაპარაკა კაცმა:

– ვერ გამიგია, რამ შეაშინა!

მოსამსახურემ შიშნარევი ხმით უპასუხა:

– ჩემო ბატონო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ არ მომისმინეთ, მერე შემოსვლაც ამიკრძალებო!

კაცმა ფესი დაიხურა, ხელჯოხი აიღო და თქვა:

– რამ შეაშინა?.. მუდამ მიყვარდა და დიდი მქონდა, რომ დანახვისთანავე გული მოუღებოდა.

უმ მუჰამედმა თვალები დახარა და ნალვლიანად ჩაილაპარაკა:

– ჩემო ბატონო, ის ხომ ვერ ხედავს!

გაოცებისაგან კაცს ჩამქრალი თვალები გაუფართოვდა და დედა შეათვალიერა:

– მხედველობაში გაქვს...

– დიახ, ჩემო ბატონო, ნამდვილად ვერ ხედავს...

ორიოდე წუთს სიჩუმემ დაისადგურა ოთახში. მერე ნაიბუტბუტა:

– ამას ვერ წარმოვიდგენდი. მკრთალი შუქია, როგორც ხედავ...

მერე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, გამწარებულმა დაუმატა:

– კი, მაგრამ ამდენხანს ვესაუბრე. გული მატკინა, რომ არაფრად ჩამაგდო.

უმ მუჰამედმა გაბზარული ხმით გააგრძელა:

- ჩემო ბატონო, მას ხომ არც ესმის!
- უფრო მეტად გაოგნდა კაცი:
- მხედველობაში გაქვს...
- დიახ, ჩემო ბატონო. მას ნამდვილად არ ესმის...
- მიხვდა კაცი ამ საშინელებას. რეტი დაესხა.
- სრულიად?
- დიახ...
- თუ დავიყვირებ?..
- რა აზრი აქვს, ჩემო ბატონო.
- არც თვალის ჩინი, არც სმენა.
- აი ღვთის წყალობა. როდის მოხდა ეს?
- რამდენიმე წელია, ჩემო ბატონო. თვალებით და-
- ინყო და მერე, სმენაც მიჰყვა. ექიმებმა ვერაფერი უშ-
- ველეს.

დიდხანს ყოყმანობდა კაცი. მერე აშკარა მორიდე-

- ბით იკითხა:
- ვერ დამიკავშირდით როგორმე?
- მხედველობის დაკარგვის შემდეგ მინდოდა, მაგ-
- რამ ამიკრძალა. სასტიკად ამიკრძალა და მთხოვა კი-
- დეც. მეც ბოლომდე პატივი ვეცი მის სურვილს...

ისე არ ყოფილა საქმე, როგორც მეგონა, მაგრამ ეს უფრო შემზარავია. ამ დანაშაულშიც წილი მიგიძღვის. მოხვედი, რომ შენი ტვირთი შეგემსუბუქებინა, მაგრამ ორმაგად დაამძიმა. აი, მისი სუნთქვა შენს ხელს ელამუნება, მაგრამ ვარსკვლავებზე უფრო შორსაა შენგან. სიკვდილივითაა, მხოლოდ ტანჯვას გაყენებს. აი, ესეც დუმილი. აი, დაბრკოლება. შენ თვითონ უნდა ახსნა სიზმარი, თუ არადა აუხსნელი დარჩება.

1. აბა - ერთგვარი მოსასხამი;
2. ფესი - წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ფუნჯიანი ქუდი.

მთხრალი მღერის

სამიკიტნოში კლიენტის ჭაჭანება არ იყო. მოხუცმა ოფიცინტმა წუხილნარევი ხმამალალი მთქნარებით მოტვლებილ თავზე ხელი გადაისვა და ხის სკამებისა და ცარიელი მაგიდების შეგროვება დაიწყო. მეპატრონემ ვინრო სამიკიტნო მიიარ-მოიარა, ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა - საპირფარემოც კი. მერე აუჩქარებლად გადათვალა ყურუშები, დახლის ქვეშ მიმალული უჯრები დაკეტა და ღვინის სამარკო ნიშნების მაგიდის უჯრაც მიაყოლა. შემდეგ დახლის თავზე ჩამოკიდებული ნათურა გამორთო. სინათლემ იკლო და იქაურობას სევდა და ნალველი შემება. ოფიცინტს მიუბრუნდა:

- იჩქარე! ღამის ორი საათი დაიწყო.
- ოფიცინტმა სკამებისა და მაგიდების შეგროვება მოათავა, მრავალგზის დალაქული წინსაფარი მოიძრო

და კედელზე მიჭედულ ლურსმანზე ჩამოკიდა. კარისაკენ წავიდა. ძლივს მიათრევა რეზინის ფეხსაცმელში ჩაფლულ დამძიმებულ ფეხებს. გამხდარი სხეული განიერ ჯილბაბში! თავისუფლად მიდი-მოდიოდა. სამიკიტნოს პატრონმა ბოლო ნათურაც გამორთო. წყვილია-დი ჩამონვა. დუქნიდან გამოვიდა, კარი ჩაკეტა, წავიდა და მძიმე ფეხსაცმლის გაუთავებელი ჭრაჭუნით ქუჩის სიჩუმე დაარღვია.

ღვინის დუქანში, შუა კასრის ქვეშ დამალული კაცი მოუთმენლად ელოდებოდა მათ წასვლას. ყურს უგდებდა ფეხსაცმელების ჭრიალს და შეწყდა თუ არა, შვევით ამოისუნთქა. კასრის ქვემოდან გამოძვრა. თვალედაჭყეტილი იდგა ამ უკუნეთში და ვერაფერს ხედავდა - ბუნდოვან კონტურებსაც კი. ბრმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დაბნეული, როგორც არარსებულ სამყაროში გადასროლილი. შუა კასრი თუ შენ უკან იყო, მაშინ ბარი მარცხნივ იქნება. ბარის კიდესთან სალაროა. ხელებგაშვერილი ფრთხილად მიაბიჯებდა მარცხნივ, ვიდრე თითებით დახლს არ შეეხო. მერე დაეყრდნო მას და საპირისპირო მხარეს წავიდა პატარა მალალ მაგიდამდე. ცხვირში მძაფრი სუნი ეცა - წნილის, თევზისა და ყველის ნაზავი. სულმთლად დაიბნა; აი, სანუკვარი უჯრაც. აქ არის მანულის ფული, რომელსაც იმით შოულობს, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან გამოხდილ ღვინოს ჭიქობით ყიდის. ჯიბიდან ქლიბის მსგავსი ინსტრუმენტი ამოიღო და ბოქლომი მანამდე აწვალა, სანამ არ გაალო. მძაფრმა სუნმა ცემინება დაანყებინა. ხელი მოუდუნდა. გულში იგინებოდა, იწყველებოდა. გაცოფებულმა წარმოიდგინა, რომ დაყიადლობს ვინრო, ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩაში, რომლის თავდაღმართს, ალ-ბავაქის ქუჩის გადაკვეთასთან, ერთი ლამპიონი ანათებს. მოუთმენლად ჩაყო ხელი უჯრაში და მოაფათურა, მაგრამ ვერაფერი იპოვა, სრულიად ვერაფერი. ო, მანული, ძალღიშვილო! თან მიგაქვს ნავაჭრი? ერთ მალიმსაც არ ტოვებ? განა სამიკიტნო უფრო საიმედო არ არის ფული-სათვის, ვიდრე გზა და სახლი? ბრაზისა და სიშმაგისაგან სახე მოელუშა. უფრო მეტად დათრგუნა სიბნელებში, ტყუილ-უბრალოდ გარისკა! ეს სიცარიელე აბუჩად იგდებდა ამ ფანდს, ამ სამზადისს, ამ საქციელის აზრიანობას! გამწარდა და ამან უბიძგა დახლის ყველა უჯრა გაელო. იქაც ვერაფერი ნახა, ბერძნული ყველის ნარჩენების, ზეთუნის ხილისა და მოხარშული მონეული ცერცვის მეტი. იდგა დახლის უკან, ჭკვიანი მოხუცის ადგილზე უაზროდ, უგემურად ღეჭავდა ცერცვის მარცვლებს. საბოლოოდ აღიარა თავისი მარცხი. სანამ გასაქცევად ფანჯრის გაღებას შეეცდებოდა, გართობა გადაწყვიტა. ზურგს უკან, თაროსაკენ ხელი გაიშვირა და ერთი ბოთლი ღვინო აიღო. საცობი მოაძრო, მოიყუდა. ხარბად დაენაფა და ბოლომდე გამოცალა. დაიძაბა, რომ არ გამოჰარვოდა სტომამქში ჩიკორივით დატრიალებული ღვინით

გამონვეული გუნება-განწყობის ცვლა. საშინელება... დიდებულია... შეუდარებელია... ფასდაუდებელია. ალალი და უსაყვედურო იყოს ღვინოზე დახარჯული ფული. ნამდვილად დასანანია, რომ ხვალ შენი ორთვალა საფლავებზე გასვლის დღესასწაულს გამოტოვებს. ღმერთმა დაგწყევლოს მანული. ხელი გაიშვირა და მეორე ბოთლი აიღო. რა საშინელებაა წყვდიადი და სიბრმავე! დაღვეს, ვიდრე არ დათვრება. გაქცევას მორიგე პოლიციელის ჩამოვლამდე გადადებს. ეს წყვდიადი კედელივითაა აღმართული. ნაღვინევის სუნთქვა და სალი კლდესავით მაგარი მუშტი აქვს. აი, ცეცხლოვანი სითხის მესამე ბოთლი. უნდა ჩამოვდეს, რომ ბარს ზემოდან მოექცეს. წავიდა მანული და ფული თან წაიღო. ჯანდაბამდეც გზა გქონია, მანული. წყვდიადი ჯოჯოხეთზე წყეულია. ისე ჩაახველა, რომ სიფრთხილე აღარ გამოუჩენია. სამიკიტნოს წყვდიადს შეერია ეს ჩახველება, მაგრამ დიდად არ შეწუხებულა. სულ არ ენაღვლებოდა. სრული უფლება გაქვს, სიბნელე გქუღღდეს. მზეზე ვმუშაობ. ღია ცის ქვეშ მძინავს და ზამთრის ღამეებში კი შენს ოთახს სარდაფში ქუჩის ღამპიონი ანათებს. საკმაოდ ბევრი კაცი გამილახავს. ჯიქურ ვეძგერები მოქიშპეს, მაგრამ მეშინია, ერთადერთი ჯილბაბი არ დამეხეს. ჩემი ვირი დამატარებს და მას კი, ლალსა და თავისუფალს, წინ ვინ დაუდგება. მე რაც შემეხება – ამ ჯილბაბისა და ღვინის მეტი არა გამაჩნია რა. მეოთხე ბოთლი გადავიღო. ყელში რაკრაკით გადადიოდა ღვინო და ეს ხმა სიჩუმესა და უკუნეთში ჩაძირულ კედლებს ეხმიანებოდა. აშ-შაიხ აზ-ზავიმ მითხრა: ნუ სვამ. მე ვუთხარი: თურქთა და სპარსთა სულთანი ვარ. უფალი შეგაჩვენებსო, – მიპასუხა. დავიფიცე, ჩემს ვირს აზ-ზავის დავუძახებ-თქო. მოგუდული ხმით აღდიინდა: „შეყრის ჟამმა“... როცა მეხუთე ბოთლიც გამოსცალა, ხელისგულებს დაეყრდნო, ფეხები ამოწია და დახლზე გაიშოტა. გაახსენდა რაბაზზე მომღერალი აშული და თავისთვის იკითხა: რატომ უნდა დაიშალოს ის, რაც სასიამოვნოა. სიმღერა წამოიწყო თითქოსდა სახლში ყოფილიყოს:



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

– „შეყრის ჟამმა ჩემი ნეტარება მოახლოვა“.
დაიხლართა შეზარხოშებული მელოდია, მაგრამ თვითონ მონონებით იქნევდა თავს. ეშხში შესულმა აუნია და აუნია ხმას. წელში გაიმართა და ორივე ხელით ტაში შემოსცხო.

უცებ, მუშტი მოხვდა კარს. პოლიციელის ხმა გაისმა:

– ვინ არის მანდ, შიგნით?

ეშხში შესულს არც უფიქრია სიმღერის შეწყვეტა. გაუთავებელმა კაკუნმა გააღიზიანა და გაჩუმდა. გაბრაზებით ნაიბურდღუნა:

– არც სიკეთეა თქვენგან და არც თქვენს ბოროტებას უჩანს ბოლო. მერე ამაყად იკითხა:

– ვინ ხარ?

– პოლიციელი.

– რა გნებავს?

– აი საოცრება!..

შენ თვითონ ვინ ხარ? სიცილით უპასუხა:

– კლიენტი!

– მთელ დუნიას სძინავს და შენ მანდ როგორ მოხვდი?

– რა შენი საქმეა?

– ო, ლოთო და შფოთის თავო, ძვირად დაგიჯდება შენი თავხედობა.

– ერთი მალიმიც არ გამაჩნია!

– ვიცანი შენი ხმა. მიუხედავად სიმთვრალისა, ნამდვილად ვიცანი შენი ხმა.

– ვინ არ იცნობს აჰმედ ანაბას!

– მეეტლეს?!
– გახლავართ... გნებავს რამე, სერჟანტო?

სერჟანტის სასტვენმა ღამის სიჩუმე დააფრთხო. კაცმა დახლის თავზე – კედელზე იქამდე აფათურა ხელი, სანამ ამომრთველს არ მიაგნო. ნათურა აანთო. სახე შეეჭმუნა და თვალები მოჭუტა. ყურადღებით დაინყო იქაურობის დათვალიერება, ვიდრე ნითელი გადმოკარკლული თვალები გაზის ბალონსა და ქურაზე არ შეაჩერა. თავი მოაბრუნა და უსწრაფესად ათასმა აზრმა გაუელვა თავში. ნამსაც არ გაეგლო, რომ ერთ-ერთ მათგანს ჩაეჭიდა. პოლიციელიც გადაავიწყდა და მისი ხმაც, მაგრამ გარედან შემოსულმა ხმაურმა და ყაყანმა მის ყურამდეც მოაღწია. აჰ... პოლიციის საგუშაგოს ოფიცერი, პოლიციელები, ტროტუარის ბინადარი – სიგარეტის ნამწვავების შეგროვებით რომ ირ-

ჩენენ თავს და სხვები. მანულის ხმა გამოარჩია და გაბრაზებით დაუძახა:

- მანული!
- მანული ვარ ყამ-აჰმედ... - აღელვებით უპასუხა კაცმა.
- ნუ გაეკარები კარს... თორემ შენი დუქანი ცეცხლის ალში გაეხვევა...
- არა... ნუ დაინვაავ თავს!
- ჩემი დარდი ნუ გაქვს, მანული. ყველგან გაზია: იატაკზე, კასრებში, სკამებზე, მაგიდებზე. აი, ასანთის ერთი ღერიც ხელთა მაქვს... გაფრთხილდი, მანული... დაუფარავი ნერვიულობით უპასუხა კაცმა:
- დამშვიდდი, არ გავეკარები, სანამ არ მიბრძანებ...
- რა ზრდილობიანი ხარ, მანული?!
- მთელი ცხოვრება ასეთი ვარ... დამშვიდდი და მითხარი, რა გინდა...
- ყველაფერი მაქვს.
- არ გინდა, გამოხვიდე?
- არც ის მინდა, ვინმე შემოვიდეს!
- სამუდამოდ მანდ ხომ არ დარჩები!
- სავსებით შესაძლებელია... ყველაფერი მაქვს.
- ვნუხვარ, რომ შეცდომით ჩაგკეტე!
- ტყუილხარ და შენც იცი, რომ მატყუარა ხარ.
- ნამდვილად ასეა.
- იცი, რომ გასაქურდად შემოვედი.
- მოსაპარი არაფერია.
- მონამლული ღვინის კასრები?
- ფეშქაში იყოს ჩემგან, რაც დალიე...
- ერთი მალიმიც არ არის უჯრაში.
- ფულისთვის არ არის გამიზნული ეგ უჯრა...
- მაშინ რატომ კეტავ, მანული?
- ცუდი ჩვევა მაქვს. დანყნარდი და თავს ნუ დაინვაავ...
- ჩემზე შიშობ?
- რასაკვირველია... კასრები ეშმაკსაც წაუღია! შენ კი ცოცხალი არსება...
- მატყუარა ხარ, მანული. იმ პოლიციელებს ჰკითხე, გარს რომ გარტყია...
- ამ ხნის განმავლობაში პოლიციელები აქტიურობდნენ. დაცალეს სახლი, რომლის ქვეშაც სამიკიტნო იყო. დანგრევის საშიშროების გამო დაუკავშირდნენ მეზობელი დუქნების მეპატრონეებს - ხის მასალებით, საღებავებითა და საგალანტერო საქონლით მოვაჭრეებს. ძალიან მალე მოვიდნენ სახანძრო მანქანები და გაემზადნენ.
- დიდხანს იცინოდა გულიანად აჰმად ანაბა. მერე დაიძახა:
- ასანთის ღერი ხელთა მაქვს, მანული...
- ბრალი არ მიგიძღვის, დამშვიდდი, - მორჩილად უთხრა კაცმა.
- ხუთი ბოთლი გამოვცალე შენი სახლის დანგრევისა...
- მეექვსეც დალიე, ოღონდ თავს ნუ დაინვაავ...

იდეა მოეწონა. ხელი გაიწოდა თაროსაკენ. სმა განახლა. მიხვდა, რომ სიამოვნებისთვის განკუთვნილი დრო ეწურებოდა. მშვიდი ხმა შემოესმა:

- აჰმედ! - დაუძახა თუ არა, ღრინაციელიც შეწყდა. აჰ... შეუძლებელია, ეს ბოხი, უხეში ხმა ვერ იცნოს.
- ბატონი ოფიცერი?
- დიახ...
- კეთილი იყოს შენი მობრძანება...
- ჭკუას უნდა უხმო და კარის გაღება დაგვანებო...
- რატომ?
- პატრონმა რომ ჩაიბაროს...
- ღვინის დუქანი იმისია, ვინც სვამს!
- გონს მოდი, აჰმედ...
- მე?
- სალ-სალამათი გამოხვალ...
- აი, მერე რა იქნება?
- არაფერი, სრულიად...
- შენც მანულივით ცრუობ!
- დაგკითხავენ, თუ როგორ მოხვდი დუქანში. აშკარაა, რომ სიმთვრალის გამო: ჩაგეძინა, გაითიშე და, შესაბამისად, ბრალი არ მიგიძღვის...
- დამტყვევული უჯრები?
- უგონო მდგომარეობაში ჩაიღინე - სიმთვრალით...
- ეჰ... ვიცი მე შენი შეწყალება... ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება, ციხე?!
- არა... არა... გპირდები, საუკეთესოდ მოგექცევი... თითქმის გამოცალა ბოთლი. მერე დაიძახა:
- აჰმედ ანაბა, თურქთა და სპარსთა სულთან! თქვენ ყველანი ნაძირალები ხართ...
- ღმერთმა მოგიტევოს...
- ბატონო ოფიცერო, გისმენ...
- ღმერთმა მოგიტევოს...
- გახსოვს, იმ დღეს, ჩემმა ვირმა შენი პოლიციის საგუშაგოსთან რომ მოფსა შენ თვალწინ?
- არაფერი ჩამიდენია...
- ვირი დაიტოვე, მე კი სილა გამანანი...
- ვიხუმრე მხოლოდ...
- ჩემი ხუმრობის ჯერიც დადგა!
- თავს ნუ დაილუპავ!
- თავს!.. მართლა გენაღვლები?
- რასაკვირველია! ვზრუნავ ხალხზე, დუქნებზე...
- ხალხი გარეთაა. დუქნებთან კი რა ხელი მაქვს.
- შენ ხომ ღვთისმომშიში ხარ...
- სამაგიეროდ, შენ არ გეშინია ღმერთის!
- არავის ნყენინება არ გიყვარს.
- შენ კი გიყვარს...
- ღმერთმა მოგიტევოს.
- ასანთის ღერი ხელთა მაქვს. ასე რომ, მოშორდი კარს!
- ბოთლში მონარჩენი ბოლომდე მიიყვანა და სიმღერა წამოიწყო: „ო, სიყვარულისთვის ცრემლი რამდენჯერ დამიღვრია“. როდესაც პირველი ნაწყვეტი მოათავა, ოფიცრის ხმა შემოესმა:

– ბრავო, ბიძაჩემო, იქნებ ჭკუაზე მოხვიდე. დაცინვით უპასუხა:

– მეექვსე ბოთლზე გადავედი...
 – მოკვდები...
 – მომისმინე! ბოლო სიტყვა...
 – დიახ?
 – თქვი: „მე ქალაჩუნა ვარ...“
 – ღმერთი კმაყოფილი არ დაგრჩება...
 – ძალიანაც დამრჩება. ეს არის ჩემი პირობა, თუ გინდათ, რომ გალების ნება მოგცეთ...
 – ქალაჩუნა ვარ, – იყვირა მანუღიმ.
 – შენც ქალაჩუნა ხარ, უდავოდ, მაგრამ ოფიცერმა უნდა თქვას...
 – გრცხვენოდეს აჰმედ...
 დიდხანს იცინოდა. მერე მბრძანებლური ტონით დაიძახა:

– ჩემი გამარჯვებისა შესძახეთ!
 ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ბიჭ-ბუჭებისა და ხალხის შეძახილების ქარბუქი დატრიალდა: „გაუ-

მარჯოს აჰმედ ანაბას!“ აიტაცეს შეძახილი. უცებ, იატაკზე ისკუბა და ცეკვა გააჩაღა. ამაყად, ხალისიანად დატრიალდა და ამ მოცუტქნულ სივრცეში და მასთან ერთად დატრიალდნენ სკამები, მაგიდები, ჭერი და სამყარო მთლიანად. მოულოდნელად, ისე, რომ არ შეუნიშნავს, კარი გაიღო და ჯარისკაცები დააცხრნენ. იდგა და ირწეოდა ჯილბაბზე, მკლავებსა და კისერზე შემოჭდობილ პოლიციელთა მკლავებში. მიუხედავად ამისა, მედიდურად გადახედა ყველას ამაყი, მბრძანებლური მზერით და მაგნიტოფონის შენელებული ტონალობის მსგავსი მძიმე, უსიცოცხლო ხმით თქვა:

– ასანთის ერთი ღერიც კი არა მაქვს...

1. ჯილბაბი – მამაკაცის გრძელი პერანგის მსგავსი სა-
მოსი.

არაბულიდან თარგმნა
იზოლდა გრძელიძე

სამიპ ქარიმი

მისმა გამარჯვებამ არაბულ ლიტერატურას ღირსება დაუბრუნა

ნობელის კომიტეტის დამოკიდებულება არაბი მწერლების მიმართ დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ზოგადად აღმოსავლეთის მწერლებისადმი. შეიძლება ითქვას, არაბებს სხვებზე ნაკლებადაც აღიარებენ.

ასეთმა უარყოფამ თითქმის ოთხმოცდაათი წელიწადი გასტანა, 1901 წლიდან 1988 წლამდე, როცა ნაჯიბ მაჰფუზი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ხნის მანძილზე მრავალმილიონიან არაბულ სამყაროში ვერ იშვა ერთი მწერალიც, რომელიც ამ ჯილდოს დაიმსახურებდა. ხოლო პატარა შვედეთში, ნობელის პრემიის ქვეყანაში, საკმაოდ ბევრი მოიძებნა მისი ღირსი?!

ნუთუ არაბებს არა ჰყავთ მწერლები, რომლებიც ნობელის პრემიის მფლობელ საშუალო დონის – მათივე კრიტიკოსების მტკიცებით – ევროპელ და ამერიკელ მწერლებს გაუტოლდებიან, ანდა ებრაელ ლიტერატორებს მაინც გაუწევინ მეტოქეობას?!

მაგრამ, სამწუხაროდ, ნაჯიბ მაჰფუზის დაჯილდოებას, რომელსაც ამდენ ხანს ველოდით, თვით არაბებს შორისაც დიდი ხმაური მოჰყვა. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო. ჩვენ ხომ ოთხმოცდაათი წელი არ გვაკარებდნენ ამ პრემიას.

ნაჯიბ მაჰფუზმა, რომელმაც მსოფლიოს ყველა მწერალი უკან ჩამოიტოვა და გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი, თავი ვერ დააღწია უღმობელ კრიტიკასა და ბრალდებებს, უფრო მეტიც, ვერაგულ თავდასხმასაც კი.

ყოველივე ამან გვაძულა ამ სამწუხარო ფაქტებზე მიგვეპყრო თქვენი ყურადღება, სანამ მოგიტხოვდით, რეალურად როგორ მოხდა ყველაფერი, რაც უდავოდ ერთს ადასტურებს – სპარსეთის ყურიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდე დასახლებული არაბებისთვის ამ კაცს სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია. მის მიმართ წაყენებული ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა. ჩვენ კი მხოლოდ და მხოლოდ გვმართებდა ასეთი რანგის მსცოვანი მწერლის ჯეროვნად დაფასება და პატივით მოპყრობა. მაგრამ, რას იზამ... შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო!

ნაჯიბ მაჰფუზს ზოგიერთი ჩვენგანისგან წილად ერგო ბრალდებანი, თითქოს მისი დაჯილდოების უკან აღმოსავლეთმცოდნეები იდგნენ. ამის მიზეზი კი, როგორც ირწმუნებიან, რელიგიური პოსტულატების წინააღმდეგ ამბოხია რომანში „ჩვენი უბნის ბავშვები“. დაკვირვებით თუ ნავიკითხავთ ნაჯიბ მაჰფუზის ამ ან სხვა რომანებს, დავრწმუნდებით ამგვარ ბრალდებათა უსაფუძვლობაში. ნუთუ გგონიათ, რომ საერთაშორისო სიონისტურმა წრეებმა, კერძოდ კი შვედმა ებრაელებმა, მხარი დაუჭირეს მწერალს იმის გამო, რომ ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების მომხრეთა შორის იყო?!

ასეთ ბრალდებათა და მტკიცებების შედეგი იყო, რომ ვილაც ეგვიპტელი ფანატიკოსი თავს დაესხა მწერალს. შემზარავია იმაზე ფიქრიც, რომ მას ეროვნული კულტურის სიმბოლოს მოკვლა შეეძლო.

ბრალდებებს, რომლებიც სულ უფრო ხშირად გაისმოდა, მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – ნაჯიბ მაჰფუზის გამორჩეული ოსტატობა და გამარჯვება.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს საკუთარ თავს არ ვთვლით ღირსად იმ პრემიისა, რომელიც ნაჯიბ მაჰფუზზე ნაკლები ნიჭის მქონე არაერთმა უცხოელმა მწერალმა მოიპოვა.

მითქმა-მოთქმა გრძელდებოდა, ვიდრე ცხადი გახდებოდა, რომ ნაჯიბ მაჰფუზმა მიიღო ეს ჯილდო მარტოოდენ საკუთარი ტალანტის წყალობით. ამ საქმეში არ ჩარეულან უცხოური სტრუქტურები, რომლებსაც ვითომდა ამოფარებული იყო 1959 წლიდან შევედეთში მცხოვრები ეგვიპტელი პროფესორი. ერთადერთი, რაც მან გააკეთა, გაცნო მწერლის შემოქმედებას, მოიწონა და წარადგინა პრემიაზე. ეს გახლავთ დოქტორი ატია ამირი, დარ ალ-ულუმის (კაიროს პედაგოგიური ინსტიტუტი – რ.კ.) კურსდამთავრებული და შემდგომ ამავე ინსტიტუტის პედაგოგი. შევიწროებისა და დევნის გამო მან დატოვა ეგვიპტე და დასახლდა შევედეთში. სტოკჰოლმის უნივერსიტეტში მუშაობისას პროფესორი აირჩიეს არაბული ენის განყოფილების ხელმძღვანელად. დღეებს წლები მისდევდა, მან იქაური ინტელიგენციის წრეებში ავტორიტეტი მოიპოვა, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტის კოლეგებს შორის, რომელთაგან ზოგიერთი იყო ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კომიტეტის წევრი.

ნაჯიბ მაჰფუზის ნობელის პრემიით დაჯილდოების ისტორიას მოგვითხრობს თუნისელი ლიტერატორი და გამომცემელი ჰასან აჰმად ჯულამი ამას წინათ გამოქვეყნებულ წიგნში „ტაჰა ჰუსეინი – პრობლემები და პოზიციები“. წიგნი ორმოც გვერდს მოიცავს და დართული აქვს დოკუმენტური მასალა. თუნისელი ავტორი ეყრდნობა დოქტორ ატია ამირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. თხრობა იწყება 1967 წლის სექტემბრიდან, ანუ ისრაელთან ომში დამარცხებიდან სამი თვის შემდეგ. დოქტორ ატია ამირს სურდა როგორმე აღედგინა პრესტიჟი თავისი ერისა, რომელიც იმხანად დამარცხების სიმწარის განცდით ცხოვრობდა. სწორედ მაშინ გაუჩნდა მას ერის ერთ-ერთი რჩეული შვილის ნობელის პრემიაზე წარდგენის იდეა. ეს იყო ტაჰა ჰუსეინი, რომლის ნაშრომები და პოზიციები ცნობილი იყო ევროპის სამეცნიერო და კულტურული წრეებისათვის.

წარდგინებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად და საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ატია ამირი შეუდგა შევედურ ენაზე ლექციების კითხვას სტოკჰოლმის უნივერსიტეტში. მაგრამ გეგმას განხორციელება არ ეწერა იმის გამო, რომ არ იყო შერჩეული შესაფერი დრო. არაბთა დამარცხების შემდეგ ისრაელს გამოუჩნდა ბევრი მომხრე, რომლებიც გამარჯვებით იყვნენ გაბრუნებულნი. ეგვიპტესა და არაბულ სამყაროზე ნათქვამი ყოველგვარი სიყალბე კი სიმართლედ ცხადდებოდა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ებრაული წარმომავლობის შვედი პროფესორები შეუერთდნენ სიონისტებს, რათა ეს კანდიდატურა ჩანასახშივე დაესამარებინათ. აშკარად გამოიკვეთა ებრაელებისა და სიონისტების ზენოლა ნობელის კომიტეტზე და მათი განწყობა არაბი კანდიდატის მიმართ.

ბუნებრივია, ასეთი წარუმატებლობის შემდეგ დოქტორი ამირი წლების მანძილზე დუმდა. მხოლოდ მაშინ, როცა ასაკოვანი მეცნიერი თანამდებობის დატოვებას აპირებდა, სტოკჰოლმის უნივერსიტეტმა, მისადმი მაღლიერების გამოხატვის სურვილით, სთხოვა, შეერჩია არაბი მწერალი

ნობელის პრემიაზე წარსადგენად. ოფიციალური სახის მისაცემად შევედეთის აკადემიამ დოქტორ ამირს გაუგზავნა წერილობითი თხოვნა 1978 წლის ოქტომბერში – ტაჰა ჰუსეინის პრემიაზე წარდგენიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში მეცნიერი ნაჯიბ მაჰფუზის შემოქმედების მიმოხილვითა და შეფასებით იყო დაკავებული. მას არც კი უფიქრია სხვა კანდიდატურაზე მრავალი მიზეზის გამო. უმთავრესი კი გახლდათ შემდეგი – დოქტორ ამირს სურდა დაემტკიცებინა, რომ 1973 წელს გარდაცვლილი ტაჰა ჰუსეინის გარდა არიან სხვა არაბი მწერლებიც, რომლებიც იმსახურებენ ამ ჯილდოს.

1979 წელს დოქტორი ამირი შევედეთის აკადემიას უგზავნის საპასუხო წერილს, რომლის არაბული თარგმანი შეტანილია ჰასან აჰმად ჯულამის წიგნში. წერილის მოკლე შინაარსი ასეთია: „მადლობას მოვასხენებ ნობელის კომიტეტს ლიტერატურის დარგში, მომმართა რა თხოვნით, დავასახელო არაბი მწერალი 1979 წელს ნობელის პრემიაზე წარსადგენად. ვფიქრობ, კომიტეტი გულისხმობს არაბულენოვან მწერალს. მაქვს ბედნიერება, წარვადგინო ნაჯიბ მაჰფუზის კანდიდატურა, რომელიც მიმჩნია ახალი არაბული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლად და თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო პროზაიკოსად“.

წარდგენის პროცედურის დასაწყებად დოქტორ ამირს თავი უნდა მოეყარა ნაჯიბ მაჰფუზის თხზულებებისათვის. საკუთარი განზრახვის შესახებ შეატყობინა იმხანად ეგვიპტის ელჩს შევედეთში ომარ შარაფს და სთხოვა დახმარება გაეწია მწერლის უცხო ენაზე თარგმნილ ნაწარმოებთა მოძიებაში. ცხადია, საქმის გასაადვილებლად ელჩმა ყოველივე მოახსენა ეგვიპტის ხელისუფლებას. მაგრამ მოხდა პირიქით. დახმარების მაგივრად, დოქტორ ამირთან შეუთანხმებლად ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ნაჯიბ მაჰფუზის ნაცვლად შევედეთის აკადემიას წარუდგინა თავფიკ ალ-ჰაქიმის კანდიდატურა. ეს მაშინ, როცა, ფაქტობრივად, ნაჯიბ მაჰფუზი უკვე დასახლებული იყო.

დოქტორი ამირი უკვე აქტიურად ახორციელებდა ინფორმაციულ კამპანიას ნაჯიბ მაჰფუზის შემოქმედების გარშემო. მწერლის თხზულებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სამეცნიერო და კულტურულ წრეებზე. მისი ნაწერებით აღფრთოვანებულები იყვნენ. მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. საქმე სხვაგვარად შეტრიალდა, როცა შევედეთის აკადემიაში მოვიდა ეგვიპტის ხელისუფლების მიერ დასახლებული თავფიკ ალ-ჰაქიმის კანდიდატურა. გამარჯვების შანსი ხელიდან გაუშვეს ალ-ჰაქიმმაც და მაჰფუზმაც. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, ნობელის კომიტეტი, წესისამებრ, კრძალავს ხელისუფლების წელისმიერ ჩარევას კანდიდატურის შერჩევაში, და მეორეც – გაუგებრობა, რომელიც გამოიწვია ერთი ქვეყნიდან ორი გვარის წარდგენამ. სახელდობრ, თავფიკ ალ-ჰაქიმი მაშინ დასახლდა კანდიდატად, როცა ნაჯიბ მაჰფუზი უკვე წარდგენილი იყო. ასეთი ვითარებით ისარგებლეს ოპოზიციურად განწყობილმა შევედმა ებრაელებმა და სიონისტებმა. საბოლოოდ პრემია მიანიჭეს ჩინელ პოეტს.

თავფიკ ალ-ჰაქიმის, ნაჯიბ მაჰფუზის, მათზე ადრე კი ტაჰა ჰუსეინის ბედი გაიზიარა აბდ არ-რაჰმან აშ-შარკავიმ. როგორც კი კაიროში შეიტყვეს, ატია ამირი ისევ აპირებს ნაჯიბ მაჰფუზის წარდგენას ნობელის პრემიაზე,

კრიტიკა

დაიბარეს შედეგთში ეგვიპტის საელჩოში და გადასცეს ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი. მასში ნათქვამი იყო, რომ ნაჯიბ მაჰფუზი უნდა შეცვალოს აბდ არ-რაჰმან აშ-შარკავიმ. ამჯერადაც ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა, მითუმეტეს, რომ აშ-შარკავი ვერ აკმაყოფილებდა პრემიის მინიჭებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. წარდგენილი თხზულებანი უნდა ყოფილიყო მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. აშ-შარკავის წარმომბრუნებელი უმეტესობა კი ისლამის იდეოლოგიის საკითხებს ეძღვნებოდა.

სამგზის წარუმატებლობის შემდეგ ატია ამირმა გადამწყობა აღარ შეხებოდა ამ თემას. თუმცა კი არაბი მწერლის გამარჯვებისათვის ხელსაყრელი მომენტი მომნიშვნელო იყო.

გავიდა ხანი. ოთხმოციანი წლების შემდეგ დოქტორ ამირს სამშობლოში ჩასვლის ნება დართეს. 1986 წელს იგი ეწვია კაიროს, სადაც შეხვდა თავის თანაკურსელს, იმხანად ეგვიპტის კულტურის მინისტრს აჰმად ჰაიქალს. ატია ამირმა გაანდო მას, რომ განზრახული აქვს მესამედ წარადგინოს ნაჯიბ მაჰფუზი ნობელის პრემიაზე. ოღონდ პირობა ჩამოართვა, რომ მთავრობა აღარ ჩაერეოდა ამ პროცედურაში, რათა არ განმეორებულიყო ის, რაც ადრე მოხდა. აჰმად ჰაიქალმა აღუთქვა.

ჩვენ დავუკავშირდით ყოფილ კულტურის მინისტრს დოქტორ აჰმად ჰაიქალს. მან დაგვიდასტურა, რომ მართლაც შეხვდა ატია ამირს, შეიტყო მისი გადამწყვეტილების შესახებ და რჩევებიც გაითვალისწინა.

დოქტორმა ამირმა კვლავ დაიწყო აქტიურობა ნაჯიბ მაჰფუზის შემოქმედების გასაცნობად შედეგთის სამეცნიერო და კულტურული საზოგადოებისათვის. დაბოლოს, 1988 წელს ნაჯიბ მაჰფუზი ხდება ნობელის პრემიის ლაურეატი მხოლოდ და მხოლოდ დიდი ნიჭის წყალობით, უცხოურ სტრუქტურათა ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

აღბათ, ეს ნაამბობი ნათელს მოჰფენს ნაჯიბ მაჰფუზის დაჯილდოებასთან დაკავშირებულ რეალურ ფაქტებს:

პირველი: ნაჯიბ მაჰფუზის გამარჯვების უკან იდგა ეგვიპტელი პროფესორი ატია ამირი, რომელიც ახლაც სტოკჰოლმში ცხოვრობს.

მეორე: ნაჯიბ მაჰფუზი არა ჰგავს იმათ, ვისაც მოსწონს საკუთარი პერსონის გარშემო ყოველწლიურად აჟიოტაჟის ატეხა პრემიაზე წარდგენის გამო.

მესამე: ნაჯიბ მაჰფუზს არავითარი უცხოური ორგანიზაციები არ უწევდნენ დახმარებას. პირიქით, სიონის-

ტები და შედეგთში მცხოვრები ებრაელები ყველა ღონეს ხმარობდნენ არაბი კანდიდატის ჩასაგდებად.

მეოთხე: მწერალი პრემიაზე წარადგინა დარ ალ-ულუმის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა. ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები და პროფესორები კი პირველ ყოვლისა ყურადღებას უთმობენ ისლამის საფუძვლების შესწავლას, შემდეგ კი ლიტერატურისა და ენის. ატია ამირს რომ შეემჩნია ნაჯიბ მაჰფუზის თხზულებებში ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგება რელიგიურ ღირებულებებსა და პოსტულატებს, არ წარადგენდა პრემიაზე.

მეხუთე: ოთხმოციანი წლებამდე ეგვიპტის ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ორჯერ გახდა მწერლის კანდიდატურის ჩაგდებას მიზეზი. პირველად უპირატესობა მიანიჭეს თავიკ ალ-ჰაქიმს, მეორედ – აბდ არ-რაჰმან აშ-შარკავის. ნაჯიბ მაჰფუზის გამარჯვებას დიდად შეუწყობდა ხელი იმან, რომ კულტურის მინისტრის აჰმად ჰაიქალის მეცადინეობით ეგვიპტის ხელისუფლება არ ჩაერია კანდიდატის დასახელებაში.

წინააღმდეგე ამ გარემოებებზე საუბარია ჰასან აჰმად ჯულამის წიგნშიც. იგი წერდა: „ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეუძლებელია არ ვაღიაროთ იმათი უგუნურება, ვინც ვერ სჯერდება არსებულ ფაქტებს და არ გააჩნიათ ობიექტური თვალთახედვის უნარი. ფანტაზიებით გატაცებულები ირწმუნებიან, რომ ნაჯიბ მაჰფუზმა ნობელის პრემია მიიღო იმიტომ, რომ ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების მომხრეთა შორის იყო. ამგვარად, აშკარაა ამ ადამიანთა ინსინუაციები და რეალობის უცოდინარობა. ისიც აშკარაა, რომ ისინი არ სცემენ საკუთარ თავს პატივს. თვითონ არაფრის მაქნისებს თითქოს სურთ აღიარონ, რომ ამ ერს არავინ ჰყავს ნობელის პრემიის ღირსი“.

წიგნში საუბარია იმაზეც, თუ როგორ არაფრად ჩააგდეს დოქტორ ატია ამირის ამბავი, რომელიც მან გასწია ნაჯიბ მაჰფუზის გამარჯვებისათვის: „ვფიცავ ალაჰსა და მეცნიერულ სინდისს – წერს ავტორი – დოქტორ ამირს გადაკრული სიტყვითაც კი არ გამოუხატავს უკმაყოფილება, არც დაუწივლია ასეთი უმადურობისათვის. ეს ხომ მან შეიმუშავა ნაჯიბ მაჰფუზის გამარჯვების გეგმა, მაშინ, როდესაც 1967 წლის ამბების შემდეგ დამარცხებული არაბები სასოწარკვეთამ მოიცვა. ნობელის პრემიაზე კი მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა“.

**არაბულიდან თარგმნა
რუსულად კვიჟინაქია**

ქრონიკა

30 ივნისს საგამოფენო გალერეა „კობალაში“ გაიმართა წარდგინება ლელა ებრალიძის მიერ თარგმნილი ბრიტანულ და ამერიკულ პოეტთა კრებულისა „ლირიკული მოზაიკა“ (გამომცემლობა „ლოტოსი“). კრებულში თავმოყრილია უილიამ ბლეიკის, რობერტ ბერნსის, უოლტერ სკოტის, ტომას მურის, ლორდ ბაირონის, პერსი ბიში შელის, ტომას ჰუდის, ჰენრი უორდსუორდ ლონგფელოს, ედგარ ალან პოს, ალფრედ ტენისონის, ემილი დიკინსონის, უილიამ ბატლერ იეიტსის, ჯეიმს ჯოისის, რუპერტ ბრუკისა და სხვათა ლექსები.

წიგნის წინათქვამში აღნიშნულია, რომ: ლელა ებრალიძის წარმატებული მცდელობა თამამად დაუდგება გვერდით ამ ყაი-

დისი გამოცემებს. იგი ითვალისწინებს დღემდე დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას და პოეტური მარცვლებით, წვეთობით გამოწერილი მადლით წარმოგვიდგენს მშვენიერ შენობას, მკვიდრსა და სიმედოს უფრო დიდი შენობის ასაგებადაც, რასაც მალევე მოველით მისგან.

ლელა ებრალიძემ წაიკითხა მცირე ესეი თარგმანის პრობლემატიკაზე და ცალკეული ნიმუშები კრებულიდან. მეცნიერებმა იხესა მერაბიშვილმა და როსტომ ჩხეიძემ წარმოაჩინეს „ლირიკული მოზაიკის“ ესთეტიკური და საზოგადოებრივი ღირებულება თანამედროვე ქართულ სამწერლო პროცესში.

გურამ დორნაშვილს სიჭაბუკისას სიყვარულით შიმშილას ეძახდნენ.

ნაკლები თიკუნი არ უნდა შეგარქვან!

მაღალი და განლიკული, განლიკული აღნაგობა ძალაუნებურად ინვევდა ასეთ ასოციაციას.

„შიმშილას“ რა უშვავდა თურმე.

მის მეგობარს – კიდევ უფრო განლიკულს – სულაც სიკვდილას შეარქმევდნენ.

დადოდა ეს ორი ჭაბუკი ქვეყანაზე, უხაროდ ცხოვრება და ვერ გაეგოთ, ამ ხალხს რა „შიმშილა“ და „სიკვდილა“ აუტყდაო.



ერთხელაც ქორნილში მეჯვარეებად გაჰყვებოდნენ ბედი შატბერაშვილს, უახლოეს მეგობარსა და იმ გიორგი შატბერაშვილის ვაჟს, კაცურკაცობის ნიმუშად რომ წარმოსდგებოდა მათ თვალში და ახლაც ისე ეამაყებოდათ, სუფრას რომ უსხდნენ მის გვერდით და კიდევ იმ მწერალთა გვერდით, ვისთანაც უშუალო შეხვედრას ვერც ვერასოდეს იფიქრებდნენ, მათ შორის, გიორგი ლეონიძესთანაც, მათ შეხედვაზე რომ გაელიმებოდა და გიორგის მიუბრუნდებოდა:

– ეს ყმანვილები რომელი სანატორიუმიდან გამოინერე?

ჯეიმზ ფენიმორ კუპერის რომანში „ნადირთმჟლეტი“ არის ორიოდ სცენა, რომელიც თავისი სტილისტიკით განსხვავდება თხრობის საერთო მდინარებისაგან და იუმორის იმ მაღლითაა გამთბარი, რაც უჩვეულოდ გამოიყურება ამ მწერლის პირქუში მხატვრული ხილვების ფონზე.

კომიზმი არ არის თვალშისაცემი, თუმც ნამდვილ მკითხველს შეუძლებელია გამორჩეს ამ სცენების იუმორისტული ფონი.

ტომას ჰატერი იროკეზებს ჩავარდნით ხელთ და მისი სკალპის მოძრობით იმუქრებიან, მისი ქალიშვილები და ორი გულშემატკივარი – ნადირთმჟლეტად ცნობილი ნათ ბამპო და ინდიელთა ბელადი ჩინგაჩუკი – სახსარს ეძიებენ მის დასახსნელად და მოლაპარაკებას მართავენ იროკეზებთან. ვიდრე იმათი დელეგაცია მოუვიდოდათ, გულდასმით გადასინჯავენ ჰატერის საიდუმლო სკივრს, იქნებ რაიმე ისეთი ნივთი აღმოვაჩინოთ, იროკეზთა გული მოიგოსო.

და, აი, ნათ ბამპო ხსნის პატარა ტომარას და იქიდან ერთმანეთის მიყოლებით ამოალაგებს... პატარა პატარა ფიგურებს.

„კოშკის“ მფლობელი ჭადრაკს ინახავდა თურმე.

ფიგურები ჩვეულებრივზე უფრო დიდი ზომისანი არიან და თვითულის მოყვანილობა შეესატყვისება მისივე დასახელებას:

ცხენებზე მხედრები სხედან, ეტლები ზურგზე ადგათ სპილოებს და თვით პაიკებსაც ადამიანის თავი და მკერდი აქვთ.

კუპერი აღწერს ისეთ ჭადრაკს, რაც მის დროს გავრცელებულიყო და ხელოვნების ნიმუშადაც წარმოდგებოდა. ამიტომაცაა, რომ ჩინგაჩუკს გადააფინყდება ინდიელისათვის ჩვეული თავდაჭერილობა, რიგრიგო-

ბით იღებს ხელში თვითეულ ფიგურას და მათი ცქერით ტკბება. განსაკუთრებით მაინც სპილოები მოსწონს და აღტაცების წამოძახილებით უცაცუნებს თითებს ხორთუმზე, ყურებსა და კუდებზე, ცხადია, არც მშვილდ-ისრით შეიარაღებული პაიკები დარჩება უყურადღებოდ.

ნადირთმჟლეტი კი უხმოდ ზის და პირქუში გამომეტყველებით ადევნებს თვალს ჯუღითისა და ინდიელის ყოველ მოძრაობას, ვიდრე ბოლოსდაბოლოს თავის შეხედულებას გამოთქვამდეს: ეს ნივთები კერპებია, მათი პატრონი ღმერთს არა ცნობსო.

ნუთუ თავის ღმერთებს ტომარაში ჩატენიდა და სკივრში ჩაკეტავდა? – შეეპასუება ჰატერის ქალიშვილი, მაგრამ ბამპო თავისაზრდას: ბერიკაცს ჩემი კანისფერი აქვს და მზად ვარ შემწეობა აღმოვუჩინო, მაგრამ არ მინდა საქმე ვიქონიო ისეთ კაცთან, ვინც განუდგა თავის სარწმუნოებასო.

მისი გადაწყვეტილება მკაცრია:

– კერპი კერპია და ქრისტიანს არ მართებს მისი შენახვა.

იროკეზებისათვის კარგი რამაა, – რჩევას გაუზიარებს ჩინგაჩუკი თეთრკანიან მეგობარს, უხალისოდ რომ დაუბრუნებს სპილოს, – ამ ცხოველის ფასად მთელი ტომის ყიდვა შეიძლება.

ნადირთმჟლეტის გადაწყვეტილების შერყევა ასე ადვილად არ არის:

– ჰო, შენ მართალი ხარ. ეს გასაგებია ყველასათვის, ვინც იცნობს ინდიელის ბუნებას. მაგრამ კაცი, ყალბ ფულს რომ ასაღებს, ისევე ცუდად იქცევა, როგორც ის, ვინც მას აკეთებს... მე ვიცი, რომ რამდენიმე ცალი ასეთი კერპი – და შეიძლება მარტო ის სპილოც კი – საშუალებას მოგვცემს გამოვისყიდოთ ტომას ჰა-

ტერი, მაგრამ სინდისი ნებას არ მოგვცემს, ასეთი სიყალბე ჩავიდინოთ. მე მგონია, ინდიელთა არცერთი ტომი არ მისდევს ნამდვილ კერპთაყვანისმცემლობას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისე ახლოსაა ამასთან, რომ თეთრკანიანები ვალდებულნი არიან ძალ-ღონე არ დაიშურონ და ამ ცდუნებისაგან დაიფარონ ისინი.

მაგრამ ჯუდითს მოულოდნელად მეხსიერება უნდა გაუნათდეს და წამოაგონდეს, რომ გარნიზონში ყოფნისას ოფიცრების ხელში უნახავს ამის მსგავსი რაღაც სათამაშო.

თუ ეს დადასტურდება, ჰატერს კიდევ მოეხსენება კერპთაყვანისმცემლობის ბრალდება, მაგრამ როგორ უნდა დადასტურდეს?

მაუდში კიდევ რაღაცაა გახვეული და მასაც რომ გახსნიან, ამოიღებენ სპილოს ძვლისა და შავი ხისაგან ნაკეთებ უჯრედებიან ჭადრაკის დიდ დაფას.

ნადირთმყლექმა ეს ყოველივე კარგად უნდა აწონ-დანწონოს, ცოტა კი შეყოყმანდეს, მაგრამ ბოლოს მაინც გაიზიაროს ჯუდითის აზრი და აღიაროს: ეს ცრუ კერპები ალბათ სხვა არაფერი, თუ არა ოსტატურად გამოთლილი ფიგურები რომელიღაც უცნობი სათამაშოდანო.

„გასაოცარი პატარა ფიგურების არსში გარკვევა“ საბოლოოდ გადაუჭრით გამოსასყიდზე ზრუნვას. გადანყდებოდა, რომ ჰურონებისათვის ოთხი ეტლი შეეძლიათ, დანარჩენი ფიგურები კი გადაენახათ, რათა უკიდურეს შემთხვევაში გამოეყენებინათ.

ჰურონთა დელეგაცია კიდევ უნდა აღტაცდეს სპილოს ძვლისაგან ნათალი პატარა სათამაშოებით. ხანდაზმულმა ბელადებმა ბიჭუნაზე მეტი მგზნებარებით გამოსატონ აღფრთოვანება და განცდების ასეთი გამჟღავნება არც ითაკილონ. ყველაფერი დაავინყდეთ ამქვეყნად ისე გაიტაცოთ ამ ძვირფასმა ნივთმა, ფაქიზმა ნამუშევარმა და ცხოველის უჩვეულო ფორმამ. თითქოს იდუმალებით შემოსილათ. და რაც მეტად დააკვირდებიან, მით მეტი გაოცება უნდა გამოხატონ.

საგულისხმოა ის ფსიქოლოგიური პასაჟი, რომელიც ასე ხელშესახებად წარმოსახავს ინდიელთა ფსიქიკას:

„ტყის ამ მკვიდრთ სპილოს ზურგზე აღმართული ნაგებობა სულაც არ ჩაუთვლიათ ცხოველის განუყოფელ ნაწილად. ინდიელები კარგად იცნობდნენ ცხენებსა თუ საპალნის ხარებს და კანადაში ციხე-კოშკებზეც ენახათ, ამიტომ სპილოს ტვირთს სულაც არ გაუოცებია ისინი. მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ ეს ფიგურა განასახიერებდა ცხოველს, რომელიც ზურგზე მთელ ფორტს აიკიდებდა და ამან კიდევ უფრო გააოგნა“.

წინასწარი ვარაუდი სავსებით დასტურდება.

ჭადრაკის ფიგურებს ისეთივე ფასი აქვს ჰურონისათვის, როგორც ოქროთი სავსე ტომარას ან თახვის ბუნვეულს ვაჭრის თვალში.

ასე იჭრება თხრობის მძაფრ დრამატიზმში იუმორისტული ფონი და ეს კომიკური გაელვებანი ჭადრაკს უკავშირდება.

ჯეიმზ ფენიმორ კუპერისათვის, როგორც ჩანს, მახლობელი უნდა ყოფილიყო მეფეთა თამაში, რადგანაც ისეთ სიყვარულს აქსოვს ფიგურების აღწერას, გარემოცავს ამ განცდას ასეთი რელიეფურობით ვერ გამოხატავდა. ფარული კომიზმისათვის კი არ შეუთხზავს ჭადრაკის პოვნისა და გამოსასყიდად მისი გამოყენების სცენა, ჭადრაკის ჩართვა ისედაც სურდა თხრობაში და იუმორისტული იერი თავისთავად გამოიკვეთა.

კერპები – როგორ დამფრთხალა თვით ნადირთმყლექი, კუპერის რომანთა ციკლის მთავარი გმირი, ვის ბიოგრაფიასაც ერთგულად გაჰყვებოდა მწერალი სიჭაბუკიდან ხანდაზმულობამდე.

სხვისი ფიქრი იქნებ სულ სხვა მხრივაც წარმართოს ამ სცენების გადაკითხვისას, მაგრამ ჩემს თვალწინ თავისთავად მოტივტივებს როსტომ წერეთლის სახლი და საბუხრებთან აღმართული ჭადრაკის ვეება ფიგურები.

სულ ისე არ ჩაუვლიდა ამ უჩვეულო იდეის ხორცშესხმა.

ვინ მოიხიბლებოდა, ვინ განცვიფრდებოდა, ვინ გულსტიკვილით ამოთქვამდა: ეს რა დამართნია ჩვენს მებატონეს, უარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა კერპი და შეერთო იგი უღმერთთათ.

თუ შენთან გამოტყდებოდა და გაგიმხელდა შემფოთების მიზეზს, გაუშლიდი ჭადრაკის დაფას, თამაშის არსშიც გაარკვევდი და ფიგურების სახელებსაც სათითაოდ ჩამოუთვლიდი, მაგრამ გულში თუ ჩაიხვევდა?..

მაშინ რა – ვერა და ვერ აპატიებდა როსტომ წერეთელს კერპების აღმართვას სახლის სახურავზე და აკაკი წერეთლისაგანაც გულნაკლული დარჩებოდა: ამან მაინც მოანგრიოს, ნუთუ ისე შეაჩვია თვალი, რომ კერპებად ველარც აღიქვამს, და იქნებ... იქნებ მანაც გადაუხვია მართლმადიდებლობის გზიდანო.

ეგაა, ნათ ბამპოს აღარ გააკვირვებდა მათი ხილვა და არ შეძრწუნდებოდა, ეს სად მოვხვედრილვარ, კერპთაყვანისმცემელთა სოფელში ამომიყვია თავი და დროზე თუ არ გავასწარი, მეც არ გადამედოს უღმერთობაო.



ნახატები კარლო ფაჩულიასი

საშინაო დავალებად გამოაცხადეს

1954 წლის ზაფხულის დამლევს მადრიდის მახლობლად მდებარე ხარსაშენი ფერმის ტყიან ტერიტორიაზე იღებდნენ ზოსუორთის ბრძოლას, რომელიც გაიმართა 1485 წლის 22 აგვისტოს და დამთავრდა რიჩარდ მესამის დამარცხებითა და სიკვდილით.

რატომ იღებდნენ მაინცდამაინც ესპანეთში? ალბათ იმიტომ, რომ იმხანად კინოფილმში მონაწილე სტატისტის დაქირავება ყველაზე იაფი უჯდებოდათ ესპანეთში – დღეში ორ დოლარს უხდიდნენ (უმადლესი, პოლიუდური განაკვეთი უდრიდა ოცდახუთ დოლარს).

სახელოვანი ინგლისელი მსახიობი ლორენს ოლივიე იყო ამ ფილმის პროდიუსერი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი.

ეკრანზე უნდა გაცეცხლებინა რიჩარდ მესამე. ლორენს ოლივიეს პირველად როდი უწევდა გარდასახვა ინგლისის მეფედ, კერძოდ რიჩარდი კი უკვე ნათამაშევი ჰქონდა სცენაზე. ახლაც ჩინებულად შეეთვისა თავის როლს – თავდაჯერებული, მბრძანებლის იერით, ზოგჯერ შიშისმომგვრელიც იყო. ორმოცდაშვიდი წლის მსახიობი კვლავინდებურად განიცდიდა მამაკაცურ სიამაყეს, რადგან მკლავიც უჭრიდა და მუხლიც ერჩოდა, თავისი ფიზიკური ძალ-ღონის იმედი ჰქონდა და გადაღებისას დუბლიორი არც ამყამად სურდა.

მეფე რიჩარდის სამოსელში გამოწყობილი, კუზიანი, ყორნის ფრთასავით შავი პარკით, ცხენს ოთხით მიაჭენებდა კინოკამერისაკენ, რომელიც მომცრო ბორცვის თავზე იდგა. მშვილდოსანი მორბოდა, მეფის ცხენი რომ განეგმირა.

ფილმის მონაწილე მსახიობი იხსენებს: ამ ისარს ნამდვილი ბუნიკი ჰქონდა. ცხენი განვრთნეს, რომ მკვდარივით დაცემულიყო, როგორც კი დარტყმას იგრძნობდა. მას იცავდა თითქმის ორსატიმეტრიანი სისქის აბჯარი კორპისა, რომლის ქვეშაც იყო მჭიდრო მუყაო და ფოლადის ფირფიტა. გადამწყვეტ მომენტში, როდესაც მშვილდოსანმა ისარი ტყორცნა, ოლივიე ცხენს მიერეკებოდა და მარცხენა ფეხი წინ ჰქონდა წაწეული. მისი საკუთარი აბჯარი რეზინისა იყო და ქალაღის ხელშუბსაც ვერ გაუძლებდა. ისარმა ღრმად განუგმირა ფეხის ნაკუთალი. ყველას თავზარი დაეცა. ესპანური რანჩოს მინდორში სიჩუმე ჩამოვარდა. ოლივიე კი უძრავად იჯდა ცხენზე, თუმცა სისხლი მოთქრიალებდა ჭრილობიდან. რეჟისორის თანაშემწემ მიიღობინა მასთან. „გადალიტ?“ – ჰკითხა ოლივიემ. დიას, გადავიდეთო. ოლივიე ცხენიდან არ ჩამოქვეითებულა, საქმიანად უხსნიდა თანაშემწეს, უკეთესად როგორ გამოეყენებინათ ეს კადრი. რამდენიმე წუთი რომ გავიდა, მაშინდა ითხოვა: ახლა კი, გეთაყვა, ცხენიდან ჩამომსვით და ექიმი მომგვარეთო.

ბრწყინვალედ ამართლებდა შექსპირის ტრაგედიაში თქმულს: „არავითარ შიშს ის არ უფრთხის: ცხენი მოუკლეს, ქვეითი იბრძვის, სიკვდილს თითქო ყელში უძვრება“.

გრემს ყოველდღე სამი საათი მიჰქონდა. და ეკრანზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა სულითა და ხორციტ მახინჯი რიჩარდ მესამე: ხეშეში, თხელი ტუჩები, კუპრივით შავი და სწორი თმა, ტაპირის დინევიტად გადმოწოლილი ცხვირი, დასახიჩრებული ორთითა ხელი და შემპარავი ხმა. მუდამ ფეხაკრეფით დადიოდა და ობობას წააგავდა.

ინგლისელი თეატრმცოდნე ჯონ კოტრელი თავის წიგნში „ლორენს ოლივიე“ წერს, რომ, ისევე როგორც „ჰამლეტის“ გადაღებისას, რეჟისორის წინაშე ყველაზე ძნელი ამოცანა წამოიჭრა ფილმის გადაღებამდე. საგრძნობლად უნდა გადაემუშავებინათ შექსპირის ტექსტი, რათა ფილმი ქვეუღიყო ისეთ სანახაობად, რომელსაც ექნებოდა ტემპი, სტილი და, რაც მთავარია, ადვილად მისაწვდომი უნდა გამხდარიყო მაყურებლისათვის.

ადრე, „ჰამლეტის“ თაობაზე, სცენარისტ ალან დენტს უთქვამს: „ჩვენ გადაწყვეტიტ, რომ პიესის აზრი უსათუოდ მიგვეწვდინა ოცი მილიონი მაყურებლისათვის, თუმცა ორი ათასი სპეციალისტი შექსპირისა შუბლს შეიჭმუნდა და აბუზღუნდებოდა“.

რამდენიმე მოქმედი პირი ამოაგდეს, მათ შორის – დედოფალი მარგარიტა. ზოგიერთი სცენა მთლიანად გამოტოვეს. რიჩარდი ლედი ანას ხელს თხოულობს არა მისი მამამთილის, არამედ ქმრის კუბოსთან და ახალგაზრდა ქვრივის შეცდენა უფრო უტიფარ და შემზარავ იერს იძენს, ვიდრე დედანში. ხოლო ანას დანებება ეკრანზე გამოიხატა ვნებიანი კოცნით.

შემდგომში ოლივიე განმარტავდა: „როდესაც თქვენ აპირებთ შეამოკლოთ შექსპირის პიესა, არსებობს მხოლოდ ერთი გზა – უნდა ამოიღოთ მთელი სცენები. თუკი თქვენ მარტოდენ ცალკეულ სტრიქონებს ნაშლით, რათა ყველა პერსონაჟი შეინარჩუნოთ, ამის შედეგად წარმოიქმნება განწყვეტილი ძაფების გროვა“.

ოლივიე მოითხოვდა სასტიკ რეალიზმს ხელჩართული ბრძოლის სცენებში. თავად იბრძოდა, ვითარცა „ჭრილობებით მთვრალი კაცი“. გახელებით იბრძოდა მანამდე, ვიდრე სასიკვდილოდ დაჭრილი გულალმა დაეცემოდა და მხეცივით კრუნჩხვას დაიწყებდა. გაინვდენდა დასახიჩრებულ ხელს, რომელსაც ხმალი ჩაებლუჯა და უკანასკნელ მზერას შეავლებდა ხმლის ვადას.

ფილმის პირველ და ბოლო კადრებში ეკრანზე მოჩანდა მდიდრულად მოოჭვილი სამეფო გვირგვინი. ის მკაფიოდ გაბრწყინდებოდა რიჩარდის კორონაციის დროს; ხოლო როდესაც მეფეს ცხენს მოუკლავდნენ, სიმბოლო გულისთქმისა და დაუოკებელი ლტოლვისა ლაფში ჩაგორდებოდა და ცხენის ფლოქვები განზე გადაისროდნენ. საბოლოოდ, ბუჩქში ჩავარდნილს ხელსა სტაცებდნენ და მონინებით დაადგამდნენ თავზე ბოსუორთის ბრძოლაში გამარჯვებულ რიჩმონდს.

ინგლისური პრესა აღტაცებით გამოეხმაურა ლორენს ოლივიეს ახალ ფილმს. წერდნენ, რომ რეჟისორი, მართალია, ბარბაროსულად მოეპყრო პიესის ტექსტს, მაგრამ მისსავე სულს ღრმად ჩასწვდა და ეს ეკრანიზაცია ლამის აგატირებს მაღლივების გრძნობით ალვისილს – ამგვარი ტალანტის თანამედროვე რომ ხარო.

„რიჩარდ მესამემ“ ასევე დიდ წარმატებას მიაღწია შეერთებულ შტატებში.

ოლივიეს ეს ქმნილება იყო პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელიც კინოში დემონსტრაციამდე ტელევიზიით უჩვენეს დაახლ. 40 მილიონ მაყურებელს. ენ-ბი-სიმ ერთ ჩვენებაში გადაიხადა ნახევარი მილიონი დოლარი.

მაგრამ ოლივიე უკმაყოფილო დარჩა. ტელევიზორის ეკრანზე დაზარალდა საერთო და მსხვილი პლანების მონაცვლეობა. ფერადი გამოსახულება მხოლოდ შეძლებულთა უმცირესობამ იგემა. „სისხლიანი“ სცენები ამოჭრეს მოზარდთა გულისათვის. ფილმის ჩვენებას თან ახლდა „ჯენერალ მოტორსის“ გულისგამანვრილებელი რეკლამა (სწორედ ეს კომპანია აფინანსებდა ამ ექსპერიმენტს). ოლივიე კინალამ ჭკუიდან შეირყა, როცა მოისმინა რომელიღაც ავტომობილზე რომ თქვას: მას მეტი სიმძლავრე აქვს, ვიდრე ერთად აღებულ ყველა ცხენს „რიჩარდ მესამეში“.

ფილმის საოცარ პოპულარობას ისიც მეტყველებს, რომ მისი ნახვა საშინაო დავალებად გამოაცხადეს ამერიკის სკოლებში. ეს, ალბათ, უპრეცედენტო ჯილდო იყო ფილმისათვის.

„რიჩარდ მესამე“ გახდა ლორენს ოლივიეს პირადი ტრიუმფი, რეჟისორისა და მსახიობის ტრიუმფი.

ჰიროსიმა... ნაბასაკი

მემამულეთ თვალეში ველარ შეხედავდა... გადაწყვეტილება ატომური ბომბის გამოყენების შესახებ ასე ათასზე მეტი იაპონელი განწირა დასაღუბად. ამ ფაქტს ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ შეცვლის და მე არა მსურს, რაიმე შევალამაზო. მაგრამ ეს წინასწარგანზრახული განადგურება ორი ქალაქისა იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. ჰიროსიმას და ნაგასაკის მოსპობამ ნერტილი დაუსვა იაპონიასთან ომს, ბოლო მოუღო გამანადგურებელ დაბომბვებს და შემაჯინროველ ბლოკადას. ამასთან ერთად, ორი დიდი სახმელეთო არმიის შეტაკების საზარელი აჩრდილი თავიდან ავიცილენით. ამერიკელი სამხედრო ექსპერტები რაღას ამბობდნენ? გენერალი არნოლდი: „მანამდეც კი, ვიდრე ჩვენი თვითმფრინავი ატომურ ბომბს ჩამოაგდებდა ჰიროსიმაში, იაპონიის სამხედრო მდგომარეობა უიმედო იყო“.

1945 წლის 6 აგვისტოს, დილის 8 საათსა და 15 წუთზე, ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს ჰიროსიმაში. ამ დროს ქალაქში იმყოფებოდა დაახლ. 320 ათასი ადამიანი. მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დაიღუპა 78 150 სული, უგზოუკვლოდ დაიკარგა 13 963; მძიმედ დაიჭრა 9 428 და მსუბუქად – 27 997 (არაოფიციალური მონაცემების მიხედვით, დაღუპულთა ოდენობა, სულ მცირე, 100 ათასი იქნებოდა).

იმავე დღეს აშშ პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა საჯაროდ განაცხადა: „დღეს დილით ამერიკულმა თვითმფრინავმა ერთი ბომბი ჩამოაგდო იაპონიის არმიის მსხვილ ბაზაში – ჰიროსიმაში. ამ ბომბის სიმძლავრე აღემატება 20 ათასი ტონა ტრინიტროტოლოლის აფეთქების სიმძლავრეს... ჩვენ ჩავებით აზარტულ თამაშში – 2 მილიარდი დოლარი დაგხარჯეთ უდიდეს მეცნიერულ გამოგონებაზე კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა წინასწარ არც კი ვიცოდით, მივიღებდით თუ არა სასურველ შედეგს. და ჩვენ მოვიგეთ“.

8 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა იაპონიას და ნითელმა არმიამ მანჯურიის საზღვარი გადალახა.

9 აგვისტოს ამერიკელებმა მეორე ატომური ბომბი ჩამოაგდეს. ამჯერად მათი სამიზნე იყო ქალაქი ნაგასაკი, სადაც 260 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 40 ათასი, ამდენივე დაიჭრა.

14 აგვისტოს იაპონიის იმპერატორმა მიიღო პოტსდამის დეკლარაციის პირობები. 2 სექტემბერს იაპონელებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა თემთა პალატას აუწყა: „გადანწყვეტილება ატომური ბომბის გამოყენების შესახებ პოტსდამში მივიღეთ პრეზიდენტმა ტრუმენმა და მე. ჩვენ მოვიწონეთ გეგმა, რომ აქამდე დაბმული საზარელი ძალები ჯაჭვიდან აგვეშვა“.

ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად მან თავის მსმენელთ ამცნო, რომ იაპონიის ტერიტორიაზე შეჭრას ერთი მილიონი ამერიკელისა და ნახევარი მილიონი ინგლისელის სიცოცხლე შეეწირებოდა.

აშშ სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა განაცხადა: „ჩემი მთავარი მიზანი იყო, რომ ომი დამეთავრებინა გამარჯვებით, მეომართა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად. მე მჯერა, რომ ჩვენს მდგომარეობაში ვისაც ექნებოდა პასუხისმგებლობის ასეთი ტვირთი და ასეთი იარაღი, რომელსაც მრავალთა სიცოცხლის გადარჩენა და ომის დამთავრება შეეძლო, არავინ შეიკავებდა თავს მისი გამოყენებისგან და თუკი შეიკავებდა, თავის თანა-

ბის შესახებ ასე ათასზე მეტი იაპონელი განწირა დასაღუბად. ამ ფაქტს ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ შეცვლის და მე არა მსურს, რაიმე შევალამაზო. მაგრამ ეს წინასწარგანზრახული განადგურება ორი ქალაქისა იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. ჰიროსიმას და ნაგასაკის მოსპობამ ნერტილი დაუსვა იაპონიასთან ომს, ბოლო მოუღო გამანადგურებელ დაბომბვებს და შემაჯინროველ ბლოკადას. ამასთან ერთად, ორი დიდი სახმელეთო არმიის შეტაკების საზარელი აჩრდილი თავიდან ავიცილენით. ამერიკელი სამხედრო ექსპერტები რაღას ამბობდნენ? გენერალი არნოლდი: „მანამდეც კი, ვიდრე ჩვენი თვითმფრინავი ატომურ ბომბს ჩამოაგდებდა ჰიროსიმაში, იაპონიის სამხედრო მდგომარეობა უიმედო იყო“.

გენერალი ბროდი კვერს უკრავს კოლეგას. ადმირალი ნიმიცი იაპონიის კაპიტულაციას ხსნიდა, უწინარეს ყოვლისა, სავაჭრო ფლოტის დანაკარგებით.

სტრატეგიულ დაბომბვათა შედეგების შესახებ შედეგინილი საანგარიშო მოხსენების 12 მონაწილე ასკვნიდა: „ყველა ფაქტის დეტალურად შესწავლისა და ყველა ცოცხლად დარჩენილი იაპონელი ლიდერის ჩვენებათა საფუძველზე ანგარიშის ავტორები ფიქრობენ, რომ იაპონიის კაპიტულაცია მოხდებოდა 1945 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაძლოა, 1 ნოემბრამდეც კი, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი ატომურ ბომბს არ გამოვიყენებდით, არც რუსეთი ჩაებმებოდა ომში და მაშინაც კი, თუკი იაპონიის ტერიტორიაზე არავითარი შეჭრა არ დაიგეგმებოდა“.

პრეზიდენტ ტრუმენის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან წინასწარ გააფრთხილა მტერი: „თუკი იაპონელები ახლა არ მიიღებენ ჩვენს პირობებს, ზეციდან ისეთი გამანადგურებელი თავსხმა მოვლით, რომლის მსგავსი ჩვენს პლანეტაზე არასოდეს ყოფილა“.

ცამდე მართალი იყო, მაგრამ იაპონელებმა ყური არ ათხოვეს პრეზიდენტის გაფრთხილებას.

ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ჯონ ფულერი თავის წიგნში „მეორე მსოფლიო ომი“ ტრუმენის ულტიმატუმის დამონებებისას სარკასტულად შენიშნავს: „ასე ეუბნება განგსტერი თავის მსხვერპლს: თუ შენ არ იზამ იმას, რასაც მე მოვიტხოვ, მთელ ოჯახს ამოგიხოცავ“.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გადაწყვეტილება ატომური ბომბის გამოყენებაზე მნიშვნელოვანწილად გამოიწვია სურვილმა – გაემართლებინათ ატომური ბომბის შესაქმნელად და-ხარჯული ორი მილიარდი დოლარი.

გარდა ამისა, ბირთვულ იარაღს საბჭოთა კავშირი უნდა დაეშინებინა...

ქრონიკა

21 ივნისს საზოგადოება „მემორიალს“ სტუმრობდა მწერალი მაკა ჯოხაძე, რომელმაც ციკლიდან „რეპრესიაგამოვლილები“ ნაიკითხა მოხსენება ლევან ბოლქვაძეზე, ვინც დღევანდელი მკითხველისათვის თითქმის უცნობია. უფრო მეტიც, თვით მისი თაობის ხალხიც კი არ იცნობდა ლევანს როგორც მწერალს. სამაგიეროდ იცნობდნენ როგორც ენციკლოპედიური განათლების მქონე დიდ ერუდიტს. სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ენციკლოპედიაში მუშაობდა, სადაც დღეს მისი სახელობის კაბინეტია გახსნილი და ენციკლოპედიის ბიბლიოთეკაც ლევან ბოლქვაძის სახელობისაა.

ქალბატონმა მაკამ გაიხსენა წლების წინათ თავისი პატარა გოგონასათვის როგორ ეძებდა საბავშვო ლიტერატურას მალაზიებში. როგორ მიიპყრო მისი ყურადღება უცნობი ავტორის წიგნმა სათაურით: „ზღაპარში მოხვედროლი ბიჭის ამბავი“.

ასე აღმოვაჩინე ულამაზესი ფანტაზიის მქონე დიდებული

მწერალი, რომელმაც მთელი თავისი ინტელექტუალური თუ ცხოვრებისეული გამოცდილება ზღაპრად აქცია. ბიოგრაფია კი მართლაც უაღრესად რთული, დრამატული ჰქონდა ლევან ბოლქვაძეს. აღფრთოვანებულმა წერილიც მივუძღვენი ამ ზღაპარს და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაცნობისას მწერლისგან მოვისმინე, რომ ეს მისი ერთადერთი და ალბათ ბოლო წიგნი იყო – აღნიშნა მომხსენებელმა.

კოტე ჩოლოყაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა მაკა ჯოხაძეს არა მხოლოდ ამ მწერლის პოპულარიზაციისათვის, არამედ საზოგადოდ მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის პატივისცემის ნიშნად საქართველოს თავადაზნაურთა საზოგადოების საპატიო წევრობა შესთავაზა.

ილამაზ მინიშვილმა კი „მემორიალის“ სახელით მაკა ჯოხაძეს საჩუქრად გამომცემლობების „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ ახალი წიგნები უსახსოვრა.